

517 / 2

1949

Կ. Տ. Եղ. Ի.

Կ. Տ. Եղ. Ի.

517/2  
1949

26

საპარტვილოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი



517/2

# ლივერაგურის მავიანე

ნ ი ბ ნ ი 5

4

ნაეყთი პირველი



საპ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა

თბილისი

1949

# ლიგერაგურის გავიანა

ნ ი ბ ნ ი 5

ნაგუთი პირველი



484



# მედიკალიზაცია

პ/მგ. რედაქტორი გიორგი ლეონიძე

პ/მგ. მდივანი ივანე ლოლაშვილი

ტექ. რედაქტორი დ. კომახიძე



## წინასიტყვაობა

როგორც ცნობილია, ქართული მემუარული ლიტერატურა მეტად ღარიბია. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა გაითვალისწინა რა ეს გარემოება, მიიღო სათანადო ღონისძიებანი ამ ხარვეზის შესავსებად. ამ მიზნით, მუზეუმმა ძველ ქართველ მწერლებს, ლიტერატორებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწიგნობრებს, ცნობილ მწერალთა მეგობრებსა და ნათესავებს შეუკვეთა მოგონებათა დაწერა. ამასთანავე მუზეუმმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოაწყო ცხრა სამეცნიერო ექსპედიცია ქართველ მწერალთა ბიოგრაფიული მასალების ჩასაწერად.

ამეამად მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მემუარული მასალების კოლექცია უკვე 5.000-მდე ჩანაწერს ითვლის.

შემგროვებლობითი მუშაობის პარალელურად მუზეუმი აწარმოებს ამ მასალების მეცნიერულად დამუშავებასა და გამოქვეყნებას.

„ლიტერატურის მატინეს“ I-II და III IV წიგნებში დაიბეჭდა მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, ი. გოგებაშვილზე და სხვ.

„ლიტერატურის მატინეს“ მეხუთე წიგნის პირველი ნაკვეთი შეიცავს მელანიას (ნ. ნათიძის), ნატალია აზიანის, მარიამ ორბელიანის, სანდრო რაზიკაშვილის, ივლიტა ფურცელაძისა და ელისაბედ ერისთავის მოგონებებს ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. ეს მოგონებანი (გარდა მელანიას მოგონებისა) დაწერილია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დაკვეთით და მათი დედნები ინახება მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.



ამ მოგონებათა პუბლიკაციის დროს რედაქციამ ზოგი ტექსტი  
 ოდნავ შეამოკლა, ენობრივად გამართა, ფაქტიური შეცდომები  
 შეასწორა და გამოაქვეყნა სათანადო შენიშვნებით, სადაც ან ჯერ-  
 ჯერობით დაუზუსტებელი ფაქტები კი ხელუხლებლად დატოვა,  
 რათა მკვლევარს სინამდვილის გამორკვევის საშუალება მისცემოდა.

„ლიტერატურის მატრიანეს“ მეორე ნაკვეთი შეიცავს საქართვე-  
 ლოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწე-  
 რილობას, სადაც დაბეჭდილია მხოლოდ ასი ნომრის ავტოგრაფე-  
 ბი და ნუსხები. დანარჩენი ხელნაწერის აღწერილობა შემდეგ  
 ნაკვეთებში დაიბეჭდება.

რედაქცია



ნატალია აზიანი

## მოგონებანი ქაიხვილ მნაჩაბეზე

### 1. ილია ჭავჭავაძე

1897 წლის შემოდგომას მე, 18-19 წლისამ, სცენის სრულე-  
ბით უცოდინარმა დავჯღაბნე პირველი ჩემი პიესა „ინჯილერი ან  
დოსტური“ და ჩამოვიტანე გორიდან თბილისში. თან წამოვიღე ჩემს  
მეორე ქართულად ნათარგმნი ნაღსონის ლექსიც: „За что? Незмо-  
жною тоскою“, რათა ორივე ჩემი კალმის ნაცოდვილარი მეჩვენე-  
ბინა ვისთვისმე და გამეგო: ვარგა თუ არა. ჩვეულებრივად ვესტუმ-  
რე ჩემს ძალუას, რომელიც ცხოვრობდა ნიკოლაევის ქუჩაზე (ებლა  
კალინინის ქუჩა, რედ.). იქვე ახლო იყო გაზეთ „ივერიის“ რედაქ-  
ციაც. მოთავსებული ილია ჭავჭავაძის დის ელისაბედ საგინაშვი-  
ლის სახლში. ამ შენობის ეზოში ცხოვრობდნენ ჩემი ძალუას  
ახლო ნათესაეები, გვარად შანშიელები, რომელთანაც არა ერთხელ  
მინახავს „ლოტოზე“ დიდებული პოეტის და, ელისაბედ საგინაშვი-  
ლისა,—ლამაზი, თავდახურული მანდილოსანი, თანაც ჭკვიანი და გან-  
ვითარებული. ყველანი დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრო-  
ბოდნენ მას.

აი, ამ შანშიელებმა მიჩიქეს: „შენი ნაწერები ემანდ, გაზეთ «ივე-  
რიის» რედაქციაში, აიტანე და უჩვენე. ზემო სართულში ამ ლა-  
პაზი ქალის ძმა, დიდი პოეტი ილია ჭავჭავაძე ცხოვრობსო“. ეს სა-  
ბელი ჩემთვის უცხო არ იყო: რამდენჯერ შიტირნია მის „გლახის  
ნაამბობზე“ და მიცინია ლუარსაბსა და დარეჯანზე „კაცია-აღამიანი-  
დან“. შორიდანვე, როგორც ვარსკვლავს ცაზე, ვეტრფიალეობდი ამ

\* იბეჭდება საქ. საბ. ლიტ. მუზეუმის არქივში დაცული ხელნაწერის მი-  
ედვით, № 3447. ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფს, ტექსტი იბეჭდება  
აღნაგ შემოკლებით, რედ.

შედევრების შემქმნელს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მეღირსადაც  
ნახვა.

როგორც იქნა, გაზედუ და ერთ დღეს გულის ფანჯრალით შე-  
ვალე გაზეთ „ივერიის“ რედაქციის კარი: კიბის თავზე, აქეთ-იქით  
დავინახე ფიტული უშველებელ თეთრებით ხელში (ალბათ, რედაქ-  
ციაში გამოგზავნილ წერილების და სადარბაზო ბარათებისთვის).  
აველ კიბეზე, შევალე მეორე კარები და იქ, კანტორაში ილია  
ქავეკავაძის მაგივრად დამხვდა არტემ ახნაზაროვი, რომელიც მომე-  
გება და მკითხა: „რა გნებავთო?“ მე მორცხვად, რის ვაი-ვაგლა-  
ხით ავუხსენი, რისთვისაც მივედი და გადავეცი ჩემი ნაწერები,  
თან გულუბრყვილოდ ვთხოვე: იქნება გაზეთში დამიბეჭდოთ მეთქი.  
მას ჩაეცინა და მითხრა: „ჩვენ გაზეთში პიესებს არ ვბეჭდავთ. თუ  
გნებავთ, დატოვეთ თქვენი ნაწერები, გადავთვალთ იერებთ და მაშინ  
ვილაპარაკოთ, სად დავაბინავოთ. ორი-სამი დღის უკან შემოიარეთ  
პასუხისათვისაო“.

წარმოდგენილი გაქვს, მკითხველო, რა მოუთმენლად და გულის  
ფანჯრალით ველოდი ამ ორი-სამი დღის გასვლას, რომელსაც უნდა  
გამოეტანა განაჩენი ჩემი მომავალი ბედ-იბღბისა?

დადგა ეს ჩემთვის ნეტარი დღეც. შევალე თუ არა კანტორის  
კარები, არტემ ახნაზაროვი ღიმილით მომეგება და მითხრა: „თვით  
ილიაქ წაიკითხა თქვენი პიესა და მოიწონა. მხოლოდ საჭიროა, რომ  
მეოთხე მოქმედებაც\*) მოემატოს, რათა მსმენელმა გაიგოს, რითი  
დაბოლოვდება პიესის კვანძი. აგრეთვე, საჭიროა შეიკვეცოს უშვე-  
ლებელი მონოლოგ-დილოგები. რაც შეეხება ლექსს, ნაღსონიდან  
ნათარგმნს, იგი არ გამოდგება, ძალიან მოიკოკლებს... ასე: დაამ-  
თავრეთ პიესა და გამოგვიგზავნეთ სცენაზე დასადგმელადო“... რე-  
დაქციიდან რომ გამოველ, „ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედა-მიწა  
ქალანადა“. ხუმრობა ხომ არ იყო, რომ თვითონ ილიას წაუკით-  
ხავს და მოსწონებია ჩემი პიესა, რომელსაც თანაც სცენაზე უპირე-  
ბენ დადგმას?! მხოლოდ ორი რამ მიშხამავდა ბედნიერებას: ერთ-  
ისა, რომ ჩემს მიერ ნათარგმნი ლექსი არ მოსწონებიათ (მე მაშინ  
სრულებით გამოუცდელ 18 წლის ქალს, პოეტის დაფნები უფრო  
მიზიდავდა, ვიდრე დრამატურგისა), და მეორე ისა, რომ დიდებულ  
ილიას ნახვას ვერ ვეღირსე.

\*) ეს პიესა ჯერ სამ მოქმედებად იყო დაწერილი.

დავბრუნდი გორში, დავამთავრე პიესა და გავგზავნე თბილისში გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში ახნაზაროვის სახელზე. არ გავიდა ერთი-ორი კვირა, რომ ხსენებულ გაზეთში ზედი-ზედ ჩემთვის სასიკიძულულო ანონსები დაიბეჭდა: „ერთ გორელ სომხის ქალს მეტად საინტერესო პიესა დაუწერია. ეს პიესა მალე დაიდგმის ქართულ სცენაზე“ და სხვა ამისთანები.

მე მაშინ ისეთი გამოუცდელი ვიყავ, რომ ფსევდონიმის არჩევაშიც კი „ივერიის“ რედაქციაში დამეხმარნენ. როცა ახნაზაროვი წერილით შემეკითხა: რა მოვაწეროთ თქვენ პიესას: ნამდვილი გვარია, თუ ფსევდონიმს არჩევთო, მე მივწერე: რაც გინდა მოაწერეთ, მხოლოდ ჩემ გვარს ნუ გაამხელთ-მეტქი. „ივერიის“ რედაქციაში მომნათლეს „აზიანაღ“ და მას შემდეგ ვატარებ ამ ფსევდონიმს.

1898 წლის იანვარს, ქართულ თეატრში დაიდგა ჩემი პირველი პიესა და მესამე დღეს\*) გაზეთ „ივერიაში“ გამოვიდა რეცენზია ისეთი ხოტბა-ქებით ჩემ შესახებ, რომ ჩემი თავი შექსპირის მეტოქე მეგონა...

ასე ერთკლად იმიტომ მოგიყევით ჩემი პირველი პიესის ამბავი, რათა დამეხასიათებინა, რაოდენი ღვაწლი და სიკეთე დამლო უკვდავ ილიას გაზეთმა „ივერიაში“.

თვით ილიას სრულებით არ ვიცნობდი და მხოლოდ ერთხელ ვნახე ახლო ჩემ სიცოცხლეში. ეს იყო ჩემი პირველი პიესის წარმოდგენის ღამეს: ანტრაქტში მიმიყვანეს და გამაცნეს დიდი ხნის ნანატრი პოეტი-ბელეტრისტი. აქვე იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ რამდენიმე მწერალი, მაგრამ მე აღტაცებული ვუმზერდი და ვუსმენდი მარტო ილია ჭავჭავაძეს, რომელიც, ჩემთვის სასიამოვნო სიტყვებთან ერთად, ბევრ გამომაფხიზლებელ დარიგებასაც მაძლევდა: „თავში არ აგვივარდეთ ქება-დიდება, უფრო ღრმად ჩააკვირდით ცხოვრებას, ბლომად იკითხეთ წიგნები, სცენა შეისწავლეთო“ და სხვ... ის იყო და ის. იმ დროს, როცა აკაკის თითქმის ყოველ დღე ვხედავდი ხან კერძო ოჯახებში (ანასტასია წერეთელთან, ალდადანოვიანთსა), ხან ქართულ თეატრის კანტორაში, საცა მე ბიბლიოთეკა მეზარა და აკაკი კი რეჟისორად იყო მიწვეული, ილია ჭავჭავაძეს შორიდან სადმე თუ მოვ-

\*) გაზ. „ივერია“. 1898 წ., 18 იანვარი, № 12.

კრავდი ხოლმე თვალს, თორე ახლო აღარ მღირსებია მისი მშენებელი  
ერი თვალების ხილვა.

მაგრამ შორიდანაც მისი მზრუნველობა და მაღლი მესმოდა:  
ხან პართენ გოთუა, ხან რომელიმე სხვა ქართველი საზოგადო მოღ-  
ვაწე, მწერალი გადმომცემდა ხოლმე: „ილიას ძალიან მოეწონა შენი  
ახალი პიესა“, „ილიამ ბევრი იცინა შენს უქანასკნელ ფელეტონზგო“..  
თუმცა მე მაშინ ამ ფელეტონებს სოციალდემოკრატების პრესაში  
ვათავსებდი და ილია სრულიადაც არ იზიარებდა ამ მიმართულებას.  
სწორედ ამ მიუდგომლობაში იხატება მისი ღრმა ჭკუა და ნამდვი-  
ლი დემოკრატობა. ზემოდ ნაამბობის შემდეგ საჭირო აღარ არის  
ვარწმუნო მკითხველი, რა მწუხარება, რა თავს მეხი დამატყდა, რო-  
ცა საქართველოსთვის ერთ უბედურ დღეს საზარელი ხმა გაეარდა—  
„ილია მოჰკლეს“.

დასასრულ, ვიტყვი ორიოდ სიტყვას იმის შესახებ, რომ მე  
შემთხვევით დავესწარ სამხედრო საოლქო სასამართლოს ერთ-ერთ  
სხდომას, სადაც არჩევდნენ ხამი საგურამოელი გლეხის საქმეს, რო-  
მელთაც ილიას მკვლელობა ბრალდებოდათ. დეტალები აღარ მახ-  
სოვს, არც ის მახსოვს, რა განაჩენი გამოუტანეს სამივე გლეხს (ყვე-  
ლა სხდომებს ვერ ვესწრებოდი, რადგან აუარება ხალხით გატე-  
ნილ „ზალაში“ ძნელი იყო შესვლა). მახსოვს მხოლოდ ის, რომ არც  
ერთი ქართველი ვეჭილი არ გამოსულა მათ დასაცავად. ზღაზნით  
იცავდა ბრალდებულებს სახაზინო ვეჭილი. დამახსოვდა კიდევ ის,  
რომ ერთ-ერთი მოწმეთაგანი—ღრმად მოხუცებული საგურამოელი  
გლეხი, შემოიყვანეს თუ არა, მუხლებზე დაეცა და პიჯვარი გადი-  
წერა მეფეების უშველებელ პორტრეტების წინ (ალექსანდრე მეორე  
და ნიკოლოზ მეორე ოქროსფერ ვარაყიან ჩარჩოებში თავით თეხამ-  
დე გამოკიბული იდგნენ მსაჯულების წითელ სუფრიან მაგიდის  
სათავეში). ამ მოხუცი გლეხის ძვალ-რბილში გამჯდარმა მო-  
ნობამ ძალიან შეაძრწუნა არა თუ იქ დამსწრე ხალხი, არამედ თვით  
გულქვა მსაჯულებიც კი, რომელთა ბრძანებით ძლივს წამოაყენეს  
მთლად აკანკალებული მოხუცი; მინახავს დიმიტრი ჯაშიც, რომელ-  
საც საზოგადოება აბრალებდა ილიას მკვლელობის მოწყობას. იგი,  
მახსოვს, თანამშრომლობდა (რეპარტიორად) ოფიციალურ გაზეთ  
„კავკაზში“ და არხეინად და თავისუფლად დადიოდა ილიას მო-  
კვლის შემდეგ. გარეგნობითაც მეტად არა სასიამოვნო პიროვნება  
იყო: დაბალ-დაბალი, „რიჟა“ თმიანი, კორფლიანი გაცრეცილი სახით,

გამხდარი... „ქლეკის კანდიდატსა“ ჰგავდა. ცოტათიც, მახსოვს, მოი-  
კოკლებდა. დამტვრეულ რუსულს ლაპარაკობდა საშინელი აქცენტით. ეროვნული  
კავშირების  
გაიძვერული ჭკუის პატრონი იყო.

## 2. ანტონ ფურცელაძე

ანტონ ფურცელაძეს ახლო არ ვიცნობდი, მაგრამ მან პირველივე  
გაცნობაზე მამა-შვილურად მიმიღო, წამაქება, განმეგრძო წერა  
კომედიებისა, და მითხრა: „უცხო ხომ არა ვარ თქვენი, «ზემლიაკები»  
ვართო“. გორის მაზრიდან იყო. სასიამოვნო სახე ჰქონდა: ბრტყელი,  
დიდი შუბლი, ქალარა შერთული თმა და უღვაშები, კეთილი სანდო-  
მიანი თვალები. ცალი ფეხით კოკლობდა, მაგრამ მხნედ და მამა-  
ცად მიაბიჯებდა ქუჩაში.

ხალხოსნურ წრეს ეკუთვნოდა და ამას ამტკიცებდა არა მარტო  
წერით, არამედ საქმითაც.

გორის მაზრის გლეხობა ძალიან ემაღლიერებოდა მას. ანტონი  
შველოდა ამათ ფულითაც და დარიგება-გამოსარჩლებითაც, როცა  
რომელიმე თავგასული ფეოდალი, ან წურბელა ჩარჩი-ვაჭარი აწიო-  
კებდა გლეხებს. ის გულწრფელი, უანგარო პატრიოტი იყო ამ სიტყვის  
საუკეთესო მნიშვნელობით და სხვა ერსაც პატივსა სცემდა. სიმართ-  
ლის დაცვაც რაინდულად იცოდა: მის ცხოვრებიდან დამახსოვდა  
ერთი ამბავი, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია საზოგადოება-  
ში და რომელიც ნათლად ხატავს მის მიუდგომლობას. საქმე ასე  
იყო: რუსულ გაზეთ „თბილისის ფურცელი“-ს („Тифлисский Лис-  
ток“) რედაქტორს, ივანე ხაჩატუროვს (აქვე უნდა მოვახსენოთ,  
მეტად საზიზღარ არსებას) სადღაც ვილაციის სადილზე უდიერად  
მოეხსენებინა ქართული ენა. ამ სადილზე თითქმის სუყველანი თბი-  
ლისელი სომხები ყოფილან და, როცა ერთ-ერთ მათგანს ქართუ-  
ლად დაუწყვია ლაპარაკი, ივანე ხაჩატუროვს სომხურად შეუტყვია  
მისთვის: „გეყოფა მაგ ძ...ის ენაზე ლაპარაკიო“. ამ სიტყვებისთვის  
ყური მოუკრავს იქვე მყოფ ძეგველოვს,\*) ტომით ქართველს, რო-  
მელსაც სომხური კარგად სცოდნია. ამას ძალიან სწყენია ივანე ხა-  
ჩატუროვის სირეგენე, მაგრამ სუფრაზე ჩხუბი არ აუტეხნია მას.  
პინძლის ხათრით და თავი ისე დაუჭერია, ვითომც არ გაუგონია.  
შემდეგ კი, მეორე-მესამე დღეს, თავის აღმფოთება ნათესავ-მეგობრე-

\*) ძეგვი ძეგველოვები თბილისელი განთქმული თევზით მოვაჭრენი იყვნენ.

ბისათვის გაუზიარებია. ეს ამბავი მალე მთელ თბილისს მოედინა. ყველა პატიოსან ხალხში, განურჩევლად ეროვნებისა, სამართლიანი გულის-წყრომა და ზიზღი გამოიწვია ივანე ხაჩატუროვის მიმართ. ბევრი კიდევ ოხუნჯობდა: „ქართული ენა, რომ მართლა ძ...ის ენა იყვეს, ხომ პირველი თვითონ ხაჩატუროვი ისწავლიდაო“.

აღშფოთდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქრისტეფორე ხაჩატუროვიც—ფუროსი ძმა ივანე ხაჩატუროვისა და ნამდვილი ბატონპატრონი „თბილისის ფურცელისა“, რადგან ეს გაზეთი მის ხარჯზე გამოდიოდა. გაბრაზებულმა ქრისტეფორემ, რამდენადაც მახსოვს, თავისი ძმა რედაქტორობიდან გადააყენა. ივანე ხაჩატუროვი შიშით თუ სირცხვილით სადღაც მიიმალა, რამაც ძალიან გაახარა ამ გაზეთის თანამშრომლები—იმათაც კი ქირივით ეჯავრებოდათ იგი.

მაგრამ ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტი ამით არ დაკმაყოფილდა და ერთხელ, როცა ქრისტეფორე ხაჩატუროვი თავის ოჯახობით ქართული კლუბის ბაღში სადილობდა, ცალკე გამოიხმეს და ხელით შეურაცყოფა მიაყენეს. ეს საქციელი—ერთ ძმისთვის მეორის დასჯა—ბევრ ქართველსაც არ მოეწონა. არ მოეწონა ანტონ ფურცელაძესაც და მან გაზეთის საშუალებით თანაგრძნობა გამოუცხადა ქრისტეფორე ხაჩატუროვს, თუმცა აქვე ჰგმობდა მის ძმის საქციელს. ამის გამო ნაწილი ქართველი საზოგადოებისა განრიხხდა ანტონ ფურცელაძეზე: ზოგი „ღონ-კიხოტს“ უწოდებდა, ზოგი „სამშობლოს მოლაღატეს“ და სხვა... მაგრამ ანტონი მაინც მედგრად იცავდა თავის პოზიციას და პრინციპიალურად ასაბუთებდა.

ანტონს მაინც „ქრონიკულ ოპოზიციონერს“ ეძახდნენ ქართველ საზოგადოებაში.

### 3. პროფესორი ივანე ჯავახიშვილი

ვანო ჯავახიშვილს და მის ოჯახობას (მშობლებს, ძმებს და დებს) ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ჩემი ორთავ დეიდები ვანოს ბიძებს, ხოვლელ თავად ჯავახიშვილებს ჰყავდათ ცოლად და, რადგან მე ყოველ ზაფხულს ჩემ დეიდებს მიეყავდი თავიანთ სოფელში, ვანოს და მის მახლობლებს ყოველ დღე ვხედავდი. მისი მამა, ალექსანდრე, პროფესორი პედაგოგი, ჩუმი და უწყინარი კაცი იყო. დედა ვახვახიშვილის ქალი, სოფიო, მხნე და ენერგიული, მთელ მამულ-დედულს განაგებდა: პურის გალენა-განიავებასაც ესწრებოდა, ვენა-





ხის დაკრეფასაც, კაკლების დაბერტყასაც და სხვა... ოჯახობა ზამთარობით თბილისში ცხოვრობდა, ზაფხულობით თავიანთ სოფელ ხოვლეში, რომელიც წარმოადგენს მშვენიერ სააგარაკო ალაგს და მდებარეობს 6-7 ვერსის მანძილზე სადგურ გრაკალიდან.

აქ კარგა ბლომა ინტელიგენცია იკრიფებოდა ზაფხულობით თვითონ ჯავახიშვილების საგვარეულოდან და დროებით მოსულ მოაგარაკეთაგანაც. იმართებოდა ექსკურსიები, ბჭობა, ბაასი, საღამოობით მთვარიან ღამეს, მოღიპულ, მოსუფთავებულ კალოზე ლხინი, მღერა, ცეკვა, რომელშიაც ბევრჯერ გლეხი ახალგაზრდობაც იღებდა მონაწილეობას და თავად ჭალ-ვაყებთან ერთად ლეკურს უვლიდა.

თვითონ ვანოს, ანუ „ვანიჩკას“ (როგორც შინაურები ეძახდნენ) ცეკვა არ მინახავს, მაგრამ სჯა-ბაასში კი ბადალი არავინ ჰყავდა. არც მუსიკა იყო მისთვის უცხო: რამდენათაც მახსოვს, სკრიპკაზე უკრავდა. გიმნაზიის სკამიდანვე მეტად სერიოზული, დინჯი, წყნარი და ფაქიზი ყმაწვილი იყო. სტუდენტობის დროს ხომ სულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში იყო ჩაფლული და წანაკითხს—რამე საინტერესო პოლიტიკურ ან მეცნიერულ ამბავს თუ ახალ აღმოჩენას, უთუოდ საღამოთი კალოზე გვიამბობდა აღფრთოვანებით.

მაშინვე ეტყობოდა პროფესორის კათედრისკენ მისწრაფება: ცუდ დარში რომელიმე ქოხში მოგვიყრიდა თავს და ნავთის ლამფის შუქზე თავის წყნარი, ნაზი ხმით გვიკითხავდა ხან რუსულად, ხან ქართულად სხვადასხვა საინტერესო სტატიებს. ამ კითხვებიდან დამახსოვდა სარსეს\*) კრიტიკული წერილები თეატრზე და მკაყრებ-ლებზე.

ბევრჯერ ნავთის ლამფა ბოლავდა, ვანოსა და მის აუდიტორიას ცხვირ-პირი კვარტლით ემურებოდათ, მაგრამ არც ლექტორი და არც მსმენელი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ...

ვანოს დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა მოპოვებულ ჩვენ წრეში. მეც კი, რომელიც მუტის-მეტად დაუდევარი და მოუსვენარი ვიყავ მაშინ და მთელ ხოვლეს ვიკლებდი: სოფელ გოგობიჭებით გარშემორტყმული, გადაყდიოდი ვენახებში (მეტ წილად ვანოს მშობლებისა და ჩემი დეიდის საერთო „მკვახე-ვენახში“)

\*) გამოგჩენილი ფრანგი თეატრალური კრიტიკოსი (1828—1899) .წ.ედ.



სიმინდის ტარობებს ვამტკიცებდი, ოდნავ შემწიფებულ ყურძნის გარეშე ნებს ვწყვეტდი და იმდენს არ გიახლებოდი, რამდენსაც უბრალოდ ვაფუჭებდი,—დიდი ხათრი და მორიდება მქონდა ვანოსი. ამან გაჯაერება კი არა, დარიგება იცოდა, თუმცა ის ჩემზე სულ რაღაც ორი წლით დიდი იყო.

ერთხელ, მახსოვს, სერიოზულადაც გამიჯაერდა, ხმას აღარ მცემდა და ამან ისე მომიკლა გული, რომ ბოდიში მოვიხადე და შემირიგდა.

საქმე ასე იყო: ლხინში ვიყავით კალოზე. მისმა უმცროსმა ძმამ, დათამ, რომელიც ჩემზე ერთი თუ ორი წლით პატარა იყო, ხილის გაყოფაში დაეა ამიტება და ჩამარტყდა. მე დავმუქრე და ტირილით დავბრუნდი სახლში. მეორე დილას, ვხედავ, დათას ჩამოუვლია დეიდაჩემის კარ-მიდამოზე და კაკლის უშველებელ ხეების ქვეშ წაკუზული კროლაეს დაცვიფნულ კაკლებს. მე უკანა კიბიდან ჩავეპარე, მივევარდი და იმდენი უურტყი, რომ მის ღრიალზე ყველა მეზობლები გამოცვიფდნენ. ეს ამბავი დასმინეს ვანოს, რომელიც, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ძალიან გამიწყრა, მაგრამ მერე დიდსულოვანად მაპატია, როცა ბოდიში მოვიხადე. ვანოს მახლობლებში მე ვმეგობრობდი უფრო მის და საშას (შემდეგ რჩეულიშვილისას) და ძმა გიორგის, ძალიან ნიჭიერ და ნაკითხს ყმაწვილს, რომელთან შეხვედრა ეხლაც მიყვარს.

**4. პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი**

სულ პირველი კრიტიკოსი და რედაქტორი ჩემი ბავშვური ნაჯღაბნ-ნაწერებისა, როცა ჯერ ოფიციალურად არ ვიყავ სამწერლო ასპარეზზე გამოსული, იყო პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. ალექსანდრე, ანუ საშა, როგორც მას მახლობლები უწოდებდნენ, ყოველ ზაფხულს გორში მოდიოდა. აქ მას საუკეთესო ქუჩაზე მშვენიერი ორსართულიანი ქვითკირის სახლი ჰქონდა. დაბინავდებოდა თუ არა, დაივლიდა და ნათესავების გარდა ყველა ძველ ნაცნობ გორელებს ნახულობდა, რითიც ძალიან ახარებდა მათ. აქაური ქართველ-სომეხნი და ყველა ტომის ხალხი დიდი პატივით ეპყრობოდნენ მას და ხშირად პატიეობდნენ ჩაი-სადილზე, უმართავდნენ ნადიშს ხან გორიჯვარში, ხან ხიდისთავში და სხვა...

გორელებს თავი მოჰქონდათ, რომ მათაც ჰყავთ გამოჩენილი კაცი—პროფესორი. გარდა ამისა, თვით ალექსანდრემ თავის ტკბილი

და იოლიანი ხასიათით, სისადავითა და თავმდაბლობით სამარტოვანი  
ანად დაიმსახურა მათი სიყვარული.

ალექსანდრე ხახანაშვილი დაიარებოდა ჩვენსაც. მე პირადად  
დიდი ღვაწლი და სიკეთე დამღო მან. სწორედ ამ დროს მე (მაშინ  
16-17 წლის ქალმა), ის-ის იყო, ჯერ შინაურულად ავიდგი ფეხი  
ლიტერატურულ გზაზე და, ვლამობდი რა პარნასზე იოლად აძრო-  
მას, ვვლამობდი ხან დამტკრეულ რითმებიან რუსულ-ქართულ ლექ-  
სებს, ხან სატირულ სცენებს (ჩემს მიერვე ნახატი კარიკატურების  
ჩართვით) გორელ „მეშინებზე“ და ჩარჩ-ვაჭკრებზე, რისთვისაც  
მთელი გორი გადავიმტრე და დავიმსახურე... „ლანძღვის მწერლის“  
სახელი.

— „უი, ქა, გენაცვალეთ, ძველი ლეჩაქი მხურავს, არ ამწეროს,  
რას დამაცქერდა“...—წამოიძახებდა ხოლმე რომელიმე გორელი მე-  
კორე მანდილოსანი.

— „გავშორდე, თორე აქ ჩემ „ფართრეთს“ აიღებს ეს შეჩვენებუ-  
ლი და ქვეყანაში თავს მომკრის“.—ბანს აძლენენ გორელი ვაბლენ-  
ძილი მევახშენი.

მემღურებოდნენ არა მარტო მე, არამედ ჩემ მშობლე-  
ბსაც\*), რომელნიც თავის მხრივ მე მტუქსავდნენ და მი-  
ჯავრდებოდნენ: „რა გინდა, გოგო, გინდა ქვეყანა გადაგვიდო და  
ტოლ-ამხანაგში გამოგვწყვიტო. რო მოგკედეთო,—ცხოვნება აღარავინ  
შემოგვითვალოს?! ქალი ვინ და მწერალი ვინა? რა ქალის საქმეა  
ლანძღვის მწერლობა? მწერალი მესმის ყველას სასიამოვნო რამე და-  
უწერო, რომ გულზე კარაქივით მოეცხოს, თორე წუნების ხილვა  
და გაქეკვა რა მწერლის საქმეა? მაგას ხომ ყველა მოახერხებს“ და  
სხვა ამისთანები. ეს ყველაფერი სმენია ალექსანდრე ხახანაშვილს,  
როგორც კი გორში ჩამოსულა, და ბევრი უცინია. როცა ჩვენსა მო-  
ვიდა „ვიზიტად“, ცალკე გამიხმო და მთხოვა მეჩვენებინა ჩემი ნა-  
წერები. მეც ბევრი თხოვნა არ დამკირდა და გავატანე მთელი  
ხროვა ჩემი ნაწერებისა, მათ შორის ზემოდ ნახსენები თარგმანიც  
ნადსონის ლექსიდან. ორი-სამი დღის უკან კიდევ შემოიარა ჩვენსა,  
მომიტანა ჩემი ხელნაწერები და მითხრა: „ბევრი ვიცინე თქვენ სცე-  
ნებზე, ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ფურცლებია. ნამდვილი სატი-  
რულ-იუმორისტული ნიჭი გაქვთ, ლექსების თარგმნა-წერაზე კი

\*) ეს ამბავი შემდეგ მე გამომაღვა ერთ მოკმ. კომედია „ვაი კალმისა-  
ვან“-ისთვის.

ხელი აიღეთ, არ გებერხებათ, ღირსია თქვენი დანიშნულება არისო“.

ალექსანდრეს მეტად ძუნწი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი, რის შესახებ არა ერთი ანეკდოტი გამოიგონია, მაგრამ მის გარდაცვალების შემდეგ ანდერძიდან გამოირკვა, რომ ეს „სიძუნწე“ მაღალ მიზეზით იყო გამოწვეული. მთელი შეძლება თავის სამშობლო გორსა და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დაუტოვა.

## 5. ნიკო ლომოური

ნიკო ლომოური ჩემი მასწავლებელი იყო. როცა მე გორის ქალების პროკინმზიაში ვებარე, ქართულ ენას გვასწავლიდა. თვით ნიკოც და მისი გაკვეთილებიც ძალიან გვიყვარდა მოწაფეებს. მის მიერ გადმოცემული ზღაპარ-შაირები და ლექსები გოგებაშვილის „დედა-ენიდან“ და „ბუნების კარიდან“ ეხლაც ზეპირად მახსოვს და, რამდენიც ჩემი პატარა სამშობლო—გორი გამახსენდება, თვალებზე ცრემლი მომადგება ხოლმე და ვდუღუნებ: „მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ გამამგზავრეს“ და „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზო.“

ნიკო ლომოური იყო დინჯი, წყნარი, ტკბილი კაცი. მან ადვილად იცოდა ისეთი შეუპოვარი ბავშვის გულის მონადირებაც კი, როგორც მე ვიყავ პატარაობისას. არც სხვა ზოგიერთი მასწავლებელივით იცოდა მოფერება დიდი ოჯახის შვილებთან. ერთხელ ნიკომ, მოთმინებიდან გამოსულმა, უთხრა განთქმული გვარის ქალს: „შენ ერისთავი კი არა, ქათმის თავი უნდა გერქვას, რომ ასჯერ ახსნილს ვერ იხსომებო!“ კლასში რომ სიცილი ატყდა და ბავშვმა ტირილი დაიწყო, იგი ძალიან შეწუხდა: მივიდა, მიუაღერსა, დააჩუმა და ჩვენ კი გაგვიჯავრდა:—„რას იცინით! ეგ არის თქვენი ამხანაგობაო?“ ჩვენ ძალიან შეგვრცხვა.

თავი ყოველთვის დამოუკიდებლად ეჭირა: იმ დროს, როცა ზოგიერთი მასწავლებელი უფროსების გულის მოსაგებად ლაქიობდა და კალოშ-პალტოების მიერთმევასაც არ თაკილობდა დირექტორ-ინსპექტორისთვის, ნიკო ლომოურს თავი ამაყად ეჭირა და ბევრჯელ ოპოზიციაშიაც ედგა იმ გარუსების სისტემას, რომელიც მაშინ მეფობდა სკოლებში.

როცა წერა დავიწყე, მან ყველაფრით ხელი შემიწყო, რომ ამ გზისთვის გვერდი არ ამექცია. სანამ გორში ვცხოვრობდი, გავათავებდი



თუ არა ჩემ ნაწერს, უწინ ნიკო ლომოურთან გაეაქანებდი, წაეუკითხავდი და, თუ რომელიმე ალაგი არ მოეწონებოდა, აეწონ-დაეწონიდა და ბოლოს მინც გადავაკეთებდი, რადგან ნიკო ლომოურის გამოცდილება და ავტორიტეტი ღრმად მწამდა. თვითონაც არა ერთხელ წაუკითხავს ჩემ წინ თავისი ახლად დაწყებული ნაწარმოების ნაწყვეტები, რომელნიც პატარა უბის წიგნაკში სუფთად ჰქონდა ჩაწერილი.

გორში ის ცხოვრობდა თავის მეუღლის, სოფიო ალექსის ასულის (ხუდადოვის ქალის) სახლში. პირველ ოთახში, რომელიც კარგა სინათლიანი იყო, შევიყრებოდით თვითონ ნიკო, მისი ოჯახობა და მე აგუზგუზებულ ბუხართან, სადაც ნალევრდლიან ნაცარში თითქმის მუდამ კობტა პატარა კოჭობში ყნოსვის დამბნედ სურნელებით შეზავებული ლობიო ჩუხჩუხებდა, და ვისმენდით ნიკოს მიერ დაწყებულ რომელიმე ახალ მოთხრობას სოფლის ცხოვრებიდან. როცა დაამთავრებდა და დაბეჭდავდა ახალ თხზულებას, ნიკო უთუოდ მეც მაჩუქებდა ხოლმე ერთ ეგზემპლიარს თავის წარწერით, რაც ძალიან მახარებდა. ბევრჯელ ამ კითხვებს ესწრებოდა რომელიმე გორში მცხოვრები, ან თბილისიდან შემთხვევით ჩამოსული ქართველი მოღვაწე, მწერალი, რომელნიც ღრმად პატივსა სცემდნენ და უყვარდათ ნიკო. ესენი თავის დღეში ისე არ გაივლიდნენ გორზე, რომ არ ენახათ ნიკო და არ მოესმინათ მისი ტკბილი ბაასი.

რამდენადაც ნიკო წყნარი და ალერსიანი კაცი იყო, იმდენად მისი მეუღლე, სოფიო ალექსის ასული, ვაგაკურო ქალი იყო და მკვახე-მკვახეებს ისროდა, რის გამოც ბევრთან უხდებოდა შეტაკება. სონა, როგორც გორში უძახდნენ, აქაურ „სცენის მოყვარეთა წრეში“ ერია და მშვენიერად თამაშობდა დამახასიათებელ როლებს ქართულ პიესებში. არც ქკუა აკლდა, არც ვანვითარება, მაგრამ თავისებური ხასიათის პატრონი იყო და ჭინჭარივით ედებოდა მოსაუბრეს. ის ამას „პირში მთქმელობას“ ეძახდა, მაგრამ კმარი ხშირათ შენიშნავდა:—„ეგ პირში მთქმელობა კი არა, უზრდელობააო“.

ჩემმა პიესამ, სამ მოქმედებიანმა კომედია—„ფული და ხარისხი“—დიდი ალიაქოთი და აღშფოთება გამოიწვია ქართველ თავადაზნაურობაში, თუმცა აქვე, ამ პიესაში არა ნაკლებ იყვნენ გამასხარავებულნი სომეხი ჩარჩი-ვაკრები.

ერთხელ გორის მარტელმა თავად მიხეილ (მეტ სახელად „სიფთა“) ერისთავმა საშინელი ლანძღვა მომწერა ლექსით, რომელმაც მახსოვს, ასე იწყებოდა:

„ერთი ბრძანე, ქალბატონო,  
რას უწუნებ თავადებსა“... და

თავდებოდა მკლავაძისებური მუქარით. მე მაშინ გამოუცდელი ვიყავ და იმის მაგივრად, რომ მე თვითონვე მეპასუხნა შესაფერი ლექსით, გავექანე ნიკო ლომოურთან და, როგორც საყვარელ მამას, თვალცრემლიანმა შევჩვილე ჩემი შეურაცყოფა, თანაც ვუჩვენე მიხეილ („სიფთა“) ერისთავის ლექსი. ნიკო საშინლად აღშფოთდა და დამამშვიდა, გამომართვა ეს ლექსი და თვითონვე უპასუხა ჩემ მოლანძღვეს ლექსითვე...

## 6. იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ჩემი ბავშვობის „სახარება“ იყო, რომელსაც დაძინების დროსაც კი არ ვეყრებოდი და ბალიშქვეშ ამოვიდებდი ხოლმე. გავიღვიძებდი თუ არა, არე-მარეს ვაყრუებდი აქედან ამონაკითხი ლექსების დეკლამაციით, რაზედაც არა ერთხელ მსმენია შინაურებისგან შეყვირება: „თოქში, თოქში! ყურები ნუ წაგვართვი!“ ერთხელ „დედა-ენის“ გამო მწარედაც კი ვიტირე: მივიდეს ეს სახელმძღვანელო მშობლებმა უყდოდ და გადასცეს ვიღაცა მკაზმელს ყდის გასაკეთებლად... მე სული-სულზე მოველოდი, რომ ჩქარა ჩამბარებოდა ეს საყვარელი წიგნი მზად, დაკაზმული. მახსოვს, სალამოს შვიდი რვა-საათი იქნებოდა: მშობლები აქეთ-იქით წავიდნენ დროს გასატარებლად, ჩვენ კი, ბავშვები დაგვტოვეს მოხუც გამდელის ამარა. ვისხედით აგრიალეზულ ბუხართან, ნაცარში შემწვარ წაბლს გიახლებოდით და რიგრიგობით ზღაპრებს ვამბობდით. უცბად კარები ვიღამაც დააკაუნა. წამოვხტით, გავაღეთ კარი და დავინახეთ მკაზმეული ილიაში ამოჩრილ „დედა-ენით“, რომელიც ახლა წითელ კაბა ჩაცმული უფრო სანატკროდ გამოიყურებოდა, ფიცხლავ ვეცი მკაზმელს, წიგნი გამოვგლიჯე, გადავშალ-გადმოვშალე და გულში ჩავიხუტე. მკაზმელი კი ჩამჩიჩინებს: „ფული მომე, ფული! ექვსი შაური“. ჩვენი გამდელი ტასია უპასუხებს: „«ხაზინები» შინ არ არიან, ხვალ მოდი და წაიღე!“ მკაზმელი არ დასთანხმდა, ლამობდა წიგნი წაერთმია ჩემთვის



და, მე რომ წიოკობა ავტებე, ასეთი ხრიკი მომიდო: „მამ კარგად ხვალ მოვალ, მხოლოდ მანდ ერთი ქალაღი ჩამრჩა, მომეცი ამოვიღებ და წავალ“. მეც გულუბრყვილოდ ვენდე და გადავეცი წიგნი, რომელიც მან ისევე ილღიაში ამოიდო და ბუტბუტით—„შენ რომ ამალამ წიგნი გააქუქყიანო, ან დახიო, რა პასუხი გავეცე შენ მშობლებსა“-ო, გავარდა გარეთ. მე კი იქვე ლოგინზე დავეცი ღრიალით. ძლივს დამაჩუქეს. მთელი ღამე დაკაზმული წიგნი მესიზმრებოდა.

იაკობი გავიცან 1893 წელს, ჩემი პირველი პიესის წარმოდგენის ღამეს.

ახოვანი ტანისა, განიერ მხარ-ბეჭიანი, გამოწყობილი უმწიკველო სუფთა თალხ ტანისამოსში, მსხვილი ცხვირ-პირის მოყვანილობა, ამაყი და მეტად სერიოზული სახე... პირდაპირ გყინავდათ და მოგაგონებდათ დიკენსის ზოგიერთა ცივ-გულა ტიპებს. უნდა გამოგეტყდებოდა და გულახდილად მოგახსენოთ, რომ მასთან ჩემი პირველი შეხვედრის დროს ის რაღაც გაკრახმაღებულ პედანტად მეჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ არც მან მიმიღო უკადრისად და, პირიქით, დადებითად მოიხსენია ჩემი პირველი ნაწარმოები. მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ ეს ცივ-ამაყი გარეგნობა სრულებითაც არ შეეისაზამებოდა იაკობის გულკეთილობასა და უხვ ქველ-მოქმედებას. რამდენ სტუდენტს, მწერალს და ათასნაირ გაკირვებულ ხალხს შველოდა იგი!

მისი გულკეთილობით ხშირად სარგებლობდა მეტადრე აკაკი წერეთელი, რომელიც იაკობს ძალიან უყვარდა.—ოხუნჯობდნენ ძველი მწერალ-მოდვაწენი,—„საბრალო იაკობს, კრილოვის ზღაპრის ყვავივით, საცაა მსუქანი ყველი გაუყარდება პირიდანო“.

იაკობს ხშირად ვხვდებოდი შემდეგშიაც, როცა ის პალტოზე პლეღ წამოსხმული და კალოშ-ქოლგით გამოწყობილი დინჯად მიაბიჯებდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კანტორაში, რომელიც იმყოფებოდა ქართული თეატრის ეზოში, სადაც მე ბიბლიოთეკის გამგედ ვიყავ.

თავისებური ადამიანი იყო, საღამიც კი სხვანაირად იცოდა: ორ თითს მიიდებდა შუბლთან და თავს დაგიქნევდა, ქულს კი არას დროს არ მოგიხდიდა.



თვეში ორ-სამჯერ იაკობს ვხედავდი ტასო წერეთელთანაც. მელთანაც მე რამდენიმე წელიწადი ვბინადრობდი. ანასტას ხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა ხშირად მართავდა კრებებს თავის საბავშვო ქურნალ „ჯეჯილი“-ს ირგვლივ და ამ კრებებზე იწვევდა თვალსაჩინო მწერალ-პედაგოგებს. რაღა თქმა უნდა, რომ აქ ქართველ პიროგოვს—იაკობ გოგებაშვილს უპირველესი ალავი ეპირა და მის აზრს ყველა დამსწრენი დიდი მოწიწებით და პატივისცემით ისმენდნენ.

იაკობი არ იყო წარამარა უხვი მოლაპარაკე. ძუნწი მდიდარით ის აგრე ადვილად არ იმეტებდა თავის ოქრო-სიტყვებს. ყველას გულმოდგინეთ უსმენდა და მხოლოდ შემდეგ წამოდგებოდა და მოკლედ და დასაბუთებულად სჭრიდა საკითხს, მაგრამ რა წამება იყო იმ კრებაზე დასწრება, საცა იაკობი იმყოფებოდა: შემოვიდოდა თუ არა ოთახში, მიიხედ-მოიხედავდა და, რაც უნდა კაი დარი ყოფილიყო გარედ, ყველა კარებ-ფანჯრებს დაახურვინებდა დიასახლისს, რომ ქვენა-ზენა ქარს არსაიდან არ დაეკრა მისთვის. ყველას ხეიბი გადმოგვდიოდა ხალხით გატენილ ოთახში, მაგრამ იაკობის ხათრითა და პატივისცემით ხმას ვინ ამოიღებდა?

## 7. ანასტასია მიხეილის-ასული თუმანიშვილი-წერეთლისა და მისი მემოზაბა-მახლობლები

გადავწყვიტე რა თბილისში ცხოვრება ზამთრობით, გორიდან მიემართე წერილით ჩემ ნაცნობ-მეგობრებს ერთი პატარა ოთახი საკმელ-სასმელით მოეძებნათ ჩემთვის თბილისში. ჯერ დავბინავდი ვილაც რუსის ოჯახში მიხეილის (ეხლა პლუხანოვის) ქუჩაზე. მაგრამ ამ ოჯახს ისეთი ქულფათი და ანცი შეილები ჰყავდა, რომ მათ ღრიანცელში არა თუ წერა, წიგნის კითხვაც არ შეიძლებოდა. დაბინავების ორი-სამი დღის უკან გამოვვარდი და მიუხედავად იმისა, რომ დიასახლისისთვის წინდაწინვე მქონდა ფული გადახდილი, ახალ ბინას ვეძებდი. ამ ძებნაში ერთხელ გზაში შემხვდა ეანო გომართელი—მაშინ სულ ახალგაზრდა ჯერ უპრაქტიკო ექიმი, რომელიც უფრო ქურნალისტობას ეტანებოდა, ვიდრე მედიცინას. თუმცა კარგად არ ვიცნობდი, (გამაცნეს ერთხელ ქართულ თეატრში) მაინც ერთმანეთის მისალმების შემდეგ შევჩივლე ჩემი დარდი-ვაება და ვთხოვე: თუ სადმე ნაცნობ-მეგობრებში ეგულებოდა წყნარი, უბავშვო ბინა,





შემატყობინე-ნეთქი. მან უბის წიგნაკში ჩაიწერა ჩემი მისამართი და დამპირდა, რომ უთუოდ ვეცდები ავისრულო თხოვნაო.

მე დიდ იმედებს არ ვაძყარებდი, მაგრამ არ გასულა ორი-სამი დღე, რომ ერთ წვიმიან შემოდგომის დილას, ესე 10 11 საათზე, დიასახლისმა შემოაღო კარები ჩემ ოთახში და მითხრა: „Какой-то молодой человек вас спрашивает“. წამოვხტი, გამოველ აივანზე და, რა დაეინახე! მუდამ მოღიძარი ვანო გომართელი. სიხარულით კინალამ მუხლებზე მოვეხვიე. მან მითხრა: „თუ დღეს წვიმას მოერიდებით, ხვალ მობრძანდით არტილერიის (ეხლა „კვალი“-ს) ქუჩაზე, № 5, და იკითხეთ ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლის ბინა, მეც იქა ვდგევარო“. ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ასეთ კულტურულ ოჯახში ვმოულობდი ბინას.

არ დავერიდე არც წვიმას, არც ქარ-ბუქს და, წავიდა თუ არა ვანო, მიხაილოვის ქუჩიდან არტილერიის ქუჩაზე გავექანე. აქ დამხვდა ჰალარა თმიანი, წითური ლოყებიანი, დარბაისელი და ალერსიანი ანასტასია მიხეილის-ასული. ის იყო ახლად დაქვრივებული. დაეკვირე ერთი პატარა ოთახი (რომელსაც შემდეგ ჩემი ნაცნობ-მეგობრები „შკაბიჯი“ ეძახდნენ) საკმელ-სახმელით და მეორე დღესვე გადმოვბარგდი. ესლაც სიამოვნებითა და ნეტარებით ვიკონებ იქ გატარებულ სამ-ოთხ წელიწადს.

478

ტასოსთან მაშინ ცხოვრობდნენ მისი ნიჭიერი გერები—გიორგი წერეთლის შვილები,—რომელთაც ის ნამდვილ დედასავით უვლიდა. ელიკო (ერთად ერთი ქალიშვილი გიორგი წერეთლისა) ძალიან ნხიარული, ნიჭიერი და განვითარებული ქალი იყო. ზღვა იუმორის პატრონი, თანაც საშინელი ეშმაკი, ხან აქედან მიჩინებებდა, ხან იქიდან და წამდაუწუმ ლექსით მიწვევდა დუელში, მეც არ ვუვარდებოდი და ლექსითვე ვპასუხობდი... მის გვერდზე ცხოვრება იყო ლხინი, სიამოვნება და მუდამ სიცილ-ხარხარი. მე და ის ძალიან დავმეგობრდით, თუმცა ხშირადაც ვჩხუბობდით და მერე ტასო შეგვარიგებდა ხოლმე. როცა ის პარიზში წავიდა სორბონის უნივერსიტეტში შესასვლელად, ტასოს სახლი პირდაპირ დაობლდა. ეს ნიჭიერი და ძალიან მარილიანი ქალი პარიზშივე გათხოვდა გამოჩენილ ფრანგ გეოლოგზე, გვარად დემოლონზე.

აქვე ჰქონდა ბინა და საკმელ-სახმელი ვანო გომართელსაც. ვანო მაშინ აქტიური თანამშრომელი იყო ქუჩნალ „კვალი“-სა, სადაც შემდეგ მეც მიშოვა ალაგი კორექტორისა, მაგრამ მე ისეთი უვარ-



გისი კორექტორი გამოვლექი, რომ თვითონვე დავანებე თავი ამ ხელობას.

ტასოს მარჯვენა ხელი და განუყრელი, ერთგული მეგობარი იყო სოფიო ციციშვილი — უქმარ-შვილო, გადამბერებული გასათხოვარი ქალი, რომელსაც აქვე, ტასოს ბინაზე, უფასოდ ჰქონდა ერთი პატარა ოთახი ქამა-სმით. სოფიო ციციშვილი შველოდა ტასოს შინაურ საქმეებშიაც და ტექნიკურად „ჯეჯილი“-ს გაშოშვებაშიაც. ამ ჟურნალში ათავსებდა თვის მიერ ნათარგმნ პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობებსაც. მეტად მხნე და ენერგიული ქალი იყო: იღებდა მონაწილეობას საქველმოქმედოდ დადგმულ ქართულ წარმოდგენებშიაც, ასრულებდა მოლარის მოვალეობას გაზ. „ივერია“-ში და სხვა... ტასოს „ჯეჯილში“ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მისი უახლოესი მეგობრები: ნიჭიერი და მხცოვანი ბელეტრისტი კატო გაბაშვილისა და კეკე მესხი, სერგეი მესხის ქვრივი. პირველი ათავსებდა ამ ჟურნალში ორიგინალურ ზღაპარ-მოთხრობებს, მეორე კი — თარგმანებს. ამათ თითქმის ყოველ დღე ვხედავდი ტასოს სახლში. გამაცნეს თუ არა კატო გაბაშვილისა, მან მიჩჩია ხალხოსნური მწერლები მეკითხა, მე კი მაშინ, ჩემი უფროსი ძმის პეტრესა და მისი ამხანაგების გავლენით, უფრო მარქსისტულად ვიყავ განწყობილი.

ეს მანდილოსანნი: ტასო, კატო, კეკე მესხი და მათი მიმდევარი სოფიო ციციშვილი ძალიან გატაცებულნი იყვნენ ქალთა საკითხითაც. მე კი სულ სხვანაირად მესმოდა ამ მიზნების მიღწევა, ამიტომ ჩვენ შორის ხშირად ცხარე კამათი ხდებოდა. ბევრჯელ ვანო გომართელიც წამომეშველებოდა ხოლმე ამ შეტაკებაში. კამათი დინჯად, წყნარად და მზიარული ღიმილით იცოდა, გარეგნობით 17-18 წლის ჰაბუკს ჰგავდა. ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობდა მისი პატარა ტანი, რაზედაც ერთხელ ილია ჭავჭავაძემ ისე მოსწრებულად იოხუნჯა თავის პოლემიკურ სტატიაში\*), რომ ვანოს მომხრეებიც კი ხარხარებდნენ. ილიამ მას უწოდა — „დიდი ჭკუის პატარა კოლოფი“. ხარხარებდა ვანოც, როცა ელიკო წერეთელი, საშინელი მზიარული და დამცინავი ქალი, შინაურულად სხვა სახელს აღარ უწოდებდა.

\*) „ივ. გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“. რედ.

— „დიდი ჭკუის პატარა კოლოფო, თქვენ თუ აგვიხსნიან რამე შარადას, თორე, აბა, ჩვენი თხელი ჭკუა რას გასჭრის?“ — არ უსვენებდა ის ყოვლის მომთმინე და უწყინარ ვანოს.

ხშირი სტუმარი იყო ტასოსი დიდებული პოეტი აკაკი. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თუ ის მთელი დღე დარჩებოდა ხოლმე ჩვენთან.

საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს რედაქცია იქვე, თავის სახლში, ჰქონდა ტასოს. ამ ჟურნალის ირგვლივ ტასო თვეში ორჯერ-სამჯერ მართავდა კრებებს, რომელზედაც იწვევდა ქართველ თვალსაჩინო პედაგოგებს და მწერლებს: გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს, არჩილ ჯორჯაძეს, შიო მღვიმელს და სხვებს...

ტასო ცოტა ხელმოკერილი ქალი იყო, მაგრამ აკაკის თანამშრომლობას „ჯეჯილში“ ისე მალა აფასებდა, რომ სტრიქონ ლექსში ათ შაურს აძლევდა მას (ეს მაშინ დიდ ჰონორარად ითვლებოდა). ჟურნალის გამოშვების წინა დღეებში, საღამო-საღამოობით, ყველანი ტასოსთან მცხოვრებნი და თვით ტასო შევიყრებოდით ხოლმე სასადილო ოთახში და უშველებელ მაგიდაზე ბანდეროლ-მისამართებს ვაკრავდით გამზადებულ ჟურნალის ეგზემპლარებს, თან ვბაასობდით, ვოხუნჯობდით ღამის ორ საათამდე. სიცილ-ხარხარს, შაირებს, სხვისა და ჩვენ ნათქვამ მოსწრებულ დამცინავ სიტყვებს საზღვარი არა ჰქონდა. უფრო ხშირად ციტატებს ვუკეთებდით ხმალივით მჭრელ ილიას და აკაკის ნათქვამებს. ბევრჯერ ამ ღამისთეობას კეკე მესხიც ესწრებოდა და ტასოსთან რჩებოდა დასაძინებლად.

ტასოსთან თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა იაკობ სოლომონის-ძე დულაძე—გამოჩენილი პედაგოგი ვაჟების ერთ-ერთ გიმნაზიაში. მას იზიდავდა ელიკო წერეთელი, მაგრამ მან როგორღაც ვერ მიიზიდა ელიკოს გული. ამ კაცს ცხოვრებაში დაატყდა დიდი უბედურება ერთხელ, როცა ღამე შინ ბრუნდებოდა, სადღაც ორმოში ჩავარდა და დაიღუპა.

ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ტასოს ნიკო ნიკოლაძის ოჯახობაც, თვითონ ნიკო კი არც ერთხელ არ მინახავს ტასოს სახლში. ან სად ეცალა? მის შინაურებისგან გამიგონია, რომ ცოლ-შვილთანაც თბილისში ჩამოდის ორი-სამი დღით, ისიც გავლით, როცა რუსეთში მიემგზავრებაო. ნიკო ნიკოლაძე—მაშინ ქალაქ ფოთის თავი, მუდამ მოძრაობაში იყო, ერთ ალაგზე ჯდომა არ უყვარდა. ამაზე გი-

გო რცხილადემ ერთხელ თავის სახუმარო ფელეტონში—(ვგონებ „ცნობის ფურცელში“) — „ზანგი ხიზო“-ს ხელმოწერით, კიდევ გადაპკრა ასე: „როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქალაქ ფოთის თავი, ნიკო ნიკოლაძე ამ დღეებში ჩინეთში მიემგზავრება ქალთა საკითხის შესასწავლად“-ო.

ნიკო ნიკოლაძეს ძალიან უყვარდა თავისი ობოლი დისწულები (გიორგი წერეთლის შვილები) და, ჩამოვიდოდა თუ არა თბილისში, თავისთან იბარებდა მათ და უხვად ასაჩუქრებდა. მისი მეუღლე ოლღა (გურამიშვილის ქალი) იშვიათი სასიამოვნო, განათლებული და განვითარებული ადამიანი იყო, შვილებიც ძალიან ნიჭიერი და კარგა დაზრდილი ჰყავდა.

ტასო ისე ნიჭიერი არ იყო, როგორც დაუსვენებელი, ერთგული მომუშავე დასახელი მიზნისა. რომელ საზოგადო საქმეში, რომელ საქველმოქმედო დაწესებულებაში არ იღებდა ის მონაწილეობას? თუმცა „ხელმოკერილი“-ს სახელი ჰქონდა დავარდნილი, მაგრამ ის მუდამ ვილაკას მფარველობდა, ვილაკას აწყობდა სამსახურში, ან სკოლაში... ბევრს თავის სახლშიაც აბინავებდა უფასოდ და თავის შეძლებისდაგვარად ბევრს ფულითაც შევლოდა. ამიტომაც სიკვდილის შემდეგ მას კაპეიკიც კი არ აღმოაჩნდა. სიბერის დროს მას საბჭოთა მთავრობა ინახავდა.

## შიო ჩიტაძე

შიო ჩიტაძე ჩემი უფროსი ძმა პეტრეს განუყრელი მეგობარი იყო. ორივენი ვარდა იმისა, რომ გორელები იყვნენ, ერთ გიმნაზიაში სწავლობდნენ, შემდეგ კი შიო ჩიტაძემ აირჩია კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, ხოლო ჩემი ძმა შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო განხრით, მაგრამ ორივენი ზაფხულობით რომ თავის სამშობლო გორში ბრუნდებოდნენ, სულ მუდამ ერთად იყვნენ, თუმცა ერთმანეთის მიმართულებას კი არ იზიარებდნენ. მიუხედავად ამისა, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და დღე არ გავიდოდა, რომ ან შიო არ მოსულყო ჩვენსა, ან ჩემი ძმა არ წასულყო იმათსა. საღამ-საღამოობით ხომ სულ ერთად იყვნენ „როტონდაში“ (გორის ერთად-ერთი სასეირნო ბაღი) და არე-მარეს აყრუებდნენ თავიანთი კამათით. ამხანაგებმა „ორი აიაქსი“ დაარქვეს ამათ.

და განა მარტო ჩემ ძმას უყვარდა შიო ჩიტაძე, ეს კეთილდღეობა და რაინდული ხასიათის ადამიანი? ყველა ამხანაგებში მან ყოვლად სამართლიანად დაიმსახურა ღრმა სიყვარული და ავტორიტეტი.

კარგად ვიცნობდი მის მშობლებსაც, ძალიან გაჭირვებით ცხოვრობდნენ: მისი მამა, ალექსი ჩიტაძე, ღამ-ღამობით გორელი ვაჭრების მალაზიებსა ჰყარაულობდა ექვს შაურად. ყინვა-თოვლიან ზამთარშიც კი ტროტუარზე დამდგარ ფიცრულ პატარა „ბუღკა“-ში იწვეა, დაგლეჯილ საბან ან ნაბად წახურული. თუ საიდანმე გვიან ამოვივლიდით და ამ სახარელ სურათს წაეაწყდებოდით, იმწამსვე კეთილმილიანი შიო ჩიტაძე თავის გახუნებული ქუდითა და „ბლუზით“ წარმოგვიდგებოდა თვალ-წინ და გული გვეთუთქებოდა! მაგრამ რას გავაწყობდით? კიდევ რომ შეგვძლებოდა ამ გაჭირვების შემსუბუქება, შიო ჩიტაძე ისეთი თავმოყვარე, ისეთი „გლახა-ამპარტავანი“ იყო, რომ ვერსაიდან მიუდგებოდით საშველად. ეგ კი არა, კალთები რომ დაგეგლიჯათ მისთვის, არსად სადილად არ დარჩებოდა, თუმცა ამ დროს იქნება პურის ფულიც არა ჰქონოდა სახლში. ამაზე ჩემი მშობლები და სხვებიც ძალიან ემდღუროდნენ მას.

შიო იყო გამოზრდილი თავის უფროსი ძმა—გოლასი, რომელმაც ჯერ თვითონ თავის ენერგია-გამჭრიახობით გაიკვლია გზა გიმნაზია-უნივერსიტეტისაკენ, შემდეგ თავისი უმცროსი ძმა შიოც გამოიყვანა ამ გზაზე... და წელში მოსწყდა! გადაჭარბებულმა გონებრივმა ჯაფამ (თვითონაც სწავლობდა და, ძმის გარდა, ლუკმა პურისთვის სხვებსაც აძლევდა გაკვეთილებს) ისე დაუაჯადდა ნერვები, რომ ჰკუიდან შეიშალა და საგიყეთში დალია თავის უკანასკნელი დღეები. მას მე არ ვიცნობდი (პატარა ვიყავ), მაგრამ ყველასაგან გამიგონია, რომ გოლა ჩიტაძე იშვიათი ხასიათისა და ნიჭის პატრონი იყო.

შიო არ შეუშინდა ძმის ხვედრს და მისებრ განაგრძობდა ბრძოლას ცალკე სწავლა-განათლებისათვის, ცალკე ლუკმა-პურის მოსაკოვებლად არა თუ მარტო თავისთვის, არამედ მშობლებისთვისაც. ამავე დროს ის როგორღაც ახერხებდა, რომ გარდა თავის საგნებისა, სხვა და სხვა დარგიც შეესწავლა და ყოვლის მხრით განვითარებულიყო, ღამ-ღამობითაც კი არ ისვენებდა და სულ წიგნის კითხვაში ატარებდა დროს. მეტადრე ძლიერ უყვარდა მას ხელოვნება, თეატრი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა გორელი სტუდენტების მიერ საქ-

ველმოკმედო მიზნით დადგმულ რუსულ-ქართულ წარმოდგენებში ეხლაც თვალწინ მიდგას მისი ახოვანი, მაგრამ გამხდარი და ოდნავ წაქუშული ტანი შილერის „ყაჩაღების“ ერთ-ერთ როლში, რომელსაც ის ასრულებდა დიდი აღფრთოვანებით.

როცა გაიგო, რომ მე კალმით ცოდვა დავიწყე, მოვიდა, გამომიკითხა, გამომართვა ჩემი ნაჯღაბნები, რომელთა გადათვალეირების შემდეგ წამაქეზა ამ გზაზე და მითხრა: „ამ დღეებში მეც მოგიტან რამდენიმე ნაწარმოებს უკრაინელ (მაშინ კიევში სწავლობდა) პოეტესასიო“. მართლაც, რამდენიმე დღის უკან მოიტანა პატარა რვეული და თვითონვე წამიკითხა ხუთიოდე ლექსი რუსულ და არა უკრაინულ ენაზე, თან დაუმატა—„ეს ჩემი ამხანაგი ქალიაო“.

ამ ლექსებში ყველაზე ძლიერ მომეწონა ერთი, რომელიც, ვგონებ, თვითონ შიოსთვის იყო მიძღვნილი: ეს ლექსი იქვე გადავიწერე და მუდამ ვაჯავრებდი: შიო, ამ ლექსის ავტორი შეყვარებულია შენში და შენი სურათი დაუხატავს მეთქი. შიო წითლდებოდა (მეტად მორცხვი იყო), უარჰყოფდა, თან სიცილით კვდებოდა...

კიევშივე მართლაც შეირთო უკრაინელი ქალი, რომელიც შემდეგ გამაცნო, როცა თბილისში გადმოსახლდა. აქ შიო დანიშნეს ქართულ გიმნაზიის (ყოფილ სათავადაზნაურო სკოლის) დირექტორად თუ ინსპექტორად (კარგად აღარ მახსოვს). ამავე დროს შიო თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“, სადაც თავის სტატიებს „ყეავს“-ს აწერდა. შავგვრემანი, შავ წვერ-ულვაშა იყო და, ალბათ, ეს ფსევდონომი იმიტომ ამოირჩია. მაგრამ ვაი, რომ მართლაც ყვა-ვი დასჩხავოდა მის და მთელ მის ოჯახობის ბედს. ჯერ იყო და მფარველი ძმა გაუგოდა, შემდეგ მუდამ ნახევრად მშვიერმა, როგორც იქნა, სწავლა დაამთავრა და თავის საყვარელ სამშობლოში კაი ალაგი მიიღო, შეირთო კარგი უკრაინელი ქალი და ორი ანგელოზივით ვაჟი გაუჩნდა... მე თვითონ მინახავს მისი მეუღლეც და შვილებიც... საცოდავი შიო თავის ბედს თვითონვე დანატროდა. გესიამოვნებოდათ გენახათ, რა სიყვარულით შესცქეროდნენ ცოლქმარნი ერთმანეთს, როგორ ულოლიავენდნენ მარგალიტივით ლამაზ შვილებს, მაგრამ ვერაგმა ხელმა უცბად მუჯღუგუნე ჰკრა და იმედები დაუმსხვრია. რა ამბავი, რა განგაში დადგა, როცა ხმა გავარდა: „შიო ჩიტაძე მოჰკლეს ყაზახებმაო“. ქვაც კი იწოდა ამ ოჯახის საცოდავობით.

რამდენადაც მახსოვს, ეს ნამდვილი ვერაგული მკვლელობა ასე



მოხდა: 1905 წ. ზაფხულში შიო ჩიტაძეს ოჯახობა ერთ-ერთ აგბრაკზე (თბილისთან ახლო) ჰყავდა, მკვლელობის დღეს შიო აგბრაკიდან ჩამოსულა და, რადგან დაღლილ-დაქანცული ყოფილა, ლოგინზე მიწოლილა და დაუძინია. ერთ-ერთი პოლიტიკური ტერორისტი, რომელსაც არ სცოდნია შიოს ჩამოსვლა აგარაკიდან, აპარულა ამ შენობის (ქართულ გიმნაზიის) ზემოთა სართულში და იქიდან ბომბა უსვრია აქვე მომიჯნავედ მდებარე ყაზახების ყაზარმის ეზოში. გამხეცებულ ველური პლასტუნები გამოცვივნილან თოფებით ქუჩაში და თურმე ბრალიან და უბრალოს მუსრს ავლებდნენ. აცვივნილან ქართული გიმნაზიის შენობაშიაც, სადაც შიო იდგა. ბომბის მსროლელი გაპარულა, ვერ უპოვნიათ, სამაგიეროდ თურმე ჯავრი იყარეს მძინარე შიოზე და რამდენჯერმე დაახალეს თოფი, ააოხრეს მთელი ბინა, დალეწეს სარკეები, დახვრიტეს კედლებზე სურათები და სხვა,—რაც, საზოგადოდ, ჩვეულებად ჰქონდა მათ.

შიოს ცოლმა ქმრის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე აღარ ისურვა, თავი მოიწამლა. ობოლი ბავშვები კი აქეთ-იქით წაასხეს შიოს მეგობრებმა... მათი იღბალ-ბედისა აღარა ვიცი რა.

1941 წ.

**შენიშვნები:**

**ნატალია აზიანი**—(1873—1943) ცნობილი დრამატურგი, ჟურნალისტი.

**შიო ჩიტაძე**—(1872—1905) პუბლიცისტი და პედაგოგი, სწერდა „ყვავი“-ს ფსევდონიმით.

**გოლა ჩიტაძე**—რევოლუციონერი, მაქსიმ გორკის მეგობარი. მაქსიმ გორკი მას შესახებ ერთ მოკონებაში აღნიშნავს: გიგო ჩიტაძე იყო გლეხის შვილი, თბილისის მუშებსა და ახალგაზრდებს შორის მარქსიზმის ერთი პირველი პროპაგანდისტთაგანი. მუშებს შორის სარგებლობდა დიდი პოპულარობით. ჰქონდა ნაცნობობა „50-ის პროცესით“ მისჯილ რევოლუციონერ ნაროდნოვოლებთან. დაძაბული მუშაობის, მეცადინეობისა და სიმშვილის განო ჭკვიდან შეიშალაო.

მისი დაღუპვის ისტორიამ მაქსიმ გორკის მისცა საბაბი დაეწერნა წოთბრობა „შეცდომა“ (იხ. И. Груздев—„Горький и его время“, 1938, 484—487). რედ.

ივლიტა ფუჩვილაძე

## ანტონ შუჩვილაძე

(მოგონება მამაჩემზე)

მამაჩემი ანტონ ფურცელაძე დაბადებულია სოფელ მერეთში (გორის რაიონი), მაგრამ მას სოფელში ნხოლოდ ბავშვობის წლები გაუტარებია.

როგორც ვადმოცემით ვამიგია, პაპაჩემს, ნიკოლოზს, ჰყოლია ძმები: ესტატე და იობი, ხოლო, რაც შეეხება ფურცელაძეების გვარს,—ჩვენი გვარი ვადმოსულა იმერეთიდან და დასახლებულა სოფელ მერეთში. ხალხური ეტიმოლოგიით თვით მერეთსაც სახელწოდება ი-მერეთი-დან აქვსო მიღებული. პაპაჩემს ნიკოლოზს ცოლად მოუყვანია გედევანიშვილის ქალი ბარბარე, რომელთანაც შესძენია ოთხი ვაჟი: ალექსანდრე, მიხეილი (გენერალი), ანტონი, კოტე, და ორი ქალი: მარგო (გათხოვილი შინდისში მირზაშვილზე) და მაკინე (გათხოვნილი მცხეთაში, ბერიძეზე).

მამა თავიდანვე დაინტერესებული ყოფილა სწავლა-განათლებით, მაგრამ რადგანაც მან რუსეთში სანხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს ფეხი მოიტეხა, იძულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო... რუსეთიდან ჩამოსულს მას თბილისში დაუწყვია სანსახური და ამავე დროს ზედსიძედ შესულა სოფელ არბოში (მერეთის მეზობლად მდებარე სოფელია) ნიკო ლომოურის ბიძაშვილის ოჯახში. ძია ნიკოს მამა და დიდუდაჩემის მამა ძმები იყვნენ.

---

\*) 1946 წელს საქ. სახ. ლიტ. მეზღუდის მიერ მივნიღებულ ვიყ-ვ გორის რაიონში (სოფ. არბოსა და მერეთში) ანტონ ფურცელაძისა და ნიკო ლომოურის ბიოგრაფიული მასალების შესაგროვებლად. ამ მივლინების დროს ივლიტა ფურცელაძისაგან ჩავიწერე „მოგონება ანტონ ფურცელაძეზე“, რომელიც ანტონ ფურცელაძის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ საინტერესო მასალების შემცველია. ეს მოგონება იბეჭდება იმ მასალის მიხედვით, რომელიც ინახება საქ. სახ. ლიტ. მეზღუდის არქივში 7.127/4 ნომრით.

დავით შულღიაშვილი.





დიდდა ეკატერინეს და სოფიო და „დიდი კოტეს“ (მანს ბიძაშვილის) დედა კარგი მწიგნობრები ყოფილან, „ვეფხის - ტყაოსანი“ ზეპირად სცოდნიათ... მათ მამაჩემი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდა, ამბობდა: „ქართული მწერლობა მათ შემაყვარესო“.

მამა ზედსიძედ რომ შესულა,—პირველად პატარა ალიზის ოთახი დგომიათ, ხოლო შემდეგ მას აუშენებია ორსართულიანი შენობა, ექვსი ოთახისაგან შემდგარი. თვითონ შეუძენია მამულები და ბალიცა და ვენახიც თვით გაუშენებია თავის გემოვნებით. მამა მთელი ოჯახობით ზამთარში თბილისში ცხოვრობდა, ხოლო ზაფხულობით არბოში. იგი დიდი შრომის მოყვარე ადამიანი იყო, მაგრამ არ უყვარდა მუდმივად ერთ ადგილას ცხოვრება, თითქმის ორ-სამ წელიწადში ერთხელ ბინას იცვლიდა: პირველად უცხოვრია „საღდათის ბაზრის“ მახლობლათ, სადაც ამჟამად ფურცელაძის ქუჩაა, ხოლო შემდეგ გადასულა პანასევიჩის ქუჩაზე, ბოლოს ეს ქუჩაც შეიძულა და სანაპიროზე დავიწყეთ ცხოვრება, შემდეგ ავჭალის და სულ ბოლოს კი სასამართლოს ქუჩაზე ვცხოვრობდით.

1905 წელს თურმე ავჭალის ქუჩაზე მუშათა დემონსტრაცია მიდიოდა, ამ დროს მამა აივანზე ყოფილა გადმომდგარი, დემონსტრანტებს რომ დაუნახავთ იგი, ჩვენი აივნის წინ დიდი ოვაცია გაუმართავთ, მამასაც მუშებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებია (ეს ამბავი მე გადმომცა მუშა ბოლშევიკმა ვანო დურგლიშვილმა)...

მამაჩემი ანტონი დიდი პატივისმცემელი და მოყვარე იყო სოფლის გლეხკაცობისა... ყოველ ზაფხულობით მამაჩემი და ნიკო ლომოური არბოში ატარებდნენ დროსა. მათთან ხშირად მოდიოდნენ გლეხები და რჩევას ეკითხებოდნენ სხვადასხვა საქმეების გამო. მამა არა თუ დარიგებას აძლევდა, არამედ პირადადაც ეხმარებოდა, თვით სასამართლოებშიაც კი გამოდიოდა იმათ უფასო დამცველად და, როგორც არბოსა და მერეთის გლეხობას, ისე მის ახლო-მახლო სოფლების გლეხობასაც ეხმარებოდა.

მახსოვს ასეთი შემთხვევა: სოფ. მერეთის გლეხებს სახლის საშენად მდ. ლიახვის ნაპირებზე მოეგროებინათ წყლისაგან მოტანილი ქვა და ქვიშა. მათ დახვედროდნენ მამაჩემის ძმისწულები, რომელნიც მერეთში ცხოვრობდნენ, და გარე სახლიკაცები და გლეხებს გა-

დასახადსა სთხოვდნენ, რადგან ლიახვი მათი მამულების დასწვრივ ჩამოდიოდა და, მაშასადამე, წყლის მიერ მოტანილი ქვა და ქვიშა თითქოს მათ საკუთრებას წარმოადგენდა. ეს ამბავი რომ ანტონმა გაიგო, თავის ძმისწულებზე ძალიან გაჯავრდა... ისინი არბოში დაიბარა და სასტიკად გაჰკიცხა, შემდეგ კი თვით გადავიდა მერეთში, თავის ვარე - სახლიაკებიც ნახა და შეაჩვენა, შემდეგ კი ყველას ხელწერილი ჩამოართვა თავის ძმისწულებთან ერთად, რომ ასეთი რამ მეორედ აღარ გაებდათ. მამას ეთქვა: „ქვა და რიყე უფასოდ არის მოცემული ბუნების მიერ და იგი ყველას საკუთრებააო.“

ჩვენ სოფელ მერეთში გვექონდა მამული, რომელსაც მამა საღალოდ გლეხს იობას აძლევდა და ხშირად ღალას არც კი იღებდა მისგან. მამას იობა, როგორც კეთილი, გამრჯელი და მშრომელი ადამიანი, ძალიან უყვარდა. სიკვდილის წინ მან ანდერძი დამაწერინა და ამ ანდერძით თავისი მამულის ნაწილი საჩუქრად იობას მისცა, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ...

მახსოვს ასეთი ამბავიც: მამა კარგ განწყობილებაში იყო შეძლებულ მემამულე აზნაურ სულხანიშვილთან, რომელიც მამაჩემს მეგობრობდა და რომელმაც მამაჩემს, ნიშნად პატივისცემისა და მეგობრობისა, თავისი სურათიც კი უძღვნა; მაგრამ ერთ დღეს მამასთან მივიდნენ ტირძნელი გლეხები, გვარად ტეტუნაშვილები, და მამას შესჩივლეს: „აზნაური სულხანიშვილი გვედავება, მას უნდა ჩვენი მამულები მიითვისოსო.“ მამაჩემი ჩაერია ამ საქმეში და რამდენჯერმე სასამართლოებში ტეტუნაშვილების დამცველად გამოვიდა, რის გამოც იგი მეგობარ სულხანიშვილს შესძულდა. ამ საქმეს მამამ რაშდენიმე წელი მოანდომა: გადაჰქონდა საქმე ერთი სასამართლოდან მეორეში, ხშირად თავის საკუთარ ფულებსაც ახარჯებდა და ბოლოს მამული მაინც ტეტუნაშვილებს დაუნარჩუნა, თუმცა ამ საქმის მოგება ძვირად დაუჯდათ, როგორც ტეტუნაშვილებს; ისე მამაჩემს.

ამ დროს მამას ბევრი სიარული უხდებოდა. ერთხელ იგი გზაში გაცივდა, ქარებით ავადმყოფობა დასჩემდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე დედაჩემი: „ეგ ქარები ტეტუნაშვილების საქმემ შეგძღვნაო,“ ან კიდევ უსაყვედურებდა: „შენი ჯანმრთელობა და ოჯახი ტეტუნაშვილების საქმეს შესწირეო“ და სხვ...

ძია ნიკოს და მამაჩემს დიდად აინტერესებდათ სოფელ არბოში სკოლა დაეარსებინათ... მთავრობა მხოლოდ მაშინ გახსნიდა სკოლას, თუ მთელი სოფელი შეიტანდა თხოვნას სკოლის დაარსების შესახებ,

ამიტომ მამაჩემს და ძია ნიკოს დიდი ზრომა დასკორდათ, რომ გლეხები დაერწმუნებინათ სოფლის სკოლის სარგებლობაზე. გლეხები დიდ უარზე იდგნენ, რადგან მათ ემინოდათ, გადასახადები გვექნება სკოლის გამო. მამა და ძია ნიკო გლეხებს აკუზუნებდნენ, რომ ხარჯებს, რაც სკოლას სჭირდებოდა, ჩვენ გავიღებთო: მამაჩემი სკოლას ზამთრობით ერთ ოთახს უთმობდა უსასყიდლოდ, ხოლო ნიკო ლომოუთრი მერხებსა და სახელმძღვანელო წიგნებს ჰპირდებოდა. ასეთივე დახმარებას ჰპირდებოდნენ დურმიშხან ქურულის შვილები და გიორგი გვიმრაძე. მიუხედავად ამისა, გლეხებიდან ყველა არ აღმოჩნდა მსურველი, რომ ხელი მოეწერათ მამაჩემისა და ძია ნიკოს მიერ შედგენილ თხოვნაზე... მაშინ მამაჩემმა გლეხები სახლში ვახშამზე მოიპატიჟა, მოხადა ათ კონიაკი ქვევრი და გამართა დიდი ვახშამი... როდესაც ისინი შექეიფიანდნენ, ხელის მოწერაზე უარი აღარავის უთქვია, პირიქით, თვითონვე ეხვეწებოდნენ: „მოიტა ანტონ „არზაზე“ ხელი მოგიწეროთო“, და, ვინც წერა არ იცოდა, სხვებს სთხოვდა: „ჩემს მაგიერადაც მოაწერე ხელიო“... ამის შემდეგ მამამ და ძია ნიკომ მთავრობისაგან ნებათვა მიიღეს და, ამგვარად მათ არბოში დაწყებითი სკოლა დაარსეს... სკოლა პირველად მოთავსებული იყო ჩვენსას, მერე დურმიშხან ქურულის სახლებში, ხოლო ორი წლის შემდეგ ისევ ჩვენსას გადმოიტანეს.

მამას საშინლად სძულდა ქურდობა და ხელკრუდობა, განსაკუთრებით საშოგადო საქმეში. თუ კი ვინმეს ჭურდობაში შეამჩნევდა, აუცილებლად ამხელდა და ამის გამო ბევრ მტერსაც იძენდა. სიკვდილის წინ თავისი შვილები (ლევანი და ნესტორი) დაიბარა და მათ უკანასკნელად სთხოვა, რომ მამის სპეტაკი სახელი მტკიცედ შეენახათ და სინდისიერად ემუშაეთ საშოგადო საქმეში...

მამა ძალიან სტუმართმოყვარე იყო... სწავლულსა თუ უსწავლულს, მოხუცსა თუ ბავშვს, ყველას მთელი საათობით ესაუბრებოდა. ლაპარაკში ენაწყლიანობას იჩენდა. ნაკნობები ამბობდნენ: „ანტონი რომ სახლში შემოვა, კედლებიც კი იცინიანო“.

როდესაც მამა გორიდან სოფელში ეტლით მოდიოდა, ცხენების ეყენების ხმაურზე ბავშვები ამას შორიდან შეიტყობდნენ ხოლმე და მხიარულად ეგებებოდნენ: „ჩვენი ძია ანტონი მოდისო“. ბავშვები ეხვეოდნენ გარშემო... მამასაც თან წამოდებული ჰქონდა პარკით ტკბილეული და ყველას ურიგებდა. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ერთხელ მან სოფელ არბოში ფართლით მოვაპრე ებრაელი გააჩრა, რადგან იქვე ახლოს ერთი დახეულ-დაგლეჯილი ობოლი ბიჭი დაინახა, იყიდა ამ ებრაელისაგან რამდენიმე არშინი ფართალი და ლარიბ ბიჭს მისცა საჩუქრად: „უთხარ დედაშენს, შარვალ-ხალათი შეგიკეროსო“.

ერთ საღამოს თბილისში ჩვენსას იყვნენ ილია ქავჭავაძე, ნიკო ხიზაშვილი და კიტა აბაშიძე... მამამ წაიკითხა თავისი პიესა „ვითხოვოთ“,\*) რომელშიც აღწერილია ერთი ეპიზოდად თავად-აზნაურთა ქეიფი. ამ ქეიფზე ღვინით შეზარხოშებული ერთი თავადი დაიძახებს: „დაჰკა, მეზურნე!“... მამამ ეს ადგილი ხმამაღლა წაიკითხა... ამ დროს მოქეიფე ხალხი ჩვენს სახლის მახლობლად ზურნით მიდიოდა და მამას ხმაზე „დაჰკა მეზურნე“-ო, მათაც ზურნა დაუკრეს. ამ შემთხვევამ დიდი სიცილი გამოიწვია იქ დამსწრეთა შორის.

ქრისტეფორე მამაცაშვილის დაი გათხოვილი იყო ვინმე ღვინია-შვილზე, რომელსაც მამაჩემი წაუყვანია სამეგრელოში, სადაც მას კარგად გაუტენია იქაური ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი. შემდეგ ყოველივე ეს გამოიყენა მან მოთხრობა „მაცი ხეტიასში“, რომელიც სწორედ სამეგრელოში ყოფნის დროს დაუწერია. მამა ზუგდიდში რომ ცხოვრობდა, დამეგობრებია ერთ ქალს, რომელსაც „მაცი ხეტიას“ დაწერის გამო მამასთვის თეთრი ჩოხა მოუქსოვია და სახსოვრად მიურომეგია.

სამეგრელოდან მამა თბილისში გადმოვიდა და მსახურობდა „პრიკაზში“ დირექტორად, შემდეგ კი სათავად-აზნაურო ბანკში ილია ქავ-

\*) ეს პიესა არ დაბეჭდილა, ხელნაწერად ინახება საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმში, № 886/4. დ. შ.

ქავადესთან იყო დამფასებლად. მამა ილიას დროსვე ბანკის დირექტორიც გახდა, შემდეგ კი ბანკის მმართველობის თავმჯდომარეც, სანამ „ოტსტავკაში“ გავიდოდა.

ილია ქავკავადეს ძალიან მეგობრული დამოკიდებულობა ჰქონდა მამაჩემთან. იგი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა და მამაც ხშირად ყოფილა საგურამოში „ილიაობა“ დღეს.

მამას სახსრების ავადმყოფობა აწუხებდა, რის გამო ჯერ ქუთაისში მკურნალობდა, შემდეგ კი იგი, ილია ქავკავადე, ნიკო ხიზანი-შვილი და ლიზა ჩერქეზიშვილი ბერლინში წავიდნენ სამკურნალოდ. ილიას ბალიში მოუჭარგე და წასვლის დროს მივართვი. ისიც თავის მხრივ დამპირდა: „უკან რომ დაებრუნდები, საჩუქარს ჩამოგიტანა“. მართლაც საზღვარგარეთიდან საჩუქრად საწერ-კალამი და ძვირფასი სამეღნე მომიტანა.

მამაჩემი ამის შემდეგ 1898-99 წლის ზაფხულში ეტლით კახეთში ახტალაზე წავიდა სამკურნალოდ და მეც თან წაიყვანა.

თელავში რაფიელ ერისთავს ვეწვიეთ. იმ დროს რაფიელი ძალზე მოხუცი იყო, მას ჩვენი მისვლა დიდად გაეხარდა და მე თავისი წიგნი მიძღვნა წარწერით: „ჩემი მეგობრის ანტონის ქალს. ავტორისაგან“... მამას ძალიან უყვარდა რაფიელი. „მხოლოდ რაფიელის ცენზორობის დროს ვბეჭდავდი ჩემს ნაწერებს თავისუფლად...“ — ხშირად უთქვამს მამას და ამ შეხვედრის დროს ხომ ორივემ უსაზღვროდ გაიხარეს, გული იჯერეს წარსულის მოგონებებით.

განსაკუთრებით არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა აკაკისთან.

მე და მამა ქართულ თეატრში ვიყავით... დავინახე აკაკი და მამას ვთხოვე, ჩავაცივდი, რომ აკაკი გაეცნო ჩემთვის... მე ამ დროს ასე ცამეტი თუ თოთხმეტი წლის გოგონა ვიყავი, ცოტა არ იყოს ნაავადმყოფარი და გამზდარი... ანტრაქტის დროს ფოიეში გავედით და მამამ აკაკის წინ შემაჩერა, მას მიესალმა, აკაკიმაც თავისებურად მოიკითხა მამა. შემდეგ მამამ უთხრა: „ჩემ გოგონას შენი გაცნობა უნდაო“. აკაკიმ მაშინვე გამომიწოდა ხელი და მამას მიუბრუნდა: „ანტონ, ეს საუკეთესო ნაწარმოებია შენიო“... მამამ სიტყვა მოუჭრა: „ჩემო აკაკი, შენ ესეც ვერ მოახერხეო“, და ორივემ გაიცინეს.



ერთხელ კიდევ იმავე ქართულ თეატრში ვიყავით სალიტერატურო სალამოზე, სადაც აკაკი გამოვიდა სიტყვით და, სანამ სცენაზე ავიდოდა სალაპარაკოდ, მამას მოუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა: „დამაცადე, ნახე რა ქარცეცხლში გაგატარებო“. მამაც ელოდებოდა, რომ აკაკი მასზე რაიმეს იტყოდა თავის გამოსვლაში, მაგრამ მან მამას შესახებ არაფერი თქვა... როდესაც სიტყვა გაათავა და ჩვენთან მოვიდა, მამა შეეკითხა: „აკი, ძალიან მემუქრებოდი და ჩემზედ რატომ არა სთქვი რაო“? აკაკიმ უპასუხა: „ჩემო ანტონ, რა ვქნა, ავი ვერა მოვიგონე და კარგის თქმა კი დამენანაო“.

ილიას მკვლევლობის შესახებ დეპეშა რომ მივიღეთ არბოში, მამას გული შეუღონდა, ისე ძლიერად იმოქმედა მასზე ამ საზარელმა ამბავმა... მაშინვე ყველანი თბილისში წამოვედით ილიას დასაფლავებაზე.

ამის შემდეგ მამას აღარც დიდხანს უცოცხლია. იგი უკანასკნელ ხანებში, როდესაც მან სამსახურს თავი დაანება, მთლიანად გადასახლდა არბოში და უკანასკნელი წლები თავისი ცხოვრებისა იქ გაატარა...

სოფ. არბოში ცხოვრების დროს მამა ძალიან სწუხდა და მარტობას განიცდიდა... თანამებრძოლნი და თანამოკალმენი რომ შემოეცალნენ, მამა ხშირად სევდიანათ იტყოდა: „მუხა რომ მართოდ დარჩება გაკათულ ტყეში, ისე ვგრძნობ თავსაო“...

თვალწინ მიდგას მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები. საერთოდ მამა მორწმუნე არ იყო, არა სწამდა ხატები და მღვდლები კი სძულდა... ერთხელ ავადმყოფობის დროს რატომღაც მოითხოვა მისთვის ხატი მიგვეტანა და ჩვენ ყველანი გარეთ გავსულიყავით: „უნდა მართო ვილოცოვო“. მე კარებთან მივუგდე ყური, მინდოდა გამეგო მამის მოქმედება... კარები ცოტაზე ღია იყო... დავინახე, რომ მამაჩემი ლოგინიდან ადგა საბანწამოსხმული და საწერი მაგიდისაკენ მიდიოდა, თან ფეხებს საბანზე აბიჯებდა, რომ უხმაუროდ გაეარა. მე ვიცოდი, რომ საწერი მაგიდაში იარაღს ინახავდა... მაშინვე შევეარდი ოთახში და ვეცი მამაჩემს: „მამა, რას შერები, რაზე გვლუპავ-მეთქი“. მოვხვიე ხელები და ისევ ლოგინზე დავაწვი-ნე. მამამ შემომხედა თვალეში და ნაღვლიანად მითხრა: „რად გინდა, შვილო, დიდხანს ვიტანჯო, რად შემიშალე ხელიო“... მე

ბევრი ვამშვიდე, სამაგისო რა გიჰირს-მეთქი, მაგრამ ჩემს თქმას  
თავი გააქნია და მითხრა: „ეჰ შვილო, ჩემი მდგომარეობა მე უკეთ  
ვიციო“. ამის შემდეგ მართლაც მესამე დღეს გარდაიცვალა. გარ-  
დაცვალების წინ მოითხოვა, რომ მაწონი მე მომეტანა. მაშინვე გავ-  
ვარდი მოსატანად... და, უკან რომ დაებრუნდი, იგი მკვდარი დამ-  
ხვდა. ალბად, განგებ მოიმიზეხა მაწონი, რომ მე არ მენახა მისი  
უკანასკნელი წუთები.

---



მელანია (ნიკოლოზ ნათიძე)

## მომონებანი ვაჟა-ფშაველასად

ვაჟას უფროსი ძმა გიორგი და მე როცა თელავის სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდით, ერთად ვცხოვრობდით. ჩვენთან ცხოვრობდა პატარა ლუკაც. წლოვანებით მაშინ ლუკა იქნებოდა თერთმეტ-თორმეტი წლისა, მაგრამ ტანად კი ზორბა და ღონიერი იყო. ხშირად შემებვეწებოდა ხოლმე: დამეჭიდებოდა. მე მაზედ შვიდი წლით უფროსი ვიყავი, ხოლო თუ თავს გავუყადრებდი და ვეჭიდებოდი, ხანდისხან კიდეც მჯობნიდა და მაშინ იმის აღტაცებას აღარა ქონდა საზღვარი, შეეჭიდებოდა ხოლმე თავის ძმას—გიორგისაც.

გიორგი წარმოსადები ყმაწვილი კაცი და შესანიშნავი ღონის პატრონი იყო... როცა შეაბეზრებდა ლუკა თავს, გაჯავრებული დაავლებდა ხელს და გაისერიდა რამდენსამე ნაბიჯზედ, მაგრამ ლუკა არც კი იქცეოდა, ფეხზედ დასკუპდებოდა ხოლმე, საითაც უნდა გადაგედო. ცუდ დღეს აყენებდა ლუკა თავის ამხანაგებს. გათავდებოდა თუ არა გაკვეთილი, ჩადგებოდა საკლასო ოთახის კარებში და არავის გამოუშვებდა ოთახიდან, თუ ან ზურგს არ აკვრევინებდა იატაკზედ, ან მუშტს არ უთავაზებდა გვერდებში. ბევრი ცხვირპირისისხლიანიც გამოობოდა, მხოლოდ არავის არასოდეს მასზედ არ უჩივლია ინსპექტორთან, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ლუკა მას სჩადიოდა ბოროტებითა და ჩხუბის ყინით კი არა, არამედ ავარჯიშებდა თავის ძაღლონეს. გარდა ამისა, მაშინ კრივი ისევ მოდაში იყო და ყველა შეგირდები ვარჯიშობდნენ ერთმანეთის ცემატყებაში, რომ სათანადოდ მომზადებულნიყვნენ კრივისათვის.

როგორც უმცროსს, ხშირად დავსაქმებდით ხოლმე ლუკას, უფრო ვგზავნიდით სადმე. ხოლო, რადგანაც ღონიერის სახელი გაითქვა და სულ მკლავზე იყურებოდა, ზოგჯერ არ გვეპუებოდა და უარს გვეუბნებოდა, რის გამოც ჩვენ „კერპი“ დავარქვით, სიკერ-

\*) იბეჭდება საქ. საბ. ლიტ. მუზეუმში დაცული ხელნაწერის № 2965/4-ის მიხედვით. ხელნაწერი ავტოგრაფს წარმოადგენს. მოგონება დაწერილია 1915 წელს (იხ. გაზ. „საქართველო“, 1915, № 92.) რედ.



პესთან უშიშროებაც სჭირდა, რაც შემდეგიდან ჩანს: ერთ ღამეს დიდი ქექა-ქუხილი ატყდა. იქნებოდა თერთმეტი საათი ღამისა. ჩვენ სამივენი ვიწვევით ქვეშაგებში და ვკითხულობდით, ვისაც რა გესურდა. უცბად იღვა და თან საშინელი ქექაც მოჰყვა. სახლი, რომელიც ორ სართულიანი იყო და ძირა სართულში ჩვენ ვიწვევით, ისე შეინძრა, რომ თითქოს თავზედ უნდა დაგვეგროვდა. ოთახში ფანჯრის მინები ჩაიმტვრა, სანთელი დაგვიქრა და შემოვარდა საზარელი სუნი. მეც და გიორგიც წამოვცვივდით ქვეშაგებიდან და ვეცით კარებს, ხოლო ლუკა არც კი განძრეულა, არხეინად, თითქოს არაფერი მომხდარაო, იწვა თავის ქვეშაგებში. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოორქვა, რომ ჩვენ სახლს დასცემოდა მეხი, რომელიც ჩამოვარდნილიყო ბუხარსა და იმ წალოს შუა, სადაც ლუკა იწვა, და მთელი კედელი შუაზე გარღვეულიყო.

ლუკა თავის სწორ-ამხანაგებთან დაუცხრომლად ცელქობდა და თამაშობდა, ხოლო ჩვენთან, მე და გიორგისთან, თავის თავს ბავშვად არა სთვლიდა და ცდილობდა ის გაეკეთებინა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით; უფრო კი გიორგის ჰბაძავდა, წერდა ლექსებს, როგორც გიორგი. თუ დაინახავდა, რომ ჩვენ წიგნებს ვკითხულობდით, ვერ მოისვენებდა, ვიდრემდის არ გაიგებდა, რა წიგნებს ვკითხულობდით. მე პირდაპირ მომმართავდა ხოლმე: ნიკო, რასა ვკითხულობო, და უთუოდ უნდა გაეშინჯა და რაიმე ამოეკითხნა. გიორგის კი ვერ შეჰბედავდა ხოლმე ასეთ კითხვას, ხოლო როცა გიორგი დაანებებდა თავს კითხვას და გარედ გავიდოდა, ლუკა მაშინვე ეცემოდა და გადაჰფურცლავდა, რა წიგნი იყო, და რამდენსამე სტრიქონს ანუ სიტყვას უთუოდ ამოიკითხავდა.

თელავის ტაძარში მთავარდიაკვანი იყო ვინმე მაისურაძე, რომელსაც სასიამოვნო ბოხი ხმა ჰქონდა. გიორგი მგალობელთა გუნდში იყო, ბოხ ხმაზედ გალობდა, თუმცა არა ჰქონდა კარგი ხმა. იგი ცდილობდა ხმა შეემუშავებინა და გამხდარიყო ისეთივე ხმის პატრონი, როგორიც ჰქონდა მთავარდიაკვანს, ამისათვის სახლში ხშირად გალობდა და ჰბაძავდა მაისურაძეს. ლუკამაც ორივეს მიბაძვა დაიწყო, გაიბერებოდა და სულ „ყოყოს“ გაიძახოდა, რათა ხმა გამოეჩინა. ამ სამიოდე წლის წინად მოვავიწყებინე ვანს ვენებულს ეს გარემოება და მითხრა დიდი გავლენა იქონია ვანო მაისურაძემ ჩემზედაო.

ჩვენ გადმოვედით სემინარიაში და ლუკაკი ისევ თელავში და  
ჩა. მგონია, იგი პირველ კლასში იყო. მას შემდეგ მე იგი მოსწავ-  
ლედ აღარ მინახავს. მხოლოდ, როცა იგი მასწავლებლად იყო ხევ-  
სურეთში, თიანეთში მომიხდა წასვლა და, იქიდან თბილისში რომ  
ვბრუნდებოდი, ლუკა გზაზედ შემხვდა და სოფელში მიმიპატივია, სა-  
დაც მასწავლებლად იყო, მეც მაშინ სოფლის მასწავლებლად ვიყა-  
ვი. დავჩი მასთან ერთ ღამეს და ძველი ამბები მოვიგონეთ.

ყოველი, რაცა ვთქვი, შეეხება იმ დროს, როცა მე და გიორგი  
მეოთხეში ვიყავით და ლუკა, მგონია, პირველ კლასში. გადმოვედით  
სემინარიაში და მას შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ შემემთხვა ლუკას  
ნახვა, ისიც ძლიერ ცოტა ხნით, ხოლო ამ უკანასკნელ ათი წლის  
განმავლობაში ისევ დავუახლოვდით ერთმანეთს, რადგანაც ნათესა-  
ვურადაც დავკავშირდით. ამ ათი წლის განმავლობაში ბევრჯერ  
დაემტკბარეარ სულითა და გულით ლუკასთან ერთად ყოფნით.

ენით ვერ გამოითქმება და ვერც აიწერება (უნდა კაცს თვითონ  
თავისი თვალით ეხილა და დამტკბარიყო) ის კეთილგანწყობილება,  
სიყვარული და პატივისცემა, რომელიც სუფევდა და სუფევს ძმებ  
რაზიკაშვილებში. საუტხოვო სურათს წარმოადგენდა ყოველთვის,  
როცა ყველა ძმა, რაზიკაშვილები, ერთად შეიკრიბებოდნენ. პირდა-  
პირ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათ ერთად შეკრებას. და-  
უსრულებელი მზიარულება, ხუმრობა და სიცილი. ხშირად თედო  
და სანდრო და მათთან მიხაც აუტეხავდნენ ვაჟს ხუმრობით და-  
ცინვას, რომ გაეჯავრებინათ, მაგრამ ვაჟა ღიმილით იგერიებდა  
ყველას და არა ყოფილა ისეთი წამი, რომ მის სახეს წყენა შესტყო-  
ბოდეს, თუმცა ხშირად ხუმრობას ამლაშებდნენ.

ვაჟას მრავალ სხვა კარგ თვისებასა და ნიჭიერებასთან ერთად  
ორი დაუფასებელი ზნე სჭირდა: არ იცოდა წყენა, როდესაც ეხუმ-  
რებოდნენ, და არასოდეს არ მედიდურობდა და არ იწონებდა თავს  
იმითი, რამაც იგი უდიდესი და თავმოსაწონი ჰყო სამშობლო ერის-  
ათვის. ყველას დაიკვებებდა: ღონეს, სმას, ბიჭობას, მაგრამ იმას,  
რომ ეამაყნა თავისი ნიჭით, ამას ვერავინ იტყვის. ისე უბრა-  
ლოდ ეჭირა ყველგან თავი, რომ უცნობი ვერც კი წარმოიდგენდა,  
მისი პირველი ნახვით, რომ იგი უმზერდა სამშობლოს სიამაყეს.  
ეროხელ ჩემს სახლში დეკან. თალაკვაძემ თავისებურად მჭერმეტყვე-  
ლური შესხმა უთხრა ვაჟას. ვაჟამ მადლობა უთხრა და თანაც დაა-

ტანა: „მე იმისათვის კი არა ვწერ, რომ მაქონ და მადიღონ, არამედ იმისათვის, რომ ჩემს სულსა და გულს ვასიამოვნო ამითაო“.

ნათქვამია: „ხანდახან ენა უყვილებს ადამიანსო“, სწორედ ასე დაემართა ვეჯასაც. ერთხელ მოვიგონე მისგან თელავში ჩადენილი საქმე და იმან წამოიძახა: „ბიჭო, ჩემ ბიოგრაფიად გამოდგებიო“. აკი ასრულდა. თუმცა მე მაზედ 7 წლ. უფროსი ვიყავი; როცა სალიტერატურო საღამოს გამართვას უპირებდნენ, ვაქამ ახალი ტანისამოსი შეაკერვინა საღამოსათვის. დერციკს შალვარი ფეშქაშად შეეკურნა და დაჰპირებოდა, რომ შემოდგომისათვის კაი შალს გიშოვნი და ქულაჯას შეგიკერავო. მოვიდა შინ, რძალს უჩვენა ნაფეშქაშარი შალვარი და გადასცა დერციკის დაპირებაც და თან დაატანა: „უთუოდ დერციკმა ხომ არ გაიგო, რომ უნდა მოგკვდე და იმისათვის დამპირდაო“. ეს ხუმრობით იყო ნათქვამი. სინამდვილეში კი იგი სრულიად არა ფიქრობდა სიკვდილზედ და უკანასკნელ წუთამდე არც შიშობდა, პირიქით იმაზედ ფიქრობდა და მელაპარაკებოდა, რომ ამას იქით ზამთრობით ტფილისში უნდა ვიცხოვრო, ბევრი ნაწერები მაქვს აქა-იქ გაფანტული, უნდა მოვაგროვო, გადავშინჯო და შევასწორო, გარდა ამისა აქ უფრო მეხერხება წერაო. წამიკითხა ჯერ დაუბეჭდავი პოემა „მანდილი“, რომლიდანაც ამომიწერა ერთი სცენა, რომელიც მე მომეწონა. პატარ-პატარა ნაწერებიც ჰქონდა. ყველა ეს სანდროსთან სახლში ინახებოდა. ვაჟას ავადმყოფობის დროს იგი ძლიერ ცუდად მოიქცა, რომ ეს ნაწერები გადასცა ვაჟას შვილს ლევანს და არ მოილაპარაკეს ძმებმა ვაჟას შვილთან ერთად, თუ რა დანიშნულება მიეცათ ამ ნაწერებისათვის.

ვაჟა ავადმყოფი ჩამოვიდა მთიდან, უნდოდა დაეწყო წამლობა, მაგრამ ავადმყოფობა უფრო გაუძნელდა მას შემდეგ, რაც საღამო გაუმართეს. იგი შემომჩიოდა: არა, რა მეკობტავებოდა, მსუბუქად ვიყავი ჩაცმული, საღამოს შემდეგ მიმიპატივეს ბალში და იქ უფრო უარესად გავცივდიო.

1915 წლის 23 აპრილს ვაჟა ჩემთან იყო სადილად. სადილზედ ჩამოვარდა ლაპარაკი ომის შესახებ. ვაჟამ წარმოსთქვა ომის მსვლელობაზედ თავისი აზრი, რომელსაც არ დავეთანხმეთ არავინ. და, რომ შემდეგში შემემოწმებინა მისთვის უსაფუძვლობა მისი აზრისა,

ავდექი და წავაწერე ომის ასპარეზის ქარტაზედ მისი ნათქვამი. მისი წინასწარმეტყველება ახლა უტყუვრად მაშინ, როცა იგი ავადმყოფი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში იწვა. მივედი სანახავად და ვაუწყე მისი წინასწარმეტყველების შესრულება და იმანაც მომიგო: „ბიჭი ვარ მეო“.

შენიშვნა:

მელანია — ნიკოლოზ ნათიძე (1854—1924) ცნობილი ბელეტრისტი, ავტორი „ბნელო“-სი, „კრიალოსანი“-ს, „ქედნის ლულუნი“-ს და სხვ...

იგი ბავშობიდანვე, ჯერ კიდევ თელავის სასულიერო სასწავლებლიდან მეგობრობდა ვაჟა-ფშაველას. შემდეგში, როდესაც ვაჟას ძმა სანდრო და მელანია კეისრები გახდნენ, ვაჟა და მელანია უფრო დაახლოვდნენ. რედ.

ი. ლოლაშვილი

## „მოგონება თაღო რაზიკაშვილზე“

სანდრო რაზიკაშვილის „მოგონება თეღო რაზიკაშვილზე“ დატულია საქ. წიგნ. ლიტერატურული მუზეუმის არქივში 2920/4 ნომრით. იგი შეიცავს ორ ნაწილს: თეღო რაზიკაშვილის „ავტობიოგრაფიას“ და სანდრო რაზიკაშვილის „მოგონებას“, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას. „ავტობიოგრაფია“ არ არის დედანი. იგი გადაწერილია 1936 წ. სანდრო რაზიკაშვილის ხელით და ისევე ბოლოვდება, როგორც სოლ. ყუბანეიშვილის მიერ „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში“ გამოქვეყნებული ტექსტი. ჩვენს ხელნაწერში „ავტობიოგრაფიას“ მიწერილი აქვს სანდრო რაზიკაშვილის შენიშვნა: „სამწუხაროდ, ჩემი ძმის, თეღოს ავტობიოგრაფია აქ თავდება. მე უნდა დაეუმატო შემდეგი...“ და ქვემოთ გრძელდება სანდრო რაზიკაშვილის ის „მოგონება“, რომელსაც ამჟამად ვაქვეყნებთ. „მოგონება“ საინტერესო მასალების შემცველია. იგი იძლევა საყურადღებო ცნობებს, ვაჟა-ფშაველას თვალის დასახიჩრების შესახებ, თეღო რაზიკაშვილი სამწერლო და რევოლუციურ მოღვაწეობაზე და სხვ... საჭიროა ამ ცნობებს ცოტა ვრცლად შევხებით.

ვაჟა-ფშაველას თვალის დასახიჩრების შესახებ იაკობ მანსვეტაშვილი თავის „მოგონებანში“ წერს: „აქ („იერიის“ რედაქციაში, **ე. ლ.**) ვაქამ გვიამბო თავის ჩვეულებრივი ეპიურ-დინჯი კილოთი შემდეგი სამყუხარო თავგადასავალი: მთავი დაეკლათ ჭირიანი ძროხა. ხორცს დანატრულებული ხალხი არ მოჭრიდებოდა ჭირს და საკლავი მთლად გაეტაცნათ. ვაჟაც სულს წაეძლია და ეყიდნა ხორცი. ეფიქრა: საცა ამდენი ხალხი, მეც იქაო. ამის იმედიც ჰქონდა: კარგად გავრეცხავ, მოგზარზე და ჭირი რალა ჭირს მომჭამსო“ საწყალ ვაჟას არ გაუმართლდა ეს იმედი. და ახლა დასწულებული, დასახიჩრებული ადამიანი იდგა ჩვენ თვალწინ...“\*)

სანდრო რაზიკაშვილის „მოგონებაში“ ეს ამბავი ასეა მოთხრობილი: „ერთ ზაფხულს ბიძა-ჩემმა მწარიაზ ხარი დაჰკლა.. ხარი თურმე ღებდინერთით (ციმბირის ჭირით) ყოფილა ავად და კი არა სცოდნოდათ. ვაჟა წავიდა მწარიასთან ხორცისათვის და, რადგან ხორცი ძალიან კარგი ყოფილიყო, ხარის ნახვევარი წამოვლო. სანამ ის შინ ხორცს წამოიღებდა, მწარიას იქვე მწვადები შეეწვა და ზედ ფშაური არაყი მიეცოლებინა. დილით წასული ვაჟა სალამოხელა მოვიდა სახლში კარგად შეხარბოშებული... იმ სალამოხედვე გამოსჭრა რბილი ხორცი, რომლისაც ხინკალი გავაკეთეთ, და დანარჩენი რბილი ხორცი კიდევ ბასტურმად ჭილაში ჩადო. ამის მეორე თუ მესამე დღეს ვაჟას სიცხე მისცა და თვალის ჭრუთითხე ჭავილი დაუწყო, ზედ მუწუციც გამოუვიდა. (მაშინვე

\*) **ე. მანსვეტაშვილი**, „მოგონებანი“, 1936 წ. გვ. 108-9.



შეატყო დედაჩემმა, რომ ის მუწუცი «ბედნიერი» იყო. ვაჟა ამის შემდეგ ჩაწესდა ლოგინში და მთელი ერთი თვე თუ თვენახევარი ლოგინიდან არ ამდგარა და ჩემმა, რომელმაც შესანიშნავი მოვლა-ექიმობა იცოდა, ვაჟა შინაური წამლებით მზარჩინა. მხოლოდ ერთი თვალი კი დაუსახიჩრდა... \*)

ორივე ცნობა ურთიერთისაგან განსხვავებულია: ი. მანსვეტაშვილი ზღაპრულ ცნობას გვაწვდის, თითქოს ვაჟას სიცოცხლედეს ხორცის პირიანობა, პირობით ვაჟას დაავადების მიზეზი სწორედ ის იყო, რომ მან და მის ახლობლებმა ხორცის პირიანობის შესახებ არაფერი იცოდნენ.

სანდრო რაზიკაშვილის ცნობიდან კი ირკვევა, თითქოს ვაჟას თვალი გაჟფუტებოდეს დედის სიცოცხლეშივე, ე. ი. 1890 წლის 16 სექტემბერზე ადრე (ვაჟას დედა ამ დროს გარდაიცვალა). ამავე ცნობიდან გამომდინარეობს სოლ. ყუბანეიშვილის დასკვნაც, რომ „1890 წლის მაზლობლად ვაჟას მარჯვენა თვალი დაუსახიჩრა ციმბირის წყულულმაო... \*\*)

ამის საწინააღმდეგოს იუწყება პატ. თედო სახოკია. მან ჩემს შეკითხვაზე, თუ ვაჟამ თვალი როდის დასახიჩრა, ასე მიპასუხა: „ვაჟა-ფშაველა მე გავიცანი 1891 წელს და მაშინ მას თვალი ჯერ დასახიჩრებული არა ჰქონდა. სწორედ იმავე წელს მან აღ. როინიშვილის ფოტოგრაფიაში გადაიღო სურათი და მაშინაც ვაჟა თვალს არ იტყობდაო... \*\*\*)

ვაჟას მეგობრების ნინო ბაჩიაშვილისა და ივანე გორხაშვილის გადმოცემით, როდესაც ვაჟას თვალი გაუფუტდა, მისი მშობლები დახოცილნი იყვნენ (იხ. მათი მოგონებანი). ზოლო ვაჟას უფროსი ქალის—თამარა რაზიკაშვილის მოგონებით კი, როცა ვაჟას თვალის მორჩენა გასძნელებია, იგი თბილისში ჩასულა და მიხეილის საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთებია. ექიმებს ვაჟასთვის მკლავის სირამიდან ხორცი ამოუტრიათ და თვალის ქვედა ქუთუთოზე მოუყარებიათ \*\*\*\*)

ამგვარად, ამ უკანასკნელი ცნობებიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია თვალი ვაჟას დედის სიცოცხლეში გაჟფუტებოდეს, მისთვის დედასგან გაეწიოს შინაური ექიმობა და „ბედნიერი“ დაავადებული ვაჟა სახლშივე მორჩენილიყოს.

მაშ, როდის დაუსახიჩრდა ვაჟას თვალი?

ამის პასუხს იძლევა ვაჟა-ფშაველას პოლემიკური წერილი „ივერია № 201 და მეველე“ და თედო რაზიკაშვილის ის წერილი, რომელიც სანდრო რაზიკაშვილის მოგონებაშია მოთავსებული:

1894 წელს, როდესაც ვაჟა-ფშაველას კონფლიქტი მოუხდა ვაზ. „ივერიასთან“ „სტუდენტთა კასის“ ხელმძღვანელობისადმი მიმართული წერილის გამო. ვაჟა-ფშ. „კვალის“ 48 №-ში მეველის (დ. მიქელაძის) საპასუხოდ წერდა: „პასუხი ჩემს მოკამათეთათვის მაშინვე (ე. ი. 1892 წლის სექტემბერშივე. ი. ლ.) უნდა გამეცა, მაგრამ საიღ და როგორ შევძლებდი ამას, როდესაც მე მძიმეთ ავად ვი-

\*) „ლიტ. მატრიანე“ № 1-2, 1940, გვ. 236-37.

\*\*) სოლ. ყუბანეიშვილი — ვაჟა-ფშაველა, მასალები და დოკუმენტები, 1937, გვ. 225.

\*\*\*) ამ ცნობის მოწოდებისათვის პატ. თ. სახოკიას მადლობას მოვასხენებ.

\*\*\*\*) იხ. ს. ყუბანიშვილის — დას. წიგნი, გვ. 225.



ყავე მაშინ ციმბირის კირით (Сибирская язва) მთელი ომის (1914-1918) დროს თვეო.\*\*) თედო რაზიკაშვილი კი 1893 წლის 13 მარტს თავის მამა სანდროს სწორდა: „რვა ამ თვეს აქ ღუკა ამოვიდა, საშობაოდ ქალაქში ყოფილიყო და 20 იანვრამდე მანდ დარჩენილიყო... თვალის ოპერაცია გაეკეთებინა და დოზტურთან ეჩქარებოდა. მეც გავეყე ქალაქში“.

მაშასადამე, ვაქა-ფშაველას თვალის დაუსახიჩრდა ციმბირის წყლულეთ 1892 წლის აგვისტოში და მთელი ორი თვე მძიმე ავადმყოფი იწვა ლოჯინში, ნინო ბაჩიაშვილის ცნობით, ავადმყოფე გაეას სწამლობდა კაწალუხვეელი ექიმბაში დედა-კაცი, რომელმაც პოეტის სიკვდილისაგან გადაარჩინა.\*\*\*) იმავე წლის ბოლოს, როდესაც ვაქა ცოტა უკეთ ზეიქმნა და ჩირქიანი მუწუციც მოუშუშდა, თბილისში წაიდა საშობაოდ და 1893 წლის 20 იანვრამდე იქ დარჩა; საავადმყოფოში თვალის ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგ დრო და დრო თბილისში ჩამოდიოდა და თვალსა სწამლობდა.

სანდრო რაზიკაშვილის მოგონება მნიშვნელოვანია იმ-მხრივაც, რომ თედო რაზიკაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა დამაჯერებლად არის აღწერილი და ამავე დროს შიგდაშიგ ჩართულია საინტერესო ეპიზოდები მშები რაზიკაშვილების ჟრ-თიერთობიდან.

მოგონების ტექსტი იბეჭდება ზემოთ დასახელებული ხელნაწერის მიხედვით ოდნავ შემოკლებული და შესწორებული სახით.

\*) იქვე, გვ. 320.

\*\*) ეს ცნობა გადმომცა თვითონ ნინო ბაჩიაშვილმა 1948 წლის ივლისს სოფ. ჩარგალში.

სანდრო რაზიკაშვილი

## მოგონება თედო რაზიკაშვილზე

თედო იყო მეტად შრომის მოყვარე კაცი. ის მასწავლებლად დანიშნვისთანავე ქართლში, სოფელ ხელთუბანში მეურნეობას შეუდგა.

1894 წლიდან თითქმის 4 წელიწადი დაჟყავი მასთან, მოწაფეების სწავლებას ვშველოდი. თავისუფალ დროს სულ მეურნეობას ვეწეოდით, ვმუშაობდით სხვა გლეხებივით. ვინაიდან თედო კარგადა ჰხედავდა, რომ ის მარტო თავის ჯამაგირით ცოლ-შვილს ვერ შეინახავდა და შეიღებსაც ვერ გამოჰზრდიდა სასწავლებელში, ამისათვის მიჰყო ხელი მეურნეობას, რისთვისაც ერთი იქაურ აზნაურ მინა იაშვილისაგან იყიდა ერთი დესეტინა ჭაობი მიწა. ამ მიწის გარშემო შემოვაგლეთ ღრმა თხრილები, რომ მიწა წყლისაგან გამომშრალიყო და გაწურულიყო. მართლაც, ეს მიწა მშვენივრად გამოშრა და გაიწურა. ამის შემდეგ, როგორც ქართლშია მიღებული, თხრილების გარშემო დავრგეთ ტირიფის ხეები, აკაცია და შემოვაგლეთ ძეძვის ღობე. ტირიფის ხეები მეტად ხელსაყრელი გამოდგა. მისი ტოტებისაგან ჭიგოს ვამზადებდით, წვრილ ფიჩხს კიდევ საწვავად ვხმარობდით. ამ ჭაობში თედომ ადგილობრივ გლეხებს ფასად აზიდინა 2000-დე ურემი ძველის-ძველი საქონლის ნეხვი (სასუქი), რაც ამ სოფელში ყველა გლეხს თავიანთ ბოსლების წინ ან გვერდზე ზვინებდით ჰქონდათ დავროვილი და არ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ. ამის შემდეგ ზამთრის პირად ხელთუბნის გარშემო მინდვრებში მოვქებნეთ მაქალოს და პანტის პატარა ხეები, რომლებიც ამოვთხარეთ და დავრგეთ ჩვენს ბაღში. რასაკვირველია, მეორე ვახაფხულზედვე დავამყნეთ ზედ კარგი ჯიშის ვაშლი და მსხალი.

თედოს სხვა ეურნალ-ვაზეთებთან ერთად მოსდიოდა ეურნალი „Плодоводство“-ც, სადაც დარიგება ეწეოა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუაროთ ხეხილს და რომელი ხეხილის ნაყოფი უფრო მსხმოიარე და კარგი ჯიშისა არის. მართალია, იქვე ქ. გორში,



რომელიც 7 კილომეტრითაა დაშორებული სოფ. ხელთუბანზე, ჯა-  
უსმანს ჰქონდა კარგა დიდი ხეხილის ბაღი, მაგრამ იქ ყველა ჯი-  
შის ხეხილი არ იყო. ამისათვის თედომ ზამთარში გამოიწერა რუ-  
სეთიდან (გორკიდან) სამყნე ტოტები, რომლებიც გაზაფხულზე  
დავამყნეთ იმ დარგულ მათალოსა და პანტებზე. რომ მინდვრებში  
არ გვეძებნა ხეხილის ძირები, თედომ გაიჩინა საკუთარი სანერგე,  
სადაც დათესა თესლი და ამ თესლზე ამოსულ პატარა ძირებზე  
გავაკეთეთ კვირტის ნამყენები. ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ისეთი ბა-  
ღი გაშენდა, რომ მნახველს არ უნდოდა მისი თვალის მოშორება.  
რასაკვირველია, გავაშენეთ ვაზიც, რომ საკუთარი ღვინო გვქონო-  
და. ამ სანერგეში იმდენი ნამყენი გაკეთდა, რომ არამც თუ თედო-  
სა ჰყოფნიდა, სხვა გლეხებსაც აძლევდა, რომ ნამყენი იმათაც გაე-  
ჩინათ თავიანთ ბაღებში. ამას გარდა ჩვენც ვუკეთებდით გლეხებს  
ნამყენებს, რასაკვირველია, უსასყიდლოდ.

თედოს მისვლამდე ხელთუბანში გლეხებს ერთი ძირი კარგი  
ჯიშის ხე არ ედგათ, თედოს დარიგებით და ხელის შეწყობით კი  
ყველამ გაიჩინა საუკეთესო ჯიშის ხეხილი და ამჟამად სოფ.  
ხელთუბანი მთლად ხეხილის ბაღებშია გახვეული. აი, თედომ  
ასეთი დახმარება გაუწია გლეხებს და უჩვენა მათ მაგალითი, რა-  
საც მათ მიჰბაძეს კიდევც.

იმ 2000 ურემმა სასუქმა ისე გაასუქა ის ქაობი ადგილი, რომ  
ბოსტნეული და ხილი აუარებელი მოდიოდა. ამას გარდა თედომ  
გაიჩინა ფუტკარი, რაც კარგ მოსაეაღს აძლევდა. ხილის და  
ფუტკრის შემოსავლით თედომ საკუთარი სახლი გაიკეთა თავის  
მარნითა და კალო-საბძლით. პური საყიდელი რომ არა ჰქონოდა,  
მიჰყო ხელი ხენა-თესვასაც და იმდენი პური მოსდიოდა, რომ არამც  
თუ სახლში ჰყოფნიდა, ზედმეტს კიდევაც ჰყიდდა.

თედო მეტად მშრომელი კაცი იყო: არ შეეძლო ერთ წუთს  
უსაქმოდ ყოფნა. როცა ფიზიკურ სამუშაოს მორჩებოდა, ახლა წერას  
შეუღდეგებოდა. თედო, როგორც ჩემი დანარჩენი ძმები, რევოლუციონე-  
რი იყო. ეჯავრებოდა სხვისი ბატონობა, ნიკოლოზის მთავრობა და  
მისი დამქაში ჩინოვნიკობა. თედო იყო პირში ნიჭიერი, უშიშარი  
და მკლავმაგარი. სტუმართმოყვარეობა ხომ გვარიდან დაჰყვა.  
იყო გულუხვი და დიდი პატრიოტი. სახლის კარები სულ ღია  
ჰქონდა, გამვლელ-გამომვლელისათვის სუფრა იყო გაშლილი.  
ძალიან ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე თბილისიდან, ან გორიდან მო-



წინავე მუშები და ინტელიგენტები. ერთხელ ჩემს იქ ყოფნის დროს თედოსთან მოვიდნენ გორის სემინარიის მოწაფენი თავიანთი მასწავლებლებით. ერთხელ ალექსანდრე (ასიკო) ერისთავმა აკაკი წერეთელიც მოიყვანა. აკაკის მოსვლა ძალიან გვესიამოვნა. სტუმრებს კარგი დრო გავატარებინეთ და ბევრიც გვაცინა აკაკიმ თავისი ოხუნჯობითა და მოსწრებული სიტყვებით. ასიკო თედოს მეგობარი იყო და იქვე სოფ. ხელთუბნიდან 3 თუ 4 კილომეტრით დაშორებულ სოფელ რეხაში ცხოვრობდა. იმან რევოლუციამდე თავის მიწები სულ გლეხებს გადასცა უსასყიდლოდ. ასიკოს მეგობარი იყო აკაკი, რომელიც სწევოდა მას რეხაში, და იმან კიდევ ის თედოსთან მოიყვანა. აკაკის თედოს მოთხოვნები ძალიან მოსწონდა. „ფითრზე“ ამბობდა: ამ მოთხოვნას ისტორიული მნიშვნელობა აქვსო.

ერთ გაზაფხულზე, მგონი 1897 წელი იყო, თედოს სკოლას სარევიზიოდ მაშინდელი სახალხო სკოლების ინსპექტორი პაგარელოვი ეწვია. იმგამად თედოს სკოლაში 60 მოწაფე ითვლებოდა. ხელთუბანს ახლო მდებარე სოფლებიდანაც იქ დადიოდნენ. იმ დროს, რაკი მეც ვეშველებოდი თედოს სწავლებაში, მოწაფეები მშვენიერად იყვნენ მომზადებულები. პაგარელოვმა მაინც თედოს შარი მოუდო, რომ რუსული მეტი უნდა ასწავლოთო და დაემუქრა. დავაპირე იმისი ერთი მაგრა მიტყუება, მაგრამ თედომ დამიშალა და თავი შევიკავე, თორემ თედოსაც დავლუპავდი და ჩემს თავსაც ხიერი არ დაეყრებოდა.

გაზაფხულობით, ასე აღდგომის მეორმოცდაათე დღეს სოფ. მეჯვრისხევეში, რომელიც ს. ხელთუბნიდან 10 კილომეტრით იქნება დაშორებული, იცოდნენ დიდი დღეობა—„უსანეთობა“. დღეობაში კი, როგორც მოგეხსენებათ, ღრეობა და ჭიდაობა იციან.

ერთხელ ამ დღეობაში თედო, მე და თედოს ქვისლი ხელთუბნელი გლეხი შაქრო გაგნიძე წავედით. გაგნიძე კარგი მკლავმაგარი ბიჭი იყო და მოჭიდავეც. იქ მან ერთი იქაური მოჭიდავე კაცი წააქცია, რაც იქაურ აზნაურებს არ ესიამოვნათ, და შაქროს შარი მოუდეს: შენ ჩვენი შეშის ფული გმართებს 7 აბაზი, ან მოგვეცი, ან ეგ ფარაჯა გაიხადეო, და დაუწყეს მათრახებით ცემა. მე, რასაკვირველია, მივეშველე და ერთი იმათგანი ცხენიდან ჩამოვაბძანე, რისთვისაც ახლა მე მომცვივდნენ, მაგრამ როდესაც თედომ უთხ-

რა, რომ ჩემი ძმა არისო, ბოდიში მოიხადეს და გავნიძესაც დაანებეს.

თედო ცხოვრების კარგი მცოდნე იყო. როდესაც სრულში ვინმე იყრებოდნენ, ძმები იქნებოდნენ ისინი, თუ მამა-შვილნი, უმკველად თედო უნდა მიეწვიათ მედიატორედ და, როგორც ის გაუ-ნაწილებდა მათ სარჩო-საზადებელს, ხმის ამომღები აღარავან იყო

თავისუფალ დროს თედო შეუდგებოდა ხოლმე წერას. წერდა მოთხრობებს და ლექსებს, რომლებსაც მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში აბეჭდვინებდა. ისე ჟურნალი „ჯეჯილი“ არ გამოვიდოდა, რომ თედოსი არაფერი ყოფილიყო შიგ დაბეჭდილი. თედომ თავის შეგროვილი ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, შელოცვანი და სხვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა, რისთვისაც ის საპატიო წევრად მიიღეს.

თედო როგორი მუსიკითი იყო ამ ფოლკლორის შეკრებაში, იქიდან ჩანს, რომ თევზაობის დროს, როდესაც ჩვენ, ძმები, არაგვზე წავიდოდით, მთიდან გზად მომავალ ხევსურს დააყენებდა და არ მოეშვებოდა, გიდრე რამდენიმე ლექსს არ ათქმევინებდა და არ ჩაიწერდა. ლექსებს იწერდა ქორწილებსა და დღეობებშიც, როდესაც ხალხი ღრეობდა და ლექსაობდა. ჩვენთან მოსულ სტუმარს ხომ არ მიეშვებოდა, სანამ ლექსებს არ ათქმევინებდა, და, თუ ლამის გასათვებადაც ჩვენსა დარჩებოდა, ზღაპრებს ამბობინებდა.

1893 წელს აგვისტოში მე და თედო ფშავიდან ქართლში, სოფ. ხელთუბანში წამოვედით ცხენებით. ქ. დუშეთსა და ტირიფონის ველზე მოგვიხდა გამოვლა. გზაში წყალი მოგვწყურდა. ერთი სოფლის მახლობლად გამოდიოდა წყარო, რომლის წყალი იქვე დადგმულ ხის ნაეში ჩადიოდა. დალილებმა ეს წყალი დავლიეთ და გზა გავაგრძელეთ. კარგად დაღამებული იყო, როდესაც ხელთუბანში მივედით. ჩვენი მისვლა და ლოგინში ჩავარდნა ერთი იყო. დაგვაწყებინა ციებ-ცხელება და ერთი თვის განმავლობაში სულ ლოგინად ვიყავით ჩავარდნილნი. ბოლოს, როგორც იყო, წამლების შემწეობითა და კარგი მოვლით ორივე კარგად გავხდით; მაშინვე წამოვედით თბილისში, საიდანაც თელავში უნდა წავსულიყავ, რადგან იმ დროს იქა ვსწავლობდი და ერთი თვე დავიგვიანე. მაშინ თბილისიდან, როგორც თელავში, ისე სიღნაღში დილიჯნები დადიოდა. ჯერ რკინისგზა არ იყო გაყვანილი. მე და თედო გამოვეთხოვეთ ერთმანეთს: მე თელავში წავედი, თედო კიდევ უკან დაბ-

რუნდა. წასვლის დროს ორივეს ცრემლი მოგვივიდა თვალებში.  
თედო მეტად მოყვარული იყო ძმებისა.

ამაზე აქვს თედოს დაწერილი შემდეგი ლექსი:

შორს წახულ ძმას

ვაჰმე, გაგშორდი და გული  
რარიგად მემწუხარება;  
შორს გზავნის, გული მიტირის,  
თვალები მიწყლიანდება,  
ათასი ფიქრი და დარდი  
ცხელს გულში მიტრიალდება.  
ვინ იცის, რამდენს ვიფიქრებ,  
სიკვდილიც მიმაგონდება,  
რომ მოვეცდე, შენი გულზედა  
ცრემლი არ დამაგორდება,  
ამის მაგივრად ცივ საფლავს  
ცივი ქვა მოაგორდება.  
თუ მოვეცდე დაწუხებულდი,  
დაწუხებულმა მიტირე.  
ეს გულიც ქვეყნის ჭირითა  
ცეცხლმოდებულდი საკირე.—  
იქნება ვინმე გამოგყვეს  
მოხარედ, ისიც აღირე.  
მაგრამ თუ ღმერთმა გვაცოცხლა  
მანამდე ჩვენი ძმებითა,  
ვით მაკაბელნი ბრძოლაში,  
გაეწყდებით ხელში ზმლებითა  
და სამოთხის კაოს წაედგებით,  
ვით ანგელოზნი ფრთებითა.

თ. რაზიკაშვილი.

1893 წ.

1905 წელს მთელ რუსეთს და აგრეთვე საქართველოსაც რევოლუტია მოედო: დაიწყო გაფიცვები, აიშალნენ წითელ რაზმელები, რის საწინააღმდეგოდაც თავად-აზნაურობამ შექქმნა ეგრედწოდებული შავი რაზმი, რომელიც რევოლუციონერებს იჭერდა და პასუხისგებაში აძლევდა. ასე მაგ.:

შავრაზმელმა ბაბალკა თუმანოვმა \*) სოფ. ხელთუბანში, მგონი, ერთი ასეული კაზაკები ჩააყენებინა ამ რევოლუციონერების საწინააღმდეგოდ.

\*) ბაბალკა თუმანოვი იყო ხელთუბნელი თავადის, პოლკოვნიკ დავით თუმანოვის, უფროსი ქალი, რომელსაც ქალების ინსტიტუტა ჰქონდა გათავებული.



მე მაშინ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ვმსახურობდი და გაფრთხილებული ვიყავი, ამიტომ დროებით თედოსთან წავედი. ერთს საღამოს, მგონი, 12 სექტემბერს ბაბალკას დაბეზღებით თედო და მე დავივიჭირეს. დაიჭირეს, აგრეთვე, თედოს ქვისლი გაგნიძეც და ერთი კიდევ სხვა იქაური გლეხი სტეფანაშვილი. კაზაკების პოლკოვნიკის დაკითხვის შემდეგ მე კი გამანათავისუფლეს, ხოლო თედო და სხვა დანარჩენები თბილისში გაგზავნეს. თედოსათვის გადაეწყო ტათ საშუღამო გადასახლება ოლონეცკის გუბერნიასში. იგი სხვებთან ერთად გაგზავნეს კიდევც. მის რუსეთში გამგზავრებამდე, თედოს ვუყუდე თბილი ტანისამოსი და პალტოზე ლილეების მაგივრად შავ მატერიაში შეკერილი ოქროს თუმნიანები დავაკრებინე. უფრო ვერავინ მიხვდებოდა, რომ ის ლილეები კი არა, ოქროები იყო, და მივუტანეთ მე და ჩვენმა მეგობარმა შიო მღვიმელმა ბარათთან ერთად, რომელშიაც ვწერდი, რომ ეს „ლილეები“ გაჭირვების დროს მოეხმარა; მაგრამ კოზლოვში მისულ თედოს 17 ოქტომბრის მანიფესტმა მიუსწრო და იქიდანვე უკან დააბრუნეს.

რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო რეაქცია და თედოც მოიკითხეს, მაგრამ თედომ და მისმა ქვისლმა გაგნიძემ თავს უშველეს: ფშავში გაიქცნენ ვაჟისთან და ბაჩანასთან. იქ იმათ ერთ წელიწადზე მეტი დაჰყვეს, აღმინისტრაციამ რომ ველარ ჩაიგდო ხელში თედო, ყაზახებმა დაუშინეს მის სახლს ზარბაზნები, მოუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. მაშინდელი ნასროლი ყუმბარები ეხლაც კი შიგ სახლის კედლებშია დარჩენილი.

თედოს მანაც რა დააყენებდა ფშავში უსაქმოდ. ჩვენი სახლის გარშემო გაეკეთებინა მრავალი ნამყენი. ბაჩანას სახლის გარშემოც შემოველო დიდი ყორეს ღობე და იქაც გაეკეთებინა მრავალი ნამყენი, რომელიც ამჟამადაც იმ მთა აღვილას მშვენივრადა ხარობს და მრავალ ნაყოფსაც იძლევა. ამავე დროს, რასაკვირველია, შეჭკრიბა მან კიდევ მრავალი ფოლკლორული მასალა და დაწერა საკუთარი მოთხრობები.

იმ ხანად გორის მაზრაში ელიზბარ გუგუშვილი დანიშნეს მაზრის უფროსად, რომელიც ჩვენი ოჯახის კარგი ნაცნობი იყო. იმან მთელი მიწერ-მოწერა თედოს შესახებ სულ მოსპო და თედოსაც საშუალება მიეცა ხელთუბანში დაბრუნებულიყო.

ვიდრე თედო ფშავში გაიქცეოდა, მას ასეთი რამ შეემთხვა: თურმე ერთ დღეს იგი ჩვეულებისამებრ მუშაობს, უცბად თედოს

ორი კახაკი მიადგა კარებზე და უთხრა: შენს დასაქერად ვაპირებ  
გამოგზავნილები და გაშორდი აქაურობას, ჩვენ შენ არ დაგიჭერ-  
თო. თედოს, რასაკვირველია, მათთვის დაეღევივინებინა არაყი, მიე-  
ცა ერთი ოქრო და ამის შემდეგ წასულიყო ფშავში.

თედო რაკი დაუბრუნდა თავის აოხრებულ სახლ-კარს, გული  
არ ვაიტება და თავის მომპირნეობითა და შრომით კიდევ გადაა-  
კეთა ეს გადამწვარი სახლ-კარი.

მე რაკი თბილისში ვცხოვრობდი და აქა ვმსახურობდი,  
ჩემი ძმები სულ ჩემთან იყვნენ; ვაჟა ხომ ჩემი ხშირი სტუმარი  
იყო. ის მთელი ზამთრობით ჩამოვიდოდა თბილისში და სულ ჩემ-  
თან ცხოვრობდა. როდესაც თედო გაიგებდა ვაჟას ჩემთან ყოფნას,  
მაშინვე ისიც თბილისში გაჩნდებოდა. მოხდებოდა ისეც: ვაჟაც და  
ბაჩანაც ორივენი აქ დაჰხვდებოდნენ და მაშინ გენახათ მისი სიხა-  
რული. თედო ძმებს ხელთუბანში მიიპატივებდა ხოლმე სტუმრად,  
მაგრამ ისინი უარს ეუბნებოდნენ, ზოგჯერ კი ხათრს არ გაუტეხ-  
დნენ და ეწვეოდნენ მას. მე რაკი თედოს ახლო ვიყავი, უფრო  
ხშირად მივდიოდი ხელთუბანში.

მე და თედოს ხშირი მიმოწერა გვქონდა. მის წერილებს შო-  
რის ერთი ლექსი აღმოჩნდა. აი, ეს ლექსი:

**პახუხად**

გონაცვლს, დაღონებულს  
ძმაო, შენი ძმის თვალები.  
ვაჰმე, რომ შაჩვენებულმა  
ქაჯმ ჩაგვიდა ბრძკვალები  
და შენდა უნებურადა  
იმის ფერხულში გაები  
სჩივი, რომ შესაზარავმა  
ბნელმა მოიკვა მიდამო,  
გაკირდა უღლის ტარება,  
დამძიპდა, გერა ეხიდავო,  
ხელში ნაკერი სანთელი  
გააქრო ქარის ქროლამა.  
წაიღო ჯანი და ღონე  
ამდენი ბნელთან ბრძოლამა,  
ამდენმა უსასობამ,  
იმედის აღარ ქონამა.  
ჩემს წინაც, ძმაო, სისხლისა  
ტრიალებს შავი მორევი,

მინდა როგორმე დავაშრო,  
მკლავი ვერ გავუწოროფი.  
ჩემს თავზე შეჩვენებული  
აბრუნებს ცეცხლის კალოსა,  
ამირანივით დამაბა,  
ჯაკეტს ახვევს რკინის პალოსა.  
მაგრამ მოგიკვდე, თუ გულმა  
მის ბატონობა იწამოს.  
აზრი ხომ აზრად დარჩება,  
ღეში იგვემოს, იწამოს.  
არ შედრკე, ეშმაკეული  
მალე მაიკამს ბოლოსა  
და ისევ ტკბილად დაგმღერებთ  
ჩვენსავე საქაროველოსა.

თ. რაზიკაშვილი.

1892 წ.

სხვათაშორის, თედოს ერთი წერილი ვიპოვე, რომლის ჩაწერაც მგონი ურიგო არ იქნება. რომელ წელშია მოწერილი არა სჩანს, მარტო თვის რიცხვია „13 მარტი“. იმ დროს ჯერ კიდევ ვსწავლობდი.

აი ეს წერილი:

ძმაო სანდრო!

მოგილოცავ მომავალს აღფრთხვას, მრავალს დაესწარ მშვიდობა-სიხარულით. შენ მომწერე წერილი და მე კი ვერ მოგწერე დღესნამდე. რვა ან თვეს აქ ლუკა ამოვიდა. საშობაოდ ქალაქში ყოფილიყო და ოც იანვრამდე მანდ დარჩენილიყო. რო გეკითხა, ჰნ ხავდი ქალაქში, თვალის აპერაცია გაეკეთებინა და დობტურთან ექპარებოდა. მეც გ ვევე ქალაქში. რაც შენ „ჯეჯილისათვის“ გაგატანე, ეხლა ღა მიეღოთ, როცა „ჯეჯილის“ № 13 დაბეჭდილიც იყო. იმითმ არც შენი ახსნა იყო დ. ბეჭდილი და არც ჩემი ლექსი. ფულს მაძლევენ „კვალიდამაც“. ერთი პატარა პოემა ჩაეუტანე და აკაკის ისე მოეწონა და [შემაქო], რომ კინალამ სირცხვილით გამოვიპარე. ფულს არა ვთხოვდი, ძალათი დამინიშნეს. [ფული] „ივერიაშვილ“ დამინიშნა: ლექსში, დიდია თუ პატარა, უნდა შაური მაძლიონ. წინათ ლექსი ორი კაპეიკი იყო. შარშან სამი, წელს კი ხუთს მაძლევენ პროზაში ორ კაპეიკს, რაკი არაფერი მიწერია პროზა; ლუკას საქმეც კარგად არის, თვეში თცდა ხუთი მანეთი გაუჩინეს, თუნდა დასწეროს თუნდა არა. ეხლა აღარა უშავს, რალა მოგწერო. მოიწერე, გამოგიგზავნა ვინმე რამე, თუ არა. თუ არავინ რას გამოგიგზავნის, ისევ მე გაუსწორდები შენს სახლის პატრონს, ლიხას. ლუკა მაძლედა შენთვის გამოსაგზავნად ხუთ მანეთს, მაგრამ ისევ შემოეხარჯა. აქაური ამბები ეს არის: ქალი გვყავს, შენი რძალი კარგად არის, მშვიდობიანადა ვართ. შენი უნახველობის მეტი არა გვაწუხებს რა. სახა-



ფხვლოდ გელით. მოკიკითხა ყველამ. ნახვამდის. შენი სიკვდილამდე ერთგულნი  
ძმა თ. რაზიკაშვილი. [1893], 13 მარტი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მშობლების სიკვდილის შემდეგ ისევე ვსწავლობდი და ორი თუ სამი წელიწადი კიდევ მაკლდა, რომ დამემთავრებინა იგი და სადმე შევსულიყავი სამსახურში, რომ ერთი ლუკმა პური მქონოდა. ამ სამი წლის განმავლობაში თითქმის სულ თედომ შემინახა. ის ყოველ თვიურად მიგზავნიდა, როგორც სახლის პატრონისათვის, ისე ტანსაცმელ-ფეხსაცმელებისათვის. იმ დროს ვაგა და ბაჩანა ხელმოკლედ იყვნენ. თავიანთ ცოლ-შვილისათვის ვერ მოევლოთ და მე აბა იმდენს რას გამომიგზავნიდნენ. ხანდახან, რაც შეეძლო, იმას მიგზავნიდნენ.

მენშევიკების მთავრობის დროს, თედომ კოტე ისაკის-ძე თუმანოვი ხელთუბნის კოოპერატივის გამგედ და ამავე დროს სოფლის საბჭოში მწერლად მიაღებინა. კოტე თუმანოვი ხელთუბნელი იყო, აქ ერთი პატარა ოთახი ჰქონდა და ხანდახან ზაფხულობით მოდიოდა. წინათ ის თბილისის ტელეგრაფში მსახურობდა ჩინოვნიკად, ხოლო იმ დროს დათხოვნილი იყო და უსაქმოდ დადიოდა, სანამ თედომ ადგილი არ უშოვნა; მაგრამ ეს ვაჟბატონი მაღლობის მაგივრად თედოს მტრად გადაექცა, დაუმეგობრდა თავის ბიძაშვილ ბაბალკა თუმანოვს და თედოს საწინააღმდეგო ინტრიგებს მიჰყო ხელი, რადგანაც თედო ამ კოტეს კონტროლს უწყევდა...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ადგილობრივი დაშნაკელები დაფაცურდნენ. არტემა ფალელაშვილმა, იქაურივე მდიდარი გლეხის შვილმა, რევკომში თავმჯდომარედ მოიკაღათა, ხოლო ამან თავისთან მილიციონერებად მოაწყო თავისი ბიძაშვილები რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ ბაბალკა და კოტე თუმანოვებთან. ამ ნაძირალებმა შემოიკრიბეს თავიანთი დამქაშებები და მიჰყვეს ხელი ქურდობას: არ დაზოგეს ქვრივ-ობლები, მდიდარი და ღარიბი; იპირავდნენ, რაც მოხვდებოდათ: ღვინო-არაყი, ქათამინდოური, თხა-ცხვარი და სხვ. აბა, თედოს უფრო რას დაზოგავდნენ? მოჰპარეს იმასაც ხუთი ფუტკარი სკა, საიდანაც ამოიღეს თაფლი, ხოლო ცარიელი სკები იქვე ხევში გადაყარეს.

თედომ ბოროტმოქმედთა ვინაობა გაიგო და გააფრთხილა არტემა ფალელაშვილი, რომ ასეთი უმსგავსოება მოესპო, მაგრამ იმან ყურიც არ გაიბურტყა. მაშინ თედომ გორში მიჰმართა მილიციას, რომელმაც თუმანოვებთან ერთად ფალელაშვილების ბიძაშვი-



ლებიც გაბაწრა, მაგრამ არტემას შემწეობით ისინი მალე განთავსდნენ ვისუფლეს, რის შემდეგ ამ ნაძირალებმა ახლა ბაღში თივა დაწვეს თედოს და მოკვლასაც დაემუქრნენ.

1922 წელს, 19 იანვარს ერთ ხელთუბნელ გლეხს შვილის ნათლობა ჰქონდა. ნათლიად თედო მიეწვიათ; დაებატიენათ სხვათა შორის თედოს ქვისლი შაქრო გაგნიძეც. ნათლობაში ორივენი დამთვრალიყვნენ და, სახლში რომ დაბრუნებულყვნენ, გზაზე რევკომისაკენ აველოთ. რევკომიდან თურმე სანთლის შუქი გამოდიოდა. თედოს ეთქვა შაქროსათვის: „მოდი, რევკომში შევიდეთ, ბედნიერი დღეა, არტემასთან შევრიგდებიოთ“. მართლაც, რომ შესულიყვნენ, არტემა და თედო ერთმანეთს გადაპხვევოდნენ და ამით შერიგებულყვნენ. ამ დროს თურმე უკანა კარებიდან შემოცვივდნენ თოფებით არტემას ბიძაშვილები და თედოსათვის შეეძახნათ: „შენ დაგვაქერინე ხომ? გეგონა, ველარ გამოვიდოდით ციხიდანა?“ და ესროლათ თოფი, მაგრამ თედოს ასცდენოდა ტყვია. ნასვამ კაცს მეტი რაღა უნდოდა. იმასაც ეძრო რევოლვერი და მათთვის ესროლა. ერთი იმათგანი ფეხში დაჭრილიყო. არტემა შიშით მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო, რომელსაც (არტემას) თავისივე ბიძაშვილის ნასროლი ტყვია მოხვედროდა და მძიმედ დაჭრილიყო. თედო და გაგნიძე დაბრუნებულყვნენ თავიანთ სახლებში და დაეძინათ.

იმ ღამეს სოფელ მეჯვრისხევიდან, საიდანაც გზა გორისაკენ ხელთუბანზე მიდის, ვინმე მურადოვს, ფალელაშვილის ნათესავს, ტუსაღები მიჰყავდა გორში და რაკი შემოჰლამებოდა, ხელთუბანში გაჩერებულიყო ტუსაღებიანად. იქ მომხდარი ამბავის გაგებისთანავე წაეყვანა როგორც თავისი, ისე ადგილობრივი მილიციონერები და მძინარე თედო და მისი ქვისლი—გაგნიძე გაელვიძებინათ, ვითომც გორში წასაყვანად, როგორც კაცის მკვლელები; მაგრამ გორში წაყვანის მაგივრად თედო და გაგნიძე შეეყვანათ ერთ ბოსელში, რომელიც ბნელი ყოფილიყო. თურმე იქ ელოდებოდნენ ხანჯალ ამოღებული ფალელაშვილები, მისცვივნილიყვნენ ამ უიარაღოებს და სულ აეკაფათ, თედოსათვის 56 კრილობა მიეყენებინათ, რის შემდეგ იგი ტანჯვა-წანებაში გარდაცვლილიყო.

თედოს დაქერა რომ გაეგო იმის მეგობარს იქაურ გლეხს მიხა მერებაშვილს, მაშინვე გაქცეულიყო გორში ჩვენ დისწულ მიხა რაზიკაშვილთან და ეამბნა ყველაფერი და ეთქვა; „ჩქარა წადი, მიხა, თორემ თედოს ხეირს არ დააყრიანო“. მიხა მაშინვე გაქ-

ცეულიყო, მისულიყო იმ შუალამისას ხელთუბანში, მაგრამ თედოსთვის კი ველარ მიესწრო, გარდაცვლილიყო, ხოლო იმისი ქვისფერ თურმე ცოცხალმკვდარი ეგდო ბოსლის კარებზე. არტემა ფალე-ლაშვილი დაჭრილი წაეყვანათ გორში და ის იქ მომკვდარიყო, მომაკვდავს ეთქვა: „იქ თედო არაფერ შუაშია, ჩემმა ბიძაშვილმა ვანიამ მომკლა, იმისაგან ვარ დაჭრილი“.

აი ასე დაიღუპა არამზადების ხელით ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი, სამშობლოს უზომოდ მოყვარული, მხნე, მშრომელი, უშიშარი, ყოველ გაჭირვების დროს შეუდრეკელი და ნიჭიერი თედო.

თედო იქვე თავის ეზოში დაასაფლავეს.

ერთი თვის შემდეგ 19 თებერვალს, 1922 წელს საქ. მწერალთა კავშირის მიერ თედოს ნეშტი გადმოსვენებულ იქნა თბილისში და დასაფლავებული დიდუბის პანთეონში თავის ძმა ვაჟასთან ერთად (ვაჟა პირველად იქ იყო დასაფლავებული).

1936 წ.

შანდრო რაზიკაშვილი

## მ მ გ მ ნ ე ბ ე ბ ა რ ე ნ ა ზ ე

ჩემი ძმა ნიკო დაიბადა 1865 წელს ფშავში, სოფელ ჩარგალში. ის ვაჟა-ფშაველას 4 წლით პატარა იყო. პირველდაწყებითი სწავლა პატარა ნიკომ ჩარგალში მიიღო. სწავლასთან ერთად მას ჰგზავნიდნენ ხბორებში და ძროხაში.

ორი ოთახიდან ერთი მამაჩვენს ეკავა, მეორე კი ჩვენ გვეკუთნოდა. ჩვენს ოთახში ვინახავდით სარჩო-სანოვაცისა. შუა დარბაზში კერა იყო გამართული და ამ კერაზე ცეცხლის ასანთებად მთელ წიფლის მორს წავეუდებდით ხოლმე. ამ მორს მიფუწყობდით კიდევ სხვა შეშის ნაჩეხებს და დედაჩვენი ზედ მიაყუდებდა კეცებს პურის ჯამოსაცხობად. ამ დარბაზშივე ვაცხობდით პურს და ვაკეთებდით საკმელს (ხსნილში თუ დედა ჩვენი თავზე გვაყრიდა საკმელ-სასმელს, დიდმარხვაში კი გვამარხულებდა). დარბაზს კერში ამოჭრილი ჭკინდა კვამლის ასასვლელად და საკომლეს ქვევიდან კერისაკენ ჩამოკიდებული იყო რკინის საკიდელი, რაზედაც ქვაბებს ვკიდებდით საკმლის მოსახარშავად. მარხვა რომ წმინდად შეგვენახა და ცოტაოდენი შიშისა გვექონოდა, ამისათვის მალა კერში ჩამოჭიდებდნენ ნაცრით სავსე პარკს, რომელშიც შვიდი ფრთა იყო გარკობილი, ფი. იმდენი, რამდენი კვირაც აქვს დიდმარხვას. ყოველი კვირის გასვლისას თითო ფრთას აძრობდნენ, ვიდრე მთელი მარხვა არ გავიდოდა. ამ ნაცრიან პარკს ბობოლას ვეძახდით და ძალიანაც გვეშინოდა მისი (რა ვიცოდით, თუ ის ნაცრით სავსე პარკი იყო და სხვა არაფერი). დედაჩვენი იმ ბობოლას ჩვენს დაუნახავად ჩამოჭიდებდა ხოლმე.

ერთხელ თურმე დიდმარხვაში დედაჩვენი რძესა სდღევებს, იქვე კერის პირას პატარა ნიკო ზის, გაჭირვებული ნაცარში ფეხებს იქნევს და გაიძახის: „მაქამეთ, მაქამეთო“, დედაჩვენი კი ეუბნება: „თუ სტირი, თორემ აგე, მალა ჰხედავ ბობოლას, ჩამოვა და შეგკაპ-

სო. ის მაინც თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა კირვეულობას. ამ დროს თურმე ეს ბოლში მოტრიალუ ბობოლა ჩამოვარდა და ამ ბიჭს ზედ თავზედ დაეცა. „ეიჲმე, დედავ, მიშველეთო“, მორთო მან ღრიალი. — „დაიცა, დაიცა, ჩემო ბობოლავ, ნუ შესვამ, აღარ იტირებსო“, — მივარდნოდა დედაჩვენი, რომ პატარა მსუნავი დაეშოშმინებინა. „მას შემდეგ გამხსნილბამდე აღარ მოუკითხნია სამხსნილო საქმელი“, — იტყოდა ხოლმე დედა ჩვენი და სიცილითა გვბოცავდა.

ჩარგლის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიკო მამაჩვენს გორის საოსტატო სემინარიის მოსამზადებელ კლასში მიუღებინებია. სწორედ იმ დროს ვაეაც სემინარიაში სწავლობდა. ბოლოს ჩემი ძმა თედოც იქ მიაღებინეს. ნიკომ სემინარიაში ყოფნის დროსვე დაიწყო ლექსების წერა და დაირქვა „ბაჩანა“. ფშავში ბაჩანა ნიშნავს დაბალი ტანის კაცს. ამას გარდა ჩვენში ყოფილა ერთი განთქმული მთიბელი, რომელსაც ბაჩანას ეძახდნენ.

ბაჩანა სემინარიაში ყოფნის დროს დაუახლოვდა იქაურ მოწინავე რევოლუციონერ მოწაფეებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებულ ხელნაწერ ჟურნალ „რიტორაჲში“. ამ ჟურნალის პოეზიის ნაწილის ხელმძღვანელი ვაჟა ყოფილა, ხოლო მის გადამწერად ბაჩანა, რადგან მას მშვენიერი ხელი ჰქონდა. მე რომ სემინარიაში ყოფნის დროს მისი რვეულები მინახავს, პირდაპირ განცვიფრებაში მოვსულვარ. ბაჩანა მეტად, ნიჭიერი, შრომისმოყვარე და გულკეთილი კაცი იყო, მას არავისათვის არაფერი ჰშურდა და სხვის გულისათვის უკანახუნელ პერანგსაც ვაიხდიდა.

ჩვენი მშობლების სიცოცხლის დროს, ზაფხულობით ძმები ერთად თავს მოვიყრიდით, ჩვენს სახლში პირდაპირ ზეიმი იყო. მამაჩვენს თუ სადმე მოსამკელი ყანა ჰქონდა, ან მთებში გასათიბი ბალახი, სუყველაფერს ჩვენ ვაკეთებდით. ყველანი კარგი მომკელები და კარგი მთიბელები იყვნენ, მაგრამ ბაჩანა თითქმის ყველასა სჯობდა.

სალამობით მუშაობით დაღლილნი რომ ებრუნდებოდით სახლში, ლხინს და ცეკვას გავმართავდით ხოლმე. შემდეგ ვაეკეთებდით ხინკალს, რომელიც ფშავში პირველ საქმელად ითვლება; ყველა ძმები მსროლვლები იყვნენ. კვირაობით გამოიტანდნენ თოფებს და სროლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ჩვენი სახლის პირდაპირ ბექ-



ში ნიშანს დაედგამდით და ესროდნენ. რაკი გაიგებდნენ თოქტეს სროლას ჩვენი ბიძაშვილები და დანარჩენი სოფლის ახალგაზრდობა, მაშინვე ჩვენსა გაჩნდებოდნენ და ისინიც ამ თოფის სროლაში მონაწილეობას ლებულობდნენ. თოფები „ბერდანკები“ ჰქონდათ. ეაზნებს თვითონ ამზადებდნენ, ტყვიის ჩამოსასხმელი ყალიბიცა ჰქონდათ. სროლის შემდეგ, მოჰყვებოდნენ წიგნების კითხვას, უფრო კი „ვეფხისტყაოსნისას“ და ამ ლექსს ფანდურზე დაამღერდნენ. (საერთოდ ფშავში საგმირო ლექსები ძალიან უყვართ. ალტაცებით კითხულობენ როგორც ვაჟას, ისე ბაჩანას ლექსებს).

სემინარიის დამთავრების შემდეგ, ე. ი. 1885 წ. ის დანიშნული იქნა მასწავლებლად კახეთში, სოფელ ვეჯინში, სადაც მან ადგილობრივ გლეხებს შორის დიდი პატრივისცემა მოიპოვა. თავისი მოწაფეები აღმერთებდნენ მას. საერთოდ, ბაჩანა დიდი პატრიოტი იყო, როგორც დანარჩენი თავისი ძმები, და მოწაფეებსაც სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ბაჩანა არ უყვარდათ მხოლოდ ზოგიერთ იქაურ თავადიშვილებს, რადგანაც ის პირში მთქმელი კაცი იყო და ანხელდა მათ ფუქსავატურ ცხოვრებას და უსაქმურობას. ვეჯინის სკოლის ნზრუნველი მიხაკო ანდრონიკაშვილი და ნაოფიცრალი სოსო აბაშიძე ბაჩანას უტყუროდნენ, როგორც მთის კაცს. მათი შეხედულებით მთიელს მათთვის ჰქუა როგორ უნდა ესწავლებინა. ბაჩანას რადგან მკლავიც ძალიან უჭრიდა და კალამიც, მათ ცოტა ამისი ეშინოდათ, თორემ ცოცხალს არ გაუშვებდნენ. სოსო აბაშიძე თითქოს პირველად დაუმეგობრდა მას, მაგრამ ბოლოს ბაჩანას დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა. მიხაკო ანდრონიკაშვილი თურმე „დანოსებს“ ჰგზავნიდა მასზედ სახალხო სკოლების დირექტორში და აბეზლებდა მაშინდელ დირექტორ დარსკისთან.

ერთხელ ვეჯინში, გლეხი ჩიტოშვილის ქორწილზე ბაჩანაც ყოფილა დაპატიებული. თამადა როდესაც ბაჩანასთან თეფშზე დადგმულ ღვინით საესე ჭიქას გადავიდა და ბაჩანაც მიეწოდა გამოსართმევად, სწორედ ამ დროს უკანიდან იელვა სოსო აბაშიძის პრიალა ხანჯალმა და ბაჩანას მარცხენა მხარში მოხვდა. ბაჩანა ჯერ ვერ გაერკვა, თუ რა ხდებოდა, მაგრამ როდესაც კრილობიდან სისხლმა იფეთქა და ზედ სუფრაზედ გადმოასხა, მიხვდა საქმე რაში იყო. მან მაშინვე დადგა სუფრაზე ჭიქებით საესე თეფში, წამოხტა ზეზე, იძრო ხანჯალი, მაგრამ აბაშიძე გაიქცა, მან თავს უშველა. ატყდა ერთი ალიაქოთი. კრილობა დიდი აღმოჩნდა,

ერთ მტკაველზე მეტი იყო. მაშინვე დაუძახეს იქაურ ექიმს და, რომარცინუნული გორც იყო, შეუხვიეს.

საერთოდ ჩემი ძმები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მასწავლებლები იყვნენ და ევროპული ტანისამოსი უნდა სცმოდათ, ყოველთვის ჩოხა-ახალუხით დადიოდნენ. ბაჩანასაც ჩოხა-ახალუხი ეცვა და ზედ ერთი დიდი, ოქროთი დაზარნიშებული ხანჯალი ეკიდა. ეს ხანჯალი მისთვის მის მეგობარს აბელიშვილს ესახსოვრნა. ხანჯალი შამილის ნაქონი ყოფილა, რომელზედაც ოქროს ასოებით ამოჭრილია არაბულ ენაზე „შამილი“. ამჟამად ეს ხანჯალი ბაჩანას შეიღების ხელშია.

ინციდენტის მეორე დღეს, გათენებისას, სოსო აბაშიძემ გამოგზავნა შუაეკი 200 მანეთით და ბაჩანას პატიებას სთხოვდა. ბაჩანამ ის 200 მანეთი უკანვე გაუგზავნა და შეუთვალა, რომ ის თავის სისხლს ფულზე არ ჰყიდის და აფრთხილებდა, რომ წინ არსად შეჰხვედროდა. ბოლოს საქმე სასამართლოს გადაეცა, მაგრამ ბაჩანამ აპატია აბაშიძეს.

როდესაც ბაჩანა კარგად გახდა და წყლული მოურჩა, ყოველსალამობით ავიდოდა გორაზე, რომელიც აბაშიძის სახლს დასცქეროდა, და იქიდან ნიშანში თოფს ესროდა ხოლმე. საცოდავ აბაშიძეს კი ეგონა, მე ხომ არ მესერისო, და იმალებოდა. მაინც არ შერჩა აბაშიძეს სისხლი: ის პრისტავად ყოფნის დროს ბორჩალოში თათრებმა მოჰკლეს.

ერთ წელიწადს მე და დედაჩვენსაც მოგვიხდა ბაჩანასთან ყოფნა, სადაც ჩვენი დისწული მიხაც იყო. ორივეს ის გვამზადებდა. ზამთრობით ხშირად ეწვეოდენ ხოლმე ფშავიდან ჩამოსული ვაჟა, ჩვენი ბიძაშვილები და, აგრეთვე, ჩვენი უფროსი ძმა გიორგი. ისინი მაშინვე სანადიროდ წავიდოდნენ ხოლმე ალაზანს ვალმა ყაიშანში; საიდანაც ხელცარიელნი არ მოდიოდნენ. ერთხელ ორი ირემი ნოჰკლეს და ხორცი სულ მეზობლებს დაურთგეს.

ბაჩანას, რასაკვირველია, სემინარიაში მიღებული სწავლა არ აკმაყოფილებდა და სულით და გულით უნდოდა სწავლის გაგრძელება უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად მაინც, მაგრამ უსახსრობის გამო უმალღესი სწავლის მიღება ვერ მოახერხა (ცნობილია, რომ მან სწავლის გაგრძელების სურვილი გამოხატა თავის ლექსში: „ელეგია“, რომელიც სემინარიაში ყოფნის დროსა აქვს დაწერილი).

ბაჩანა მკერმეტყველი კაცი იყო. ის, როდესაც რაიმე საგანზე

ლაპარაკობდა. ან ლექსს კითხულობდა, ისწენენლი ალტაცებაში  
ყავდა; როგორც მასწავლებელი, ბაჩანა ხომ შეუდარებელი იყო.  
რაც გინდა ჩამორჩენილი მოწაფე ჰყოლოდა, ის ისე აუხსნიდა და  
ისე შეაგნებინებდა გაკვეთილს, რომ მოწაფეს თავის დღეში აღარ  
დაავიწყდებოდა. მაგრამ სკოლის მზრუნველმა მიხაკო ანდრონიკა-  
შვილმა იმდენი აბეზლა ბაჩანა დირექტორში, რომ მაშინდელმა დირექ-  
ტორმა დარსკიმ ის, როგორც უვარგისი მასწავლებელი, სასწავლე-  
ბლიდან დაითხოვა. ამის შემდეგ ბაჩანა იძულებული გახდა სახლში  
დაბრუნებულიყო, ვიდრე სხვაგან სადმე გამოუჩნდებოდა მასწავლებ-  
ლის ადგილი. სწავლის გაგრძელებაზეც იმედი გაუცრუვდა და  
მხოლოდ ლექსების წერას განაგრძობდა.

სწორედ იმ დროს, ხევსურეთში სოფელ ბარისახოში ქრისტიან-  
ობის აღმადგენელმა საზოგადოებამ სკოლა გახსნა. მსგავსი სკო-  
ლები სხვა ადგილებშიაც გაიხსნა. ამ დროს ჩემს ძმა თედოსაც გა-  
თავებული ჰქონდა სემინარია და უადგილოდ იყო. ქრისტიანობის  
აღმადგენელი საზოგადოების მეთვალყურემ, არქიმანდრიტმა ლეონი-  
დიმა ბარისახოს სკოლის მასწავლებლობა თედოს შეაძლია, მაგრამ  
თედომ ამაზედ უარი უთხრა და სთხოვა ეს ადგილი ბაჩანასათვის  
მიეცათ. ლეონიდიც სიამოვნებით დასთანხმდა. ბაჩანა დანიშნეს  
ბარისახოს სკოლის მასწავლებლად. ეს სკოლა ხევსურეთში პირვე-  
ლი იყო და ჩემი ძმაც—მისი პირველი მასწავლებელი.

ბაჩანამ ცოლად შეირთო ფშავლის ქალი მარიამ გურასპაული,  
თავისი წაწალი, და ამით მან პირველმა დაარღვია თემის ადამი,  
რომელიც უკრძალავდა ყველას თავის თემის ქალის შერთვას, არამც-  
თუ თავის სოფლისას.

ხევსურეთში ბაჩანას პირველად დიდი ბრძოლა დასჭირდა მოწა-  
ფეების მისაზიდად, რადგან ხევსურები სწავლის წინააღმდეგი იყვნენ.  
ბაჩანამ მაინც თავისი გაიტანა. იმან ისე შეაყვარა მოწაფეებს სწავ-  
ლა, რომ სულ იმის მზესა ფიცულობდნენ. დაუახლოვდნენ თვით  
ხევსურებიც, რადგან ბაჩანა მათ უხსნიდა სწავლა-განათლების სა-  
ჭიროებასა და სარგებლობას. ვისაც კი რაიმე გასაკირი ჰქონდა, ან  
დასაწერი თხოვნა-არზები, ბაჩანა მათ სულ უფასოდ უკეთებდა და  
ეხმარებოდა.

ბაჩანამ სკოლის გარშემო დიდი ადგილი 'შემოლობა' და შიგ  
დარგო სხვადასხვა ხეხილი. დათესა კომპოსტო, კარტოფილი, ლო-

ბიო, კიტრი და სხვა მწვანელიერობა, რაც ხევესურეთში თვალზე  
თაც არ ენახათ, და კარგი მოსავეალიც მოდიოდა...

მამაჩემს დიაკვნადა ჰყავდა ონისიმე მოსაშვილი, ქიზიყელი,  
სოფელ ვაჭირიდან. ონისიმემ დიაკვნობის დროს ჩემი ბიძაშვილი  
შეირთო ცოლად და, ამგვარად, დაგვისიძევედა. ის ზორბა კაცი  
იყო და ღონიერი. მან მამაჩემის ხელში მთავარ-დიაკვნობა მიიღო,  
ხოლო მამაჩემის სიკვდილის შემდეგ იქვე მღვდლად დანიშნეს.

ერთხელ ჩვენი ეკლესიის ეზოში, სადაც მშვენიერი მწვანეა და  
ცაცხვის ხეები დგას, ისხდნენ და ქეიფობდნენ ვაჟა, ბაჩანა, ონისი-  
მე და სხვა ჩვენივე სოფლელი ფშაველები. ქეიფის დროს ბევრი  
იმღერეს, ილექსეს და ლაპარაკი ჩამოაგდეს ქიდაობაზე, თუ ვინ რა  
ფანდები იცოდა. ერთი სიტყვით, კვებნის კორიანტელი დააყენეს,  
ეს კი ცხადი იყო, რომ ვაჟა და ბაჩანა კარგი მოჭიდავეები იყვნენ.  
ცოტა რომ შექეიფიანდნენ, ჩვენი სიძე ონისიმე ეუბნება ბაჩანას  
(ერთობოდა ვაჟას ვერ შეჰბედა): „აბა შენ თუ კარგი კისრული იცი,  
მე დამეკრიდე და მაშინ ენახავ, რა მოჭიდავეცა ხარო.“ — „მო-  
ბრძანდი, — უთხრა ბაჩანამ — და კი არ გეწყინოს, თუ რაიმე ფათე-  
რაკი შეგემთხვასო“. ონისიმეს სიცილად არ ეყო ეს სიტყვები და  
ეცა კიდეც ბაჩანას. ხელი მოჰკიდა თუ არა ბაჩანამ, მაშინვე მოიგ-  
დო კისრულზე და დაიწყო ონისიმეს ანაფორამ ჰაერში ფრიალი  
და ეს ამოდენა უზარმაზარი კაცი ისე გაიშხლართა მწვანეზე, იტყო-  
დით, მეხი თუ დაეცა აქაურობას ზეციდამაო.

— „აი, ახლა კი ნამდვილად მიიღებ მღვდლობას, მამაო ონი-  
სიმეო“ — ვილაკებ წამოიძახა (მაშინ ონისიმე მთავარ-დიაკვნად იყო).  
ამ ამბავზე ბევრი იტინეს, მოჭიდავენიც წამოდგნენ და ერთმანეთი  
გადაჰკოცნეს, მაგრამ მას შემდეგ ეს ჩვენი მოჭიდავე სიძე-კაცი,  
მგონი, ორი კვირა იწვა ლოგინში, ისე ჰქონდა გვერდები და ზურ-  
გი დატეხილი.

ბაჩანა ძალიან დაწვრილშვილდა. ხევესურეთში უფროსი შვილი  
მოუკვდა და ამან დიდი გავლენა იქონია მასზედ. ბაჩანა დიდი მო-  
ყვარული იყო თავის ცოლ-შვილის.

თბილისში სამსახურში ყოფნით, ცოტად თუ ბევრად, ხელი  
შევუწყე ჩემს ძმებს იმაში, რომ მათი შვილები ჩემთან იყვნენ და მე  
ვინახავდი. ბაჩანას შვილები თითქმის ყველანი ჩემთან იყვნენ. ბა-  
ჩანა იმდროს ხელმოკლედ იყო და დახმარება ესაჭიროებოდა. ვა-





ქას პირველი ვაჟი ლევანი და ბაჩანას შვილი პავლე ქართულ საზოგადოებაში თავად-აზნაურო გიმნაზიაში იყვნენ და ორივენი კარგადა სწავლობდნენ. ერთ წელწადს პავლემ ცოტა ზარმაცობა დაიწყო. დიდიდან წასული ნაშუადღევს ბრუნდებოდა სახლში. ჩვენ გვეგონა, რომ ის გიმნაზიაში დადიოდა, თურმე კი სულ კოჭაობას თამაშობდა. ეს რასაკვირველია, მე არ ვიცოდი. როცა ვაჟა თბილისში ჩამოვიდოდა, ჩვეულებად ჰქონდა, აუცილებლად წასულიყო გიმნაზიაში, მასწავლებლები ენახნა და ეკითხნა, თუ როგორა სწავლობდნენ მისი შვილი და ძმისწული. ერთხელ მაშინდელი საზოგადოებაში გიმნაზიის დირექტორი ალ. მდივანი შეჭხვედროდა და ეთქვა, რომ შენმა ძმისწულმა ზარმაცობა დაიწყო და სწავლის ფული უნდა შემოიტანოსო. მანამ კი ისინი სწავლის ფულისაგან განთავსებულები იყვნენ. ვაჟას ეს ამბავი ძალიან წყენოდა და მეც ხომ მეწყინა და მეწყინა.

გორის მაზრაში რომ მიწისძვრა მოხდა, მაშინ ჩემ ძმა თედოსაც დაუნგრია სახლი ქართლში, სოფელ ხელთუბანში, სადაც ისა ცხოვრობდა. ეს ამბავი, როგორც მახსოვს, 1920 წელს მოხდა. იმ დროს ბაჩანას პენსიაც დაუნიშნეს და, რაც ფული ერგებოდა, მთლიანად გაუგზავნენ. თედოს სახლის დანგრევა რომ გაეგო ბაჩანას, ჰგონებოდა, ვულკანმა თუ სადმე ამოჭხეთქაო, და შეშინებული მწერდა:

ძმავ ხანჯრო.

შენი გამოგზავნილი წერილი და ფული დღეს მივიღე. „მინდობლობასაც“ გოგზავნი. ყოჩაღ ბიჭო, ძალიან ფიცხად მოჰქცეულხარ... ამ ოთხას თუმანს როგორ ჰგზავნი, ამას ჩემს ბალღებს აძლევენ? ერთდროულად მაძლევენ. თუ ყოველთვე უნდა გზავიან? ნახე იმედუაშვილი იოსები და უთხარი ჟურნალი აუტარი და ცხოვრება“ გამოგიგზავნოს. ნახე ივანე გომართელიც და გაიგე, ჰმამდავენ თუ არა ჩემს „სიხშირს“ და „საკოლოს მოტაცებას“ „ციხარტყელაში“. ზუ ჰმამდავენ, ჟურნალიც გამოგიგზავნი, —ადრესი ხომ იცი. სხვა როგორ გადურჩით იმ წყვეულ მიწისძვრას. რა ჰქნეს ან მიხამ, ან თედომ, ხომ არაფერი დაუზღუდათ? გულ მაქვს გახეთქილი... მაღე შევატყობინე და ისიც მომწერე სად, რა ადგილას ამოხეთქა ვულკანმა... რაერთი ხანია გახეთი აღარ მიმიღია... ჩემს რძალს მოკითხვა ყველასაგან ჩემის ხიზნისა.

შენი ძმა ნიკო რაზიკა. შვილი. 19.0 წ. 21-II.

ხევისურეთიდან ბაჩანა ფშავში სოფელ მალაროსკარში გადმოვიდა, სადაც მოაწყო თუ არა სკოლა თავისებურად. ცეცხლს გაუჩნდა და დაიწვა, რის გამოც კვლავ ჩარგალში დაბრუნდა. მალაროსკარში სკოლა მეორედ ააშენეს და ბაჩანაც ისევ იქ დაბრუნდა, სადაც



იმასწავლებლა 1917 წლამდე. ის ამ დროს მეტად წვრილშვიდობიანი იყო და ძალიან უჭირდა ცხოვრება, რის გამოც ქალაქ ღუშეთში გადავიდა და იქ იმასწავლებლა უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში (1918-1919 წ.წ.). შემდეგ ბაჩანა იძულებული გახდა ფშავში თავისი სახლ-კარი გაეყიდნა და გადასულიყო სიღნაღის შეიღწეულში, სადაც დაჰყო ერთი თუ ორი წელიწადი, საიდანაც კავშირი ჰქონდა შირაქთან. აქ ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას.

1921 წლიდან გულის ავადმყოფობის (ბრონხიტის) გამო აღარ უმსახურია მთელი ოთხი წლის განმავლობაში და მეურნეობას ეწეოდა შირაქში. მხოლოდ 1924 წელს ისევ დაიწყო მასწავლებლობა ბოდბის შეიღწეულში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვეღარ შესძლო სამსახური და სამუდამოდ შეინება თავი მასწავლებლობას. ამ ხნის განმავლობაში ბაჩანამ დასწერა ლექსად ერთი რომანი „წაწლობა“.

1924 წელს სექტემბერში ბაჩანა თბილისში იყო ჩამოსული და, რადგან ძალიან ეჩქარებოდა სოფელში დაბრუნება, შე დამიტოვა განცხადება ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიაში წარსადგენად. არ მახსოვს, რა მიზეზით დღემდე ჩემთან დარჩენილა ეს განცხადება, სადაც ბაჩანა სწერდა:

ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიას!

მე მივდივარ, მიგვიანდება, ჩემი ნაწარმოებნი „ღმერთები და სულა“ და პიესა „ბატონი და მოჯამაგირე“ დაბეჭდეთ თქვენს ჟურნალში: პირველი ნომერში ნომერში და მეორე დეკემბრის წიგნში. თუ ავანსი გქონდეთ გამოსაცხადენი, ჩენს ძმას აღუქსანდრე რაზიკაშვილს გადაეცით ჩემდა გამოსაცხადენად. ჟურნალი „მნათობი“ კიდე მიგზავნეთ ამიერიდან შემდეგი მისამართით: ქალაქი სიღნაღი, ბოდბის ტექნიკუმიან, ნიკო რაზიკაშვილს (ბაჩანას).

ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა).

1924 წ. 13-IX.

მგონი ამავე 1924 წელს, კარგად არ მახსოვს, ბაჩანას მეგობრის დავით პავლიაშვილის თაოსნობით ბაჩანას სალიტერატურო სალამო გაუმართეს ყოფილ ქართული თეატრის საზაფხულო ბაღში. სალამომ კარგად ჩაიარა. თვითონ ბაჩანამაც რამდენიმე საკუთარი ლექსი წაიკითხა, რამაც დიდი ტაში გამოიწვია.

ხევით ავლნიშნეთ ბაჩანას შირაქში გადასვლის შესახებ, მაგრამ მიზეზი ამ გადასვლისა კი არ მითქვამს. ბაჩანას ცოლის შერთვის შემდეგ ჩვენს მამისეულ სახლში აღარ უცხოვრია. იმან საკუთრად



აიშენა სახლი ჩარგლის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილში, რომელსაც აფხუშო ჰქვია და იქ დასახლდა. აქ სახნავი მიწებიც საკმაო ჰქონდა და სათიბიც. აფხუშოს მოუყრია თავი მთელი ჩარგლის მთებსა და კლდეებს, რომელნიც ბაჩანას სახლს დასცქეროდნენ. სწორედ პოეტური ადგილია. აფხუშოს შუაზე ჩამოუჩუხჩუხებს ცივი და კალმახიანი აფხუშურა. სწორედ ამ აფხუშოშია უძველესი ნაციხვარი, რომლის ლოდები და ლორღი-ლა დარჩენილა. აქვე ამოსულა თვალუწვდენელი იფნის ხეები, რომელთა შორის სალოცავია (ხატი), სადაც ახლაც იციან ხატობა. აქ ბევრჯელ დაუღვევით ლუდი დაჭურას\*) ნახური ჩაფხუტით როგორც ვეჯას, აგრეთვე ბაჩანას და თედოს.

სწორედ ამ ხატის იქით, ველზე ააშენა ბაჩანამ სახლი და იქა ცხოვრობდა თავის წერილ-შვილით, ეწეოდა სოფლის მეურნეობას და მესაქონლეობას, მაგრამ აქედამ ბევრი არაფერი გამოდიოდა და ცოლშვილს კი დიდი ხარჯი სჭირდებოდა.

ბევრჯელ მისულან მასთან აფხუშოს თბილისიდან და სხვა ადგილებიდან გაქცეული რევოლუციონერები და პროპაგანდისტები, რომელთაც ბაჩანა პატივსა სცემდა და ინახავდა. შირაქში რომ ვეჯამ ჩვენი მთიელები ჩაისახლა, ახალშენში მათ კარგად დაიწყეს ცხოვრება, რადგან შირაქის ველები დალიან-მოსავლიანია. ბაჩანასაც რაკი მთაში გაუჭირდა ცხოვრება, ადგა, მიჰყიდა-მოჰყიდა ყველაფერი, თუ აფხუშოს რამე სარჩო საბადებელი ჰქონდა, და ისიც შირაქში გადასახლდა, სადაც ხელი მიჰყო ხენათესვას და მესაქონლეობას. მაგრამ მთაში გაზრდილმა ვერ აიტანა იქაური ჰავა. ის მეტად მშრომელი კაცი იყო, ოფლიანი ადვილად ცივდებოდა და ავად ხდებოდა, რამაც სამუდამოდ გასტეხა ეს კლდესავით მაგარი კაცი და დაავადდა. რასაკვირველია, ავადმყოფი კაცი ველარ შესძლებდა მასწავლებლობას და ისიც ჩამოშორდა ამას.

ბაჩანას ძალიან ენატრებოდა, რომ თავისი ნაწერები სრულად მის სიცოცხლეშივე გამოცემულიყო, რის გამოც, როგორც მგონი, 1927 წელს, თუ უფრო ადრე, მან ეს ნაწერები სახელგამს გადასცა დასაბუქდალ. მაგრამ სახელგამმა მისი გამოცემა ვერ მოახერხა და ათი წლის შემდეგ მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციას“ გადავეცი. უკანასკნელმაც გამოსცა სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით.

\*) დაჭურა აფხუშოს გმირია, რომელმაც ლეკების ბელადი მოაქლა.



ველარ აიტანა ბაჩანამ ამდენი ჯაფა, ძალიან დაავადმყოფდეს და იძულებული გახდა თბილისში ჩამოსულიყო საექიმოდ. თბილისში ჯერ ჩემთან იყო, შემდეგ ექიმების რჩევით საავადმყოფოში დაწვა. ვხედავდი. მიდიოდნენ მასთან მისი ნაცნობები და მეგობრები. ვატყობდი ძალიან ცუდად იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა.

— „იცი, ძმაო სანდრო, როგორ მეშინიან ამ ოხერი სიკვდილისაო“, იტყოდა ხოლმე. მე კი ვუქარწყლებდი დარდს: შენ სასიკვდილო რა გაქვს, მალე მორჩები-თქო. მაგრამ სიკვდილმა თავისი გაიტანა და იგი 1928 წელს დეკემბრის 17-ში გარდაიცვალა. ბაჩანას დაკრძალვა მწერალთა კავშირმა იკისრა. მისი ცხედარი მწერალთა სასახლეში გადაასვენეს და იქიდან დიდუბის პანთეონში იქნა დაკრძალული თავის ძმების: ვაჟასა და თედოს საფლავებს ახლო. მისი ერთი ნატვრათაგანი შესრულდა: ია თავის ძმების გვერდით დასაფლავდა.

1936 წ.

## ბიოგრაფიული მასალა ვახვანგ ორბელიანის შესახებ

მარიამ ორბელიანი, პოეტის ვახტანგ ორბელიანის ასული (1852—1941), ქართულ არისტოკრატიულ წრეებში განათლებულ და ს. ზოგადო მოღვაწე ქალად ითვლებოდა. ასე: 1882 წლადან 1917 წლამდე იგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტში ჯერ თავმჯდომარის მოადგილის და შემდეგ თ. ვნჯჯღომარის მოვალეობას ასრულებდა. 1894—1901 წლებში იგი იყო თბილისის მასწავლებელთა და აღმზრდელთა საზოგადოების თავმჯდომარე, 1906 წელს მისი და თამარ დავითის-ასულ გრუზინსკიას მეთაურობით თბილისში დაარსდა დახარალებულ ხალხთა დამხმარე კომიტეტი ანუ შემოკლებით „დამწვართა კომიტეტი“, რომელიც არალეგალურ დახმარებას უწევდა რევოლუციონერებს, მათ დაობლებულ ოჯახებსა და ხანძრის განო გადატაცებულ გარულ გლეხებს.\*) 1912 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა ღარიბ მოწოდეთის უფასო სასაბუღო, რომელმაც 1917 წლამდე იარსება. 1917—18 წლებში იგი იყო ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წევრი, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იგი ეწეოდა სამთარგმნელო მოღვაწეობას. მისი თაოსნობითა და საფასურით არის გამოცემული პოეტ ვახტანგ ორბელიანის ლექსების სრული კრებული.\*\*)

მარიამ ორბელიანი გარდაიცვალა 1941 წელს ქ. თბილისში.

\* \* \*

მარიამ ორბელიანის „მოგონებანი“ დატულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის არქივში, № 5070/4. ტექსტი ხელნაწერის 16 გვერდამდე დაწერილია ქართულად, ხოლო 17-დან 129 გვერდის ჩათვლით—ფრანგულად. ფრანგული ტექსტის ქართული თარგმანი ლიტერატურული მუზეუმის დაგალებით შეასრულა თ. ს ა ხ ო კ ი ა მ.

„მოგონებანი“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში წარმოდგენილია მოგონება ვახტანგ ორბელიანზე, მეორეში კი მარიამ ორბელიანის პიროვნული ცხოვრება და მისი მოგზაურობანი. საერთოდ, მოგონებათა თხრობა ქრონოლოგიურად ვითარდება და ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალებით მთავრ-

\*) იხ. გ. ლახიძის—მეშარები, 1934 წ., გვ. 224, და ნ. ნაკაშიძის—„მოგონებანი“, 1946, გვ. 88 და შემდეგ.

\*\*) ვახტანგ ორბელიანი—ლექსები, 1894 წ.; ამ გამოცემის საზაადისის შესახებ რ. პ. უმიკაშვილის წერილი იონა მეუარგისადმი. „ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, 1947, ტ. I, გვ. 225.



დება, ე. ი. „მოგონებანი“ ფაქტიურად დაუსრულებელია. ამას თვით ავტორიც ამბობს: ჩემს მოგონებებს „არც თავი აქვს და არც ბოლო“-ო. როგორც ჩანს, ავტორი გულმოდგინეთ შეცდილა „მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ამბებზე აღნიშნა, რომელთა მოწმე თვითონ იყო“, მაგრამ ხელნაწერის დაკვირვებით გადაკითხვის შემდეგ არ შეიძლება ავტორს არ დავეთანხმოთ იმაშიც, რომ „ის წერას გაუტაცია და თავისდა შეუმჩნეველად ქალაღზე გადაუტანია თავისი ნაუქრ-ნაზრევის ნამეტნობა“. მართლაც, ზოგიერთ ადგილზე აშოიკითხავთ ისეთ მსჯელობებს, რომელთაც მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობა აქვთ. მოვუსმინოთ თვით ავტორს. „...ეს ჩანაწერები, სადაც ჩემი პირადი ცხოვრება მქონდა აღწერილი, დავბეი. კიტა აბაშიძემ მისაყვედურა ამათი დაბევა: — რაც უნდა უწინშენელო იყოს მოგონება, შეუძლებელია შიგ საინტერესო რამ არ ერიოსო. დამრჩა ზოგიერთი შთგანი, შეიძლება ამათში იყოს აღნიშნული ისეთი ფაქტები, რომელნიც ს.ერთოდ ქართველებისათვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენენ. მე ჩემს დღეში არ გ. აბაშიძეს ჩემი ნაწერი, რა. გა. აუ რასმე ვწერ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვისა ვწერ და მსურს, რაც გულში მაქვს, ქალაღზე გადავიტანო და აღნიშნო ის, რაც მომწონებია ან რასაც ჩემი ყურადღება მიუპყრია მოგონებების დროს“...

ამიტომ მარტამ ორბელიანის მოგონებებს ვბეჭდავთ შემოკლებითა და რამდენიმედ შესწორებული სახით. ტექტი მნიშვნელოვანია უმთავრესად, როგორც ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის, პოეტის ოჯახისა და მისი გარემოების შესწავლისათვის საჭირო მასალა.

- დაეურთეთ შესაფერი შენიშვნები.

რედაქცია

მარიამ მახტანაშვილის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი

## მ მ მ მ ნ ე ბ ა ნ ი

ავად ვარ, ვწვევარ და, როცა მარტო ვრჩები, ათასი მოგონება იღვიძებს ჩემს თავში. მაგონდება ჩემი გამდელი ქეთევანი. რომელმაც დიდი გავლენა იქონია ჩემს ხასიათზე, აზროვნებასა და გულზე. შემაყვარა ჩემი სამშობლო, ჩვენი წარსული.

ქეთევანი მეჯვრისხვეული გლეხის — გოგოლაშვილის ქალი იყო. იგი პატარა ჩამოუყვანია ბებიაჩემის, ბატონიშვილი თეკლეს,<sup>1)</sup> სასახლეში მის მსლებელ ქალს (ალარ მახსოვს, ვარდისახარს, ლომისახარს თუ სხვა „სახარს“). პირველ ხანებში ქეთევანი მამაჩემს უთვალთვალედა თამაშობის დროს. შემდეგ, მამამ რომ ცოლი შეერთო, იგი თავისთან გადმოიყვანა და მე ძუძუს მოშორების უმაღვე მას ჩამაბარეს აღსაზრდელად. რომ მოვიზარდე, იგი ბებიაჩემისა და მამაჩემის ცხოვრებიდან ბევრ რამეს მიამბობდა ხოლმე, მაგრამ სამწუხაროდ იმ ხანში — როცა ბავშვები მალე ივიწყებენ. მისგან გამიგია, რომ ბატონიშვილი თეკლე მის სამივე ვაჟიშვილს ძლიერ უყვარდათ და თანაც მათ მისი ეშინოდათ. ბებიის სიტყვა მათთვის კანონი ყოფილა.

ბაბაჩემს ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანს<sup>2)</sup> თავი მოუკლავს<sup>3)</sup>. მაშინ ბებია თეკლე ორსული ყოფილა მამაჩემზე და, ბავშვი რომ დაბადებულა<sup>4)</sup>, მამის სახელი დაურქმევიათ. 1825 წ. ბებიაჩემს მამა პაყების კორპუსში გაუსტუმრებია სასწავლებლად, ვინაიდან იმ ხანად პეტერბურგის პაეთა კორპუსი საუკეთესო სასწავლებელი იყო<sup>5)</sup>. მამა ტყუპის ცალი ყოფილა, თანაც სუსტი და ნაზი, რის გამოც დედამისი შვილს ზედ დაჰკანკალებდა და მისი გავზავნა ცივ რუსეთში გულს უკლავდა. თვითონ ბავშვის მწუხარებასაც საზღვარი არა ჰქონია.

იმპ. ალექსანდრე პირველის დასაფლავების დროს (1825 წ.) პაეებს და მათშორის მამაჩემსაც (ყველაზე პატარას თავის კლასში) რეგალიები მიჰქონებიათ. დიდი ყინვა ყოფილა. მამაჩემს თავისი ცხვირსახოცი,



რომლის ერთ კუთხეში თავისი ორი გასაღები იყო შებმული, ქვეშ ამოუღვია. სიარულში გასაღებები გამოსხლეტილა ქუდიდან და თურმე იმ უშველებელ გზაზე შიგ ცხვირში სცემდნენ. ხელები ვერ გაენთავისუფლებინა, რადგანაც რალაცა რეგალიები სჭერია, და ისეთ ტანჯვაში ჩაეარდნო, რომ სიცივისაგან აკანკალებულსა და თვალცრემლიანს საფლავამდე ძლივს მიუღწევია.

\* \* \*

საწყალ მამაჩენს არ დასცალდა თავისი განზრახვა ზისრულეში მოეყვანა, ჩემთვის თავისი მოგონებანი ეკარნახა. 1890 წლის გაზაფხულს ატენში წასასვლელად რომ ვემზადებოდით, მითხრა: „ქალაქი და კალმები წამოიღე, მე და შენ ვიმუშავებთ, მე ჩემს მემუარებს, გიკარნახებო“. მე ალტაცებაში მომიყვანა ამ პროექტმა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მოვედით თუ არა ატენში, უკვე შეუძლოდ მყოფი მამაჩემი ლოგინში ჩაწვა და მთელი ზაფხული წაშლობას მოუწდა; მუდამ სიცხეს აძლევდა, სუსტდებოდა უფრო და უფრო და, აქეთ რომ მომყავდა (ეტლით გორის სადგურამდე), ხარბად შეჭყურებდა ატენის ხეობის მშვენიერ ბუნებას, ალტაცებაში მოდიოდა და თან აწიოხრებდა და იტყოდა: „ველარ გნახავ მშვენიერო ატენო?“ თბილისში რომ მივედით, დიდხანს აღარ უცოცხლია, 29 სექტემბერს, 1890 წელს გარდაიცვალა (ყორანოვის ქუჩაზე ვასილევის სახლში) და თავისი ცხოვრების მემუარებიც თან ჩაიტანა საფლავში: საწყალს თავის ტანჯულ წარსულსა და უიმედო აწყობოზე არ უყვარდა ლაპარაკი. მე იმედი მქონდა, რომ თავის ვეება საწერ მაგდაში აღმოჩნდებოდა რაიმე მისი ხელნაწერი ან წერილები მეგობრებისა: დიმიტრი ყიფიანისა<sup>6)</sup>, გრიგოლ ორბელიანისა<sup>7)</sup>, კონსტანტინე მამაცაშვილისა<sup>8)</sup>, გიორგი ერისთავისა<sup>9)</sup> (თავისი დეიდაშვილისა), მაგრამ ამაოდ. ვერაფერი ვერ ვნახეთ. რა იქნა, თუ რამე იყო? ვფიქრობ, ამგვარი ქალაქლების შენახვა საშიში იყო და ამიტომ არც ინახავდა.

მამაჩემის წარსულიდან ვიცი, რომ მას პეტერბურგის ჰავა ვერ აუტანია და ავად გამზდარა. ბატონი შვილ თეკლეს უთხოვია შვილის დაბრუნება რუსეთიდან. ხელმწიფეს თანხმობა განუცხადებია და მამა საქართველოში ჩამოსულა. აქ იგი მალე მოკვთებულა. მახსოვს, ერთხელ მე და მამა არსენალის აღმართზე ავდიოდით ეტლით, ძველი ერთსართულიანი შენობა მიჩვენა და მითხრა: — „აი, აქ, ცალკე საკანში თერთმეტი თვე ვიყავ დაპატიმრებულიო“. რა



საშინელება უნდა ყოფილიყო ეს პიტიმრობა 20 წლის სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკისათვის! საპატიმროში წიგნების მიწოდებას არ უშლიდნენ. პატიმარმა მამამ შეგზავნილი წიგნებიდან ზედმიწევნით შეისწავლა ფრანგული ენა. მართალია, მას პაეების კორპუსშივე ესწავლა ლაპარაკი, მაგრამ ციხეში ფრანგული წიგნების კითხვით ძველი ცოდნა უფრო გააღრმავა. საცოდავი დედა მისი—თეკლე ბატონიშვილი, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ შვილისათვის ციხეში ყოფნის პირობები შეემსუბუქებინა და როგორმე აქვე საქართველოში დაენარჩუნებინა, რის გამოც ბარონ როზენის<sup>10)</sup> ცოლს ქრთამებითა და საჩუქრებით ავსებდა, მაგრამ მისმა ცდებმა ამაოდ ჩაიარეს. შეთქმულნი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადაასახლეს. მამაჩემიც დიმიტრი ყიფიანთან ერთად კალუგაში იქნა გაგზავნილი.

ბატონიშვილი თეკლე დიდი ჭკუის პატრონი ყოფილა და ამასთან პოეტური ნიჭიც ჰქონია<sup>11)</sup>. რუსეთის ხელმწიფესთან მიწერ-მოწერაში მას არავისი შეველა არ დასჭირებია, რაც პეტერბურგის სამეფო კარზე გაკვირვებას იწვევდა. ამბობდნენ: „თეკლეს იშვიათი სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი აქვსო“. ისტორიული ცნობა არის, რომ მეფე ერეკლეს უთქვამს: „თეკლე რომ ვაჟი ყოფილიყო არავის შეველა არ დამჭირდებოდაო“. ბავშვობიდან ყველას აოცებდა თავის გონიერებითა და მშვენიერი ცხენოსნობით. იარაღის ხმარება ვაჟაკით იცოდა და ამიტომაც მეფე ერეკლემ „თეკლე ბიჭი“ დაარქვა და მისი სიგელი უბოძა თავისი ბეჭდით<sup>12)</sup>.

ჩემმა ქეთევანმა მიაბზო, რომ კალუგაში გადასახლების ამბავმა ბატონიშვილ თეკლეს ამაღას თავზარი დასცა, ყველას თავშიცემა და ტირილი დაუწყვია. თითონ თეკლე ბატონიშვილი და მისი შვილები თურმე არ იმჩინებდნენ მწუხარებას და სხვებს ამხნევებდნენო. კალუგაში ბატონიშვილს საკმარისად დიდი ამაღა გაჰყოლია და სხვათა შორის ამ ამაღში ყოფილან მაშინ სულ ყმაწვილი, თუმცა კოჭლი, მაგრამ ლამაზი ქეთევანი, რამდენიმე სხვა ყმაწვილი ქალი და უფროსი გამდელები.

მაშინდელი მოგზაურობა ტარანტასებითა და პოვოსკებით არც ჩქარი და არც ადვილი იყო: ერთ თვეზე მეტი თუ არა, ნაკლები აღარ უნდებოდა. გადასახლებულთ ოფიცრები და ჯარისკაცები ცხენებით მისდევდნენ. „ოფიცრები ჩვენ დაგვტრიალებდნენ, მაგრამ დიდი მოწიწებით გვივლიდნენ და ხან რას და ხან რას გვთავაზობდნენ. ჩვენ ისე გვიფრთხილდებოდნენ უფროსები და თავიც ისე



გვეჭირა, რომ ვერაფერს ვერას გვიბედავდნენო,\*—ამბობდა ხოლმე ქეთევანი. ბატონიშვილს ყველგან დიდი პატივისცემით ჰხვდებოდნენ, ხოლო კალუგაში დედა-შვილს (თეკლესა და ვახტანგს) გულწრფელი და ერთგული მეგობრები გაუჩნდნენ.

მახსოვს, ჩემს ბავშვობაში მამაჩემს წერილები მოსდიოდა იქიდან და ზოგი ოჯახის წევრების სურათებიც. მამაჩემი მაშინ მშვენიერი, 21 წლის ყმაწვილი, განათლებული, გულკეთილი და ზრდილობიანი ყოფილა. მწარედ აღონებდა თურმე სამშობლოდან შორს ყოფნა და საყვარელი დედის წამება.

ამგვარად, ვახტანგმა და მისმა სახელოვანმა დედამ ასეთ ტანჯვაში ოთხი წელიწადი გაატარეს და ბოლოს თავიანთი სამშობლოს მშვენიერი ცა ისევ იხილეს.

ქეთევანის ნაამბობიდან მაგონდება სხვა ეპიზოდებიც. ასე მაგ.: ქეთევანი 90 წლის იყო, რომ ეს ამბავი მომიყვა: ერთხელ სოლოლაკის ბაღში მწვანეზე გაშლილ ხალებსა და დორებზე წამოწოლილიყვნენ უფროსები და ჩუმიად ბაასობდნენ. ამდროს მოირბინეს ყმაწვილმა ქალებმა, შემოერთყნენ ბატონიშვილ თეკლეს. ქეთევან ერისთავმა<sup>13)</sup> (მამუკა ორბელიანის მეუღლე), მაშინ ცელქმა და სხვებზე უფრო გამბედავმა გოგონამ, დაუჩოქა პაპიდას (ბატონიშვილ თეკლეს) და ყველას სახელით შეეხვეწა, ერეგებინა თუ როგორ ისროდა თოფს. ბატონიშვილი თეკლე ჯერ ძალიან უარზე იყო, მაგრამ, რომ ვეღარ მოიშორა ყმაწვილები, უბრძანა ქეთევანს: „მამ კარგი, წადი და ჩემ ოთახში მომიძებნე ჩემი თოფი და ჩამომიტანეო“. ქეთევანმა სწრაფად ჩამოურბენინა იარაღი. ბატონიშვილმა თეკლემ მაშინვე გატენა, უმიზნა მომფრინავ ჩიტს და ჩამოაგდო. ვაშას ძახილსა და ყმაწვილების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა!<sup>14)</sup>...

ძალიან კეთილი ბრძანდებოდა თურმე ბატ. თეკლე, მაგრამ, თუ გაწყრებოდა, მისი ვაჟები, როგორც ბავშვები, თვალეზში ისე შეჭყურებდნენ დედას და ყველა შემთხვევაში ემორჩილებოდნენ, რადგანაც მათთვის არ შეიძლებოდა ბატ. თეკლე შემცდარი ყოფილიყო.

1844 წელს მამაჩემმა შეირთო დედაჩემი—ილინსკის<sup>15)</sup> ქალი (დედით ქართველი), რომელიც იმხანად 16 წლისა იყო. ბ. თეკლეს ძალიან უყვარდა რძალი, მის დიდ ჭკუასა და კეთილ გულს ძალიან აფასებდა და მას დიდ პატივსაც სცემდა. 1845 წ. ჩემ მშობლებს მიეცათ ვაჟი (ნიკოლოზი დაარქვეს), რამაც ძალიან გაახარა ბატონიშვილი, რადგანაც მის უფროს შვილებს—ალექსანდრეს<sup>16)</sup> და დიმი-

ტრის<sup>17)</sup>, ქალები ჰყავდათ. მე ბ. თეკლეს გარდაცვალების კარგა ხნის შემდეგ დავიბადე<sup>18)</sup>. პატარობიდანვე ვწუხდი უზომოდ, რატომ ჩემი სახელოვანი, სულთ გმირი, ჭკვიანი და ამასთან კეთილი ბებია ვერ ვნახე-მეთქი. მე მეორე ბებიაც მყავდა—დედის დედა<sup>19)</sup>, კეთილი, მოსიყვარულე და სიბერეშიაც იშვიათი სილამაზისა იყო, იგიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ თეკლე ბებიას პიროვნება ჩემთვის რაღაც არაჩვეულებრივი შარავანდელით იყო მოსილი და რატომღაც მეორე ბებია არ მიზიდავდა ძალიან...

ოთხ წლამდე მხოლოდ ქართულს ვლაპარაკობდი, რუსული მესმოდა. ოთხი წლისა ვიყავი, როდესაც ჩემი ძმისთვის ფრანგი ქალი მადამ კიკანაძე მოიწვიეს. თითქმის შეუმჩნეველად ვისწავლე ფრანგული ლაპარაკი და 6-7 წლისა თავისუფლად ვკითხულობდი ფრანგულ საბავშვო წიგნებს. ჩემს ქეთევანს სისუფთავე ძალიან უყვარდა. ყოველდღე ბანაობის დროს სასტიკად მადევნებდა თვალს და მალმალე დაიძახებდა: „ეს კი (რამე ნაწილი სხეულისა) შენი არ არის, რომ ისე კარგად არ დაიბანე, როგორც რიგია?“ პატარობიდანვე ბევრი ავადმყოფობა გამომივლია და მუდამ დედაჩემთან ერთად თავს დამტრიალებდნენ ჩემი ქეთევანი და დეიდაჩემი ნინა, ყოვლად კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მორბოდა ჩვენთან თბილისში, თუ კი ვაიგებდა, რომ ვინმე ჩვენთაგანი ავად გახდა. დეიდა პირველად გათხოვილი იყო ბოლტენკოვზე და პეტროვსკში (დალესტანში) ცხოვრობდა. კეთილი კაცი იყო მისი ქმარი, მაგრამ მალე გაგიჟდა და საწყალ მის ცოლს დიდი უბედური ცხოვრება ჰქონდა, რადგანაც გიჟი ქმარი სახლში ჰყავდა და თავდავიწყებით უვლიდა; როცა დაქვრივდა, მეორედ გათხოვება არაფრისათვის არ უნდოდა, მაგრამ იგი ერთმა ყმაწვილმა მეზღვაურმა ოფიცერმა, გერმანელმა ფონ ჰერშელმანმა, გაგიჟებით შეიყვარა. პირველად დეიდა დიდ შარზე იყო, მაგრამ ახალგაზრდამ დაუფიცა, თუ მის შერთვის წინადადებას არ მიიღებს, თავს მოიკლავს. ბოლოს ის დეიდაჩემსაც შეუყვარდა. ასე, რომ მალე მათ ჯვარისწერაც მოხდა. ორივენი კარგახნის განმავლობაში ძალიან ბედნიერი იყვნენ, მაგრამ ეს ქმარიც მას მალე გარდაეცვალა და ამის შემდეგ დეიდა ჩვენთან გადმოვიყვანეთ და არ გავშორებოვართ მას სიკვდილამდე. იგი ჩემთვის მეორე დედა იყო.

შიში არასდროს არ მივრძენია, ალბათ, იმიტომ, რომ მამაჩემისაგან სასტიკად იყო აკრძალული შიშის მომგვრელის ამბის, ან



უაზრო სულელური ზღაპრების მოთხრობა. მაშინაც არ შემეშინებოდა როცა (9 წლისა ვიყავი) კაკაეის გზაზე ყაჩაღები დაგვეცნენ. კარგით მივდიოდით დედაჩემი, ბებია და მე. კალთაში დედის მშვენიერი პატარა ძაღლი და ჩემი კატა მესვა და, რომ დაგვეცნენ ყაჩაღები, ორივე გულში ჩავიხუტე და იმათ ვფარავდი. მაშინ სიკვდილს თავისი სიმამაცითა და მხნეობით დედაჩემმა გადაგვარჩინა. მეორე ეტლით მოსამსახურეები მოგვდედნენ, მაგრამ ისინი რას იზამდნენ შეირაღებული ყაჩაღების წინააღმდეგ?.. ყაჩაღებში ერთი გვიცნობდა და იმან გვიშველა, თორემ ვიღუპებოდით...

ჩემი პირველი მოგონება კახეთში მოგზაურობას ეკუთვნის. მაშინ 4 წლისა ვიქნებოდი. მამაჩემი იქ გაუშვსებიათ სამსახურში (არ ვიცი კი სად) და ჩემ ბიძაშვილთან (დარია ქობულაშვილთან) შევიარეთ სოფელ კისისხევში. მამაჩემი სიცილით იგონებდა: თელავში რომ შევედი, მე, მძინარემ, ერთბაშად თვალები დავაქყიტე თურმე და წამოვიძახე: „რა მშვენიერი სახლებია!“ დაღამებული იყო თურმე და აქა-იქ სახლებში სინათლე ბეუტავდა. კისისხევის დიდი ეზო თავისი წვრილი და მაღალი კოშკით და ვეება ჭანდრის ხეებში მიმაღული პაწია ეკლესია ისე კარგად შემერჩა მებსიერებაში, რომ 20 წლის შემდეგ, ვიდრე მივუახლოვდებოდით კისისხევს, მე ჩემ ქმარს ავუწერე, რასაც ვნახავდით.

მეორე ნათელი მოგონება ჩემი დიდი ავადმყოფობაა. ცხვირიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა მქონდა და ზედ ფილტვების ანთება დამერთო. ყველა ჩემიანები დამწუხარებულნი დამტრიალებდნენ თავს და მიელიდნენ. 12-13 წლამდე სუსტი აგებულებისა ვჩანდი, ტანი ერთბაშად ავიყარე, დავსრულდი და 14 წლისა ყველას, ვინც არ მიცნობდა, 17-18 წლისა ვეგონე.

9 წლისა ვიყავ, როცა დედამ მე და ჩემი ძმა ევროპაში წაგვიყვანა. ჩვენთან მოგზაურობდნენ ბიძაჩემი ირაკლი<sup>20</sup>) (ბატონიშვილი ალექსანდრეს-ძე), გიორგი ერისთავი (ბატონიშვილ ანასტასიას ვაჟი) და ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე<sup>21</sup>)... მე მთელი გზა პარიზამდე მათი გასართობი ვიყავი. იტალიაშიც ვიმგზავრეთ. ეს იყო ის დრო, როცა ავსტრიის ბრძკალებიდან ახლად განთავისუფლებული ლომბარდია დღესასწაულობდა ამ ბედნიერ დღეს<sup>22</sup>). ჯარები ბრუნდებოდნენ თავიანთ ადგილებზე. ერთ სადგურზე შეგვხვდა ჯარისკაცებით სავსე მატარებელი. ბიძაჩემი ირაკლი ამბობდა, რომ იტალიელებმა სამშობლოს დაპყრობილი ნაწილი დაიბრუნეს, გაანთავისუფლეს მტრისაგან, ე. ი.



მათ შესძლეს ის, რაც ჩვენ ვერ შევძელითო. აბა, ფანჯარასთან მიდი და დაუყვირე იტალიელ ჯარისკაცებს: გაუმარჯოს იტალიას! შეეცადე რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიყვირე ეს სიტყვები. პასუხად მათ ვაგონებში იმისთანა ძლიერმა ვაშამ დაიგრიალა, რომ ჩვენ მატარებელში ყველა მგზავრები ფანჯრებს ეცნენ. მაშინ პირველად დიდი სიძლიერით გაიღვიძა ჩემში პატრიოტულმა გრძნობამ. მანამდე ვიცოდი, რომ ყველა ჩემიანი საქართველოს შავ ბედს დასტიროდა და, რაც ჩემი თავი მახსოვს, სულ მესმოდა კენესა ვაება ნამეტნავად კი ბიძაჩემის ალექსანდრესი.

მამაჩემი მაშინ ყაბარდოში მსახურობდა. ჩვენ პარიზიდან დაბრუნებისთანავე პირდაპირ ნალჩიკში მივედი, სადაც გვექონდა მშვენიერი სასახლე, რომელიც ათასგვრთი ღამის ზღაპრებს მაგონებდა ხოლმე. \*) უშველებელი დარბაზი მცენარეების კედლით იყო შუაზე გაყოფილი და ამ კედლის უკან ბილიარდის მაგიდა იდგა. ამ მაგიდის ქვეშ ხშირად ვთამაშობდით მე და ფრიპონი— დედაჩემის ძალი. ბუნდოვნად მაგონდება აბრეშუმის რბილი ავეჯით მორთული ოთახები და თვალუწვდენელი ბაღი, რომელიც ძალიან შორს მიდიოდა ფერდობზე. ეს ბაღი უსაზღვრო სამყაროდ მეჩვენებოდა ხოლმე და შიგ სიამოვნებით ვმოგზაურობდი და ვიკარგებოდი.

ყაბარდოელებს განსაკუთრებულად უყვარდათ მამაჩემი, რომელიც მუდამ სამართლიანი და მუდამ მათი ინტერესების დამცველი იყო, მაშაც მუდამ სიამოვნებით უმასპინძლდებოდა მათ და ამით სტუმრები ყოველთვის სარგებლობდნენ კეთილი მასპინძლობით. ისე, რომ ჩვენ სახლს უსტუმროდ ვერასოდეს ვერ ნახავდით. ყაბარდოელებიდან მაგონდება თ-დი ატაჟუ-ყო (რუსების მიერ ატაჟუკინად წოდებული), ანზორ-ყო (ანზოროვი) და კუდენეტ-ყო (კუდენეტოვი). უკანასკნელი ჩემი დიდი მეგობარი იყო, მოხუცი კომპო— გირეის შვილი. ატაჟუყოები ამტკიცებდნენ, თითქოს ორბელიანებთან მათ მოყვრობა ჰქონდეთ: ვითომც ოდესღაც ვილაც ორბელიანი ატაჟუყოზე ყოფილიყოს გათხოვილი...

ნალჩიკშივე მოვიდა გუვერნანტად ჩემი მშვენიერი ლაჟსი, რომელიც სულ ახალგაზრდა იყო (21 წლის თუ იქნებოდა). სწავლა

\*) აქედან იწყება ფრანგული ტექსტი, რომლის ქართული თარგმანი ეკუთვნის თედო სახოკიას. რედ.



და გარეგნობა ხელს უწყობდა მას, რომ პირველივე წუთში დაეხმას ხურბინა ყველას სიყვარული. ჩემმა მშობლებმაც შვილივით შეიყვარეს იგი, ჩემთვის კი სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1929 წ. 88 წლისა) უტკბეს მეგობრად და დედად დარჩა. იშვიათ ხასიათს გარდა მას ძალიან ცოცხალი გონებაც ჰქონდა, მრავალმხრივად იყო განათლებული და მასთან საუბარი მუდამ საინტერესო და გამართობელი იყო. წარმოშობით ინტელიგენტური ოჯახიდან იყო; მისი მშობლების მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ კარგი განათლება მიეცათ სამივე ქალისათვის—ლემუსისა და მისი ორი უფროსი დისათვის. მათ მეზობელმა, ცნობილმა ისტორიკოსმა ვილემნმა<sup>23</sup>) შენიშნა ქალიშვილის ცოცხალი გონება და ნიჭი და ასწავლიდა მას ისტორიასა და ლიტერატურას, რომელთაც ლემუსი სავსებით დაეუფლა. ვინც კი იცნობდა მას, ყველა ამბობდა, რომ ტფილისის გიმნაზიის ვერც ერთი მასწავლებელი ვერ გაუწევდა მეტოქეობას (ტფილისში კი იმხანად ბევრი იყო ძალიან კარგი მასწავლებელი). მართლაც, მან იმდენად შემაყვარა ისტორია, რომ 14 წლისამ სიამოვნებით წავიკითხე რომის ისტორია („რომის იმპერიის დაუძლურება და დაცემა“)...

ნაღიკიდან კავკაზში წავედით, სადაც მამაჩემი სამუშაოდ გადაიყვანეს. კავკაზში გატარებული დრო ძალიან ცუდად მახსოვს და ვერც ვიტყვი, რამდენ ხანს დაყავით იქ.

იქაური ჩენი ნაცნობებიდან მახსოვს: გენერალი ყაზბეგი<sup>24</sup>), მისი შვილი სანდრო<sup>25</sup>) (შემდეგში ჩენი ცნობილი მწერალი), რომელსაც სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა მამამისი თავისი აუტანელი ქცევით, და მისი მამიდაშვილი სოფიო ესენოვა<sup>26</sup>)—ოსის ქალი. სანდროს ძალიან ხელგაშლილად უყვარდა ცხოვრება, რაც ძალიან აწუხებდა მამამისს, რომელსაც შვილის ქეიფები კისერზე აწევებოდა. მაშინ ვინ იფიქრებდა, თუ ეს დარდიმანდი ყმაწვილი ასეთი სასახელო მწერალი გამოვიდოდა!

ჩრდ. კავკასიიდან მუდმივ საცხოვრებლად თბილისს ჩამოვედით<sup>27</sup>)...

1864 წ. 13 წლისა ვიყავი, რომ ტფილისში ხელოსანთა აჯანყება მოხდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომლებსაც თბილისის ერთ-ერთ მოედანზე მოეყარათ თავი, გაეგზავნათ რაზმი და ისიც—ქართველის მეთაურობით. ამ ამბავმა თავზარი დამცა და გულამოსკენი-

ლი ვთხოულობდი მოეცათ ჩემთვის თოფი, აჯანყებულების დასა-  
ხმარებლად. დიდის გაქირავებით დამამშვიდეს, როდესაც მითხრეს,  
რომ დამსჯელი რაზმი უკან გაიწვიესო.

ამ ხანებში ჩვენს სტუმრებიდან მაგონდება დიმიტრი ყიფიანი,  
მამაჩემის ნათლიმამა (მისი ვაჟი, შემდეგში მსახიობი—კოტე, მამა-  
ჩემის ნათლული იყო) და დიდი მეგობარი, რომელსაც მთელი ჩვენი  
ოჯახი განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემითა და თაყვანის-  
ცემით ეპყრობოდა. მისი მოსვლით გამოწვეული სიხარული გამი-  
ორმაგდებოდა ხოლმე, თუ კი თან თავის ქალიშვილს ლოლასაც,  
ჩემ მეგობარს, მოიყვანდა. მამაჩემი და დიმიტრი განმარტოვებოდ-  
ნენ, რომ მათი საუბრისათვის ხელი არაეის შეეშალა. მათ საუბარს  
ზოგჯერ მხოლოდ დედა და ბიძა ალექსანდრე ესწრებოდნენ...

დიმიტრი ყიფიანის სიკვდილი მთელი ჩვენი ოჯახისათვის უაღ-  
რესად მძიმე და სამწუხარო იყო და განსაკუთრებით კი მამაჩემისა-  
თვის, რომელიც გლოვობდა არა მარტო დიდი მოღვაწისა და დიდი  
ადამიანის, არამედ, აგრეთვე, ერთერთი საუკეთესო პირადი მეგობრის  
დაკარგვას. დიმიტრი ყიფიანის დასაფლავება, რომელიც აპოთეოზი  
იყო მისი დიდი ღვაწლისა, გრანდიოზულ დემონსტრაციად იქცა.  
სამხედრო გზაზე, ქალაქგარეთ ზღვა ხალხი დახვდა ეტლებით ცხედ-  
რის ჩამოსვენებას. ქალაქში სამგლოვიარო პროცესია შეაჩერეს და  
რალაც ჩოჩქოლი შეიქნა. როგორც გამოირკვა, ხელისუფლება  
წინააღმდეგი ყოფილა იმისა, რომ პროცესიას სასახლესთან გაევიღო,  
მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნენ გაეშვათ.

ბავშვობიდანვე განსაკუთრებული თაყვანისცემით ვიყავი გამსჭვალ-  
ული ჩემი ძმის ნიკოლოზის მიმართ, რომელიც შვიდი წლით იყო  
ჩემზე უფროსი. თვალწარმტაცი გარეგნობისა იყო და მე ის სრუ-  
ლიად უნაკლოდ და უმწიკვლოდ მიმაჩნდა. მასაც ძალიან ვუყვარდი,  
ხშირად მეუფერებოდა და მეალერსებოდა ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ  
მიჯავრდებოდა კიდევ განზრახ და, თვალებს რომ ამიცრემლებდა,  
მერე ჩამკოცნიდა და კიდევ უფრო დამიყვავებდა. ის ჩემი იდეალი  
იყო, უსაზღვრო ავტორიტეტი. „კოლამ სთქვა“—უძლეველ არგუმენ-  
ტად მიმაჩნდა ყოველ საკითხში. მისი გამგზავრება არდადვების  
შემდეგ პეტერბურგში, სადაც იგი ბრწყინვალედ სწავლობდა უნი-  
ვერსიტეტში, ჩემთვის დიდი მწუხარება იყო ხოლმე და მე ყველა  
კუთხეებს დავიბრუნდი, რომ გამეძარცვა და საუკეთესო ნივთები  
მომენახა კოლასათვის გასატანებლად.





მის წასვლას ყველა მწუხარებით განიცდიდა: ღელა, ღერინა ჩენი მოხუცი ქეთევანი და ტასიკო<sup>28</sup>), ოჯახის წევრები თუ ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც მას ბავშვობიდანვე ყოველთვის აპატიებდნენ ყველა დანაშაულს, ჯიუტობას და სიფიცხეს. ამასთან ჩემი ძმა სარგებლობდა იმით, რომ მას ყველა და განსაკუთრებით კი ღელა ყველაფერს უთმობდა და ანებიერებდა. მხოლოდ მამაჩემს აწუხებდა ეს გარემოება. ვაჟისადმი სიმკაცრეს იჩენდა, მაგრამ თვით ბუნებით არ იყო მკაცრი. მე კი ის მაწუხებდა, რომ მამა მე მთავრ-სებოდა და არა კოლას.

ერთხელ კოლა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გამორიცხეს სხვა საუკეთესო სტუდენტების ჯგუფთან ერთად იმ პროტესტისათვის, რომელიც მათ განაცხადეს ადმინისტრაციის თვითნებურობის წინააღმდეგ. გამორიცხეს ე. წ. „მგლის ბილეთით“, ე. ი. მას უფლება არა ჰქონდა სხვა უნივერსიტეტში შესვლისა. მამაჩემმა დახმარებისათვის მიმართა დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის-ძეს<sup>29</sup>), რომელიც ძალიან კარგ განწყობილებაში იყო მამაჩემთან, და მანაც მიაღებინა კოლა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მან (კოლამ) ორი წლის კურსი ერთ წელიწადში გაიარა და წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი.

კოლა 25 წლისა იყო, როდესაც იგი, სრულიად ჩამოყალიბებული მშვენიერი ორატორი, ქუთაისში დანიშნეს პროკურორის თანაშემწედ და, როგორც ამბობდნენ, სრულიად უჩვეულო მოვლენა იყო ასეთი ახალგაზრდა პროკურორის თანაშემწედ დანიშვნისა. შემდეგში ტფილისში გადმოვიდა და ვეჭილად მუშაობდა. სულ ახალგაზრდამ სახელი გაითქვა ანდრეევსკის პროცესში, სადაც ბრწყინვალედ დაიკვა ბრალდებული დავ. ჩქოტუა, რომელსაც ბრალი ედებოდა მკვლელობაში<sup>30</sup>). შემდეგში აგრეთვე სახელი გაითქვა ცნობილ „ბანკობიდაში“<sup>31</sup>), როგორც მაჩაბლის<sup>32</sup>) პარტიის ერთ-ერთმა მესვეურმა. ეს გარემოება მე ძალიან მაწუხებდა, რადგან ილია<sup>33</sup>) ჩენი ოჯახის დიდი მეგობარი და ჩემს მიერ უაღრესად პატივცემული ადამიანი იყო...

ჩემი ძმის საუკეთესო მეგობრები და ჩენი ხშირი სტუმრები იყვნენ დავით ერისთავი<sup>34</sup>) („სამშობლოს“ ავტორი), სიმონ წერეთელი<sup>35</sup>), ვანო ერისთავი<sup>36</sup>), ბესტაევი, რომელიც მშვენივრად უკრავდა ვიოლინოს, მისი დისწული ლიზა შუჰბარტი, — ჩემი მეგობარი, ძა-



ლიან კარგი პიანისტი და იმ დროს ცნობილი პროფესორის ეპშტეინის<sup>37</sup>) საუკეთესო მოწაფე.

დედაჩემისთანა უნაკლო სილამაზის ადამიანი მე არასოდეს არ მინახავს. ის არ მისდევდა მოდას, ყოველთვის თავისებურად, სადად იცვამდა და ივარცხნიდა, ან კი რა შესაფერისი იქნებოდა ანტიკური ქანდაკებისათვის მოდის აყოლა? როდესაც მას ქრონიკული ავადმყოფობა დროებით შეუმსუბუქდებოდა ხოლმე, მთელი სახლი მზიარულობდა და დედაც აპყვებოდა ხოლმე მისი საუკეთესო მეგობრის—დარიკო ქობულაშვილის გულიან კისკისს...

მატერიალურად ჩვენი ოჯახი იმ დროის კვალობაზე არ იყო იმდენად უზრუნველყოფილი, რომ ამაზე ფიქრი და ზრუნვა არ ყოფილიყო საქირო. ზოგჯერ გვიხდებოდა ვალის აღება და მისი დიდი სარგებლით გადახდაც. იმდროინდელი ბევრი თავადისაგან განსხვავებით მამაჩემისათვის, რომელიც ყველაფერში წესრიგის მოყვარული იყო, ვალის დროზე გადახდა მტკიცე მოვალეობას შეადგენდა და მისი კრედიტორები ისევე მადლიერნი იყვნენ მისი, როგორც ყველა სხვა, ვისაც მასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია. ოჯახის შენახვის ხარჯებს ძალიან მნიშვნელოვნად ზრდიდა შვილების სწავლა-აღზრდა. ასე მაგ.: ჩემი აღმზრდელი ლაუსი 1000 მან. ლებულობდა წელიწადში (ოქროთი), ჩემი ძმის აღმზრდელი შავანი კი—ზუსტად ვერ ვიტყვი რამდენს, მაგრამ ვიცი, რომ მეტს. შავანს შეეიცარიაში ჰქონდა დამთავრებული ფილოსოფიური ფაკულტეტი, ფართო განათლების მქონე იყო, მაგრამ გარდა ფართო განათლებისა, სამწუხაროდ, ნადირობისადმი სიყვარულიც გადასცა თავის მოწაფეს. ყველა ჩემ მასწავლებლებს შორის მე მხოლოდ ერთი არ მიყვარდა, ან უკეთ არ მიყვარდა მისი გაკვეთილები. ეს იყო გერმანელი მადმუაზელ დომულინი, რომელმაც შემაზოხლა გერმანული ენა. ინგლისურის მასწავლებელი მისს კნაპ მახინჯი იყო, მაგრამ ეს არ ანელებდა მისდამი ჩემ სიყვარულს.

ბ. მასწავლებლებში ყველას მერჩია ჩემი მუსიკის მასწავლებელი პროფესორი ეპშტეინი, საუკეთესო ადამიანი და სრულყოფილი მუსიკოსი. მას გატაცებით უყვარდა მუსიკა, ღრმად იცნობდა მის ისტორიას და დიდის დახელოვნებით უზიარებდა ხოლმე თავის მოწაფეებს ამ ხელოვნებას: ყველაზე ნაკლებად ნიჭიერსაც კი შეაყვარებდა ხოლმე მას. იმხანად იგი სამართლიანად ითვლებოდა საუკეთესო პროფესორად. ყველა ცდილობდა მისთვის მიეცა სასწავ-

ლებლად თავისი შვილები. იგი უფასოდ ასწავლიდა აუარება ხელ-  
მოკლე მოწაფეებს. ერთი ღარიბი ქართველი ხელოსნის, დურგლის  
მეექვსე შვილი სულ მცირეწლოვანი აიყვანა, აღზარდა, სწავლა მია-  
ღებინა და ბოლოს გაამზიოთვა კიდეც, მაგრამ მიუხედავად ყველა  
ამისა, მიუხედავად მთელი იმ სიკეთისა, რომელიც მან სთესა თავი-  
სი სიცოცხლის განმავლობაში, იგი უკიდურეს გაჭირვებაში გარდაი-  
ცვალა უკვე საქმაოდ ხანში შესული. მე უკვე გათხოვილი ვიყავ მაშინ.

მუსიკის ეს დიდი ენთუზიასტი ჩემში ხედავდა მომავალ  
ვირტუოზს, მაგრამ სამწუხაროდ ისევე შეცდა, როგორც ჩემი ხატ-  
ვის მასწავლებელი, რომელიც არანაკლებ სახელგანთქმული მხატვრის  
მომავალს მიწინასწარმეტყველებდა.

ხშირად დადიოდა ჩვენსა ალოიზ მიზანდარი<sup>38</sup>), რომელიც მსმე-  
ნელებში თავისი დაკვრით დიდ სიამოვნებას იწვევდა...

გრძნობებითა და ხასიათით მამაჩემი ნამდვილი არისტოკრატი (ამ  
სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით) და ქეშმარიტი დემოკრატი  
იყო თავის მოსამსახურებთან, გლეხებთან და მოიჯარადრებთან ურ-  
თიერთობაში. ისე კარგად ესმოდა მათი ჭირი და ლხინი, ისე კარ-  
გად ლებულობდა მუდამ მათ, რომ ყველას უყვარდა ის, ყველა  
პატივს სცემდა და ხშირი იყო შემთხვევები, რომ გაანდობდნენ მას  
თავიანთ საიდუმლოებას და რჩევა დარიგებას სთხოვდნენ უაღრე-  
სად პირადი ხასიათის საქმეებშიც კი. მე არ მახსოვს, რომ მას  
ოდესმე ხმა აემალღებინოს თავის მოსამსახურებთან, პირობით: უმ-  
ციერეს მოსამსახურებსაც კი მადლობას უხდოდა და სიკვდილის  
სარეცელზეც სულ იმას ჩიოდა, რომ სხვებს აწუხებდა. მისი ერთ-  
გული მსახური პლატონ ამაშუკელი, რომელსაც როგორც თავის  
სწორს, ისე ეპყრობოდა, — სწუხდა: „მადლობით და ბოდიშებით  
უფრო იღლებოდა“.

მისი საუკეთესო დროსტარება იყო საკუთარ ოჯახში ყოფნა,  
საუბარი და წაკითხულის მოსმენა. ყოველთვის მაკვრევიანებდა როი-  
ალზე და უფრო ხშირად არიას ოპერა „ნორმადან“ — *Casta diva*,  
რომელიც განსაკუთრებით მოსწონდა. მას მელოდიური მუსიკა უყ-  
ვარდა. ბეთჰოვენი<sup>39</sup>), ჰაიდნი<sup>40</sup>), ბახი<sup>41</sup>) სრულიად არაფერს ეღბნე-  
ბოდნენ მის გულს. სიყმაწვილეში თურმე მასაც და მის ძმა ალექსან-  
დრესაც უსწავლიათ როიალზე დაკვრა, მაგრამ, როგორც თვითონ  
ამბობდა, ვერაფერი წარჩინება გამოუჩენია და ერთი რამლა ახსო-  
ვდა: ვებერის<sup>42</sup>) მარში „ფრაიშუცი“-დან, რომელსაც აკაკუნებდა



ხოლომე ჩვენს შესაქცევად. მას, გულთ მუდამ ყმაწვილს და ერთუზიანს ზიასტს, უყვარდა ახალგაზრდობა. ჩემი გათხოვების შემდეგ ხშირად მოდიოდა ჩვენთან საღამოს გასატარებლად და, მე თუ შევიყვანდი ხნიერ ხალხთან, პროტესტს აცხადებდა: „ბებერი, ჩემი თავიც მომწყინდა, ახალგაზრდებთან მინდა ყოფნაო“. ზოგჯერ გაცხარებული საუბრის შემდეგ საღამე კუთხეში განმარტოვდებოდა და ხელად დასწერდა ლექსს. ასე დასწერა მაგ.: „დიდის კარის წინ“, რომელიც მე მიძღვნა და ჩამიწერა ჩემს ალბომში<sup>45</sup>). ჩვენთან სტუმრობისასვე დასწერა ლექსი გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებაზე<sup>46</sup>).

იგი დიდ პატივს სცემდა ქალებს და ეს არცაა საკვირველი, რადგან ბავშვობიდანვე შეჩვეული იყო ქელი მოეხარა თავისი დედის სათნოებისა და ღირსებების წინაშე, თამარ მეფის<sup>47</sup>), ქეთევან დედოფლის<sup>48</sup>), საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის<sup>47</sup>), ლეონიძის<sup>48</sup>) ცოლისა და მრავალი სხვა ისტორიული ქალის წინაშე. აქვე ერთი შემთხვევა მაგონდება: დ. ერისთავის პიესა „სამშობლოს“ წარმოდგენიდან მამა ძალიან აღელვებული დაბრუნდა: „ლეონიძის ცოლი ნამდვილი გმირი იყო, ავტორმა კი ის მოლაღატედ გამოიყვანაო“.

ძვირფასი მამა ძალიან მანებივრებდა თავისი სინაზით, მაგრამ ბევრ რამეშიც ძალიან მკაცრი იყო, რადგანაც ჩემგან სრულქმნილი ადამიანის გამოზრდა უნდოდა.

ერთხელ, 15 წლისა ვიყავი მაშინ, რატომღაც ხმამაღლა ველაპარაკებოდი კრასნოვს (მამაჩემის ყოფილ „დენშჩიკს“, რომელიც სამსახურის ვადის გათავების შემდეგაც დარჩა ჩვენთან სიკვდილამდე), მამაჩემს კი ეჩვენა, რომ უზრდელად ველაპარაკებოდი, გამოეშურა მეორე ოთახიდან და ძალიან ნაწყენი ხმით მომცა შენიშვნა, მაგრამ როცა ორივემ დავარწმუნეთ, რომ სცდებოდა, თითქოს ბოდიშის მოხდით მომეხვია და მკაცრა. კრასნოვი ყმაწვილობაში ერთხანს პუშკინის მსახურად ყოფილა. მე შენობით ველაპარაკებოდა და „მამას“ მეძახდა ჩემი გათხოვების შემდეგაც კი...

იგი სხვებს ბევრ რამეს აპატიებდა, მაგრამ თავისთავს ძალიან მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებდა. ბუნებით ექსპანსიური იყო და სიამოვნებით უზიარებდა თავის ალტაცებას იმას, ვისაც შეეძლო ეგრძნო მისი ექსტაზის მიზეზის სიმშვენიერე.

აი, ერთი ფაქტი მამაჩემის დასახასიათებლად:

ყმების განთავისუფლებისას თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა ალაშფოთა მისმა საქციელმა, როდესაც მან ყმების გამო-



სასყიდი ფულის აღებაზე უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ „ადამიანების სიცოცხლით არასოდეს მივაჭრიაო“. ყველაზე საყურადღებო ისაა, რაც მხოლოდ მისმა მახლობლებმა იცოდნენ: იმჟამად მამაჩემი ვალებში ყელამდე იყო ჩაფლული. ვალები კი გამოწვეული იყო უფრო იმით, რომ იგი არ ერიდებოდა არავითარ ხარჯებს, თუ კი ამას ჩემი და ჩემი ძმის აღზრდა-განათლება, მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში გაწვრთნა მოითხოვდა...

1876 წ. მამა საზღვარგარეთ საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში გაემგზავრა და 5-6 თვიანი მოგზაურობის შემდეგ იგი პირდაპირ ლამისყანაში ჩამოვიდა, სადაც მას ველოდით: დედაჩემი, ჩემი დედამთილი, დავთ ქობულაშვილი<sup>41)</sup>, მე და სხვა კიდევ რამდენიმე მეგობარი. ჩემი ქმარი ამ დროს ტფილისში იყო სამსახურის საქმეებზე. სადგ. კასპში მარტო მე დაეხვდი მატარებელს. მივლი გზა კასპიდან ლამისყანამდე მამა გატაცებით მიზიარებდა მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და, თუ სიტყვას შესწყვეტდა, მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო გულდასმით მიმოებედა ირგვლივ და მერე დავერწმუნებინე, რომ საქართველოსთანა ლამაზი მას მაინც არაფერი უნახავს. მე ძალიან კარგად მესმის მისი გულისცემა. მრავალგზის მოგზაურობის შემდეგ მეც ყოველთვის ამ აზრით ვიყავი გამსქვალული. იმ დღის მოგონება დაუვიწყარი გახდა ჩემთვის და დღესაც ისევე ცოცხლად მახსოვს.

ის შემოდგომა ჩემმა შშობლებმა ჩვენთან გაატარეს ლამისყანაში. ტფილისიდან, გორიდან და მეზობელი მამულებიდან ჩვენსა ხშირად მოდიოდნენ სტუმრები და მათთან ცხენებით ესეირნობდით. მამაჩემი თითონ ჩინებული მხედარი იყო. მან ჯერ კიდეც 15 წლისას ჯირითის სიყვარული ჩამინერგა და მასწავლა ცხენზე ჯდომა და მისი დამორჩილება. ისე რომ არასოდეს არც ერთი ცხენის არ მშინებია, რაც არ უნდა უროჩი ყოფილიყო იგი.

მამაჩემის სიყრმის ამხანაგებს ყბად ჰქონდათ აღებული მისი გულმავიწყობა. მაგალითად, დაბეჯითებით ამბობდნენ თითქოს ერთხელ გრაფ ვორონცოვისაგან<sup>42)</sup> რომ ბრუნდებოდა სახლში, იქვე, ვესტიბიულში სავარძელში ჩაჯდა, თავი ეტლში წარმოიდგინა და „გასწიო“ — მიმართა მეეტლეს. რამდენად შეეფერებოდა ეს ამბავი სიმართლეს, არ ვიცი, ის კი მახსოვს, მამაჩემი როგორი გაფაციცებით ეძე-

ბდა ხოლმე სათვალეს, რომელიც ცხვირზე ეკეთა, და მერე ჩემთან ერთად როგორ გულიანად იცინოდა.

კვირაობით მამაჩემს მივყავდი სემინარიის ეკლესიაში (ეხლანდელი „პალას ოტელის“ შენობაში, პუშკინის ქუჩაზე). მაგრამ ვინაიდან ერთ-ერთ სამხედრო ლაშქრობის დროს შუაზამთარში ფეხები მოპყინვოდა, დიდხანს ზეზე დგომა ეძნელებოდა და ცდილობდა წირვის ბოლოში მივსულიყავით და ისეთი წარმატებით ახერხებდა ამ განზრახვის განხორციელებას, რომ არაერთხელ წირვის დასრულების შემდეგ მივსულვართ და ეკლესიის კარიც დაკეტილი დავგვხვდრია.

მამაზე არანაკლებ თავყანს ვცემდი მის უფროს ძმას, ბიძაჩემ ალექსანდრეს, რომლის სიკვდილი ჩემი პირველი მწუხარება იყო და იმდენად ძლიერი, რომ დიდხანს ვიავადმყოფე ამის გამო. მაშინ 16 წლის ვიყავი.

საინტერესო ტიპი იყო ჩემი საყვარელი ბიძა, თავისებური, განუმეორებელი, ძალიან მორწმუნე. დიდი მოსიყვარულე ყველა თავისიანებისა. ყოველამ დაწოლის წინ გამოვიდოდა თავის დიდ სვეტებიან აივანზე და სუყველას შორიდან პირჯვარს გეწერდა და თან ტრიალებდა, რადგან ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში, მისგან სხვადასხვა მიმართულებით ვცხოვრობდით. მარადეამ სამშობლოს განთავისუფლებას ნატრობდა. დედაჩემი მისი გულის შესაიდუმლე იყო. მას უზიარებდა ბიძაჩემი თავის გულისტივილს, თავის სინანულსა და იმედებს. ჩვენსა რომ მოვიდოდა, მთელი საათობით ჩაიკეტებოდა დედაჩემთან ერთად, რომ არავის გაეგო მათი საუბარი. თვალწინ მიდგას მისი სახე, უშველებელი „კაზიროკით“ დაჩრდილული. ასეთი ყაიდის ქუდი სხვა არავიზე მინახავს. სხვილი წინწყლებიანი თეთრი ახალუხი, ყურთმაჯიანი კაბა უკან გადაყრილი სახელოებით. პარიკს ატარებდა, მე არასოდეს არ მინახავს უპარიკოდ. მე ყოველთვის სიხარულით გავრბოდი მის შესახვედრად და მისი პირველი კითხვა ეს იყო: „ძალუა კატინკა ხომ ადგა, შეილოო?“ მე გავიქეცოდი, ვაცნობებდი დედას და დედაც საჩქაროდ დაამთავრებდა ტუალეტს, მიიღებდა თავის მაზლს და იწყებოდა ხანგრძლივი საუბარი, რომლის ხელის შემწლას ვერავინ ბედავდა. ყველამ იცოდა, თუ რა დიდი შემსუბუქება იყო ეს საუბარი საყვარელ მოხუცისათვის...



ბიძაჩემის კაბინეტში მხოლოდ ორი სურათი ეკიდა: ნაპოლეონ ბონაპარტისა<sup>41</sup>) და ჯუზეპე გარიბალდისა<sup>42</sup>). მის ბიბლიოთეკაში მხოლოდ მხიბლავდა დიდი ძველი დასურათებული ხელნაწერი წიგნები: „ყარამინიანი“<sup>43</sup>), „როსტომიანი“<sup>44</sup>) და სხვ...

ჩვენი დიდი პოეტი გრიგოლ ორბელიანი და გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი ბებიას მიძახდნენ მეგობრული დაცინვით. მაგრამ ნაწილობრივ ეს მართალი იყო: მე, ჩვენი საერთო წინაპრის, ერეკლე მეორის მესამე თაობა (შვილისშვილის შვილი) ვიყავი, გრიგოლ ორბელიანიც—მესამე თაობა, თუმცა ჩემზე 52 წლით იყო უფროსი...

15 წლის რომ ვიყავი, ერთი წელი ს. ბაშკინითში გავატარეთ...

აქედან წავედით ს. ასახოჯალოში, სადაც მამაჩემს ჩინებულად მოვლილი ვენახი ჰქონდა. მთელ დღეებს ვენახში ვატარებდით და ხშირად დამესაც იქ ვათევდით, ვინაიდან ასახოჯალოში ბინა არ გვქონდა და ყოველთვის მივდიოდით ს. პოლკოვნიკლოში, ბიძაჩემი დიმიტრის მშვენიერ მამულში. დიმიტრი იმეამად საზღვარგარედ იყო; სოფლად მას ჰქონდა ევროპულად მოწყობილი სახლი და მთელ მხარეში სახელგანთქმული ზვრები. აქვე სოფელში მას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ფრანგული წიგნებისა. იმ დროს, როდესაც ჩემი მშობლები თავის მუდამ ერთგულ და მუდამ მადლიერ თათრებთან გულთბილად საუბრობდნენ, ხოლო ჩემი ძმა ნადირობდა, მე გატაცებით ვკითხულობდი ამ წიგნებს.

შემდეგ წავედით ს. აბულმუქში, სადაც სპილენძის მადანი ეგულეობდათ და მამაჩემი თავის ხარჯით აწარმოებდა ძიებას, მაგრამ მან ბევრი ფული შეახარჯა ამ ძიებასა და ხელსაღები შედეგები კი ვერაფერი მიიღო.

აქედან გადავედით ძველ დმანისში, აქ მხოლოდ ძველი ქალაქის ის ნანგრევები-ლა იყო დარჩენილი, რომლებიც მამაჩემმა სიყვარულით აღწერა თავის სევდიან ლექსებშიც<sup>45</sup>), მაშინ დარჩენილი იყო გათხრების კვალი, მარმარილოს სვეტები და აბაზანა. ამბობდნენ, რომ უძველესი აბანოც აღმოჩინათ თითქოს. ამ ნაშთების ნახვისას მამაჩემი ღრმა ფიქრებმა გაიტაცა. მე შევამჩნიე, როგორი სევდა ჰქონდა მას მოწოლილი.

მამაჩემი კარგად იყო დაუფლებული ფრანგულ ენას, რომელიც ჩემ ძმასა და მეც ბავშვობიდანვე შეგვასწავლა. კარგად იცნობ-

და, აგრეთვე, გერმანულსა და ინგლისურ ლიტერატურას, თუმცა მან გერმანული და ინგლისური ენები არ იცოდა.

მამაჩემის 40-იანი წლების ლექსები დედაჩემს უნდა ეხებოდეს: ამ ხანებში მამაჩემი შეყვარებული ყოფილა დედაჩემზე და 1844 წ. ითხოვა კიდევაც ცოლად...

სწავლის გასაგრძელებლად მშობლებმა მიმბარეს კურსებზე, სადაც მასწავლებლებად იყვნენ პირვ. კლასიკური გიმნაზიის საუკეთესო პედაგოგები: ნიკოლოზ ლოლობერიძე<sup>56</sup>), ივანიძე და სხვ. კურსებს მე რეგულარულად ვესწრებოდი, მაგრამ გაკვეთილის პასუხობა ნამდვილი წამება იყო ჩემთვის: გარეგნულად არ მეტყობოდა, მაგრამ საერთოდ უზომოდ მორცხვი ვიყავი და, მასწავლებელი რომ გამიძახებდა, სახის ფერიც და ხმაც მეკარგებოდა, თუმცა გაკვეთილი ყოველთვის ზედმიწევნით ვიცოდი...

15 წლიდან მოყოლებული მე მუდამ მიხდებოდა ჩემი ქრონიკულად ავადმყოფი დედის მოვლა. სწავლას მაინც არ ვწყვეტავდი, ამტანი ვიყავი და ძალიან ხშირად გამიტარებია უძილო ღამეები. სიყრმის შესაფერი სიამოვნება სრულიად უცხო იყო ჩემთვის. ზოგჯერ, როცა დედაჩემის ჯანმრთელობის დროებითი გაუმჯობესება მომცემდა ამის ნებას, საღამოს ერთი საათით გადავირბენდი ხოლმე ჩემ მეგობარ მეზობელთან, მაგრამ ყოველთვის ვლელავდი, რომ ჩემი არყოფნისას დედაჩემის მდგომარეობა არ გაუარესებულა. ვჩქარობდი სახლში დაბრუნებას და ერთ საათსაც ვერ ვახერხებდი მოსვენებით ყოფნასა და გართობას.

იმხანადვე იტალიური ენის გაკვეთილებს ვიღებდი და ვამხანაგობდი ფილიპოვის ორ ქალიშვილს, დედაჩემის ნათლულებს, რომლებთანაც თანშეზრდილი ვიყავი, და ლიზა შუხპარდტს (შემდეგში იგი გაჰყვა ცოლად პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს გარსევანოვს); ჩემსავით ისიც ეპშტეინის მოწაფე იყო, მაგრამ ის კი უმკველად ტალანტი. მისი ბიძა ბესტაევი ძალიან დაახლოვებული იყო ჩემ ძმასთან; დიდი ხელოვნებით უკრავდა ვიოლინოს და მისი მოსმენა დედაჩემს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. თუ შემთხვევით მე და ლიზა მამაჩემის თანხლებით რაიმე ახალ

ოპერას მოვისმენდით, ჩვენსა დაბრუნებისთანავე ლიზა მიუხდებოდა ინსტრუმენტს და ზეპირად უკრავდა ოპერის საუკეთესო არიებს ჩვენი ძვირფასი ავადმყოფის გასართობად...

ერთ დღეს დიღმა მთავარმა მიხეილმა მამაჩემს სთხოვა მივეყვანე მე სასახლეში საღამოზე, რომელსაც ახალგაზრდობისათვის აწყობდნენ. დაქინებით თხოვნას მამაჩემმა წინააღმდეგობა ვეღარ გაუწვია, რადგანაც ამისათვის არავითარი რეალური საბუთი არა ჰქონდა. როდესაც ამ დაპატიჟების ამბავი გავიგე, თავზარი დამეცა. იძულებული გაეხდი გულისტკივილით და ქვითინით დავმორჩილებოდი მწარე ბედს. დანიშნულ დროს საღამოზე გავემგზავრე. მასპინძლები ძალიან გულთბილად დამხვდნენ, გამახსენეს ჩემი ბავშვობის ამბავი, გაიხსენეს ლაუსი, ასეთი კვეიანი, გონიერი, ზრდილი. მაგრამ მე მთელი საღამოს განმავლობაში მაინც სულ უხერხულად ვგრძნობდი თავს. სხვა სტუმრებს შორის აქ იყო ბაგრატიონ-მუხრანსკის<sup>7)</sup> ორი ქალიშვილი—ვარინკა და სონა—რომლებიც მთელი საღამოს განმავლობაში დამცინოდნენ ჩემი ველურობის გამო, რაც მე კიდევ უფრო მანერვიულებდა. ცოტა ხანმა რომ განვლო, მე დამაჯილდოვეს რუსეთის იმპერატრიცის ნიშნით, ე. ი. დანიშნულ ვიქენი სეფექალად.

დიდი მთავარი მამაჩემს შეჰპირდა, იმპერატრიცას (იგი იმ დროს ყირიმში იყო) ჩემს თავს წარუდგენდა და ღრმა რწმენით გამოსთქვა, რომ იმპერატრიცა ინებებდა მე მეფის კარზე ვყოლოდი. მამაჩემმა უარი თქვა ამ წინადადებაზე, რომელიც დიდი მთავრისათვის დიდად საპატიო, ხოლო მამაჩემისათვის დიდად სამარცხვინო რამ იყო. მამა აკანკალებული დაბრუნდა სახლში. მან უდიდეს შეურაცხყოფად მიიღო მთავრის წინადადება, რომ თავისი ქალიშვილი მოსამსახურე გოგოდ მიეცა და ლეთის ანაბარად მიეტოვებინა იგი იმ გახრწნილების ბუდეში. მე ძალიან კარგად დამახსოვდა ეს შემთხვევა, რადგან ძალიან იშვიათად თუ მინახავს მამაჩემი ასე აღშფოთებული და შეძრწუნებული...

1872 წ. 25 მაისს გარდაიცვალა ჩემი ძვირფასი ბებია, რაც ყველასათვის ძალიან მძიმე დანაკლისი იყო<sup>8)</sup>. თვითონ მისთვის ეს დიდი შეგება იყო. მას ძალიან ბევრი მწუხარება გადახდა თავის სიცოცხლეში: დამარხა საყვარელი ქმარი და ათი შვილი თორმეტიდან. იგი საშინლად იყო დასუსტებული მარხვით, რომელსაც მიუ-



ხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა და ექიმების რჩევისა, მტკიცედ იცავდა წლების განმავლობაში.

დედაჩემის ჯანმრთელობაზე ამ მწუხარებამ ძალიან მძიმე გავლენა იქონია, რის გამოც საზაფხულოდ მე და დედაჩემი გავემგზავრეთ დედაჩემთან პეტროვსკში (კასპიის ზღვის პირად) და აქ შევხვდი ალექსანდრე ორბელიანს<sup>59</sup>), რომელსაც ორი წლის წინად უარი ვუთხარი ცოლად გაყოლის წინადადებაზე. აქ მან განაახლა წინადადება და მეც თანხმობით ვუპასუხე. მას პაეების კორპუსი ჰქონდა დამთავრებული და მსახურობდა ადიუტანტად თ-ლ ლევან მელიქოვთან<sup>60</sup>), რომელიც, თუ არ ვცდები, დალესტანს განაგებდა. იგი წელიწადში 9 თვეს შურაში ცხოვრობდა და საზაფხულოდ სამი თვით თუ ჩამოდიოდა პეტროვსკში თავის ოჯახთან. ჩემს საქმროს ბავშვობიდანვე ვიცნობდი. მისი დედა და მე მესამეები ვიყავით (მამაჩემი და მისი ბებია—ბიძაშვილები იყვნენ).

მამაჩემსა და ჩემს სადედამთილოს თბილი ბიძაშვილური და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. პაეების კორპუსში შესვლამდე ალ. ორბელიანი ხშირად დადიოდა ჩვენსა, ჩემს ძმასთან ერთად სწავლობდა ფრანგულს. მათი მასწავლებელი ქალი, ნამდვილი „ძაღლების ოჯახის დედა“ იყო: უშველებელი ჩანთით მოდიოდა და თავისი ძაღლებისათვის სადილის ნასუფრალი მიჰქონდა. ალექსანდრეს ბევრი ლაპარაკი უყვარდა და მეც შემასწავლა ამ ლაპარაკში ფრანგული. ჩემი მშობლები თუმცა ოცნებობდნენ ჩვენ ქორწინებაზე, მაგრამ სრულიად არავითარი ძალა ჩემთვის არ დაუტანებიათ...

ჩვენ ჯვარი დავიწერეთ 12.II.1872 წელს და შინაურული სადილის შემდეგ გავემგზავრეთ შურაში, სადაც გველოდა ჩემი დედამთილი, ჩემი მეორე დედა, რომელიც, როგორც თითონაც მეუბნებოდა, ბედნიერი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მე მისი რძალი, მისი ქალიშვილი გავხდი, რაც მისი ძველთა-ძველი ოცნება ყოფილა. იგი გარდაიცვალა 15 წლის შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შორის ოდნავ უთანხმოებასაც არა ჰქონია ადგილი მიუხედავად აზრთასხვაობისა მრავალ საკითხებში, რადგან მე იმდენად მიყვარდა იგი, რომ ყოველგვარი მსხვერპლისათვის მზად ვიყავი.

ჩვენ შურაში ცოტახანს დავრჩით. აქ ჩვენთვის ყველაზე მახლობლები იყვნენ ივანე ორბელიანი<sup>61</sup>) (მანანას ვაჟი) და მისი მეუღლე—ერისთავის ქალი, სოფიო, რომელიც მე მთელი ჩემი ახალგაზრდუ-

ლი გრძნობით შევიყვარე. მას ქართული კაბა ეცვა, მოხდენილად ატარებდა ტანსაცმელს. ღრმა, ხავერდოვანი თვალები, მომხიბლავი ღიმილი და დამატყვევებელი საუბარი სიმშვენიერეს ჰმატებდნენ და იგი თანდათანობით ხდებოდა ჩემი იდეალი. ხოლო ის მეღანქოლია, რომელიც გამოკრთოდა მასში, კიდევ უფრო მეტად მხიბლავდა მე. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქმარი, — დარდიმანიდი, მუდამ გარშემორტყმული მზიარული მოქიფე ახალგაზრდობით, სმა-ჰამისა და უფრო კი ოპის მოყვარული; იგი ყოველთვის უდროოდ დროს ბრუნდებოდა შინ და სულ შეზარხოშებული იყო. მიუხედავად ამისა ის კარგი კაცი იყო, მაგრამ თავის ცოლთან არაფერი ჰქონდა საერთო. ცოლს კი უყვარდა იგი, როგორც ქმარი, და ძალიან ხშირად ტირიდა, ვინაიდან ივანე ორბელიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუდამ საფრთხის წინაშე იდგა. სოფიოს მეც ვუყვარდი და ამით მე ძალიან ვამაყობდი...

\* \* \*

ჩემ გათხოვებამდე ყოველთვის სოლოლაკში ვცხოვრობდი და მხოლოდ გათხოვების შემდეგ გადავბარგდი ჩემი ქმრის სახლში, ჩემთვის სულ ახალ უბანში. ჩემი მშობლები ისევ სოლოლაკში განაგრძობდნენ ცხოვრებას. მამაჩემი ხშირად მოდიოდა ჩვენსა და იშვიათი დღე იყო, რომ მე არ მენახა ჩემიანები.

მამაჩემი ადრე ღვებოდა. ჩაუცველი არც ცოლს და არც შვილებს არ გვეჩვენებოდა, მანამ ლაზათიანად არ მოუვლიდა თავის თავს. იგი ხალათის მაგიერ მსუბუქ მაუდის სამხედრო პალტოს იცვამდა ხოლმე. დამინახავდა თუ არა, მომეფერებოდა, დამკოცნიდა, კალთაში ჩამისვამდა. ჩაის ერთად ვსვამდით.

ჩაის შემდეგ მამაჩემი თავის კაბინეტში ჩაიკეტებოდა სამუშაოდ და მე ჩემ მასწავლებლებთან კლასში მივდიოდი. როცა კარგი დარი იყო, სადილის წინ სასეირნოდ მივდიოდა ხან მამაჩემთან და ხან ლაუისთან. ყოველ ნაბიჯზე ნაცნობებს ვხვდებოდი: იყო თავის დაკვრა, ხელის ჩამორთმევა, გაუთავებელა ბაასი...

მამაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა ღენერალი იედლინსკი, პოლონელი, ძალიან განათლებული, მზიარული, გონებამახვილი. როცა კი შეგვხვდებოდა ის, მამაჩემს ჩემ გუჟერნანტს ეძახდა. შემოგვიერთდებოდა იგიც და მასთან უფრო დიდხანს ვსეირნობდით. მამაჩემი მომრიგებელი შუამავალა იყო და ხშირად უხდებოდა თავის სამსახურის საქმეებისათვის ტუილისიდან დიდი ხნით წასვლა.



შეჯავრებოდა მისი მოშორება და ყოველი მისი დაბრუნება დღესა  
წაული იყო ჩემთვის.

სამ საათზე ვსადილობდით. სადილის შემდეგ ხშირად ჩემი მი-  
შველებით მამა ანთებდა თავის დიდ ჩიბუხს და თავის კაბინეთის.  
დიდ სავარძელში ისვენებდა (სხვა დროს კი პაპიროსს სწევდა).  
მას ეჯავრებოდა ქალაქის თამაშობა და სალამოთი, თუ დედა-  
ჩემის პარტნიორების გარდა არავინ იყო, შვეილოდა თავის კაბინე-  
თში სამუშაოდ და ხანდახან თუ გამოვიდოდა მოთამაშებთან.

ჩვენების ხშირი სტუმრები იყვნენ: ჩემი ბიძაშვილი დარია, მისი  
ქმარი დავით ქობულაშვილი, გენერალი ისააკ თუმანიშვილი<sup>62</sup>), ირაკლი  
გრუზინსკი<sup>63</sup>), ლ. მელიქიშვილი, რეზენკამფი<sup>64</sup>), ზაალ ბარათაშვილი<sup>65</sup>)  
და მისი სამი შვილი, რომელთაგან მხოლოდ უფროსი დავითი იყო  
ნორმალური, ორ უმცროსს კმებს კი საშინელი ბედი ეწვიათ: ივანე  
გადავარდა სასამართლოს მესამე სართულიდან და დაიღუპა, ხოლო  
გიორგი საგიყეთში მოკვდა. ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ გი-  
ორგის დაცინვით ქორეეტას ვეძახდი თავის ქალაქუნა ქცევისათვის...

დიდმა მთავარმა მიხეილმა ჩემი ქმარი თავის აღიუტანტად  
აიყვანა სწორედ იმ დროს, როცა მე ყოველ ღონისძიებას ვხმარობ-  
დი, რათა მას სამხედრო სამსახური მიეტოვებინა და სოფ. ლამის-  
ყანაში დავებინავებულყავით, ხოლო თბილისში ორი ან სამი ოთახი  
შეგვენარჩუნებინა იმ შემთხვევისათვის, თუ ქალაქში ჩასვლა დაგე-  
ჰქორდებოდა რისთვისმე. მე ვოცნებობდი უბრალო და მყუდრო  
(კომფორტულ) ცხოვრებაზე. ყველაზე მეტად მსურდა ჩვენი გლახე-  
ბის ცხოვრების გაუმჯობესება, რადგანაც ვიცოდი, რომ ისინი  
მოკლებული იყვნენ ყველაფერს: არა ჰქონდათ წყაროს წყალი  
(ურომლისობაც სოფელში მალარიას აერცელებდა), სკოლა, აბანო,  
საავადმყოფო და სხვა. ჩემი აზრით, ჩემი ქმარი მოვალე იყო თვი-  
თონ მოეელო თავის მამულებისათვის, რომ ბოლო მოღებოდა მოუ-  
რავების ნდობის ბოროტად გამოყენებას. ჩემდა სასიხარულოდ მე  
ჩემი ვაფიტანე: ჩემმა ქმარმა სამხედრო სამსახური მიატოვა და, რო-  
გორც მე ვფიქრობდი, ლამისყანაში დავებინავდით ხანგრძლივად.  
აქ ფართო და ახლად გადაკეთებული ბინა ძალიან კარგად იყო  
მოწყობილი. მე ყველაფერი ხელს მიწყობდა იმისათვის, რომ ჩემს  
გემოვნებაზე მომეწყო ჩემი ცხოვრება: მქონდა ბეკერის მშვენიერი  
როიალი და მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელსაც ყოველ კვირა  
ემატებოდა ტფილისიდან ბერენშტამის წიგნის მალაზიიდან ფრან-

გული წიგნები და ჟურნალები. მყავდა, აგრეთვე, მშვენიერი დომი ცხენი, რომელითაც ყოველთვის ვჯირითობდი მთასა და ბარში ხან ჩემ ქმართან ერთად და ხან ჩვენ მსახურთან.

სოფლები ჩენს ქმარსა და დედამთილს დიდ პატივსა სცემდნენ, რადგანაც არც ერთსა და არც მეორეს მათთვის არასოდეს არავითარი წყენა არ მიუყენებიათ, და მათ ეს პატივისცემა ჩემზედაც გადმოიტანეს. სოფელში დიდი ამბით მიგვიღეს: ზოგი ძალიან უხვად, ქეფითა და ცეკვა-სიმღერებით გაგვიმასპინძლდა. მათი პატივი არც ჩვენ დავივიწყეთ, მოვიპატიეთ მთელი სოფლის გლეხები, როგორც ჩენი, ისე ჩენი მეზობლის—დ. ერისთავისა, და ისეთი ქეიფი გაიმართა, რომ საღამომდე სუფრიდან არ აშლილან, მსახურები განუწყვეტლივ მოარბენინებდნენ ცხელ-ცხელ პურებს თორნიდან და ღვინოს მარნიდან.

ეს იყო 1876-77 წლები...

მაშინ ჩვენ სოფელში მდიდარი ოჯახი გვქონდა: მშვენიერი საცხოვრებელი ბინა, კარგად მოწყობილი თავლა, საჯდომი და ეტლების ცხენები, კარგი წისქვილი თავისი პერსონალით, მსახურები, მზარეული, მოსამსახურე ქალები, მრავალრიცხოვანი ბავშვები და სხვა. ყველანი და განსაკუთრებით ბავშვები ძალიან მალე დამიმეგობრდნენ. გავიდოდი თუ არა ეზოში ან ბაღში, ისინი ჩემთან გროვდებოდნენ. მალე ჩვენი მსახურებისა და მახლობელი გლეხების შვილებისათვის მოვაწყე დაწყებითი სკოლა, რომლის ერთად-ერთი მასწავლებელი მე ვიყავ. იმ ხანად ლამისყანაში მოვიდა სასოფლო სკოლების ინსპექტორი, რომელიც სადილად მოვიწვიეთ, და, როცა გაიგო ჩემი პედაგოგიური მუშაობის შესახებ, მან სერიოზულად მითხრა: „ადვილი შესაძლებელია დიდი უსამოვნება მიაყენოთ თქვენ თავს, თუ უნებართვოდ განაგრძობთ ბავშვებს სწავლებასაო“. მე სიცილად არ მეყო მისი შენიშვნა და სანამ სოფელში ვიყავი, არ შემინერებია ბავშვების სწავლა-აღზრდა. შობის დღეს მოვაწყე პატარა საღამო და ბავშვებს დაეჟღერა ნაძვის ხე, რომელიც მათ არასოდეს არ ენახათ. შეიქნა ბავშვების ჟრიაჟული, მორთული ხის გარშემო ტრიალი, სიმღერა, ცეკვა და მხიარულება.

მე დიდად კმაყოფილი ვიყავ სოფლის ცხოვრებით, მაგრამ საწყალმა ჩემმა ქმარმა, რომელსაც სპეციალური სამეურნეო ცოდნა



არა ჰქონდა, ვერ შესძლო სოფლის მეურნეობის გაძლოლა, მიატოვა სოფელი და დასასვენებლად თბილისში წავიდა. იქ დიდმა მთავარმა მიხეილმა ჩემს ქმარს დაეინებით მისცა წინადადება, ისევ სამსახურში შესულიყო მასთან და მანაც უარი ვეღარ უთხრა მთავარს. მე არ მინდოდა თბილისში წასვლა, რისთვისაც გავჯიუტდი და კიდევ რამდენიმე თვეს დავრჩით სოფელში, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდი ქმართან წავსულიყავი...

მეორე სოფელი, სადაც მე ხშირად მიხდებოდა ყოფნა, იყო სოფ. ატენი. აქაც მე მქონდა მშვენიერა ჰატარა მამული, რომელიც ჯვარისწერას დღეებში ჩემმა დედამთილმა მაჩუქა. როცა კი ჩემთვის უნებური ცხოვრება მომქანცავდა, ორიოდ კვირით ამ მამულში ვაფარებდი თავს ჩემ ერთგულ კონასთან ერთად. და წიგნებს ვკითხულობდი. კლდეში გამოქვაბულ სახლში, რომელიც მე მეკუთნოდა და რომლის არქიტექტორი იყო ჩემი ქმრის პაპა—თორნიკე ქსნის ერისთავი <sup>66</sup>), მე განვიციდიდი ისეთ სიამოვნებას, რომლის შესგავსი არსად მიგრძენია.

ატენის ვიწრო ხეობას დაჰყურებს ნანგრევები ძველი ციხისა. დაბლა განუწყვეტლივ მზუის გამჟვირვალე და ბროლივით წმინდა მდინარე ტანა, რომელიც ბტუნვით ჩაედინება სულ ქვევით, ერთ ამადლებულ ადგილისაკენ, სადაც ჩვენი სახლია წამოდგმული. მდინარის ნაპირას, პატარა კლდეზე ამართულია პატარავე ძველის-ძველი კოშკი. აქ ხშირად სოფლის ბიჭები ჯერ ტანაში ჭყუმპალობენ, მის ზვირთებს ეთამაშებიან და შემდეგ აბობლდებიან ამ კლდეზე და თავიანთ სველ ტანს მზეს უშვერენ გასაშრობად. აქაურ ბავშვებს ლამისყანელ ბავშვებსავით თითქმის ყველას ვიცნობდი. ნახევრად ტიტვლები ჯგუფ-ჯგუფად უკან ამედევნებოდნენ, როცა ბობნევისა და სიონის საუცხოვო ტაძრის მშვენიერ გზაზე ვსეირნობდი. ტაძარი კლდის ცალ მხარეს გადმოსცქერის. კლდის მეორე მხარის ფერდები ნაწილობრივ სოფლელთა და ნაწილობრივ ჩვენის საკუთარი ვენახებითაა დაფარული. შინ რომ გბრუნდებოდი, სუფრა გაშლილი მხედებოდა. ზედ ელაგა ჩემი კეთილი კონას მიერ დამზადებული სახელდახელო საუზმე და მეც მადიანად შევიქცეოდი საჭმელს.

ჩემი ძველი მეგობარი საბედო <sup>67</sup>) ქალაქიდან ჩემს ამოსვლას გაიგებდა თუ არა, იმ წამსვე ჩემს სანახავად მოვიდოდა. საბედო ძლიერ მოხუცი იყო, ასის წლისა მაინც იქნებოდა (მან შემდეგაც

დიდხანს იცოცხლა). ღრმად მოხუცებულს როცა კი ჰკითხავდნენ საბედო, რამდენის წლისა ხარო? თითოეული განვლილი წელი წადი მის პირში ათ წლად იქცეოდა და მოგახსენებდათ: „ას ოცი-სა, გენაცვალეთ!“ ერთი წლის შემდეგ ის ამავე კითხვაზე ასე გიპასუხებდათ: „130 წლისა“ და ა. შ. ერთი რამ ძალიან კარგად ახსოვდა: ქართლს რომ უკანასკნელად ლეკები შემოჰსივციან, საბედო ორი წლისა ყოფილა. მაშინდელ სოფ. ატენში გლეხების რამდენიმე მიწური სახლი ყოფილა. ლეკები რომ გამოჩენილან, მცხოვრებნი გამოქცეულან და თავი შეუფარებიათ იმ ციხეში, რომელიც ამაყად გადმოსცქერის ატენს. მშობლებს პატარა საბედოსათვის დაუვლიათ ხელი, სიჩქარით ხურჯინში თავდაყირა ჩაუსვამთ, ხოლო ციხეში რომ ასულან, ხურჯინიდან ცოცხალ-მკვდარი გოგო ამოუთრევიათ.

საბედოს ქვეყნის შეილები და შეილიშვილები ჰყავდა. მარტო მის ჩამომავლობას სოფლის კარგა მოზრდილი ნაწილი ეჭირა. ამ ნაწილსა და ტანას ნაპირს სოფლელები „საბედოს უბანს“ ეძახდნენ. სამწუხაროდ, არ იცოდა რაიმე საინტერესო ამბის მოყოლა. მისი ხანგრძლივი სიცოცხლე მიმდინარეობდა მშვიდ, უშფოთველ და ლამაზ გარემოში, მისგან შორს იყო ყოველივე ის, რაც სხვათა სიცოცხლეს ასე ართულებს და ამწარებს... მას ყაზახ-რუსები, მათი მათრახები და თოფები ხშირად უნახავს, თუმცა მისი ოჯახი შეძლებული იყო, ადვილად ისტუმრებდა ყოველგვარ გადასახადებს და ასე პირნათლად გამოდიოდა ამ ხალხთან, რომელიც ღვთისრიცხვად ევლინებოდა ჩვენი გლეხების უმეტესობას.

საბედოს მიერ გამომცხვარი ხაქაპურები და ქაღები განთქმული იყო მთელ სოფელში და ზოგჯერ მეც ჩამომიტანდა ხოლმე ტფილისში. ერთხელ განსაკუთრებით სასაცილო პირობებში მოხდა მისი ჩამოსვლა ქალაქში და მის მიერ გამომცხვარ ქაღა-ხაქაპურის ჩამოტანა. მზად ვიყავ ბალზე წასასვლელად. დედამთილი და ჩემი პატარა მეგობრები გარს მეხვეოდნენ: ალტაცებული იყვნენ ჩემი გარეგნობით, ჩაცმულობით და მისწორებდნენ ნაოკებს, თმის კულულებს. წინა ოთახში დაკიდებულ მანტოს მოსხმას-ლა ველოდი, რომ უცებ კარი ყურთამდე გაიღო და გამოჩნდა ჩემი საბედო თავის მიერ გამომცხვარი ქაღა-ხაქაპურებიანად. ხელები ქონიანი ჰქონდა. ორივეს მეტად გაგვიხარდა ურთიერთის ნახვა. საბედომ პირველად

მნახა საბალო კაბაში გამოწყობილი და, რომ მკაფიოდ გამოეხატა თავისი განცდიერება, სახეზე გაკონილი ხელები მომხვია და გადამკოცნა, რის გამოც ლოყებზე ქონიანი თითების კვალი დამაჩნდა. მე საბედლოს შეუმჩნევლად მოვიწმინდე ქონი, ხოლო ჩემს პატარა ნათესავებს ამაზე ცათაფრენა შეუდგათ და დამციენეს კიდევცა. უნდა გენახათ, როგორ გაუხარდა ამ კეთილ დედაბერს, როცა ვუთხარი, რომ მისი და მისი შვ-შვ-შვ შვილი თამარის სურათი, გადაღებული ივანე ჯავახიშვილის<sup>68)</sup> მიერ ამ ცოტა ხნის წინად მის ატენში ასვლისას, „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა-მეთქი.<sup>69)</sup> იმ წუთას იმაზე ბედნიერი არაავინ იქნებოდა. მითხრა: „არ ვიცი, როგორ გადავიხადო მადლობა, რომ ასე გამაპატიოსნეო“. ეს მოხდა 1913 წელს, საბედო 110 წლისა იყო, წელში ოდნავ მოხრილი, ნაბიჯი ფრთხილი, მაგრამ გამოზომილი, ცალი ხელით მსუბუქად ეყრდნობოდა თავის მალხაზ შვ-შვ-შვ-შვილს გოგოს, თავისს ანტიგონას, და ისე აღიოდა მეტად დაქანებულ აღმართზე, რომ არც იღლებოდა და არც ქშენა ემატებოდა. გარდაიცვალა 114 თუ 115 წლისა. ერთმანეთს თითქმის ორმოცის წლის განმავლობაში ვიცნობდით და ერთელად არ მინახავს ცუდ გუნებაზე მყოფი, გულმოსული...

1875 წელს მე, ჩემი მეუღლე, დედამთილი და მისი მსახური დედაკაცი—სოფიო ვარშავაში გავემგზავრეთ. ბიძა დიმიტრი სკერნევიციდან<sup>\*</sup>) მოვიდა ჩვენს წასაყვანად. მეტად აღერსიანად დაგვიხედნენ ცოლ-ქმარი ბარიატინსკები; ჩემი ბიძაშვილი ლიზა სიხარულისაგან ტიროდა. მე ის პატარაობიდანვე არ მენახა და თითქმის არც ვიცნობდი, მაგრამ ერთმანეთს მაშინათვე დავუახლოვდით. ლიზა ბარიატინსკისა<sup>70)</sup> ეშხიანი იყო, მეტად ლამაზი თვალები ჰქონდა, ჭკუიანობის გამომატველი, ცოცხალი, ერთი ბეწო სიტლანქე არ ეტყობოდა. მასაც ჩვენის ოჯახის სხვა წევრებივით მეტად უყვარდა ჩემი ძმა ნიკოლოზი და უნდოდა მისი ცხოვრების ამბავი დაწვრილებით გაეგო; გამოიკითხა ამბავი ჩემი და თავისი ნათესავ-მეგობრებისა, ვინც საქართველოში დასტოვა და ვისი ნახვის იმედიც სამუდამოდ დაჰკარგოდა. როცა ის ლაპარაკობდა, ეტყობოდა საშინლად ნაღვლობდა ყველა იმ წარსულისათვის, რომლის ჭკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო; ქმართან თავს ბედნიერად ვერა

<sup>\*</sup> სკერნევიცი ვარშავის ახლოს მდებარეობს. იგი რუსეთის ხელმწიფემ ალექსანდრე მეორემ საშვილიშვილოდ აჩუქა თავ-დასა და მარშალ ბარიატინსკის, როგორც თავის მეგობარს. ავტ.



ჰგრძნობდა, იმ ქმართან, რომელიც ქალების მუსუსად ითვლებოდა. და თითქო თავს ევლება თავის ცოლსაო და მაინც მოხუცებულ ბის დროსაც კი თავისას არ იშლიდა, ლამაზ ქალებს არ ეშვებოდა. ვგრძნობდი რომ ღიზა უბედური იყო, სრულებით გულგრილად უტყეროდა იმ ფუფუნებას, რომელიც მას გარს ეხვია და მეც უპეტესად შემეყვარდა \*)

სადამოობით თავადი ბარიატინსკი<sup>71)</sup> ქალაღს თამაშობდა. სკერნევიცის სასახლეში დამხვდა გიორგი შერვაშიძე<sup>72)</sup> (ბარიატინსკის ადიუტანტი), მისი მომხიბვლელი მეუღლე ელო, ექიმ ანდრეევსკის<sup>73)</sup> ქალი, რომელიც დედით ჩემი მეუღლის ბიძაშვილი იყო; გიორგი შერვაშიძის დაა — ბაბო, ჩემი სიყრმის მეგობარი იყო. აქვე იყო მშვენიერი პაშა ვიტგენშტეინისა<sup>74)</sup>, ქალიშვილობაში დადიანისა. მისი სიმშვენიერე ტყვედ მქნიდა, როცა მე 14 წლისა ვიყავ და თვითონ კი 20-ის თუ იქნებოდა.

ჩემს ბიძაშვილს უნდოდა სკერნევიცში დიდხანს გაეჩერებულყოფით, მაგრამ ეს ჩვენ არ შეგვეძლო. შემოდგომა ახლოვდებოდა და ჩვენი ძალუა პოპოვისა<sup>75)</sup> ძალიანა გვთხოვდა მის მამულში, ვასილევკაში, ჩავსულიყავით... ამიტომ მალე გზას დავადექით. სწორი მოგახსენოთ მომბეზრდა წოწიალი... ვინც გამოცდლებით არ იცის რა არის სამშობლოს დაშორების დარდი, თავისდღეში ვერ მიხვდება იმ საშინელ ტანჯვას იმ საცოდავ არსებათა, ვისაც დაკარგული აქვთ იმედი როდისმე იხილონ თავიანთი სამშობლო ქვეყნის კერა... უკვე კავკასიისაკენ მომავალს დამებადა იმედი, რომ საცაა ბოლო მოეღება სამშობლოს გარეშე ჩემს ყოფნას-მეთქი. ამან დამიბრუნა ძალ-ღონე, დამიბრუნა ფერი და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე სიხარულის ცრემლებით მევსებოდა თვალეები ჩვენი მკრების დანახვაზე. ყაზბეგში უკვე შინა ვგრძნობდი თავს. მაგრამ ვათაფრენა შემიდგა, როცა გამოვედი იმ ხეობაში, სადაც ფასანაური, რომელიც თვალწარმტაც სურათებს გადაუშლის ხოლმე მგზავრს, და ანანური, ესოდენ მდიდარი ძველი და სამწუხარო ისტორიული აშბებითა. მოხუცმა სოფიომ რომ დაინახა ჩემი, სიხარულისაგან ცრემლებით სავსე თვალეები, მითხრა: „შე დალოცვილო, ვგრე თუ გიყვარდა შენი სამშობლო, იჯდებოდი სახლში, რაღა სხვაგან მისდიოდი?..“

ტფილისში ჩამოველ... უზომოდ მიხაროდა, რომ დედაჩემი უკვე მოკეთებულყო. მამაჩემი, ჩემი ძმა და რძალი, მათი სამი შვილი,

\*) ბოლოს, იგი გავიდა და 1899 წ. გარდაიცვალა ახენში. დასაფლავებულია ივანეკაში. ავტ.



ნათესავეები, მეგობრები, ყველანი გულმზურვალედ დაგვიხედნენ მათთან შეხვედრით ისეთი სიხარულის წამები განვიცადე, რომელთა დავიწყება შეუძლებელია.

ჩემი ბიძაშვილი დარია ქენევაში იყო შეილიანად. ჩემი ძმა დენიშნათ პროკურორის მოადგილედ ქუთაისში და ოჯახიანად იქ წასასვლელად ემზადებოდა, რაც მე ძალზე მალონებდა; რადგან ძლიერ მიყვარდა რძალი და პირდაპირ ვალმერთებდი მის ბავშვებს. ამიტომ ჩემს ძმასა და რძალს შეეცოდე და წასვლისას დამიტოვეს სანუგეშებლად უფროსი ვაჟი ალექსანდრე, რომელსაც ძალიან ვუყვარდი...

ჩვენს დაბრუნებისთანავე ჩემმა დედამთილმა თავისი მზრივ მოიკითხა თავისი ნათესავეები: მუხრან-ბატონები და ერისთავები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ჩვენი მახლობელი ბიძაშვილები იყვნენ. ინახულა აგრეთვე თავისი საყვარელი მეგობარი, ძმისწული თავის ქმრისა, ელენე ერისთავისა, <sup>76)</sup> რომელიც მეც ძალიან მიყვარდა. იგი ჩვენი დიდი ხნის მეგობარი იყო და ხშირად დავდიოდი მათ სახლში, რომლის აივანი მტკვარს გადაჰყურებდა კუკიის ხიდის ყურთან ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ძალიან მიყვარდა ყოფნა ამ საუცხოვო მოხუცთან. დღისით, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი დედამთილი და ის უმეტესად საგარეოდ უნდა ყოფილიყვნენ ჩაცმულნი (ჩემს დედამთილს ევროპულად ეცვა, ხოლო მისი მეგობარი ქართული გემოვნებით შეკერილ კაბას ატარებდა), ისინი სულ მუდამ ალერსიანი იყვნენ, სულიერი სილამაზის პატრონნი, რაც ნათლად ეტყობოდათ მათ ტკბილ სახეებზე. ელენე ერისთავს, როგორც ამბობდნენ, ვორონცოვი დაჩოქილი უნახავს მის ფეხებთან, მაგრამ იმდენად სათნო ყოფილა, რომ არავისა სმენია მისი სახელი ოდნავაც შებღალულიყო. დარბაზში ერთ-ერთ მაგიდაზე თავისი თაყვანისმცემელი ვორონცოვის სურათი ედგა, ფერადი წამლებით დახატული...

1876 წლის თიბათვეში ქ. ქუთაისში დაიბადა ჩემი ძმისწული თეკლე <sup>77)</sup>, რომელიც შეიქმნა ჩემს მუდმივ და უდიდეს ნუგეზად ყველა ჩემ გაჭირვებისა და უსიამოვნების ჟამს. შემდეგ წელს მე და ჩემი მეუღლე ქუთაისში ჩავედით თეკლეს მოსანათლავად.

ეს მცენარეებით სავსე პატარა ქალაქი ძალიან გაცოცხლებული იყო იმ ხანებში; მთავარი გამაცოცხლებლები იყვნენ მოხუცი ცოლქმარი, უძეოდ დარჩენილი ნესტორ და პელაგია წერეთლები <sup>78)</sup> რომელთაც ყოველთვის სუფრა ჰქონდათ გაშლილი, მათ სახლში დიდიდან სალამომდე დაუწყნარებელი მოძრაობა იყო გამეფებული, სადილები, საღამოები, ბალები ერთი-მეორეს მოსდევდა. ქუთა-

თურებს ახლა ჩვენთვისაც, საქართველოს დედაქალაქიდან ჩამოსული ლეზბისთვისაც, უნდა გაეწიათ ხარჯი. მოგვიწყვეს გასეირნება, ფანები, საცეკვაო საღამოები და, ბოლოს, დიდი საცეკვაო საღამო წერეთლებთან (თ-ი ნესტორ წერეთელი და მე ვიყავით პატარა თეკლეს ნათესავები). ამ ორომტრიალმა, სწორე მოგახსენოთ, ძალზე მომქანცა. ჩემთვის რომ ეკითხნა კაცს, უფრო ვირჩევდი წყნარად და უშეთოთველად დარჩენას რძალთან, ძმასთან და ბავშვებთან, მაგრამ მეუღლე მარწმუნებდა: დიდი უზრდელობა იქნება შენი და შენი რძლის მხრივ, თუ კი სტუმრად წასვლაზე უარს იტყვითო. დაპატიჟებით კი ყველა მხრიდან გვპატიჟობდნენ. ჩემი ყველაზე დიდი ნატანჯველი იყო სადილები, რომლებიც დაუსრულებლედ გრძელდებოდა, და ვახშმები, დილის რიერაჟზე რომ თავდებოდა: მიუხედავად ამისა, ქუთაისში გამგზავრებას არა ენაღვლობ, რადგანაც უზომოდ გავეხარე ჩემი ძმის, რძლისა და ჩემი საყვარელი ძმისწულების ნახვით. პატარა თეკლეს ნათლობამაც ხეტად მზიარულად ჩაიარა...

ტფილისში რომ ჩავედით, ჩვენს ოჯახში ახალი ამბავი დაგვგვდა. ერთ საღამოს საშა მუხრან-ბატონისა<sup>79</sup>) და ნიკოლოზ ტრუბეცკოის<sup>80</sup>), რომელნიც ყოველ საღამო მოდიოდნენ ჩვენსა, ჩვენი სახლის კარებთან უნახავთ თეთრებში შეხვეული გოგონა, რომელიც რამდენიმე კვირისა იყო. ბავშვი ვერ გავიმეტეთ უბატონო ბავშვების თავშესაფარში გაგვეგზავნა და სახლში დავიტოვეთ. საცოდავ არსებას (მსხვერპლს ატავიზმისას, როგორც შემდეგში გავიგეთ) მხოლოდ და მხოლოდ სახე ჰქონდა ცოტად თუ ბევრად სანდომიანი, გონებრივად კი იმდენად ჩამორჩენილი იყო, რომ მისი განვითარება ვერა და ვერ მოვახერხეთ, ტყუილად წვალება და შეგვრჩა. ჩემი დედამთილი, რომელიც ზედ დაკანკალებდა საცოდავ ბავშვს, ძალიან წუხდა მის ნაკლსა და უნიჰობაზე. ქალი მინც ვაიზარდა, გათხოვდა კიდევ, მაგრამ უბედურა შეიქმნა: ქმარი გონებრივად ცოლზე მაღლა იდგა, მაგრამ ლოთი გამოდგა, ორი შვილი ეყოლა: ვაჟი, რომელიც პატარავე მოკვდა, და ქალი რომელიც სამღვდელოს გაჰყვა ცოლად. როგორც ამბობდნენ, მისი ქალი, ძალიან ბედნიერად თვლიდა თავს და სადღაც რუსეთში ცხოვრობდა. გარდაიცვალა წყალმანკისაგან ამ ათი წლის წინად 47 წლისა...

ზამთარს თუ ტფილისში ვატარებდი, ზაფხულობით ლამისყანაში ვცხოვრობდით და, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ვცდილობდი,



რაც შეიძლება, მეტხანს დავრჩენილიყავ სოფლად და, რითაც კი შეიძლება, მივშველებოდი ჩვენს გლეხებს და მრავალნიარ გაქირავებისაგან გვეხსნა ისინი. უმეტესობას აკლდა ცხოვრებაში პირველ საჭირო და აუცილებელი საგნები. არ გააჩნდათ სკოლა, არ ჰქონდათ საავადმყოფო, არ ჰყავდათ ექიმი; მძიმე ავადმყოფებისათვის გორიდან ან თბილისიდან უნდა მოგვეყვანა ექიმი და ზოგჯერ ჩემი მეუღლე უნდა წასულიყო მის მოსაყვანად. სახელდახელო ავადმყოფობის დროს ჩვენი სოფლები ჩვენ მოგვმართავდნენ (თბილისიდან მთელი ათთეკა ამოგვქონდა ხოლმე), მეც ავადმყოფებს ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და ექიმის გეგე მალალაშვილის<sup>81</sup>) ხელმძღვანელობით ვწამლობდი, რითაც განუსაზღვრელი ნდობა მქონდა ავადმყოფებისა. ჩემი დედამთილი და მეუღლე გაქირავებულ გლეხებს ყოველთვის ხელს უმართავდნენ ფულით ან სხვა რაიმეთი. გლეხებიც ჩვენდამი მუდამ საკეთილოდ იყვნენ განწყობილნი განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ჩვენ რამდენჯერმე მძიმე სასჯელისაგან ვიხსენით ივინი.

ერთხელ რაზმი ყაზახრუსებისა ერთის ოფიცრის მეთაურობით ჩაუდგა სოფელში ლამისყანლებს და ერთი ბეწო დანაშაულისათვის სასტიკად უნდა დაესაჯათ მთელი სოფელი. მამაკაცები ყანებში იყვნენ გასულნი და ყაზახრუსები ქალებს დაერივნენ. ამათაც პატარა გოგო აფრინეს ჩემთან, თავიანთი გაქირავება შემატყობინეს და შევლა მთხოვეს, რადგან ზოგიერთი ქალი დაეჭირათ კიდეცა. ოფიცრის თავხედობამ და მის მიერ ქალების აწიოკებამ აღმაშფოთა და გოგოს სათქმელი არც კი გაუთავებია, მე დაუყოვნებლივ სოფლისკენ გამოვსწიე (მეუღლე თბილისში იყო წასული). ოფიცერმა შორიდანვე დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოემართა. მე პირდაპირ განვუცხადე ჩემი გულისწყრომა: ყაზახრუსებს სოფლის დედაკაცები დაუჭერიათ და ფეხით გორში მიჰყავთ. გიცხადებთ, რომ მეც იმათ გავყვები ფეხდაფეხ, თუ ახლავე ბრძანება არ გავცივთ გაანთავისუფლონ დაქერილი ქალები, და იცოდეთ ამ ძალმომრეობისათვის პასუხს მოვითხოვნივთ თქვენთვის მეთქი. ოფიცერმა ბოდნიში მოიხადა და მარწმუნებდა: მე მხოლოდ შეშინება მინდოდა მათ, თორემ დაქერილი დედაკაცები ცოტახნის შემდეგ უკანვე უნდა დამებრუნებინათ... ამასობაში დედაკაცები უკან ბრუნდებოდნენ და იქაურობას მაშინ-ღა მოვშორდი, როცა ყაზახრუსები სოფელს გაციალდნენ...

ლაშქარიდან რკინიგზის მახლობელ სადგურ კასპამდე 12 ვერს-ზე მეტი მანძილი იყო. უნდა დაგვეჭირა ერთი საგანგებო კაცი, რომელიც ყოველდღე მოგვიტანდა ჟურნალ-გაზეთებს და წერილებს. ჩვენი სოფლის მახლობელს მეზობლებს (4 თუ 5 კაცი იყო) წინადადება მივეცით, რომ დაგვეჭირავენა ყველას ერთი ცხენოსანი ჩაფარი და შეგვეყვებინა ორი ყუთი წერილებისათვის. ჩვენი მეზობლები არ დაგვეყვნენ: „ხარჯი ბევრი იქნებაო“. მაშინ მთელი ხარჯი ჩვენ ვიკისრეთ, რომ საშუალება მოგვეცემოდა ყოველდღე მთელ გარემო ქვეყნიერებასთან კავშირი დაგვეჭირა, სოფლის გლეხობა სიამოვნებით მიეგება ჩვენს წინადადებას და ხარჯშიც მონაწილეობა მიიღებს.

ლაშქარიდან ციება მუსრს ავლებდა იქაურთ, რადგან მდ. ქსნიდან წამოყვანილი წყალი სასმელად არ ვარგოდა. ჩემმა მეუღლემ თავის ხარჯით მოიწვია ინჟინერი გ. ქურდიანი<sup>82</sup>) და წყალი გამოაყვანინა ერთ წყაროდან, რომელიც ჩვენს სოფლიდან სამიოდე ვერსის მანძილზე მდებარეობდა. ამაზედაც გლეხები ძლიერ კმაყოფილნი იყვნენ და სოფელშიც ავადმყოფობამ იკლო...

შორეულ წარსულიდან დამრჩა კიდევ ერთი მოგონება. ეს ამბავი იყო ალევში, „ოქროს კარის“ ეკლესიაში, ქსნის ხეობაში 15 მარიაშობას. ამ დღეობას დიდი ამბით მოელოდნენ და დიდძალი ხალხიც ესწრებოდა. ქართლის ყველა კუთხიდან მოდიოდა აქ მლოცველები. ჩვენი წასვლის წინა დღეს, ე. ი. მარიაშობისთვის 13-ს, გაიგზავნა რამდენიმე ურემი, დატვირთული კარავებით, ქვეშსაგებით, მაგიდებით, სკამებით, ქურჭლით, აუარებელი სურსათ-სანოვავით, რომელიც თავისუფლად ეყოფოდა სამ იმდენ ხალხს, რაც ჩვენ ვიყავით.

გამოსვლის დღეა, ორომტრიალობა ეზოში, იქაურობა ხალხით საესეა; ურემები და შესაჯდომი ცხენები გამჭკრივებულნი არიან: ურემები — ჩემი დედამთილისა და სხვა ხანში შესულებისათვის, ცხენები კი ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის.

ჩემი ცხენის უნაგირი სულ ვერცხლით იყო დაფარული, — ეს იყო ძველებური რახტი, დედამთილის ნაჩუქარი. ცხენი ამ რახტის ქვეშ თავს თავისუფლად ვერა ჰგრძნობდა, ამიტომ ჩემი დედამთილისაგან ნებართვა ავიღე, რომ საცოდავი პირუტყვისათვის მოეხადნათ რახტი და იმის მაგიერ დაედგათ ჩემი მსუბუქი ინგლისური უნაგირი.



ამ ცხენის მოსართავთან ერთად ჩემმა დედამთილმა მიჩუქა თავის ყოველგვარი მოსართავი ძველი დროის ქართველი ამორძალებისა. მე ისე არცერთი გასართობი არ მიყვარდა, როგორც ცხენოსნობა, და ამიტომ ამ მოგზაურობამ აუწერელი სიამოვნება განმაცდევინა. რაც უფრო წინ მივიწვედით, ხეობა ტყით იფარებოდა და აღმართი უფრო და უფრო ძნელი სავალი ხდებოდა. ცხენები თხებივით მიცოცავდნენ, ებლაუქებოდნენ ნიადაგის ქიმებს, ზედ ეგებოდნენ კლდის მწვეტებს ქშენით, ღონემიხდილნი. ბოლოს, ყოველგვარი დაბრკოლება გადავლახეთ, კლდეზე ავიდნენ ყველა ცხენები, ურმები და გამოვედით ერთ თართო მინდორზე, სადაც ერთ ციცაბო გორაკზე წამოდგმულია „ოქროს კარის“ ნიში.

აი, აქ მოვედიოდით სალოცავად.

ყველაფერი მზად იყო ჩვენს დასახვედრად და ჩვენი კარვები დადგმული და მოწყობილი, რომ შიგ თავისუფლად მოგკალათებულყავით. აუარებელი ხალხი იყო და თანდათან ემატებოდნენ ახალმოსულები; ზურნის ქვეტინი მოისმოდა სხვადასხვა ადგილებიდან. საღამოზე მოზღვავებულ მლოცავთა მოძრაობამ უმწვევრვალსობას ნიშნავდა. ყველა მხარეზე დანთებული ცეცხლი დღესავით ანათებდა მინდორს და შუა ღამე კარგა იყო გადასული, რომ სიმღერა-თამაშობა შესწყდა. ჩემს დედამთილს, ჩვენს სტუმრებს ყველას ეძინა, როცა ჩამოვარდნილ სიჩუმეში ერთბაშად ყურში ჩამეწვეთა საუცხოო ხმა. ეს ხმა საღამურისა იყო და მისი დამკვრელი ჩვენთვის უცნობი დარჩა. განთიადამდე არ დამძინია, სულ საღამურს ვუვდებ ყურს. თავისდღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ ასეთ მელოდიურ ხმებს გამოაღებინებდა ადამიანი ასე უბრალო, სადა საკრავს.

წინა დღიდანვე ვიცოდით, თუ მეორე დღისათვის რა პროგრამით გვიმზადებდნენ გასართობებს, ივანე მუხრან ბატონი<sup>83</sup> მთავარი მომწყობი იყო ამ გასართობებისა. მარტო მისი იქ დასწრება რაღა ღირდა? მას თან წამოეყვანა აუარებელი გლეხები, რა თქმა უნდა ყველანი გამორჩეულნი იყვნენ: ზოგი მოცეკვავე, ზოგი მომღერალი, ზოგმა ცხენის ქენება იცოდა, ზოგმა ბურთაობა. თან ახლდნენ ივანეს ნათესავები, სტუმრები და მოსამსახურენი. ამოდენა ხალხი მეტად საინტერესო საყურებელი იყო.

დილით კარვებიდან რომ გამოვედით, გავოცდით, ჩვენი თავი ღრუბლებს ზემოდან რომ დავინახეთ. დიდი ოსტატი-მხატვარი უნდა



ყოფილიყო, რომ დაეხატა ჩვენს წინ გადაშლილი დიდებული სუ რათე: ამომავალი მზე ჩვენს წინ გორაკზე თავზე წამომდგარ „ოქროს კმარის“ ნიშს აფრქვევდა სხივებს. ნელ-ნელა გაიფანტა ნისლი და დავინახეთ ჩვენს ფეხებქვეშ შეფენილი მშვენიერი, ხშიარი ტყე, სადაც ჩვენ წინა დღით ამოვიარეთ. აგეღით გორაკზე წირვის მოსასმენად. იმ ხანებში ყველანი ღვთის მორწმუნენი იყვნენ. წირვის შემდეგ უნდა დაწყებულიყო დღეობა. პროგრამა მეტად საინტერესო იყო ხალხისათვის, მალე თამაშობა და სხვა გასართობი დაიწყეს. მოხუცი ძია ივანე მუხრან-პატონი გაახალგაზრდავდა, დაუღალავი, ცოცხალი, მიუხედავად იმისა, რომ 70 წელს იყო გადასული, მობურთაღთა შორის გაერია და ისიც სხვებივით ბურთაობდა. ბურთაობით დაიწყეს დღეობა, ამას მოჰყვა კიდაობა, ცხენების ქენება, ცეკვა, სიმღერა და სხვ... ყველაფერს საუკეთესოდ ასრულებდნენ: მუხრანელი ახალგაზრდობა ცხენების ქენებაში დუშეთისას გაუჯიბრდა. ორსავე ადგილის ცხენოსანი ახალგაზრდები, მარდები, კარგა შეკაზმულ ცხენებზე მსხდარნი მეტად სასიამოვნო საყურებელნი იყვნენ. ამას მოჰყვა სადილი, გაბმული „მრავალქამიერი“ და სადღეგრძელოები და ყოველსავე ამას ბოლო არ ექნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ და არ ეთქვათ — უნდა ვიჩქაროთ და დაღამებამდე ჩავიდეთ შინაო.

არავის უნდოდა ამ თვალწარმტაც ადგილებიდან წასვლა. ბოლოს, ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. ზოგი ურპით წამოვიდა, ზოგი ცხენით და თავი შევკავეთ ტყეში, რომელიც გარსშემორტყმოდა ველს; თითქო მხრებით შესდგომია და ისე უჭირავს ეს ველიო და ასე მივდიოდით ქსნის ლამაზ ხეობამდე. საიდანაც უნდა გეჟურებიანთ ამ ხეობისათვის, ყოველმხრიდან თვალწარმტაცი იყო. ასე მეგონა, ძილიდან გამოვერკვიე, ანდა ვეზიარე ძველთა წინაპართა ცხოვრებას, დღევანდელ ცხოვრებასთან საერთო არაფერი რომ აქვს, იმ ცხოვრებასთან, რომელსაც უნდა შევეუდგეთ მეთქი. მშვიდობით მშვენიერო ჩვეულებარო, რომელთა ერთი უკანასკნელი მოწმეთაგანი შეიქლება მეც ვიყო...

უსაქმურობა იმავე თავითვე მეჯაერებოდა და მამაჩემს და მასთან ერთად მეც უფეროდ გვეჩვენებოდა ის ცხოვრება, რა ცხოვრებასაც ჩვენ თბილისში ვეწოდით. მე ისევ განვახლე პიანინოზე დაკვრის სწავლა ალოიზი მიზანდართან, ხოლო სიმღერისა ოპერის ერთ მომხიბველ არტისტ ქალთან ქ-ნ ფერარისთან...



1882 წ. ამირჩიეს სათავად-აზნაურო სკოლის სამხრუნველთა კომიტეტის წევრად. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ იყო კონსტანტინე მამაცაშვილი, დიდი მეგობარი ჩემი მამისა. მე ექვი მქონდა, რომ ეს არჩევა ორი ძველი მეგობრის, საქმე იყო, რომ ამით ჩემი ცხოვრება უფრო საფერ გზაზე დაეყენებინათ და ავეშორებინეთ იმ საქმავოდ უახრო ცხოვრებისათვის, რა ცხოვრებასაც უმეტესობა ჩვენი არისტოკრატი ქალებისა ეწეოდა. ჩვენი კომიტეტი 7 წევრისაგან შესდგებოდა და ამ შვიდში ქალი მარტო მე ვიყავ. საქმე გასაკეთებელი ბერი იყო სკოლის კეთილდღეობისათვის და ჩემის თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი ამასა ხმარდებოდა და ეს გრძელდებოდა ოცდახუთმეტ წლის განმავლობაში.

სკოლაში ისეთი მოწაფეები სწავლობდნენ, რომელთაც საკმარისი პურიც არ ჰქონდათ. ჩვენ დავდიოდით ბინებზე, რომდენადაც შეგვეძლო, მათ ვშველოდით სასწავლო მასალით, ტანსაცმელით, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ჩემი ინიციატივით 1888 წელს გავხსენით უფასო სასადილო, სადაც ამ კომიტეტიდან ვრიგრიგობდით სადილის დროს; ჩემი რძალი ავირჩიეთ დიასახლისად. მზარეული ჩვენ ბედზე ჩინებული მცოდნე თავისი ხელობისა და ამასთან ჩინებული ადამიანი შეგვხვდა. პირველად სომხის ბაზარზე „სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ თავიანთ სასადილოში დავგივითო ერთი ოთახი. ბავშვების სადილს ორ-ორი ვესწრებოდით. ცრემლებს ვერ ვიკავებდით იმათი ქამის დროს, იმდენად დამშფუტლები იყვნენ ისინი. როცა ჩვენ სკოლაშივე მოვაწყეთ სასადილო, უფროსი კლასების მოწაფეებიც ჩაეწერნენ, მაგრამ შევამჩნიე, რომ ზოგიერთს ჩვენს სასადილოში ქამა ეთაკილებოდა. ამ საგანზე მათ ვებაასებოდი ხოლმე: ერთ მათვანს ვუთხარ, რომ სიღარიბე არას დროს სათაკილო არ უნდა იყოს და დავუმატი: „ვინ იცის, დღეს შენზე მეტი მე მაქვს და შეიძლება როდისმე ჩვენი როლები გამოიცვალოს და შენი შველა დამქირდეს-მეთქი“...

ამავე წლებში ამომირჩიეს „მასწავლებელ ქალების საზოგადოებაში“ და სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტში. იპოლიტოვ-ივანოვი<sup>41</sup>) სწორედ ამ სასწავლებლის დირექტორი იყო. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება თავის ხარჯით ინახავდა სკოლას და ხშირად უჩიოდნენ უსახსრობას. საჭირო იყო ხარჯების დასაფარავი ფულის საშოვრად მიგვემართა ლექციებისა, სალიტერატურო საღამოებისა,





კონცერტებისა და სხვა საშუალებებისათვის. მთავრობა, რომელიც ყველგან და ყველგან ერეოდა, ხშირად ჩვენც გვიკვირებდა საქმის, რის გამოც უნდა მოგვეთმინა ბევრნაირი უსიამოვნება და დროს უქმად კარგვა. თბილისში უკანასკნელად ყოფნის დროს იპოლიტოვიანოვი ერთ საღამოს ჩემთან შემოვიდა. ვბასობდით და ამ ბაასში მომავლან ერთი ეპიზოდი ჩვენის საერთო სამსახურისა სამუსიკო სასწავლებელში. მეფის ნაცვლად იყო ფსიქოპატი დონდუკოვ-კორსაკოვი <sup>85</sup>). ვაზოვეთ ნება მოეცა გვენახნა სასწავლებლის საქმეთა გამო და იმანაც აიღო და სასახლეში დილის საათზე დაგვიბარა. უნდა აღვიარო, რომ მეტად აღრე უნდა მივსულიყავით (კიდევ კარგი, რომ ეს გაზაფხულზე იყო), მაგრამ სხვა გზა არ იყო და ვითომ აქ არაფერი, წავედით დანიშნულ საათზე, თანაც გვეცინებოდა.

ტფილისი იმ თავითვე ცნობილი იყო, და ღირსეულადაც, როგორც მეტად მუსიკალური ქალაქი. ბევრი განთქმული მომღერალი გამოსულა აქ ოპერის სცენაზე, ან კონცერტები გაუმართინათ ყოველგვარი სახის და ხასიათის საკრავებზე. ხშირად ეს მოზაფხულე ფრინველები, გვასიამოვნებდნენ და პატივსა გვეცემდნენ, მოდიოდნენ ჩვენს სამუსიკო სასწავლებელში, რომ სასწავლებლის მოწაფეთათვის მოესმენინებინათ თავიანთი სიმღერა თუ დაკვრა. ჩემთვის, მაგალითად, მუსიკა მუდამ სულიერი და ხორციელი დასვენების საგანი იყო და იშვიათად თუ დავაკლდებოდი ასეთ საღამოებს.

ჩემი მეორე სასიამოვნო საგანი იყო წიგნების კითხვა...

1882 წელს დაიბადა ჩემი მეორე ძმისწული ქალი თამარი, 1883 წლის გასულს კი უბედურება დაატყდა ჩვენს ოჯახს: დედაჩემი, რომელიც დღითი-დღე უძლურდებოდა, გარდაიცვალა 55 წლისა და ყველა თავისიანები დაგვაგლოვა. მართალია დედა ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც მთელი ოჯახის სული და გული ის იყო. ჩემმა კარგმა და კეთილმა დეიდა ნინომ, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, გაიგო თუ არა, რომ მისი საყვარელი დაა (დედაჩემი) მომაკვდავი იყო, მაშინვე მოიქრა და ჩვენ ორნივე ერთად ვუვლიდით ავადმყოფს. მაგრამ მიუხედავად ჩვენი ცდისა და თავდადებული მოვლისა, სიკვდილს მაინც ვერ გადავარჩინეთ, სხეული მეტად დაუძლურებული ჰქონდა. მშვიდად და უტბად გარდაიცვალა...





1884 წელს სასიხარულო ამბავს კვლავ სამწუხარო მოპყვენიერებად ჩემ რძალს ქალი შეეძინა ანასტასია, <sup>86)</sup> ხოლო წლის გასულს გარდაიცვალა ჩემი ბიძაშვილი დარიკო. ამის შემდეგ ჩვეულებად გადამეკცა საღამოობით სახლში ვმჯდარიყავ და ქალაღღზე აღმენიშნა ჩემი შთაბეჭდილებანი და ეს ჩემს თაეთან ბაასის მასალად გამეხადნა. შემდეგში ეს ჩანაწერები, სადაც ჩემი პირადი ცხოვრება მქონდა აღწერილი, დავხიე. კიტამ <sup>87)</sup> მისაყვედურა: „რაც უნდა უმნიშვნელო იყოს მოგონება, შეუძლებელია შიგ საინტერესო რამ არ ერიოსო“. დამრჩა ზოგიერთი მათგანი, შეიძლება ამათში იყოს აღნიშნული ისეთი ფაქტები, რომელნიც საერთოდ ქართველები-სათვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენს. მე ჩემს დღეში არ გადამიკითხავს ჩემი ნაწერი, რადგან თუ რასმე ვწერ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის ვსწერ და მსურს, რაც გულში მაქვს, ქალაღღზე გადავიტანო ან აღვნიშნო ის, რაც მომწონებია ან რასაც ჩემი ყურადღება მიუპყრია მოგზაურობის დროს...

1885 წ. ლამისყანაში დაგბინავდი. საუცხოო შემოდგომა იდგა და ამიტომ ბლომად გვეწვივნენ ნათესავ-მეგობრები. აქ ჩემმა ქმარმა მოაწყო სცენის მოყვარულთა წარმოდგენა, მონაწილეობა მიადგინა ყველა იქ მყოფ ნათესავეებს, სხვათა შორის, ჩემს ძვირუას პატარა თეკეს, დავით ერისთავს და მის ქალს ლიზას, შვილის-შვილს დრამატურგ გიორგი ერისთავისას. სცენას, დეკორაციები, ტანისამოსი, დადგმა, რეპეტიციები—ყველაფერი დეიდა ნინოს მეუღლემ <sup>88)</sup> ითავა. ის მუშაობდა შეუსვენებლივ და სხვებიც ჩააბა ამ მუშაობაში. ასე, რომ მთელი საქმე საუცხოოდ დაუგვირგვინდა. წარმოდგენა ბრწყინვალედ ჩატარდა...

1886 წლის ზამთარს ტფილისში გადმოვიდით და მეც გულმოდგინებით შევედექი ჩემს ჩვეულებრივ მუშაობას სხვადასხვა კომიტეტებში... ეპატრონობდი: ქართულ სათავაღ-აზნაურო სკოლას, სამუსიკო სასწავლებელს, მასწავლებელთა საზოგადოებას. და მის სკოლას (ქართულ, რუსულ და სომხურ სექტორებიანად). ამათთვის ზრუნვა ბევრ დროს მართმევდა, თუმცა ამას არა ვნაღვლობდი.

1887 წლის მკათათვეს დედამთილი გარდაიცვალა ხოლო ერთი წლის შემდეგ ჩემს საცოდავ დეიდას ქმარი მოუკვდა, მისი ნეშტი ტფილისში გადმოიყვანეთ და მივაბარეთ მიწას. <sup>89)</sup> დეიდა კი ჩვენთან დავაბინავეთ და მის სიკვდილამდე ერთმანეთს არ დავშორებდვართ. მე ამ ქვეყნად მისთვის ყველაზე საყვარელი ვიყავ,

მაგრამ ბუნებით მოსიყვარულე გულის პატრონს შეტად ნახად უყვარდა ჩვენის ოჯახის სხვა წევრებიც. მამა-ჩემს ძალიან უყვარდა ნინო. 9 წლისა ყოფილა ნინო, როცა მამაჩემს დედა-ჩემი შეურთავს, და ამბობდა ხოლმე: ასეთი მშვენიერის ბავშვის მნახველი არ ვიყავიო. თორმეტის წლისა რომ გამხდარა, ყვავილი შეყრია და ეს მშვენიერი სახე გაუფუჭებია, მაგრამ არც ისე ძალზე: მისი ლამაზი თვალები და ხორცის კანის სითეთრე და ვარდისფერი მაინც დაუტოვებია. თურმე აპირებდნენ მიეთხოვებინათ ალექსანდრე ორბელიანისათვის, მანანა ორბელიანის<sup>90</sup>) შვილისათვის და არ ვიცი კი, რისთვის ჩაშლილა ეს საქმე...

მამაჩემის სიკოცხლის უკანასკნელ წლებში ჩემმა ძმა ნიკოლოზმა ოჯახზე ხელი აიღო, შეუყვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი და ცოლი და შვილები მიატოვა. ვეჩუწებოდი, თავი მიენებებინა იმ ქალისათვის და ოჯახს დაბრუნებოდა, მაგრამ ვერ მოვარჯულე და ვერა. ეს ამბავი მამაჩემსაც აღშფოთებდა. ამის შემდეგ შეირყა საყვარელი მამაჩემის სიყვარული შვილებისადმი, რომლითაც თავი ესახელებოდა, და მისი საქციელი თავის სახელის შეურაცხელად მიიღო. მაინც გულს არ იტეხდა და თავის შვილის დანაშაულისათვის პასუხისგებას, მიუხედავად თავის ხნოვანებისა, თვითონ კისრულობდა. არაფერსა ჰზოგავდა ეამებინა და შესრულებინა ყოველგვარი სურვილი თავის რძლისა, რომლის მდგომარეობა ძლიერ ტანჯავდა მოხუც მამას. ზოგჯერ კაცს ეგონებოდა, რომ დამნაშავე მამაა და არა შვილი და ეს მამა სცდილობს თავისი ცოდვები შეისყიდოს...

მამაჩემს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

იგი 1890 წლის ენკენისთვის 29-ს გარდაიცვალა და ჩვენ მისნი მახლობელნი ცრემლშეუშრობელნი და მგლოვიარენი დაგვტოვა. საქართველოში ყველანი მისტიროდნენ მას...

\* \*

ვინ იცის, რამდენჯერ გადავღე და შერე ისევ ავიღე ხელში ეს რვეული, ჩემთვის ნამდვილ მეგობრად ქცეული. ახლაც ასე მგონია, ერთი საუკუნეა გასული მას აქეთ, რაც ჩემი რვეული უკანასკნელად ვნახე მეთქი. თუ ხელში მიჭირავს, ასე მგონია, მარტო არა ვარ-მეთქი. როცა წერა დავიწყე ამ რვეულში, რომელსაც არც თავი აქვს და აღარც ბოლო, აზრად მქონდა: მხოლოდ და მხო-



ლოდ ისეთი ამბები აღმენიშნა, რომელთა მოწმე მე ვიყავე, მაგრამ ახლა ვატყობ, რომ ზოგჯერ წერას გავუტაცნივარ და მე თვითონ არ შემომჩნევია, ისე გადამიტანია ქალაღღზე ჩემის გულის ნათქვანაზრის ნამეტნაობა...<sup>91</sup>)

1939 წ.

შენიშვნები

1. თეკლე—თეკლე ბატონიშვილი (1776-1846), ერეკლე მეორისა და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალი, პოეტ ვახტანგ ორბელიანის დედა.

2. ვახტანგ ვ. — ორბელიანი—დიმიტრის-ძე, რუსის ჯარის პოლკოვნიკი, თეკლე ბატონიშვილის მეუღლე, გარდ. 1812 წ.

3. მარიამ ორბელიანის ცნობა, თითქოს მისმა პაპამ—ვახტანგ ორბელიანმა თავი მოიკლა, ფაქტიური შეცდომაა. როკორც ცნობილია. ვახტანგ ორბელიანი 1812 წ. კახეთის ამბოხების დროს დაიღუბა. მისი შვილი ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებაში—„მამაჩემისაგან დალატი მეფის ირაკლისა“, დაწერილებით აღწერს თავისი მამის სიკვდილის ისტორიას (იხ. „მოგონება აღ. ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ“, სარგის კაკაბაძის გა., 1914, გვ. 9-23).

საყურადღებოა სხვა წყაროებიც. ასე მაგ.: ვახტანგის სიკვდილზე ბაგრატი ბატონიშვილის „პაპალ მოთარობაში“ გკითხულობთ: „...მუნ (ე. ი. ჩუშლაყთან, რ. ლ.) იქნა ბრძოლა ძლიერი, მოსწყვიტნეს მრავალი რუსნი. მუნ მოკვდა თავადი ორბელიანი ვახტანგ დიმიტრის-ძე, სიძე მეფისა ირაკლისა, რომელიცა იყო პოლკოვნიკი რუსთა, მყოფი რუსთა თანა“ (იხ. „ახალი მოთარობა“, თ. ლომოუჩის რედ. 1941, გვ. 119).

ან კიდევ: ვახტანგის სიკვდილზე მარკიზ პაულუჩი მწუხარებას გამოსთქვამს და იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი 1812 წლის 26 მარტს მიმართულ მოხსენებაში მასზე საგანგებოდ ჩერდება; „სამწუხაროდ, იმავე რახმინდან, რომელიც ჩემთან იყო, მოკლულ იქნენ თქვენი იმპერატორების უდიდებულესობის უერთგულესი და თავდადებული პოლკოვნიკი თავ. ვახტანგ ორბელიანი და 5 რიგითი ჯარისკაციო“ (იხ. Актъ, ტ. 5, გვ. 79; შდრ. აღ. ფოონელის „ამბობება კახეთისა“, 1907, გვ. 161).

4. პოეტი ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 1812 წელს.

5. ილია ჭავჭავაძე „ვახტანგ ორბელიანის მოკლე ბიოგრაფიაში“ ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს: „პირველ ცამეტ წელს თავ. ვახტანგ იზრდებოდა თავის მამის თჯანში, დედასთან. 1825 წელს კი იგი მიუბარებია დედას პაეტა კორპუსში და გაუსტუმრებია პეტერბურგს. იქ თავ. ვახტანგ დარჩენილა ხუთ წელიწადს და, თუმცა კარგი გულის-ყური და ბეჯითობა გამოუჩენია, მაგრამ ცივი ჰავა ჩრდილოეთისა ვერ აუტანია და შეშინებულ დედას თავისი შვილი დათხოვნილ წამოუყვანია პეტერბურგიდან“ (ილ. ჭავჭავაძე— „თხზულებანი“, ტ. 4, 1927, გვ. 261).



ი. ჭავჭავაძის ამ ცნობას იმეორებს, ვახტანგის ასული—მარიამ ორბელიანი და დამატებით აღნიშნავს: პაეტა კორაპუსში მყოფმა ვახტანგმა 1825 წ. მონაწილეობა მიიღო იმპ. ალექსანდრე პირველის დაქრძალვაში, რაც ი. ჭავჭავაძის ცნობას უფრო აძლიერებს.

6. დიმიტრი ყიფიანი—ივანეს-ძე (1814—1887), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მთარგმნელი. განათლებული ინტელიგენტი და სახელმწიფო მოღვაწე, თანამშრომლობდა ჟურნ. „ცისკარში“, „საქართველოს მთაბებში“, „ივერიასა“ და გაზ. „Kavkaz“-ში, სთარგმნიდა შექსპირისა და მოლიერის პიესებს, წერდა პუბლიცისტურ წერილებს ბატონყმობისა და საბანკო საკითხების შესახებ. თავის დროზე გიორგი წერეთელმა მას „სამავალითო ენით მწერალი და დახელოვნებული მთარგმნელი“ უწოდა.

დიმიტრი ყიფიანი და ვახტანგ ორბელიანი სიყრმის მეგობრები იყვნენ. მათ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდებმა იწვნიეს 1832 წლის შეთქმულებით გამოწვეული მწარე ხედარი. ისინი ცნობილი „ყაზარზობის“ დროს რამდენიმე თვეს ერთ საკანში ისხდნენ; სიბერის ეამს კი მათ მეგობრულმა ურთიერთობამ თავი იჩინა ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში. ცნობილია, რომ დიმიტრი ყიფიანს პოეტმა უძღვნა ლექსი „ძველს მეგობარს“, სადაც იგი სწერდა:

„მოდი, რკინისგზა გვერდით გაქვს, მოსვლა არ გაგიძნელებდა,  
 მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა რუსთველის დიდი ქენილებდა,  
 იმის ფურჩინილის ლექსებით სული და გული დაგიტკბობთ;  
 გეტმ, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხობთ,  
 გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული,  
 სამშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რვეული“.

დიმიტრი ყიფიანმა ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით ამ მიწვევას ლექსითვე უპასუხა: „ძველი მეგობრის პასუხი“ („დროება“, 1883, № 231), რასაც ვახტანგ ორბელიანისგან პასუხის პასუხად ლექსი „ბაქარ ქართლელს“ მოჰყვა (იხ. ვ. ორბელიანი, „ლექსების სრული კრებული“; 1928, გვ. 92-93).

ეს ლიტერატურული გაბასება მათი გულთბილ მეგობრობის გამოძახილი იყო. (დ. ყიფიანის შესახებ დაწერილებით იხ. პროფ. ს. ხუნდაძის მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, 1936, გვ. 1-264; დ. ყიფიანის „ჩემბარები“, პროფ. ს. ხუნდაძის რედ., 1930).

7. გრიგოლ ორბელიანი — ზურაბის-ძე (1804-1883), ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. ვახტანგ ორბელიანი მას სიტყვისა და ლექსთა მეფეს, მამულისა და ერის დიდებას უწოდებდა:

„ადარ გვყავს იგი, ის მოხუცი, ტბილი ნობარი,  
 მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე, კაცი გულწრფელი.“

.....  
 ადარ არს იგი! შეწვდა ლექსი ციური, ტბილი“-ო,



8. კონსტანტინე მაკაცაშვილი — ქრისტიანული ფორმის (1815-1893), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, არტილერიის გენერალი და გლეხთა განთავისუფლების რეფორმის აქტიური მონაწილე, რომელიც გლეხების მიწიანად განთავისუფლებას მოითხოვდა (ამის შესახებ იხ. პაატა გუგუშვილის „ქართული რევოლუციონერობა“, 1941, გვ. 426-30) იგი იყო პოეტ ვახტანგ ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი (იხ. გ. ლუაჩაძის შენიშვნები ნ. ბარათაშვილის გარშემო: „ლიტ. მატრიანე“, 1-2, 1940, გვ. 400-402).

9. გიორგი ერისთავი — რეპუბლიკის, ერეკლე მეფის შვილიშვილი, ანასტასია ბატონიშვილის ვაჟი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

10. ბარონ როზენი — გრაფოლ ვლადიმერის-ძე, კავკასიის მთავარმართებელი 1831-1837 წლებში, 1832 წლის შეთქმულების აღმომჩენი (см. Акты т. VIII, 1881). მისი მეუღლის ელისაბედ დიმიტრის-ასულის სალონიში ზუსტმზაბათობითა და კვირაობით თავს იყრის და თბილისის წარჩინებული საზოგადოება.

11. თვალე ბატონიშვილის სახელით ცნობილია სამი ლექსი: 1. „თვალე ბატონიშვილისაგან თქმული გაფი ქეთონა, თავის დას პასუხს უგებს ამ ლექსით“, 2. „თვალისი“ და 3. „რომელთაგან მქონდა სიახე შევების“.

12. ეს სიგელი მეფე ირაკლის მიერ არია გაცემული 1770 წლის 14 ოქტომბერს, როცა თვალე 4 წლისა იყო, და ამ შინაარსის შემცველია: „გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს, თვალს ბიქს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალოებით ბიქის სახელს და ვებრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს ამიერიდან გიწოდონ თვალა-ბიქი“ (ს. კაკაბაძის — „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, წიგნი 1, 1914, გვ.133).

13. ქეთევან ერისთავი — გიორგი ივრეს-ძე ერისთავის („ჭერი-ჩახ“) ასული, მამულა ორბელიანის მეუღლე, (1806-1896).

14. შდრ.: გიორგი წერეთლის წერალი — „თვალე ბატონიშვილი“ (ქერნ. „ცვლი“, 1897, № 4, გვ. 109-110) და ს. კაკაბაძის — „ერეკლე მეფის სამი წერილი თვალე ბატონიშვილისადმი“ („წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1914, 1, 133-136).

15. ილინსკი — ვასილ ივანეს-ძე (1789-1845), სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის უფროსი, მეუღლე მისი — მარიამ ივანეს ასული გლიოზიშვილი. ჰყავდა ორი ქალი ეკატერინე და ნინო. ეკატერინე, რომელიც იშვიათი სილამაზისა ყოფილა, ცოლად შეირთო პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა, ხოლო ნინო ჯერ გათხოვდა ვინმე ბოლტენკოვზე დალესტანში, ხოლო კმრის სიკვდილის შემდეგ — მეზღვეურ ვლადიმერ ვლადიმერის-ძე ფონ-ჰერშელმანზე (ერცულად იხ. მ. ორბელიანის „მოგონებებში“).

16. ალექსანდრე — ვახტანგის-ძე ჯამბაჯურ-ორბელიანი (1801-1869), ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე შემდეგში ქერნ. „ციცკარის“ თანამშრომელი და „მამების“ თაობის იდეური ხელმძღვანელი. წერდა ლექსებს, კრიტიკულ და ისტორიულ წერილებს (მისი ნაწერების ბიბლიოგრაფია იხ. საქ. სახ. მეზღვეუმის მოამბეში, XIV-B, 1947, გვ. 265-282) იგი იყო თვალე ბატონიშვილის ვაჟი, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ძმა. ცოლად ჰყავდა ეკატერინე (კატინო) დავითის-ასული ბარათაშვილი, რომელზედაც ალექსანდრე მის მშობლებს მცირეწლოვანი დაუწინდავთ. მასთან შეეძინა ორი



ქალი: მარიამ (მაიკო), რომელიც ახალგაზრდა გარდაიცვალა, და დარია (დუქსონი) — მეფულე გენერალ დავით ქობულაშვილისა. დარია გარდაიცვალა 1884 წელს (იხ. მარიამ შერვაშიძის მოგონება „ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებიდან“: „ლიტერატურის მატანე“, 3-4, 1942, გვ. 314-320).

17. დიმიტრი — ვახტანგის-ძე ჯაბაყორ-ორბელიანი, თეკლე ბატონიშვილის ვაჟი, ვახტანგ ორბელიანის ძმა. ცოლად ჰყავდა მარიამ ივანეს ასული ორბელიანი, რომელიც განთქმული სილამაზის ქალი ყოფილა. დიმიტრი ყოფიანის თქმით, იგი თურმე თბილისის მანდილოსანთა მცირე ჯგუფში შექტურგარსკვლავით ბრწყინავდა („მემუარები“, 1930, გვ. 4). ფრანგი ბოჰანისტი ალ. დიუმა აღფრთოვანებული ამბობდა: „მე არასოდეს არა მქონია შემთხვევა, ასეთი საპატიო და წარმოსადღეე შესახვედობის ქალი შენახაო“. მარიამ ორბელიანი იყო ამავე დროს რუსული ლიტერატურის მცოდნე, მას ჰქონდა მდიდრულად მოწყობილი სალონი, სადაც იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, პოეტები და თბილისში ჩამოსული რუსი თუ ევროპელი მოგზაურები.

დიმიტრისა და მარიამ ორბელიანებს ჰყავდათ ერთი ქალი ელისაბედი (ლიზა), რომელიც ცოლად შეირთო მთავარმართებელმა — შენდევნი ფელდმარშალ ალექსანდრე ივანეს-ძე ბარიატინსკიმ (სხვათა შორის, ა. გაწერელია გრიგოლ ორბელიანის № 61 წერილის კომენტარიაში ფელდმარშალ ბარიატინსკის სიმამრად დიმიტრი ვახტანგის-ძის ნაცვლად შეცდომით ასახელებს დიმიტრი თომას-ძე ორბელიანს. იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“, 1, 1936, გვ. 276).

18. მარიამ ორბელიანი დაიბადა 1852 წელს.

19. მარიამ ივანეს-ასული ელიოზიშვილი-ილინსკისა.

20. ირაკლი — ალექსანდრეს-ძე ბატონიშვილი, გიორგი მე-12-ის ძმისწული (1827-1882).

21. დიმიტრი ბაქრაძე — ზაქარაის-ძე (1827-1890), ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი. 1850 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია და დაბრუნდა საქართველოში, სადაც ის დიდო ხალისით შეუდგა ძველი ქართული კვლევების შესწავლას. მისი პირველი სამეცნიერო წერილი მთიულების შესახებ გამოქვეყნდა ჟურნ. „სოვერემნიკში“ 1848 წ. და მას შემდეგ სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ნაყოფიერი კვლევა-ძიებითი მუშაობა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომელნიც აშუქებენ საქართველოს უძველეს წარსულს: „ისტორია საქართველოსი“, რომელიც დაწერილია ქართულ და ბერძნულ-ლათინური პირველი წყაროების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, „ვახუშტის საქართველოს ისტორია“, გამოკვლევეთა და ერცელი კომენტარიებით, „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, სადაც დასაბუთებულია მეცნიერულად „ქართლის ცხოვრების“ ღირსება, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (რუსულად) და სხვა.

22. მარიამ ორბელიანი სწორედ იმ დროს შეესწრო იტალიაში, როდესაც იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა ჯუზეპე გარბაღლინი (+807-1882) ჩრდილო იტალია ავსტრიელებისაგან გაათავისუფლა და ჯარების შესაგროვებლად შუა იტალიაში დაბრუნდა. იმ ვაზად გარიბალდს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებნი აღტაცებითა და ვაშას შეძახილებით გვიბებოდნენ, ბელადსა გამარჯვებას ულოცავ-



დნენ. ერთი ქალაქის მაცხოვრებლებმა გარიბალდის ეტლიდან ცხენები გამოუშვეს, შიგ ახალგაზრდები შეგნენ და თავიანთი ბელადი ისე გაატარეს ქალაქში.

23. ვილჰელმი — აბელ ფრანსუა (1790-1870), ფრანგული ლიტერატურის ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე.

24. უაზბეგი — მიხეილ გაბრიელის-ძე, გენერალი, მამა ალექსანდრე ყაზბეგისა, გარდ. 1866 წელს (იხ. „ლიტერატურის მატიახე“, 3-4, 1942, გვ. 289 და შემდეგ).

25. ხანდო — ალექსანდრე მახვილის-ძე ყაზბეგი (1848-1893).

26. ხოფო ესენოვა — ვლასეს-ასული, გენერალ გიორგი თარხან-მოთურავის მეუღლე, ალექსანდრე ყაზბეგის მამიდაშვილი. (იხ. მისი „დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგი“, მნათობი, 1927, № 8-9, გვ. 255 და შემდეგ).

27. ვახტანგ ორბელიანმა ჩრდილო კავკასიაში 5 თუ 6 წელს იმსახურა. როდესაც 1860 წელს პატარა მარიამი და დედა მისი საფრანგეთიდან დაბრუნდნენ, ვახტანგი ნალჩიკში მსახურობდა, ხოლო 1864 წელს იგი თბილისში გლეხთა საკრებულოს წევრად დანიშნეს.

28. ტახიკო — ანასტასია სიდამონიძე, ოსის ქალი, ვახტანგ ორბელიანის ოჯახის მოსამსახურე.

29. მიხეილ ნიკოლოზის-ძე — დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვი, მეფისნაცვალ კავკასიაში 1862-1881 წლებში.

30. 1876 წელს მტკვარში ბანაობის დროს დაიღრმა ლეიბ-ეჭიმის ქალიშვილი — ნინა გრატის ასული ანდრეევსკი. მაგრამ მეფის მოხელეებმა მკვლელობა დააბრალეს დავით ზურაბის-ძე ჩქოტუას, ანდრეევსკის სიძის — გიორგი შერვაშიძის მეგობარს (ანდრეევსკის ქალი დაიღუპა გ. შერვაშიძის ხანში, სადაც მმართველი იყო დ. ჩქოტუა) და შეადგინეს ცილისმწამებლური საქმე. დააპატიმრეს დ. ჩქოტუა და 1878 წლის 1-5 მარტს მოხდა მისი, ვითომდა ნინა ანდრეევსკის მკვლელის, გასამართლება, რომელსაც „ანდრეევსკის პროცესი“ ეწოდა. არსებობს ამ პროცესის სტენოგრაფიული ჩანაწერი. იგი 1878 წელს თბილისში ცალკე წიგნად გამოიცა: „Убийство девицы Нины Эрастовны Андревской 22-го июля 1876 года в Тифлисе“, 1-244. პროცესზე დ. ჩქოტუას დამცველი იყო პოეტი ვახტანგ ორბელიანის ვაჟი — ნიკოლოზი, რომელმაც დაასაბუთა დ. ჩქოტუას უდანაშაულობა; მაგრამ უდანასწეულს მაინც აპყარეს ყველა უფლებები და მიუსაჯეს ოცი წლის კატორღა მუდმივი გადასახლებით. შენდევში ეს საქმე საკასაციოდ თბილისის სასამართლოს პალატაში გადაიტანეს, სადაც ბრალდებულს იცავდა ცნობილი იურისტი პროფ. ვ. დ. სპასოვიჩი, რომელმაც ბრალდებული დ. ჩქოტუა უდანაშაულოდ სცნო. მიუხედავად ამისა, პალატამ საოლქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა, ვინაიდან ამისი მითითება „ხვეიდან“ ყოფილა. (იხ. აკად. ს.ჯანაშიას — „დ. ჩქოტუა და მისი ნარკვევი «ვეფხისტყაოსანის» შესახებ“, „ტფ. სახ. უნივერ. შრომები“, 1, 1936, გვ. 186-187).

დ. ჩქოტუა იყო ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა ლიტერატორი. მას დაწერილი აქვს ნარკვევი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ: „Герои поэмы Руставели и их мировоззнение“ („ტფ. სახ. უნივერ. შრომები“, I 1936, გვ. 164-185).

31. „ბანკოადა“ — 1895-1896 წლებში საბანკო საკითხებზე გაუთავებელი დისპუტები იმართებოდა, სადაც იბრძოდა ორი ძირითადი მიმართულება ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის მეთაურობით. დისპუტში მონაწილე და დამსწრე



სახოგადოება გაყოფილი იყო ორ ჯგუფად: ქვეყანის ტებად და მჩაბლის ტებად. ამ ორივე ჯგუფის გაუთავებელ ბრძოლას საბანკო საკითხის შესახებ ეწოდა „ბანკობიდა“. 1896 წელს ეს „ბანკობიდა“ დამთავრდა ვანო მჩაბლის და ძის მიმდევართა სრული დამარცხებით, რის შემდეგ ვანო მჩაბელმა მხატვრება ბანკი, თბილისი და ქართლში გადავიდა ს.მუშაოვ (იხ. ი. მანაგეტაშვილის — „მოგონებანი“, 1936, გვ. 175 და შემდეგ; გ. ლასხიშვილის — „მემუარები“ 1934, გვ. 93-95).

როგორც მარამ ორბელიანი აღნიშნავს, კოლა ორბელიანს „ბანკობიდაში“ ივანე მჩაბლის მხარე ეჭირა და საჯარო კრებებზე ილია ქვეყანის წინააღმდეგ ყოველთვის თავხედურად გამოდიოდა. ერთხელ მან მოკამათის გასაჩუქებლად რევოლუციონი იხმარა. (იხ. ი. მანაგეტაშვილი — „მოგონებანი“, გვ. 176 და 196-197). ძის ასეთი მოქცევით ნაწყენი იყო მარამ ორბელიანიც, რომელიც ილიას დიდ პატივსაც სცემდა.

32. მჩაბელი — ივანე გიორგისძე (1854-1898). ნიჭიერი მთარგმნელი შექსპირის დრამებისა და სახოგადო მოღვაწე, „დროება-ივერიის“ რედაქტორ-თანამშრომელი.

33. ილია — გრიგოლისძე ქვეყანაძე (1837-1907).

34. დავით ერისთავი — დავით გიორგისძე ერისთავი (1847-1890). ცნობილი დრამატურგი, „სამშობლოს“ ავტორი, მეფულე მისი — დავით სარაჯიშვილის ქალი, მარიამი, ჰყავდა შვილი ელისაბედ (ლიზა), რომლის მოგონებანი ჩვენი პუბლიკაციით „ლიტერატურის მატრიანს“ ამ ნომერში იბეჭდება.

35. ხიმონ წერეთელი — ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლი, კოლა ორბელიანის მეგობარი.

36. ვანო ერისთავი — ივანე გილიზარისძე ერისთავი (1846-1921), შუამავალ-მომხრეგებელი, კოლა ორბელიანის მეგობარი.

37. ეპშტეინი — ე. ო. ეპშტეინი, მუსიკის პროფესორი, საუცხოო პიანისტი, ცხოვრობდა ქ. თბილისში.

38. აღიონი მიხანდარი — ქართველი კათოლიკე, ხიდისთაველი, განთქმული პიანისტი, რომელიც ვეროპის დიდ თეატრებში წარმატებით გამოდიოდა. ენის პრესამ მას გენიალური ოსტატი უწოდა. იგი ვახტანგ ორბელიანის ოჯახში ხშირად დაიარებოდა. „ერთხელ იგი ჩვენსა საღამოდ დაგვიანებით მოვიდა — მოგვითხრობს მარიამი, — მე შეგებზევე დედას ნება მოვიცა პიანინოს დაკვრა მომესმინა (მაშინ მე ბავშვი ვიყავ და ჩვეულებრივად ადრე ვიძინებდი), რახუნდაც თანხმობა მივიღე. მიხანდარი პიანინოს მიუჯდა და ყველა სმენად გადაიქცა. მეც იქვე კუთხეში მოვიკუნტე. იგი გრძნობითა და გატაცებით უკრავდა (აანსაკუთრებით შოპენს ასრულებდა შეუდარებლად) და ინსტრუმენტს დიდხანს ვერ შორდებოდა. იმ საღამოთაც მან იმდენი უკრა პიანინოზე, რომ მე კუთხეში მჯდომარეს ჩამეძინა და, როცა ჩვენებს მოვაგონდი, უკვე მაგრად მეძინა თურმე“.

39. ბეთხოვენი — ლუდვიგ (1770-1327), განთქმული კომპოზიტორი.

40. მაილნი — იოსებ (1732-1809), ცნობილი მუსიკოსი.

41. ხახი — იოჰან სებასტიან (1685-1850), ცნობილი კომპოზიტორი.

42. ვებერი — კარლ-მარია (1786-1826), კომპოზიტორი.

43. იხ. ვახტანგ ორბელიანის „ლექსების სრული კრებული“, 1928, გვ 134-





44. იქვე, გვ. 89.

45. **თამარ მეფე** — მეფე გიორგი მესამის შვილი, სახელმწიფო მმართველი ქალი, რომელიც მეფობდა 1184-1213 წლებში.

46. **ქეთევან დედოფალი** — წმიდა მოწამე ქეთევანი, თეიმურაზ პირველის დედა. შაჰ-აბასის ბრძანებით შანთებითა და გახურებული რკინის ლუქსმებით აწამეს ირანს 1624 წლის 12 სექტემბერს.

47. **მარიაშვილი** — მარიამ დედოფალი, გიორგი მე-12-ის მეორე მეუღლე (1768-1850).

48. **ლევანტი** — სოლომონ ანდრიას-ძე (1754-1811), ერეკლე II-ის თანამოღვაწე, ნიჭიერი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მსახური და დიდი ქართველი პატრიოტი. დავით ბატონიშვილის თქმით, იგი „იყო ფრიად განსწავლული და გონიერ ვითარცა ქართლისა, ეგრეთვე რუსულისაცა და გამოცდილ ფრიად საქმეთა შინა დროსა ირაკლი მეფისასა“. მისი მეუღლე — ერისთავიანთ ქალი, სოფიო, ნ. ბარათაშვილის პოემის („ბედი ქართლისა“) მიხედვით ცნობილია ეროვნული თავისუფლებისადმი მოტრფილად ქართველ დედად.

49. **დავით ქობულაშვილი** — სიმე ალექსანდრე ორბელიანისა, დარბაზის კმარი, გენერალი.

50. **ვორონცოვი** — გრაფ მიხეილ სიმონის-ძე, მეფის ნაცვალ კავკასიაში 1845-1854 წლებში.

51. **ნაპოლეონ ბონაპარტი** — ნაპოლეონ I ბონაპარტი (1769-1821), საფრანგეთის იმპერატორი — 1804-1815 წ.წ.

52. **ჯუზეპე გარზიალი** — ცნობილი იტალიელი პატრიოტი და ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური (იხ. შენ. 22).

53. **„ყარაშაინი“** — სპარსულიდან მთარგმნი სახლპრო-სადევეგმირო რომანი. მისი მთარგმნელი დავით ორბელიანი (იხ. აკად. კ. კეკელიძე, „ქართ. ლიტ. ისტორია“, II, 1941, გვ. 309-310).

54. **„როსტომიანი“** — „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, სადაც აღწერილია ლექსად როსტომისა და სხვა ფალაგნების გმირული თავგადასავალი (იხ. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, 1916, ტ. II, 1934).

55. **ვახტანგ ორბელიანის ძე** დემანისის ნანგრევებზე დაწერილი აქვს ლექსი „ძველი დემანისი“, რომელიც დათარიღებულია 1866 წლით (იხ. ვ. ორბელიანის — „ლექსების სრული კრებული“, 1, 28, თბილისი, გვ. 26-27).

56. **ნიკო დოლობერაძე** — ბესარიონის-ძე, ცნობილი პედაგოგი და ქართული წიგნების გამოცემელი (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, 1914; ნეკროლოგი ნიკოლოზ დოლობერიძეზე).

57. **ზაგრატიონ-მუხრანისა** — ერეკლე კონსტანტინეს-ძე ზაგრატიონ-მუხრან-ბატონი, ძმა ივანე მუხრან-ბატონისა ჰყავდა ხუთი შვილი: ოთხი ქალი (ქეთევანი ამილახერისა, სოფიო ტრუბეცკოისა, თამარა ჯორჯაძისა და ბარბარე (გაუთხოვარი) და ერთი ვაჟი ალექსანდრე. მარიამ ორბელიანი აქ გულისხმობს ბარბარეს (-ვარინკა) და სოფიო (-სონა) ტრუბეცკოისას.

58. იგულისხმება მარიამ ივანეს-ასული ელიოზიშვილი-ილინისკისა.

59. **ალექსანდრე ორბელიანი** — (საშვიკო) ივანეს-ძე, წინამდებარე „მოგონებანი“ ავტორის კმარი.



60. ლევან მელიქოვი—ლევან ივანეს-ძე მელიქიშვილი (1816-1892), ნ. ბარათაშვილის მეგობარი გიმნაზიიდან, შემდეგში—გენერალ ადიუტანტი, კავალერიის გენერალი და მთავარმართებლის მოადგილე. 1882 წელს აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად.
61. ივანე ორბელიანი — დავითის-ძე („მანანიჩი“), ცოლად ჰყავდა სოფიო შალვას-ასული ერისთავი.
62. ისააკ თუმანიშვილი — შიოს-ძე, გენერალი, ვ. ორბელიანის მეგობარი.
63. ირაკლი გრუზინაძე —ირაკლი ალექსანდრეს-ძე ბატონიშვილი.
64. რეზენკაშვილი — დედით ქართველი, გენერალი, დივიზიის უფროსი.
65. ზაალ ბარათაშვილი—დავითის-ძე, ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანის ცოლის, ეკატერინე ბარათაშვილის, ძმა. ცხოვრობდა სოფ. ქოთიშში, ჰყავდა სამი ვაჟი: დავით, ივანე და გიორგი.
66. თორნიკე ქსნის ერისთავი —თორნიკე იესეს-ძე ერისთავი (ლამისყანელი), მეუღლე მისი ბარბარე, მუარან-ბატონის ასული. ჰყავდა ორი შვილი: ნინო (გათხოვილი ივანე ჯამბაკურ-ორბელიანზე, დედამთილი მარიამ ორბელიანისა) და ელენე (გათხოვილი გენერალ პოპოვზე, რომელსაც ყირიმში ჰქონდა დიდი მამულები).
67. ხაბედა — საბედა ბზიშვილისა, 110 წლის მოზუცი, სოფ. ატენის მცხოვრები (გორის მაზრა).
68. ივანე ჯავახიშვილი — აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი (1876-1940).
69. იბ. „სახალხო გაზეთი“, სურათებიანი დამატება, № 170, 1913 წლის 11 აგვისტო, გვ. 4.
70. ლევა ბარიატინსკისა — ელისაბედ ორბელიანი-ბარიატინსკისა, ასული დიმიტრი ვახტანგის-ძე ორბელიანისა და არა დიმიტრი თომას-ძე ორბელიანისა, როგორც ამას ა. გაწერულია აღნიშნავს (იბ. გრ. ორბელიანის „წერილები“, I, 1936, გვ. 304).
71. ბარიატინსკი —თავადი ალექსანდრე ივანეს-ძე (1815-1879), ფელდშარ-შალი, მეფისნაცვალ კავკასიაში 1856-1861 წლებში.
72. გიორგი შერვაშიძე —შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის—მიხეილისა, მწერალი, მეუღლე ჰყავდა ერასტი ანდრეევსკის ქალი ელენე (ელო), მისი დაი იყო ბაბო შერვაშიძე (იბ. გიორგი შერვაშიძე—„ლირიკა, ეპოპი, დრამა“.. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით და ნარკვევით).
73. ანდრეევსკი— ერასტე სტეფანეს-ძე, ლეიბ-ეკიმი გრაფ ვორონცოვთან. კავკასიის სამედიცინო ნაწილის გამგე, მეუღლე - ჰყავდა ბაბაღე გიორგის ასული თუმანიშვილი.
74. პაშა ვიტაენშტეინი—პარასკევა დადიანი, ალექსანდრე მესამის ბიძაშვილის ვიტაენშტეინის მეუღლე.
75. პოპოვი —გენერალი და დიდი მემამულე, ქმარი ელენე თორნიკეს ასულ ერისთავისა.
76. ელენე ერისთავი — ლუარსაბ ორბელიანის ასული, მეუღლე ჰყავდა ხაქარია ერისთავს, რომელიც 1847 წელს ლეკებმა მოკლეს.
77. თეკლე — თეკლე ნიკოლოზის-ასული ორბელიანი, კიტა აბაშიძის მეუღლე.



78. პელაგია — ქიზოსროს ასული გურიელი, ნესტორ წერეთლის მეუღლე მას „ვეფხისტყაოსნის“ დამდგენი კომისიისთვის უთხოვებია თავისი საკუთარი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ (იხ. დ. ყიფიანის წერილი იონა მეუნარგიასადმი, „ხუცადიდის ისტ.—ეთნოგ. მუზეუმის შრომები“, ტ. I, 1947, გვ. 182, 273).

79. საშა მუხრან-ბატონა — ალექსანდრე ერცელეს-ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.

80. ნიკოლოზ ტრუბეცკოი — მარიამ ორბელიანის მეგობარი, ელისაბედ ერისთავის თქმით, მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა შვეიცარიაში, სამხედრო აკადემია დაამთავრა პეტერბურგში, ერთხანს ცხოვრობდა საქართველოში, მერე ამერიკაში გადასახლდა.

81. გეგე მალალაშვილი — გრიგოლ გიორგის-ძე, თერაპევტი, ცხოვრობდა ქ. თბილისში.

82. გ. ჭურდიანი — გრიგოლ ზაქარიას-ძე, იმ ხანად მსახურობდა „თბილისის ქალაქის თვითმმართველობაში“ მთავარ ინჟინრად. ამჟამად ღრმა მოხუცია.

83. ივანე მუხრან-ბატონი — ივანე კონსტანტინ-ს-ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი (1812-1845), დიდი მემამულე, გენერალ-ლეიტენანტი და 1885 წლიდან თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი; მისი მეუღლე — ნინა ლევანის-ასული დადიანი. (A. Натроев — „Мичет и его собор Свети-Цховели“, 1900, стр. 332; „ხუცადიდის ისტ.—ეთნოგ. მუზეუმის შრომები“, ტ. I, 1947, გვ. 164, 166).

84. იოლიტოვ-ივანოვი — მიხეილ მიხეილის-ძე (1859-1935), კომპოზიტორი და დირიჟორი. 1882 წელს დაინიშნა იგი თბილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად, ხოლო 1884 წლიდან თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორად. თბილისში ყოფნის შესახებ აქვს მას მშვენიერი მოვლენიანი (იხ. Иполитов-Иванов, М. — „Мемуары“, Москва, 1934 г.).

85. დონდუკოვ-კორსაკოვი — თავადი ალექსანდრე მიხეილის-ძე დონდუკოვ-კორსაკოვი (1820-1893), კავკასიის მთავარმართებელი 1882-1890 წლებში.

86. ანასტასია — ნიკოლოზის ასული ორბელიანი, მეუღლე განსვენებულ აკად. ივანე ჯავახიშვილისა.

87. კატა — აბაშიძე (1879-1917), კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის კრიტიკული წერილები და „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (ორ წიგნად).

88. — 89 აქ საუბარია ფონ-ჰერშელმანზე (ნინო ილინისკის მეორე ქმარი), რომელიც სიკვდილის უჩანასკნელ წლებში ალექსანდრე (საშა) ორბელიანის მოურავად იყო სოფ. ღამისყანაში.

90. მანანა ორბელიანი — მანანა მირიამანოვის-ასული ერისთავი (1808-1870), მეუღლე „სოვეტნიკ“ დავით ორბელიანისა, 1832 წლის შეთქმულების ერთერთი მონაწილე ქალი. ჰყავდა სამი შვილი: ივანე, ანატასია (შემადგენი მეუღლე გენერალ-გუბერნატორ ალ. ივ. გაგარინისა) და ალექსანდრე.

91. მარიამ ორბელიანის მოგონებათა ხელნაწერ რეგულში პატარ-პატარა ჟურნალების სახით ინახება ცალკეული ჩანაწერები, რომელნიც ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საინტერესო მასალებს წარმოადგენენ. ჩვენ მიხანშე-წინააღმდეგ ვცანივთ ეს ჩანაწერები „მოგონებანის“ ძირითად ტექსტიდან გამოგვეყო და შენიშვნებში წარმოგვედგინა:



ა. ერეკლე მეფე და ნადირ-შაჰი. მეფე თეიმურაზს ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი ერეკლე და ქალი—ანა. როდესაც ერეკლე 16 წლისა გახდა, მამამ შვილი ნადირ-შაჰთან გაგზავნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნადირ-შაჰი დიდი ძალი ჯარით ინდოეთში წავიდა კერპების დასამსხვრევად და პატარა ერეკლემ თან წაიყვანა. სახლგარეშად რომ მივიდნენ, ნახეს იქ ერთი ქვა, რომელიც მიწაში იყო ჩასობილი. ამ ქვანედ სპარსულად ეწერა: დიდი წყევლა იმათ, ვინც ამ ქვას და სპარსულს გასცდებოთ. ნადირ-შაჰი ამანედ დიდად შეწუხდა, რადგან უკან გამობრუნება არ უნდოდა და წყევლაც სწამდა. მაშინ ერეკლემ მოახსენა მას: «—ეს ქვა ავიღოთ, სპილოზე დაეკრათ და წინ გავიმძღვაროთ. რაკი ქვა წაგვიძღვება, წყევლა ახსნილია.» ეს აზრი დიდად მოეწონა ნადირ-შაჰს. მან უბრძანა თავის მსლებლებს იმ ქვის აღება და სპილოზედ დაკერვა. ამგვარად, წარწერიანი ქვა გაიმძღვარეს წინ და გზა გააგრძელეს. ჩავიდნენ ინდოეთში, ბრძოლით აიღეს ქალაქები, დამატერიეს კერპები და, რაც სიმდიდრე (თვალმარგალიტი, ოქრო და ვერცხლი,) იყო, სპარსეთში წამოიღეს. ერთ კერპს თვალეზი ჰქონდა აღმასისა. ნადირ-შაჰმა ამოაცალა ამ კერპს ეს თვალეზი, ერთი თვითონ გაიკეთა ბაზმად და მეორე ერეკლეს უბოძა... ხოლო ის ოქრო კი, რომელიც ინდოეთიდან სპარსეთში მოიტანეს, სინებით შემოატანინა ნადირ-შაჰმა თავის სადარბაზო თაბაში და მსლებლებს უბრძანა ყველას აედო, ვისაც რამდენი უნდოდა. ზოგმა ერთი მუქა აიღო, ზოგმა ორ-ორი, ერეკლემ კი—ერთი ოქრო. ნადირ-შაჰმა ერეკლეს მოქმედებაზე ჩაილაპარაკა: «ეს კაცი სწორედ საწმენოა, უხარბოა».

ერთხელაც ნადირ-შაჰი სასახლედან გამოვიდა დარაჯების დასათვლიერებლად და ნახა: დარაჯებს ეძინათ, ხოლო ერეკლე თოფზე იყო დაყუდებული. შაჰმა დიდად მოიწონა ერეკლეს ფხიზლობა და ამის ჯილდოდ ერეკლეს მეფობა უბოძა და საქართველოში გამოისტუმრა.<sup>4</sup>

ბ) ანეგდოტი იონა ხელაშვილზე. „იონა ბერს ბატონიშვილი მარიამის ბიქოსათვის უთქვამს: «კვერთხი მომეციო.»

- «რა გახლავს კვერთხი? უკითხნია ბიქს.
- «უი, ჩვენთვის უფალო! უი, ჩვენთვის უფალო! კვერთხი ე. ი. საბჯენელი».
- «რა გახლავს საბჯენელი?»
- «უი, ჩვენთვის უფალო! უი, ჩვენთვის უფალო! საბჯენელი ე. ი. ჯოხი.»
- «შე დალოცვილო, ვერე გებრძანებინა, აქამდინ ხომ მოგართმევდიო.»— უპასუხია ბიქს.<sup>4</sup>

გ) ბარონ ნეიდჰარდტის ბოლოკი. „ბარონ ნეიდჰარდტი რომ თბილისში ჩამოვიდა, თავის სასახლის ბალ-ბოსტანს ათვალერებდა ზაქარია მელიქიშვილის თანხლებით, რომელიც იმ დღეს მის ორდინარცად იყო დანიშნული. მელიქიშვილმა არუსული ცუდად იცოდა, რამაც სასაცილო გაუგებრობა დაბადა: ნეიდჰარდტი შეეცითხა მელიქიშვილს ბოლოკზე: «Это редуксть здесь»? მელიქიშვილმა სიტყვა «редуксть» გაიგო, როგორც „редька“ და უპასუხა: «Да, Ваше превосходительство». ნეიდჰარდტმა მეორე დღეს ბატონიშვილ თელეს მთელი სინი ბოლოკი გაუგზავნა, როგორც რაღაც იშვიათი საშოვარი, რამაც დიდად გააოცა ბატონიშვილი. მერე, როცა ნეიდჰარდტს გააგებინეს, თუ რა სისულელე ზაიდინა, დიდად შერცხვა და ბატონიშვილ თელეს ბოდიში მოუხადა.»



დ. ლამისყანის მღვდელი გძელიშვილი ქალაში ყოფილა მიწვეული გიგორისა და ამილახვრის ძმის დავითის დასაულალებათ. სადილზე რომ დასდნენ მღვდელს ერთი მათგანი გვიან მისულყო. სუფრა, რა თქმა უნდა, ქართულად იყო გაშლილი. დაგვიანებული მღვდელი გძელიშვილთან მისულა და უთქვამს: «—პატარა ჩაიწიე მღვდელი!» — «რათა?» — უპასუხია გძელიშვილსა, — «შენც მღვდელი ხარ და მეც. რად უნდა ჩაიწიო?» — «მე ნაბლალოჩინარი ვარ», — დიდის გულით წამოუძახებია იმას, — «აეგაროზ მეფეც ერთხელ შეფე ყოფილა, მაგრამ შემდეგ ღორის თავი გამოებაო», — მოუტრია სიტყვა გძელიშვილს დაგვიანებული მღვდლისათვის.»

ე. ფარნაოზ ბატონიშვილის ქალები. «ფარნაოზ ბატონიშვილს ჰყავდა ორი ქალი: სალომე, რომელიც უსინათლო იყო, და ელენე. ელენეს ძალრან უნდოდა-გათხოვება, სალომე კი ამისი წინააღმდეგი იყო. ჩემ დედამთილს, თორნიკე ერისთავის ქალს — ნინოს სალომე ეტყოდა ზოლმე: «ჩემი დაა ფიციკლ ად ულამაზოა, არც ჭკუა აქვს და რითი უნდა მოიწონონ? რომელი ღირსებისათვის შეირთავენ?» მთხოვნელები მანაც გამორჩნდნენ: როსტომ აბაშიძე და ბაკლან ორბელიანი. ელენეს მოსთხოვეს ერთ-ერთ მათგანზე გათხოვილიყო და პეტერბურგში წასულიყო, მაგრამ ამაზე მან უარი განაცხადა და საქმე ჩაიშალა.»

ამ ორ დას შორის არაფერი იყო საერთო. უფროსი და (ე. ი. სალომე) იყო ჭკვიანი, განათლებული და დაჩვეული ბრძანებლობას, უმცროსი კი მოსულელო, გმონებას მთლად მოკლებული და გათხოვებისათვის გაგვიცებული. ამიტომ მათ ურველეთვის შელაპარაკება მოსდიოდათ. ზოგჯერ მათი სასაცილო სცენების დამსწრე იყო ჩემი დედამთილიც, რომელმაც მიაშობა შემდეგი:

ერთხელ ვხივარ და ვესმენ სალომეს სასაიამოვნო ლაპარაკს. მეორე ოთახში კი ელენე გაშმაგებით სცემს ბოლთას, სალომეს მისი ფეხის ფლაშტუნი და კაბის შრიალი ძარღვებს უშლიდა, ბოლოს მან მოთმინებიდან გამოსულმა ასე მითხრა:

- «ნინო, ვინ დააფლაშტუნებს ზალაში?»
- «ბატონიშვილი ელენე გაზღავთ, შენი კირიმე.»
- «რას შერება?»
- «დაბრძანდება»
- «რა აცვია?»
- «რა მოგახსენით (თუმცა კარგად ვიცოდი, რაც ეცვა)».
- «დამიძახეთ ერთი აქა!»
- შემოვიდა ელენე.
- «რა გაცვია ელენე?» — შეეკითხა სალომე.
- «მე? ჩემი პირისფერი კაბა.»
- «რა გასხია ზემოდან?»
- «მე? ჩემი ყვითელი ტალმა.»
- «უი, ჩემს სიცოცხლეს, რა შეზამებაა ეგა?»
- «მერე რა? მე იმას ვიცვამ, რაც მე შეზამება.»
- «და ვინც გნააჯეს, რას იტყვის?»
- «რაც უნდათ ისა თქვან. მე ჩემთვის ვიცვამ.»
- «მაგდენს რას დადინარ ზალაში?»
- «შეამება და დაედივარ.»



მერე ელენე მომიბრუნდა მი და ჩემთან დაიწყო ჩივილი: — «არასდ დავყვარა არაინდობდა, არაინდობდა და რა ექნა, არც ვიარო? რა უნდა ჩემგან?» მეც ვცდილობდი დამემშვიდებინა, მოვაცონე, რომ სალომე უსინათლოა და მას ყველაფერი მიეტყვება.

— «არა, მე სალომეს არ ვემდური, ნინო, — მეტყოდა ხოლმე ელენე, — მაგრამ რა ენაღვლებათ, რომ გამათხოვონ? მე ხომ გათხოვება იმისთვის მინდა, რომ ამათ პატრონი ჰყავდეთ?» — და ვენი ლაპარაკი ყოველთვის ამით თავდებოდა, მაგრამ საწყალ ელენეს არა ეშველა რა, ვერ გავათხოვეთო...

ვ. ალექსანდრე ორბელიანის შესახებ. „როცა 1832 წლის შეთქმულების წევრები დაიპირეს, სატუსალოდან ბიძაჩემმა ალექსანდრემ თავის დედას — თეკლე ბატონიშვილს წერილობით სთხოვა დურბინდი გაეგზავნა მისთვის. დურბინდის მიღების შემდეგ კვლავ სთხოვა წერილობით: «ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე ჩემი ძვირფასი ნათესავეები და ახლობლები აიგუნხედ ჩამწყროფდით. მე ყველას დურბინდით დავინახავთო.» როცა ტუსალები გარეთ საჭირო საქმისათვის გამოუყვანიათ, ბიძაჩემს დურბინდით დაუწყია ყურება და თავისი ყველა ახლობელი დაუნახია, რაც შემდეგში წერილობით აუწყა მან თავის დედას. თურმე ალექსანდრეს სიზარტუნს სახლური არა ჰქონია, რადგანაც იგი დარწმუნებულა, რომ სახლში ყველანი მშვიდობით ყოფილან.“

ზ. ვახტანგ ორბელიანის შესახებ. „მამა ჩემი სიმაძევისათვის ბევრჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებით. მახსოვს ისიც, რომ მამაჩემს ოქროს ზმალი ჰქონდა. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩინებას და ორდენებს. არ უყვარდა დღესასწაულები, როცა მისი იუბილეს გამართვა მოინდომეს, მან დიდი უარი სთქვა.“

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ გამოგონია, რომ იგი ყაწყილობაში იყო ძალიან ცოცხალი და მზიარული. თავის მახლობელ და ნაცნობ ქალებს ძალიან ართობდა და თანაც აწვალებდა. როცა ქალები შეიკრიბებოდნენ, ტატო ერთბაშად შეუერთდებოდა მათ და ერთუ ხარხარი და თამაში გაიმართებოდა. ხან ფანჯარასთან დაიშალებოდა, ხან ბაყყს შეუფდებდა მოთამაშე ქალებს და აკივლებდა, ხან რას არ მოიკონებდა. გამოგონია აგრეთვე, რომ ქეთევან ერისთავი (შალვა ერისთავის ქალი, ელიზბარ ერისთავის მუღლელი) იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგვარებული (ეს უკანასკნელი სიტყვა წაშლილია და ზემოდან მიწერილია «დიდი მეგობარი» ს. დ.). ვიცი ნამდვილად, რომ თავის ხელნაწერი ლექსები და მშვენივრად გადაწერილი ეგუბის ტყაოსანია მან იმასვე მითარტა. ეს მშვენიერი ხელნაწერები 1876 წელს ელიზბარ ერისთავს სახლში დაიწვა.“



ამ წერილ ჩანაწერებთან ერთად მარიამ ორბელიანის მიერ წარმოდგენილია კონსტანტინე მამაცაშვილის ავტოგრაფული მოგონება სათაურით: „გენერალ-მაიორი ვახტანგ ვახტანგის-ძე ჯ. მბაკურიან-ორბელიანი“ (რუსულად). მოგონება დთარადებულა 1871 წლის 21 თებერვარით, ტექსტი დაცულია საქ. საბ. ლიტერატურული მუზეუმის აქტში, № 3440/4, ქართული თარგმანი მუზეუმის დაკვეთით შესრულებულია ვანაყენებულ გ. ნათაძის მიერ. ამ, ეს მოგონება:



„ვახტანგ ვახტანგის-ძე ორბელიანი დაიბადა 1812 წ. 5 აპრილს. მისი მამა, პოლკოვნიკი გარდაიცვალა 1812 წელს. დედა ვახტანგისა. ბატონიშვილი თეკლე, მეფე ირაკლი მეორის უმცროსი ასული იყო, შესანიშნავი ტკვიანი, ენერგიული და თავის დროის შესაფერად საუცხოვოდ აღზრდილი და განვითარებული. თეკლეს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ქართული ლიტერატურა.

ვახტანგი თავის მამის ვერ მოესწრო, იზრდებოდა გონიერი და კეთილდღეის გავლენის ქვეშ. \*) ვახტანგი სამხრეთის ტიპიური ლამაზი, საგანგებო ნიჭიერი და ცნობის მოყვარე ბავშვი იყო. მას დედისაგან დაჰყვა ფაქიზი ზრდილობიანობა, ლიტერატურის სიყვარული და დედის ყველა საუცუეთესო თვისებანი.

ვახტანგი სახლში ემზადებოდა პაეების კორპუსში შესასვლელად; სადაც ჩარიცხეს პაეად და 1825 წელს კიდევ გაემგზავრა. კორპუსში ვახტანგი საუცუეთესოდ სწავლობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ აიტანა პეტერბურგის ჰავა, დაწვეებიანა ხშირი ავადმყოფობა და მოსიყვარულე დედამ წაიყვანა კორპუსიდან ჯერ ხანგრძლივ შევულებავში, მაგრამ იქის შოშით, ვაი თუ ისევ გაუმეორდეს პეტერბურგში მიღებული ავადმყოფობა, 18 წლის ქაბუჯი სამუდამოდ დასტოვა თავისთან თბილისში.

მართალია, ვახტანგმა ვერ დაამთავრა კორპუსში სწავლა, მაგრამ იქ ყოფნის დროს სატყუთსოდ სწავლობდა, ამისათვის იგი დაჯილდოვებულ იქნა სამოქალაქო პირველი ხარისხის ჩინით.

ვახტანგი დედასთან ცხოვრების დროს უქმად არ იყო, იგი თავის ქაბუჯურ ასაკოვნობასაც ანგარაჟს უწევდა და ამავ დროს ხალისით და სიბუჯითი ხელი მოჰკიდა ფრანგული და რუსული წიგნების კითხვას, არც თავის მშობლიურ ლიტერატურას იგიწყებდა, რომელსაც მისი ოჯახის წევრები ყველანი დიდის სიყვარულით ეკიდებოდნენ და სწავლობდნენ, განსაკუთრებით მისი უფროსი ძმა.—ყველასაგან პატრივემული, აღექსანდრე ვახტანგის-ძე. ვახტანგს სიკვდილამდე შერჩა კითხვის სიყვარული.

ბატონიშვილ თეკლეს ცხოვლად ახსოვდა მე-18 საუკუნის, თავისი მხნე და გმირი მამის ირაკლი II-ის დროის საქართველოს თავიდადასავალი, რაც თავის შვილს ვახტანგსაც მთლიანად გადასცა. მე-18 საუკუნე ყველაზე საშიში და საბედისწერო ხანა იყო საქართველოსათვის. გმირი მეფე ირაკლი მეორე ღრმად მოხუცებულობაშიც კონიერად და თავდადებით იცავდა სამეფო ტახტს, საქართველოს მთლიანობასა და არსებობას უამრავ თავდასხმელ მტერთაგან. ამ საუკუნის დასასრულს მოხუცი გმირი მეფე ირაკლი 1795 წელს მოწმე გახდა თავის ქვეყნის საშინელი უბედურებისა, რაც ვეღარ აიტანა და ჩქარა გარდაიცვალა. ვახტანგს მხურვალედ უყვარდა თავის სამშობლო, თავიანს სცემდა თავის სახელოვანი პაპის ხსოვნას და საუცხოვო ლექსებში ჰმატავდა ირაკლის მტრებ-

\*) ირაკლი მეფის დროინდელ მრავალპირთაგან, მათ შორის იაკობ ვესევის-ძე ერისთავისაგანაც გაიკონია, რომ მეფე ირაკლის განსაკუთრებით უყვარდა და უპირატესობას აძლევდა თავის შვილებში უმცროს ასულს თეკლეს, იგი არა ერთხელ ამბობდა თურჱ: „ჩემი ვაყებიც თეკლეს თვისებისა რომ იყვნენ. მე სრულიად ბედნიერი ვიქნებოდიო“, კ. მ.



თან გმირულ გამარჯვებებს და დასტიროდა თავისი სამშობლოს უკუღმავლობის ტრიალებულ ბედს. მის ლექსებში გატარებულია აღფრთოვანებული გრძნობით თავისი საამშობლოსადმი, სიყვარული და თავყვანისცემა დიდებული პაპისა.

ვახტანგის შემოქმედების მაღალ ღირსების ნაწარმოებში თავისი ღრმა აზრით, გულწრფელობით და ლექსთა პარმონიული აგებულებით საუკეთესოა მე-19 საუკუნეში ქართულ ენაზე შექმნილ ზველა ნაწარმოებთა შორის.

1830-1831 წლებში, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა ვახტანგი თავის გონიერებით, განვითარებით და გარეგნულ მიზიდველობით ირჩეოდა თავის ტოლებში და ქართულ საზოგადოებაში. პატარა ჯგუფი ქართული რჩეული ახალგაზრდობისა, რომელსაც ვახტანგი მეთაურობდა(?), ხშირად იკრიბებოდა ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო ხშირად ბატონიშვილ თევდესთან და დროს მზიარულად და სასიამოვნო საუბარში ატარებდნენ.

1832 წელს ვახტანგი 20 წლისა შესრულდა. ეს წელიწადი უმედური იყო ქართველი ახალგაზრდებისათვის. სრულად უსაფუძვლოდ(?) და ბოროტგაზრდას-ველთა ენით ყველა საუკეთესო ქართველი ახალგაზრდა, მათ შორის ვახტანგი და მისი ძმები ალექსანდრე და დიმიტრი შეპყრობილ იქნენ და ერთი წლის გამოძიებისა და გასამართლების შემდეგ 1833 წ. გაგზავნილი რუსეთში უფლებდა-აღყრდელად (ვარდა ისევ ფალაგანდიშვილისა და ელიზბარ ერისთავისა, რომლებიც ჯარის კაცებად იქმნენ გაგზავნილი ფინეთის საბახო ბატალიონში), ეს ახალგაზრდა ქართველები ჩარიცხულ იქნენ რუსეთში სხვადასხვა თანამდებობის სამსახურში. ვახტანგი გამწესებული იყო კალუგის გუბერნატორის კანცელარიაში მონღელად.

ხელმწიფე იმპერატორი დარწმუნდა რა გადასახლებულ ქართველთა უღანაშუალოებაში(?), 1836-1837 წ. განსაგებობაში ყველანი სამშობლოში დააბრუნა. 1837 წელს ვახტანგიც თავისი ძმებით დაბრუნდა თბილისში. 1838 წ. პირველ იენის იგი ჩარიცხულ იქნა პრაპორშნიკად ნიეგვროოდის დრაგურის პოლკში.

ვახტანგი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა დროს მტერთა წინააღმდეგ, წარმოებულ ბოძოლებში: თერგის და დაღესტნის ოლქებში ჩაჩნების და ლეკების წინ აღმდეგ, აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ხაზზე და 1853, 1854, 1855 წლებში თურქეთის წინააღმდეგ საომარ კამპანიებში. იგი იყო განსაკუთრებული რაზმების კომანდირი ახალქალაქსა და არდაგანში.\*

სხვა და სხვა ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ვახტანგი დაჯილდოვებულ იქნა სამხედრო მაღალი ხარისხით და ოქროს ზმლით და გადაყვანილ იქნა ლეიბგვარდიის დრაგუნთა პოლკში 1845 წელს. 1860 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორობა და დანიშნა კავკასიის არმიისა.

ვახტანგი დატვირთული იყო ოჯახური მოვალეობით და იძულებული გახდა სამხედრო სამსახურისათვის თავი დაენებებინა და ეკისრა უმნიშვნელო თანამდებობა ბორჩალოს მაზრის შუამავალ-მომრიგებლისა.

\*) სოფ. ბინდურასთან 2 ნოემბერს 1853 წ. თურქებთან ბრძოლაში ვახტანგი ყუმიბარით დაიჭრა მარში; შემდეგ დიდხანს ჰგრანობდა საშინელ ტყვიულ და იტანჯებოდა, კ. მ.



ვახტანგს რომ მოესურვებინა სამხედრო სამსახურში დარჩენა, მას, როგორც განმედავ და თავდადებულ ოფიცერს, დიდი სამხედრო კარიერა მოელოდა, მაგრამ ვახტანგმა არჩია მშვიდობიანი ოჯახური ცხოვრება, სადაც თავისუფლად ეწეოდა თავის საყვარელ ლიტერატურულ და ოჯახურ შრომას.

ვახტანგმა როგორც შეამავალ-მომრიგებელმა, დაიმსახურა ბორჩალოს მაზრის მთელი მოსახლეობის სიყვარული და დიდი პატივისცემა.

როგორც პოეტმა და მშვენიერების მოყვარულმა ვახტანგმა, 1844 წ. ცხოვრების მეგობრად აირჩია თბილისში ყველაზე ტურჟა ეკატერინე, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ვასილ ილინსკის ასული, რომლისაგან ეყოლა ვაჟიშვილი ნიკოლოზი, რომელსაც მისცა უმაღლესი იურიდიული განათლება (ნიკოლოზ ნიკიერი და დიდი მცოდნეა იურიდიულ მეცნიერებისა),—ასული მარიაში, დიდი განათლების მქონე (გათხოვილია ალ. ი. ორბელიანზე). ვახტანგის ასულმა მეკვიღრეობით მიიღო თავის მამის ყველა სიმპატიური თვისებები.

განსვენებულ ვახტანგს ვიცნობდი 1830 წლიდან. ჩემს აზნაგებსა და ნაცნობებში არ შემხედვრია ისეთი სიმპატიური პირადება, როგორც იყო ვახტანგი. თავისი აღფრთოვანებით ვახტანგი ყველაზე ისეთს შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ორმოციან წლებში ჰიბლაჟდა თავის მსმენელებს პროფესორი გრანოვსკი. ვახტანგი დამამშვენებელი იყო ჩვენი ახოჯადუბიანა, ამ კაცს განგებამ მიანიჭა. განსაკუთრებული კეთილ-მოქმედი როლი, მაგრამ სამწუხაროდ მის სამოღვაწეო ასპარეზი შევიწროებული იყო იმ დროინდელი ცხოვრების პირობებით.

სამარადისოდ ჰყო მან თავისი სახელი თავისი მშვენიერი ლექსებით.

თავის სიციოცხლის ბოლო ხანებში განსვენებული განსაკუთრებული სიყვარულით ზრდიდა თავის შვილისშვილებს (ნიკოლოზის შვილებს).

უკანასკნელ ორ წელიწადს ზშირად ავადმყოფობდა ვახტანგი, თუმცა თავისებურ მზნობას და სიხალისეს არ კარგავდა სიკოულას უკანასკნელ თვეებამდეც

78 წლის და 6 თვისა გარდაიცვალა ის 1890 წელს. მწარედ დასტიროდნენ და ღრმა მწუხარებით გლოვობდნენ მისი ნათესაები და ნაცნობები მის დაარკვას.

იგი დასაფლავებულია სიონის საკათედრო ტაძარში\*.

(შენიშვნები შედგენილია ივ. ლოლაშვილის მიერ)

## „მასალები გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის“

გიორგი ერისთავის ხანა ჯერ-ჯერობით შეუსწავლეულია. მისი პირველი ბიოგრაფია ი. მეუნარგამ დასწერა. ავტორს სახელგანთქანი დრამატურგის ცხოვრებიდან მრავალი საყურადღებო მასალა შეუკრებია: მას შეუგროვებია არა მარტო გიორგი ერისთავის სარქივო დოკუმენტები, არამედ მის ნათესავ-ნაცნობთა მოგონებებიც და ამ მასალების გულდასმით შესწავლის შედეგად დაუწერია ის ბიოგრაფია, რომელიც გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემას აქვს წამძღვარებული.

ნახევარ საუკუნეზე მეტმა ხანმა განვლო, რაც ი. მეუნარგის მონოგრაფია გამოქვეყნდა, და გიორგი ერისთავის ბიოგრაფიულ მასალებს ბევრი ახალი რამ არ შეჰმატებია. ამიტომ ელისაბედ დავითას-ასულ ერისთავის და ივანე სუხიშვილის მოგონებათა პუბლიკაცია გიორგი ერისთავის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ერთგვარ წვლილს შეიტანს.

„მასალები გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის“, რომლის ავტორია ელისაბედ დავითას-ასული ერისთავი (შვილისშვილი გიორგი ერისთავისა), წარმოადგენს ერისთავიანთ ოჯახის ქორონიკას. ელისაბედ ერისთავს ამ მოგონებების შეგროვებაში ხანგრძლივი და მუყაითი შრომა გაუწევია და მოგროვილი მასალათვის ნაშრომში ქრონოლოგიური თუ თემატიკური თანმიმდევრობით დაულაგებია. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მასალა ახალი და გამოუქვეყნებელია.\*) დღემდე ძალიან ცოტა რამ და, შეიძლება ითქვას, ნაკლებ ვიცოდით დავით როსტომის-ძე ერისთავის (გიორგის მამის) ოჯახზე, როსტომის (გიორგის ძმის) უდროო სიკვდილისა და მისი მეუღლის (ბაბალეს) მოგზაურობაზე, გიორგისა და მართა ერისთავის შინაურს ცხოვრებაზე, და მართა ერისთავის ორ ხელნაწერზე: „შინაური ცხოვრება ჩვენი ოჯახისა“ და, „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“.

„მასალები“ იბეჭდება შემოკლებული სახით ელისაბედ დავითას-ასულ ერისთავის „მოგონებები და ჩანაწერები“-ს მიხედვით, რომელიც ინახება საქსახ. ლიტერატურული მუზეუმის არქივში, № 6307/4.

გამოყენებულ იქნა აგრეთვე მართა ერისთავის ნაწერები „შინაური ცხოვრება ჩვენი ოჯახისა“, „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“ (№ 6218/4) და ივანე სუხიშვილის „ჩემი თავკადასავალი“ (№ 3692/4).

ტექსტები დასაბეჭდად გამზადა ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. მ. ა.

რედაქცია

\*) საფლავის ქვის წარწერა, რომელიც არკვევს გიორგი ერისთავის დაბადების სწორ თარიღს, გამოქვეყნებულია (იხ. ი. მეუნარგია, „პართველი მწერლები“, წიგნი მეორე, გვ. 12, სქოლიო, აგრეთვე, იხილეთ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, № 29-სოლ. ცაიშვილი: „მცირე შენიშვნები გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის“).

ელისაბედ ერისთავი

## მასაღები გიოგზი ერისთავის გიოგზაუიისათვის

(ჩანაწერები და მოგონებანი)

როცა ადამიანი ცხოვრების გრძელ გზას გაივლის, ვალდებუ-  
ლია ჩაწეროს გაგონილი, ნახული და განცდილი. დღენი მიჰქრიან...  
და არ მინდა ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ არ ავასრულო ეს ჩემი  
მოვალეობა.

მაშ დავიწყოთ!..

### ა. ქსნის ერისთავების საცხოვრებელი ადგილები

ძველად ერისთავები ბინადრობდნენ ს. იფნევეში (ქსნის ხეობაში,  
ს. იკორთისა და ს. მონასტრის შუა, ჭურთის ხეობის მიჯნაზე).  
იქ ახლაც დარჩენილია სახლის ნანგრევები კოშკით. იფნევეში მამული  
გვექონდა, მაგრამ ჩვენ დროს ამ მამულს დაეპატრონენ იმავე სოფ-  
ლის მცხოვრებნი ხალიბეგაშვილები; ჩემმა მეუღლემ, შალვა რევაზის-  
ძე ერისთავმა, შეიტანა საჩივარი და ეს მამული 1913 წელს უკან  
დაგვიბრუნდა.

იფნევიდან ერისთავიანი გადასახლებულან სოფ. ახალგორს  
(ეხლა ს. ლენინგორი). გზის პირას დგას ერისთავიანთ დიდი სასა-  
ხლე, მოვლებული ოთხ-კოშკიანი გალავნით და თავისი პატარა  
კარის ეკლესიით. გზიდან ეს შენობა ერთ სართულიანია. ღრმა  
თხრილი გვიჩვენებს, რომ ამ სახლის შესავალი ყოფილა დასავლე-  
თიდან. გალავანში პატარა კარიბჭეა, ხოლო მის მარჯვნივ—პატარა  
კარის ეკლესია, რომელიც ლამაზად მოსჩანდა გაახლებული ვარა-  
ყიანი კარებით. წინათ იმ კარებს ვაზიდან ამოჭრილი ჯვარცმა  
ამშვენებდა. ამ ეკლესიის გვერდით სასახლე ისეთი მაღალი მოჩან-  
და, თითქოს სამ სართულიანი ყოფილიყოს. თლილი ქვის ფართო  
კიბეს ზემოთ აივანზე ავეყვართ, საიდანაც თვალწინ იშლება მდ.  
ქსანი, გაზაფხულზე ბრაზიანი, ფართოდ გაშლილი, ამღვრეული.  
ხოლო ზაფხულში წყნარი და ანკარა. იქიდან შედიხართ დიდ ოთა-

ხეობაში, რომელთაც ამშვენებენ სხედასხვა სახეობის პარკეტისა და ტაკები და დახატული კერები.

ამ სასახლეზე შევეკითხე თამარ კოლას - ასულ ერისთავს, რომელმაც შემდეგი მიაზო: „მამაჩემის პაპის, ლუარსაბ ერისთავის, სიკოცხლეში დიდი ხანძარი მომხდარა. სულ მთლად გადამწვარა პატარა კარის ეკლესია და პაპა ლუარსაბს სიკვდილამდე ძირა სართულში უტხოვრია. ზევით თალიანი დარბაზის კედლები კი გამჟვარტლული ყოფილა. მერე პაპა-ჩენს დავითს, ცოლი რომ ამ გადამწვარ სახლში მოუყვანია, პატარძლისათვის უთქვამს: „კარგია თუ ავია, ქალო, შენი სახლია“-ო.

ამ დავით ლუარსაბის-ძე ერისთავს (ე. ი. დეკლამატორ კოლას მამას) შეურთავს მეორე ცოლად ანა ბებუთოვისა, რომელსაც დიდი მზითვეი მოჰყოლია, როგორც ნივთიერად, ისე ფულად. დავითს ცოლის მზითვით უყიდნია სააღმშენებლო მასალა და თავისი გადამწვარი სასახლე ევროპულ სტილზე შეუკეთებია. ერთხანობად აქ დიდი დროსტარება ყოფილა. ბებიაჩემი მეტყობდა ხოლმე: „აი, ეს გარეთა გალავანი, რომელიც ახალგორის გალავანს აკვრია და რუმდე უფლის, ბატონებისათვის სააღდგომოდ ძღვნადმირთმეული ბატკნებით იყო საესეო“.

ერისთავები სოფ. ახალგორიდან აყრილან: ზოგი ისევ ქსნის ხეობაში დარჩენილა, ზოგიც სხვა ხეობაში გადასახლებულა.

სოფ. ოძისს (ს. ახალგორის ზემოდ 3-4 კილომეტრზე) დამკვიდრებულა უფროსი წილობა ქსნის ერისთავების ოჯახისა: დავით როსტომის-ძე ერისთავი ცოლითა (მარიამ ივანე მდიენის—ქობულაშვილის ასული) და თავისი სამი ვაჟით (როსტომ, გიორგი და ივანე ანუ ოქრო) და სხვა ერისთავები თავთავიანთი ოჯახებით...

### ბ. გიორგი შკისთავის მუცხლავი და კმევი

სოფ. ოძისში, დაბლა, მდ. ქსნის მახლობლად იდგა პატარა ორსართულიანი სახლი: ქვედა სართულში მარანი იყო, ზედაში კი — ოთხი თუ ექვსი ოთახი. ძველი შენობის ოთახებში ახლაც ჩანს განჯინები, ხოლო მამაჩემის ოთახში — თალი და კარებები ძველი საკეტებით. სახლის არე-მარეს ახლაც ამშვენებს მუხის ხე. აი, აქ ცხოვრობდა პაპაჩემის მამა — დავით როსტომის-ძე ერისთავი. მის შესახებ არა გამიგონია რა, მის მეუღლეზე, ე. ი. პაპიჩემის დედაზე კი ვიცით, რომ ის ქართული ენის მცოდნე ადამიანი ბრძანებულა.



ამან თავის შვილებს ბავშვობიდანვე შეაყვარა და ასწავლა წიგნ-  
კითხვა; მინახავს მისი ხელით ნაქსოვი ფირუჭისფერი დიდი ხა-  
ლიჩაც, რომელზედაც ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე: „ეს-ლა დამიხვდა  
ჩემი დედამთილისა“-ო.

დავით როსტომის-ძე ერისთავი თავისი მეუღლე მარიამით და-  
საფლავებულია სოფ. ოძისის პატარა ეკლესიაში საკურთხეველის  
წინ. ამათ საფლავებს წარწერიანი ქვები ედო. წირვის დროს გან-  
სვენებულებს ბებია მართა უნთებდა სანთლებს.

მათი შვილების შესახებ ივანე სუხიშვილმა მომაწოდა ეს ცნო-  
ბა: „დავითს მარიამთან ჰყოლია სამი ვაჟი: გიორგი, როსტომ და  
ივანე. ძმები მშობლების სიკვდილის შემდეგ გაყრილან. როსტომს  
რგებია სოფ. კორინთის სახლი, გიორგის სოფ. ხიდისთავში და ივა-  
ნეს (ოქროს) სოფ. ოძისშიო“.

ივანე (ოქრო) თავისი ძმის (გიორგის) გავლენის ქვეშ იმყოფე-  
ბოდა; სწავლობდა გიმნაზიაში, სთარგმნიდა ფრანგულიდან და  
მონაწილეობას იღებდა ჟურნ. „ცისკარში“. გიორგი ერისთავმა მას  
უძღვნა ლექსი „ჩემს ძმას ივანეს“, რომელიც დაწერილია ქ. ბელოს-  
ტოქში 1837 წლის 10 ნოემბერს. (იხ. გ. ერისთავი—„თხზულება-  
ნი“, 1936, გვ. 18-19).

ოქრომ ცოლად შეირთო ივანე ამილახერის ასული თავფლო.  
მასთან ორი ვაჟი ეყოლა, მაგრამ უბედურად წავიდა მათი ცხოვრე-  
ბა: შვილები დაეხოცათ და ოქრო თავისი სიმამრით ციმბირში  
გადაასახლეს. ამის შესახებ აი რას მოგვითხრობს ივანე სუხიშვილი:  
„დიამბეგ ოქრო ერისთავისა და მისი სიმამრის მეთაურობით მათი  
ყმა-ბიჭები სოფ. წილკნის ბოლოს საფოსტო გზაზე ხაზინას დასცე-  
მიან. ფოსტას პეტერბურგიდან თბილისში დიდიძალი ფული მიჰქო-  
ნებია. ბოროტმოქმედთ მოუკლავთ ფურგუნის შუა ცხენი, დაუწყვიათ  
სროლა და ყვირილი. გამცილებელი რუსები და ჩინოვნიკები დამფრთ-  
ხალან და მიმალულან; დამცემლებს გაუტაცნიათ ფული და წასულან.  
ეს ყოფილა 15 აგვისტოს (წელი არ ვიცი), მაშინ თავ. ერისთავისა  
და თავ. ამილახერის ოჯახები ოქრო-კარიანის სამებობაში (ქ. დუ-  
შეთის მახლობლად) სალოცავად ყოფილან. მძარცველებს რაკი ფუ-  
ლი ხელთ უგდიათ, დაუწყვიათ ერთი მეორის ძებნა. თურმე ყველა  
იპოვეს, მაგრამ მათში ჰკლებია გაბრიელ მორბედაძე. მათ თავიან-  
თი გულუბრყვილობით ხმამალა უკითხიათ: „კაცო, გაბრიელ მორ-  
ბედაძე სადლა არისო?“ იქვე მახლობლად ბუჩქებში ერთი რუსის



ჩინოვნიკი მჯდარა, გაუგონია გაბრიელ მორბედაძის სახელი და გვარი, მას სახელი «გაბრიელ» დაპვიწყებია და მეხსიერებაში ჩენია გვარი «მორბედაძე». ეს ჩინოვნიკი სირბილით წამოსულა თბილისისაკენ, «მორბედაძე, მორბედაძე»-ს ძახილით მოსულა ქალაქში და თავის უფროსებისათვის მოუხსენებია, რომ დამცემელთა შორის ერთი ვინმე მორბედაძეაო. ამის საშუალებით მთავრობამ გამოიძია, მორბედაძეები რომელ სოფელში ცხოვრობდნენ და ვისი ყმები იყვნენ. მალე შეიტყეს, რომ ქსნის ხეობაში, სოფ. წირქოლში ცხოვრობდნენ ეს მორბედაძეები და ისიც გაიგეს, რომ იგინი ოქრო ერისთავის ყმები იყვნენ. მიაგნეს, აგრეთვე, გაბრიელ მორბედაძეს და დაიჭირეს. გაბრიელი თურმე ძალიან ტანჯეს, ბევრი აწვა-ლეს, მაგრამ ვერ ათქმევინეს, ვინ იყო ამათი მოთავე. ბოლოს დაპირდნენ: თუ გინდა შენ და შენი შთამომავლობა სამუდამო ბედნიერებას ეწიოს და გაგანთავისუფლოთ ყოველი ბეგარა-გადასახადისაგან, თუ გინდა, შენს კარზე გარდა მზე-მთვარისა და წვიმა-ქარისა არა მოვიდეს და არც არავინ შეგაწუხოს, გვითხარით ვინ იყვნენ მოთავენიო. აი, ამ დაპირების შემდეგ გაბრიელს ყველა საიდუმლო ათქმევინეს. რასაკვირველია, ყველანი შეიპყრეს, ფულიც წაიღეს და დიამბეგი ოქრო ერისთავი და მისი სიმამრი გააციმბირეს“...

როცა ოქრო ციმბირში გადაასახლეს, მის ცოლს ცხოვრება ძალიან გაუჭირდა და თავისი ორი ვაჟით ქ. გორში გადასახლდა. აქ მას ორივე შვილი დაეღუპა, თვითონ კი, რაკი ქმრის დაბრუნების იმედი დაეკარგა, მისთხოვდა კონსტანტინე ამილახვარს (სოფ. ოთარშენის მცხოვრებს).

გამიგონია ჩემი მულის, ანასტასია ამილახვრისაგან, რომ ოქრო ერისთავი ციმბირიდან დაბრუნებულა, მაგრამ არ ვიცი წელი არც მისი გაგზავნისა და არც მისი დაბრუნებისა. \*) ოქრო გარდაიცვალა

\*) ტექსტი აქ საჭიროებს მცირეოდენ განმარტებას: საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის არქივში დაცულია გიორგი დვანაძის ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი „ოქრო დავითისაჲ ერისთავს“, რომელიც დაწერილია 1865 წლის 27 ივლისს. ამ ლექსში ავტორი გადასახლებიდან დაბრუნებულ ოქროს მიმართავს, რომ ბედმა გიმუხტალა და თორმეტი წელიწადი ცივს რუსეთში გტანჯა, გაკვნესა და იქიდან ისე დაბრუნდი, რომ

„ველარა ნახე შენი გიორგი,  
შენსა ლოდინში ამოხდა სულიო“.

გ. დვანაძის ამ ლექსში აღნიშნულია, რომ ოქრო ერისთავს 12 წელი ცივს რუსეთში გაუტარებია და 1865 წლის ივნისში გადასახლებიდან დაბრუნებულა (ოქრო

სოფ. ოძისში და დამარბულია იქვე გარეთ, ეკლესიის შესავალი კარის წინ. სამწუხაროდ, ვერ მიპოვნეს იმის საფლავის ქვა: მიწა არის წაყრილიო. მახსოვს, საფლავის ქვის გულში მარმარილოს ნაჭერზე დაწერილი იყო იმისი სახელი, გვარი და დაბადება—სიკვდილის წლები.

სოფ. ოძისში ოქროს დარჩა უკანონო ქალი—სალომე, რომელიც ცოლად ჰყავდა ჩვენს მეზალე იმერელს (გვარი არ მახსოვს). ეს იმერელი მალე გარდაიცვალა და ქვრივი სალომე მეორედ გათხოვდა ისევ ჩვენს მეზალეზე—ბასილა მელქაძეზე (გარდ. 1943 წ.). კარგად მახსოვს სალომე, ლამაზი და ნაზი ქალი იყო, სოფელში ყველასაგან ირჩეოდა თავისი მიხვრა-მოხვრით. მისი დედაც ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა.

\* \*

როსტომ დავითის-ძე ერისთავზე არაფერი ცნობა არა გვაქვს გარდა იმისა, რაც სოფ. ოძისის ეკლესიაში მარმარილოს ქვაზე სწერია: „აქ ვანისვენებს მტკერი თავადის როსტომ დავითის-ძე ერისთავისა. გარდაიცვალა 1847 წ. ოქტომბრის 8-ს, 36 წლისა“. ეს საფლავია მარჯვენა მხარეს, თალის ქვეშ. წირვის დროს ბებია მართა (გიორგი ერისთავის მეორე მეუღლე) იმ საფლავთან იდგა და მერე ეს ადგილი ჩვენი ოჯახის წევრებს ეკუთვნოდა. როსტომს ცოლად ჰყავდა თეიმურაზ ამილახვრის ასული ბაბაღე, რომელიც ძალიან ყმაწვილი ქალი დაქვრივებულია, დარჩენია ერთად-ერთი ვაჟი. მისმა ძმისწულმა, ივანე თეიმურაზის-ძე ამილახვარის ასულმა, ბაბაღემ (ყოფილი მასწავლებელი ქ. გორის ქალთა გიმნაზიისა) გადმომცა: „მამიდა ბაბაღეს ის ერთი ვაჟიც მოჰკვდომია, თვითონ კი აღარ დარჩენილა ქმრის ოჯახში, დაბრუნებულია თავის სამშობლოში, სოფ. კასპში და ძმასთან, ივანე ამილახვართან, დაუწყია ცხოვრება. ქმრის წილში მაზღებს, გიორგისა და ოქროს, მიუციათ 15 ათასი მანეთი. ბაბაღე არც ძმასთან გაჩერებულა. შეუგროვებია ფული,

რომ მაისში დაბრუნებული ყოფილიყო, გ. დვანაძე მას უეჭველად მოიხსენებდა თავის ლექსში „თავად გიორგი დავითის-ძის ერისთავის გარდაცვალებაზედ“ (რომელიც დათარიღებულია 1865 წლის 20 მაისით). აქედან გამომდინარე, ფოსტაზე თავდასხმა ოქროსა და მისი სიჰამრის მეთაურობით მუშადარა 1852-3 წლებში, ზოლო დანაშავეთა შეპყრობა, გასამართლება და გაციმბირება—1853-4 წლებში. ო. ლ.



გაუმჯაღებია, რაც სამგზავროდ სჭირდებოდა, და მამის წინააღმდეგობის მიუხედავად თავისი გაზრდილი მოახლით ქ. პეტერბურგში წასულა, სადაც ერთი ნაცნობის, პოპოვის, ოჯახი ჰყოლია. იქ მას შეუსწავლია რუსული ენა და დაახლოებია იმ დროის რუსულ არისტოკრატიულ ოჯახებს. პეტერბურგიდან საფრანგეთში წასულა და 14 წელიწადი ქ. ნიცაში გაუტარებია, მერე იტალიაშიც უცხოვრია, საიდანაც რალაც შემთხვევის გამო საქართველოში ძარღვებ აშლილი ჩამოსულა. მერე ქ. იერუსალიმში წასულა და იქიდან კი სულ მთლად შეშლილი დაბრუნებულა. არავის არა ენებდა, მხოლოდ ჩუმად იჯდა თავის ოთახში და სულ ფრანგულ წიგნებს კითხულობდა. გარდაიცვალა ჩვენ სახლში სოფ. კასპში-“ო.

### 8. პაპაჩემი გიორგი ერისთავი

პაპაჩემის, გიორგი ერისთავის დაბადების თარიღად ყველა ცნობებში მიჩნეულია 1811 წელი, მაგრამ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ, რომ გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1864 წელს 51 წლისა. ამიტომ მისი დაბადების თარიღად 1813 წ. უნდა მივიჩნიოთ. 1811 წ. დაბადებულა გიორგის უფროსი ძმა—როსტომ დავითის-ძე ერისთავი, რაც მისი საფლავის ქვის წარწერიდან ირკვევა: როსტომ დავითის-ძე ერისთავი გარდაიცვალა 1847 წელს, ოქტომბრის 8-ს, 36 წლისა.

როგორც ი. მეუნარგიას მიერ შედგენილ ბიოგრაფიიდან ვიცით, პაპაჩემი ათი წლისა ჩაუყვანიათ სასწავლებლად ქ. თბილისში. აშკარაა, მას თავისი სიყმაწვილე სოფ. ოძისში დედ-მამასთან გაუტარებია. იგი სამშობლოს ძლიერ მოყვარული ყოფილა და ჯერ კიდევ ახალგაზრდას მიუღია მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში, რომელიც გაცემულ იქნა. ახალგაზრდა გიორგი დააპატიმრეს და, როგორც შეთქმულების არამთავარი მონაწილე, ოთხი წლით ქ. ვილნოში გადაასახლეს.

მან თავისი გადასახლების დრო საუცხოოდ გამოიყენა. შევიდა ქ. ვილნოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეისწავლა პოლონური ენა და მწერალ კაზიმიერ ლაფჩინსკის პოლონურად უთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. აქ მოვიყვანთ მამაჩემის—დავით ერისთავის არქივში ნაპოვნი წერილის შინაარსს. წერილში მისამართი არაა აღნიშნული; ისე, რომ მისი ადრესატი ჩემთვის უცნობია, თვით წერილი კი საყუ-



რადღებოა იმ მხრივ, რომ აქ საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ პოლურ თარგმანზე: პოლურ თარგმანზე

„...Теперь поговорим о «Барсовой Коже». Перевод на русский язык этой поэмы для г. Михаловского едва-ли состоится, за него некому взяться—труд слишком большой. Я счастлив, что могу указать Вам полный перевод в прозе «Барсовой Кожи» на польском языке.

Прилагаю при этом полное заглавие. Г. Лапшинскому переводил на польский язык отец мой, известный грузинский поэт и основатель грузинского театра. Покойный отец мой Георгий Давидович был сослан в Польшу 1836 г. \*) за участие в политическом заговоре, который был задуман молодыми грузинами во время царствования Николая Павловича.

В числе их находился сосланным в Новгород наш те-  
перешний ветеран кн. Григорий Орбелиани. Отец мой пре-  
красно выучился польскому языку, слушал лекции в Виле-  
нском университете, переводил очень много из Мицкевича  
на грузинский язык. Присылаю Вам статью кн. М. Тума-  
нова о создании им грузинского театра.

Полное собрание сочинений моего отца разошлось в  
первом издании, жду портрета, который и заказал Брок-  
гаузу в Лэйбцихе и как только напечатаю, так и пришлю  
Вам непременно экземпляр.“\*\*)

ვილნოდან დაბრუნების შემდეგ 1838—1844 წლებში გიორგი  
რისთავი ცხოვრობდა ქ. თბილისში, სადაც მას საკუთარი სახლი  
ექონია.

1844 წლიდან გადასახლებულა სოფ. ხიდისთავში ანუ გიორგი-  
ანში. მისი დასახლება სოფ. ხიდისთავში, ვგონებ, დაკავშირებულია  
ცოლის შერთვის დროსთან. პაპაჩემმა დაახლოებით იმ წელს შეირ-

\*) წერილში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა: გიორგი რისთავი ცამეტი  
წლის პატიმრობის შემდეგ 1834 წელს, 9 იანვარს გადასახლებულ იქნა ქ. ვილნო-  
ში. მაშინ იგი 21 წლისა იყო. ი. ლ.

\*\*\*) საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, დ. ერისთავის არქივი, № 4499/2. ი. ლ.

თო იაგორ ალიხანოვის ასული ელისაბედი. მან თავისი ცოლშვილით აქ გაატარა 10 წელიწადი, ე. ი. დაქვრივებამდე, მაგრამ მეტ წილად ქ. თბილისში უხდებოდა ყოფნა თეატრისა და ჟურნალის საქმეებზე.

გამიგონია, რომ მან თავის ახალ მძახლებს ერთი კომედია წაუკითხა და ბევრი აცინა მსმენელები თავისი ხელოვნური კითხვით. იგი ყოველ მომქმედ პირს ინტონაციას უცვლიდა.

1847 წ. ბებიაჩემს ელისაბედს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაც თურმე „სანთლის ბავშვებს“ უძახოდნენ. ერთი ბავშვი მალე მოკვდა, მეორე კი მამაჩემი დავითი იყო. ბებია ელისაბედს თავის ყმაწვილობაში სოფიო გურუჭივილი ემსახურებოდა. სოფიოს გადმოცემით, გიორგი ერისთავს სოფ. ხიდისთავში მეტად ნოტიო სახლი ჰქონია\*). ელისაბედი ქარებით დაავადმყოფებულა და ლოგინად ჩავარდნილა. მუხლების ტკივილებს ძალიან შეუწუხებია. მას ხშირად უთქვამს სოფიოსთვის: „ამ სენმა თან გადამიყოლა“-ო. გარდაცვლილა 1854 წელს (მამაჩემი 7 წლისა ყოფილა). „ბატონი ჩვენი, — მოგვითხრობს სოფიო, — შინ არა ბრძანდებოდა. შეატყობინეს და, რომ მოვიდა, კარებში დაიჩოქა და ისე უნდა ამოსულიყო კიბეზე, მაგრამ ამაზე ალიხანთან ნათესაობამ საყვედურის ხმით უთხრა: «კარგი, გიორგი, ადექით, ხომ ვიცით...» ბებია დამარხეს ქ. გორში სომხების სასაფლაოზე. ბატონი წაბრძანდა თუ არა, მოვიდა იმისი სიდედრი ხამფერ ალიხანოვი, დაუარა მთელ ოთახებს და თან გვეუბნებოდა: «აი ეს ნივთიც ჩვენია, ესეცაო!» ჩაალაგებინა ყველაფერი თავის მსახურებს და წააღებინა თავის სახლში-ო“.

1856 წელს გიორგი ერისთავმა შეირთო დავით თარხან-მოურავის ასული მართა, დავით ბარათაშვილის ქვრივი. აი, ამის შესახებ რას წერს ბებია მართა თავის მოგონებაში: „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“:

...„როდესაც გიორგი ერისთავს ცოლი მოუკვდა, ყველამ ასე მითხრას კაცი უთუოდ შენს ბედზე დაქვრივდაო. ჩემი ნათესავი ქალებიც ამას მეტყოდნენ: მაინც ამბობდი, შვილიანი ქმარი უნდა შევიერთო,

\*) ამჟამად მხოლოდ მისი ნანგრევები-ღაა. კედლებზე მიწებებული ქალღმერთების კიდევ ეტყობოდა. საშინელი ქაობი იდგა ბაღში, სადაც ხარობდნენ ვაზი და ატმის ხეები. ჩვენ ეცდილობდით ამოგვეშრო ის წყალი, გავაკეთებინეთ „დრენაჟი“, მაგრამ იმანაც არა უშველა-რა. ქაობი მაინც ვერ ამოვაშრეთ. ე. ე.



და ეგეც შეიღიანი ქვრივი, შეირთე, უარს ნულარ იტყვიო. მე უიმედოდ ვპასუხობდი: რად შეირთავს ცოლს? ერთი შეიღი ჰყავს, წავა ოდესაში: შეიღსაც იქ გაზრდის და თითონაც იქ იცხოვრებს-მეთქი. გავიდა ერთი წელიწადი და გიორგი ერისთავმა მაქანკლად გამოგზავნა თავისი ბიძაშვილის ცოლი, ხოლო ჩემი კარგი ნაცნობი ქალი და შემომითვალა: ნება მომეცი ცოლად შევირთოთო. მე ვუპასუხე: მე ჩემს თავზე არა ვარ დამოკიდებული, ძმები მყავს და იმათ დაეკითხეთ. ამის შემდეგ გავიდა ერთი თვე და უცბათ შეიყარნენ ხუთნი ძმანი, მოვიდა ჩემი მთხოვნელიც და უჩემოდ ჩემი ბედი გაათავეს. მეორე დღეს ძმები სადილად ახალ სიძესთან წავიდნენ და უკან დაბრუნებისთანავე ჩემთან მოვიდნენ ასეთი თხოვნით: თუ ჩვენ დამძობაზე ხელს არ აიღებ და მოიგონებ დედა ჩვენის უკანასკნელ ანდერძს, ნუ იტყვი უარს და შეირთე ეს მთხოვნელი. იგი ყოვლისფრით რიგიანი და საქართველოში პატივცემული კაცია. ამასაც დაეუმატებთ, რომ მასა ჰყავს ერთი ვაჟი, ისიც საყვარელი ყმაწვილია და მისი სახელია დავით, რომელიც შენს პირველ შვილს ერქვა. ამიტომ ეჭვი არა გვაქვს, რომ იგიც ისევე გეყვარება, როგორც შენი შვილიო.

შვიდი კვირის შემდეგ ქორწილი იყო დანიშნული. ჩემი მთხოვნელი თურმე დაფიქრდა და თავის ბიძაშვილ ქალს\*), რომელიც ჩემიც ახლო ნათესავი იყო, დამწუხრებით შესჩივლა: რა მომივიდა, იქნებ საცოლეს გერი არ უყვარდეს და ჩემი შვილის საცოდაობაში გავერიეო? ხოლო ის ქალი თურმე არწმუნებდა: მაგაზე მე მენდე, იმას შენი შვილისადმი დედაზე მეტად ექნება სიყვარული და ერთგულებაო...

ქორწილის დღე მოახლოვდა. ჩვენ საამისოდ მოვემზადეთ... კვირაცხოვლობის წინა დღეს სიძე თავისი გვარიშვილებითა და ნათესალებით მოვიდა ჯვარის დასაწერად. ორივე მხარე დიდი კმაყოფილი ვიყავით. იმავე საღამოზე ნიშანი მიკურთხეს. ძალიან მზიარული და ბევრი ხალხი იყო მოწვეული, მაგრამ ჩემი მომავალი გერი იქ არ იყო, მე ჩემ საქმროს შევეკითხე: რატომ შვილი არ წამოიყვანე? მე ძალიან მიამებოდა მისი ნახვა-მეთქი. ჩემ საქმროს ისე ესიამოვნა ჩემს მიერ მისი შვილის აღერისით მოგონება, რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა...

\*) მარიამ შალვა ერისთავის ასული, იასონ ჭავჭავაძის მეუღლე. ე. ე.



მეორე დღეს ჯვარი დავიწვრეთ, ოთხი დღის შემდეგ კი გამოვეთხოვე ძმებს, დებს, ნათესავ-ნაცნობებს და წავედი ქ. თბილისში ჩემი ქმრის სახლში. სახლის კარებთან მოსამსახურეები გამოვიდნენ, პერედნაში რომ შევედი, ჩემი გერი გამოვიდა, ჯერ მე შემომეხვია და მაკოცა, მერე კი მამას; ბოლოს პურ-მარილით შეგვეკება ერთი ბებერი გერმანელი ქალი, რომელიც ცხოვრობდა იქ თავის ქალით და პატარა დავითს გერმანულს ასწავლიდა. იმან კარგად მიმიღო და დამლოცა თავიანთ ენაზე. ჩემი ქმრის სახლშიც სუფრა გაშლილი იყო და აქაც კარგი მზიარული დრო გავატარეთ. იმავე დღეს მოვიდა კნენი მარიამი — ჩვენი შუამავალი და დიდად იამა, რომ ორივე ერთად გვნახა. ამის შემდეგ კნენი მარიამი ხშირად მოდიოდა ჩვენთან და ჩვენც საღამოობით მივიდიოდით მასთან...

მეორე დღეს, ქალაქში ჩვენი ჩასვლა რომ შეიტყო ჩემი ქმრის უწინდელმა ცოლის ძმამ \*) , მაშინვე ვიზიტზე მოვიდა და გაბედნიერება მოგვილოცა. მას წასვლის წინ ჩემი ქმრისათვის ეთქვა: კნენი ჩვენსა მოიყვანეო. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ წავედით იმათთან. ჩემი ქმრის პირველი ცოლის ნათესავებმა კარგად მიგვიღეს და კარგი პატივიც გვცეს, მაგრამ საწყალი დედა მისი ჩუმად იცრემლებოდა და ამბობდა: დამიდგა თვალები, ვის მაგიერ ვისა ვხედავო.

ორი თვე დავრჩი ქალაქში. ჩვენი სახლების ზედა სართული ქირით იყო გაცემული, ხოლო შუა სართულზე ჩვენ ვიდევით. იქ ყოფნის დროს საჯინიბო და სათორნე გავაკეთებინე. ხაბაზიც მყავდა და პური ყოველთვის შინა ცხვებოდა, მაგრამ მაისის ბოლოს სიცხე ჩამოწვა და ჩვენც საზაფხულოდ სოფელში წამოვედით. 27 მაისს სოფ. ოძისში მოვედით. ჩვენ სახლს რომ შევხედე, ძალიან მეუცხოვა: შესავალთან დანგრეულ კიბეზე ძლივს ავიარე, ზალაში ქერი ჩამოქცეულიყო, სულ მთლად ლასტებით ყოფილიყო მიკრული, ხოლო მეორე ოთახს კარიც და ფანჯარაც ჰქონდა, მაგრამ თანდათან იქცეოდა და გაჯი ჩამოდიოდა. სახურავი და ბანი ფიცრით იყო დახურული და შეუღებავი დამბალიყო წვიმისაგან, კავებიც სულ დამტვრეულიყო. სამზარეულოც მოუვლელი იყო; მიწის მეტი არა ეხურა რა და იქაც წვიმა ჩამოდიოდა. ეს რომ დავინახე, ჩემს ქმარს ვუთხარი: ვანა შეიძლება

\*) მიხეილ იაგორის-ძე ალიზანოვა. გ. ე.



თავადიშვილს და მერე შენისთანას სოფელში სახლი არა ჰქონდეს მან მიპასუხა:—ეჰ, გული არ არის, ამოდენა ვალების მაყურებელი ძილი აღარ მეკარება!—განა მავლენი გმართებს, რომ ძილი დაკარგოს კაცმა?! მაშინ გამოიღო მან პატარა პორტმანი, რაშიაც ჩაწერილი ჰქონდა, ვისიც რა ემართა. ამაზე ძალიან დაეფიქრდი, მაგრამ მაინც კარგი ქმარ-შვილის მაყურებელი არას ვინჩნევდი.

ამ ძველ სახლებში დაგზრჩი ერთი კვირა და მერე მითხრა: მეორე სოფელშიაც (კორინთაში) მაქვს სახლი, საზაფხულო ადგილი არისო.—მაშ, იქ წავიდეთ! მართლაც, ავიყარენით და წავედით. ორი საათის სავალი გზა იყო. ავედით ერთ მაღალ გორაზე, სადაც ვნახე პატარა გალავანი და შიგ სასახლე, რომელიც დასავლეთით და სამხრეთით მდინარე ქსანს გადაჰყურებდა. სასახლის ქვედა სართულში პატარა და ბნელი ოთახები იყო მოთავსებული, ზედაში კი ექვსი ოთახი, ერთი კარგი ზალა. ამ სახლსაც ფიცარი ჰხურებია და ქარს სულ აუგლეჯია, რის გამოც შიგ წვიმა ჩამოდიოდა. გალავანს გარეთ იყო ერთი პატარა ეკლესია საკუთარი მღვდლით. ამ ეკლესიის წინ კაკლის და ცაცხვის ხეები იდგა, ხოლო გალავანში ერთი კომლი ნაყმევი გლეხიკაცი ცხოვრობდა.

ამ სასახლეში დავბინავდით და თითქმის მთელი ზაფხული იქ გავატარეთ.

ძალიან მაწუხებდა უსახლობა, ბევრიც ვიტყვებ ჩუმად, რომ ჩემს ქმარს არ შეეტყო. იგი ხშირად მეკითხებოდა: რაღაც ვაწუხებს: ან შენი სამშობლოს სიშორე, ან კიდევ ის, რომ შენი ძმებივით კარგი ბინა არა გვაქვსო? მეც გულახდილად ვუთხარი:—ღმერთმა ნუ მომიშალოს შენი სიცოცხლე და უსახლობას ვერ ავიტან, შენი ქირიმე!

15 აგვისტოს ჩვენთან მოვიდნენ. ბევრი სტუმრები—ჩვენი ნათესავები. სად იყო ან სახლი, ან ბინა?! ვიყავ ძალიან შეწუხებული. ამაზე მითხრა ჩემმა ქმარმა:—გავაკეთოთ, როცა გავმდიდრდებითო.—არა, სიმდიდრეს ნუ მოვუცდით, ოღონდ ექვსი-შვიდი ოთახი ისე გავაკეთოთ, წვიმა არ ჩამოდიოდეს-მეთქი. მალე ავად გავხდი ამ ნოტიო სახლისაგან და მიზეზიც მქონდა იმისთანა, რომ შვიდი თვის შემდეგ უნდა ნამდვილი შვილის დედა ვყოფილიყავი.

29 აგვისტოს ისევ ოძისში მოვედით. დიდი ავადმყოფი ვიყავი. ორი თვე, როგორც იყო, იქ გავატარეთ და ისევ ავადმყოფი წამიყვანეს ქ. გორს. ქირით ხეირიანი სახლი იქაც ვერ ვიშოვნეთ. იქვე ახლო სოფელში (ხიდისთავში) იყო ჩვენი საკუთარი მამული, კარგი ზვარი,



და იქ წავედით..., საიდანაც დაბინავებისთანავე შევატყობინე ჩემს  
სამშობლოს. ერთ კვირაში ჩემიანები ყველანი მოვიდნენ  
მნახეს ავადმყოფი. დიდად გაუკვირდათ ჩემი ისეთი გახდომა, და-  
მიწყეს ამბის კითხვა: რადა ხარ აგრე შეწუხებულიო, და მეც ყვე-  
ლაფერს უსახლობას ვაბრალებდი.

მეორე წლის თებერვალში ქალის დედა გავხდი და გულიც  
გამიმზიარულდა. შეილებს ვუყურებდი და ვუვლიდი. გაზაფხულზე  
კიდევ რამდენიმე ოთახი მოეუმატეთ იქ, სადაც ზამთარიც გავატა-  
რეთ. ივლისში ისევ სოფ. ოძისში წავედით, სადაც შემოდგომამდის  
ვიყავით, რთველიც გავათავეთ და ისევ ქ. გორს დავუბრუნდით. ჩემი  
ქმარი ბევრი ვალებისაგან იყო დიდი შეწუხებული. შემოსავალი კარ-  
გი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ვალს უნდებოდა. ორი წლის შემ-  
დეგ ჩემმა ქმარმა ქ. გორში სადგურის იჯარა აიღო. თუმცა ბევრი  
გვეხარჯებოდა, მაგრამ შემოსავალიც კარგი გვქონდა. მამულის  
შემოსავალი უნდებოდა „პრიკაზისა“ და კერძო ვალებს, ხოლო  
ჩვენ ვცხოვრობდით სადგურის შემოსავლით.

1860 წლის 11 ოქტომბერს ჩვენი საყვარელი შვილი დავითი  
და ელიზბარ ერისთავის ვაჟი—ივანე, ოდესაში გავისტუმრეთ. და-  
ვითის მომზადებას და ოსტატის ფულს დიდი ხარჯი მოუწია. მარ-  
თალია იგი ოდესაში კარგი ოსტატის ხელში დააბინავეს, მაგრამ  
იმის სიშორით ძალიან შეწუხებული ვიყავით. მე ნამეტნავად ამასა  
ფიქრობდი: ვაი, თუ ყმაწვილმა ის იღარდოს, რომ რადგან დედი-  
ნაცვალი ვარ, მისი თავიდან მოშორება მინდოდეს. მაგრამ ეს ჩემი  
ფიქრი უფრო კეთილად გადაიქცა. არც იღარდა და მეც სიყვარუ-  
ლით და სიხარულით ყოველთვის წიგნსა მწერდა. ზაფხულზე საქარ-  
თველოში მოგვეყავდა, შემოდგომაზე ისევე ოდესაში გავისტუმრე-  
ბდით ხოლმე. მეც ქალი მყავდა—მარიამი, მაგრამ სამი წლისა და  
ექვსი თვისა გახდა თუ არა, წითელა შეხვდა და გარდაიცვალა.  
შვილის დაკარგვამ გული მომიკლა, მაგრამ მე კიდევ იმას ვთხოვდი  
ღმერთს, ოღონდ ეს უფროსი შვილი იყოს კარგად და არას ვიწუ-  
ხებ-მეთქი...

1862 წ. ისე გაუმჯობესდა ჩვენი ოჯახის მდგომარეობა, რომ  
ჩემი ქმარი და ჩვენი ნათესავი ქალი მარიამ ქავკავაძე, რომელიც  
ზემოდ მოვიხსენიე, საზღვარგარეთ წავიდნენ. ერთად იმზავრეს 4  
თვე. იქიდან მშვიდობით დაბრუნდნენ და უცხო ქვეყნების ნახვით

კმაყოფილნი იყვნენ. თან ბევრი რამ ძვირფასი ნივთიერი ჩამოტანეს.

ამის შემდეგ ორი წელიწადი კიდევ მხიარულად გავატარეთ, მაგრამ 1864 წელს ჩემი ქმარი გარდაიცვალა და დავრჩით ძალიან შეწუხებულნი“...

ბებიას უამბნია ჩემთვის: „პაპა შენი 1864 წ. ავად გახდა, მთელ ტანზე მუწუკები დააყარა, მოხარული მარწყვის ძირებს ვადებდითო, მაგრამ არც ექიმისა და არც შინაურმა წამლებმა ვერ უშველეს, «ანტონის ცეცხლი» \*) გაუჩნდა და გარდაიცვალა 9 ენკენისთვის“. \*\*)

მამას მეგობარი ივანე ერისთავი, რომელიც იმ დროს პანსიონში იყო მამასთან, ამბობდა, რომ „როცა შეექვსე კლასში ვიყავი, 1864 წელს მამაჩემმა ელიზბარმა მომწერა, დავითისთვის მამის სიკვდილი გამემტლავნებინა. და რომ შევატყობინე, საწყალმა მთელი ღამე იტირა. დასაფლავებას არ დასწრებიაო“.

გიორგი დასაფლავეს ს. იკორთას, იკორთის მონასტერში. მისი დასაფლავება სოფრ. მგალობლიშვილს კარგად აქვს აღწერილი. გ. დვანიძემ მწერლის გარდაცვალების გამო დასწერა საკუთარი ლექსი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ. „ციცქარში“ (1865, № 12, გვ. 20). ნაცნობებსა და ახლობლებს დაქვრივებული მართათვის სხვადასხვა სახის დარიგებანი მიუციათ. ივ. სუხიშვილის თქმით, მართა ერისთავის დეიდაშვილს, ლევან დადიანის ასულს, ივანე მუხრან-ბატონის მეუღლეს ასეთი დარიგება მიუცია: „ღმერთმა დიდი მწუხარება მოგაყენა, მაგრამ სულგრძელობით აიტანე. მხნეობას და ოჯახის მოვლას უფრო უმატე, შრომისა ნუ შეგრცხვება, სხვა ქარაფშუტა თავადის ცოლივით, ნუ იფიქრებ თავადიშვილის ცოლი ვარ და შრომა არ შემფერისო. ღმერთს შეუფერებელი არა მიუცია რა აღამიანისათვის; ხელი, თვალი და გონება იმიტომ აქვს აღამიანს, რომ ავარჯიშოს, დაინახოს“...

რამდენიმე ხნის შემდეგ მამაჩემმა დავით ერისთავმა, თვისი მამის საფლავზე დადო თუჯის დაფა წარწერით:

\*) სისხლის მწაწმლვა. ე. ე.

\*\*\*) პაპაჩემი გარდაიცვალა ქ. გორში, სააკოვების სახლებში. ეს სახლები მიწისძვრის დროს დაინგრა, მაგრამ ისევ შეაკეთეს. ახლა აქ საბავშვო ბაღია. ე. მ.

„აქ განისვენებს გვამი გიორგი დავითის ძის ქსნის ერისთავისა გარდაცვალებულისა თ-ს სექტემბერს, ჩუად-სა წელსა. ხოლო ბიღვან ნა-ის წლისა.

ქემან მისმან [ქნიაზმან] დავით მწუხარებით უქმნა სახსოვარი ესე.   
Здесь покоится тело князя Георгия, сына Давида Эристова, скончавшагося 9 сентября 1864 года на 51 году от рождения. Скорбящий сын его князь Давид посвящает сей памятник.“

## დ. მატთა ღაჳითის ახული თაკხნიშვილი-მარისტაჳისა

(„ჩემი ბაბულა“)

ბებია მართას დასურათებისათვის კარგი მასალა მაქვს ხელში. 1922 წ. ივანე სუხიშვილმა გამოამიგზავნა მართა ერისთავის ავტობიოგრაფიული მოთხრობა: „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“, და ამავე დროს იგი მწერდა:

ეს თქვენი ძვირფასი ბაბულას ხელით დაწერილი „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“ ჩემს ქალაქში ვიპოვე... ერთხელ კიდევ თვალტრეულიანმა გადავიკითხე, თვალწინ წარმოვიდგინე მისი სპეტაკი და გამჭრიახი სახე...

ეს წერილი მე პირველად გადმომეცა მისმა გულითადმა საყვარელმა ანნამ, პლატონ იოსელიანის ცოლმა, 1913 წ. რადგან იცოდა, რომ მე მართასთან აღზრდილი ვიყავი და პატივისმცემელი, აწ თქვენ გაახლებთ. იმედია სიამოვნებით წაიკითხავთ და ერთხელ კიდევ გაიხლებთ ბაბულას საყვარულს, რომელსაც დიდი ამაგი აქვს თქვენზე და თქვენს ოჯახზე. მე აქ ჩემ მშობლებზე პირველად მას ვისხენიებ, არც დამავიწყდება, მინამ ცოცხალი ვიქნები.

ამას გარდა ჩვენს ოჯახში ინახება მართა ერისთავის მეორე ხელთნაწერიც, სათაურით: „შინაური ცხოვრება ჩემი ოჯახისა“.

ეს ორი ხელნაწერი იძლევა საინტერესო მასალას გიორგი და მართა ერისთავების ბიოგრაფიისათვის: ვრცლად არი აღწერილი მართა ერისთავის ოჯახური მდგომარეობა, მისი და გიორგის შეუღლების ისტორია, მისი როლი გიორგი ერისთავის ოჯახის აღდგენაში და სხვ. მართა ერისთავის პიროვნების ცხადსაყოფად საყურადღებოა ივანე სუხიშვილის მოგონებაც, სადაც დახასიათებულია ბებია მართა და მისი დამოკიდებულება გ. ერისთავთან.

აქ მოხსენებული მასალებიდან ნაწილი ზემოდ მოვიყვანეთ, სადაც საუბარია გ. ერისთავზე ან მის ოჯახზე. ქვემოთ კი გაგაცნობთ



სხვა დამატებით მასალებს, რომელნიც გიორგი ერისთავის ბიოგრაფიის ხარვეზებს ავსებენ.

„შ ი ნ ა უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ჩ ე ე ნ ი ო ჯ ა ხ ი ს ა“

მამა და დედა ღვთის მოყვარენი იყვნენ. მამაჩემი ყოველთვის დილით და საღამოთი დაჩოქილი იყო ხატების წინ, „დაუჯდომელს“ ცრემლით კითხულობდა და ავედრებდა თავის ცოლსა და შვილებს. დედაჩემი გათენებამდე შეუღლებოდა ხოლმე დილის ლოცვას: ხატების წინ ანთებდა დაწნულ წმინდა სანთელს, კერასს, და, როცა თვითონ ლოცვას გაათავებდა, ვინც იმის სადგომში ქალები ვიწექით, გვიბანებდა: ჯერ ილოცეთ და მერე დაიძინეთო! ძალიან გვეზარებოდა, მაგრამ უარს ვერ ვიტყოდით, ვინაიდან ამასაც გვეტყოდა: ვისაც ლოცვა ეზარება, ის ღმერთს ეჯავრება და ეშმაკი ჩასძახის ყურში: „რად გინდათ ლოცვა, დაიძინეთო“. ეს ნათქვამი მართალი გვეგონა და ჩვენც უნებურად ავდგებოდით ხოლმე. სანამ ცისკარს დარეკავდნენ, ვეშურებოდით, ჩქარა გველოცნა. რაკი ყველანი წავიდოდნენ ეკლესიაში, ჩვენც უნდა წავსულიყავით. იქვე ახლოს საკუთარი ეკლესია გვქონდა და მღვდელიც დაქირავებული გვყავდა: ჯამაგირს ვაძლევდით.

ჩვენს ოჯახში მარხვის შენახვა ძალიან წმინდად იცოდნენ. ქრისტეშობის მარხვასაც ისე ვინახავდით, როგორც დიდმარხვას. რასაკვირველია, თევზი გვქონდა, მაგრამ ხორციულობა არაფერი კეთდებოდა; შობა ღამეს ჩვენი ეკლესიის მღვდელი შემოვიდოდა ღვთისმშობლის ხატით, ოლარსა და ფილონს გააკეთებდა და შობის გათენებას ისე მოგვილოცავდა. დიდად გვიხაროდა მღვდლის შეჩოსვა, ვიცოდით, მეორე დღეს ხსნილი იქნებოდა. გათენდებოდა დილა, ცისკარსაც და წირვასაც დიდი სიამოვნებით მოვისმენდით. სახლში შემოვიდოდით და ჯერ დედამამა, ხოლო მერე გამზრდელები მოგვილოცავდნენ. ამავე დროს სოფლის თავადები და აზნაურებიც მოვიდნენ მოსალოცავად. სადილად ყველანი იმ დღეს ჩვენთან იყვნენ და მზიარული სადილი გვქონდა. ჩვენ ბევრნი ვიყავით სახლში: ცხრა დამძანი (ხუთი ვაჟი და ოთხი ქალი). ხშირად არსად დავდიოდით. ყმაწვილებს ახალი წელიწადის გათენება ძალიან გვეშურებოდა. საღამოთი ჩვენი გამზრდელები გოზინაყისა და ალვახაზის გაკეთებას იწყებდნენ. ჩვენ ძილი მოგვდიოდა. დავიძინებდით. როცა გოზინაყს გაამზადებდნენ, ვერცხლის ფოდნოსზე დააწყობდნენ ვასი-

ლის ხატს, ალვახაზს, შაქარს, სამ პურს, ვერცხლის დოქით წითელ ღვინოს და გარეთ აივანზე დადგავდნენ. განთიადი რომ მოახლოვდებოდა, მამაჩემი ადგებოდა და ხატების წინ აანთებდა სანთელს, დაიჩქებდა და ლოცულობდა (მამის თვალ-ზე ცრემლს რომ დავინახავდით, ძალიან გვიკვირდა: რათა ტირის?!), გაათავებდა ლოცვას თუ არა, გარეთ გავიდოდა. იქ, რასაკვირველია, ადრევე მომზადებული ზონჩა იდგა, მოიხდიდა ქუდს, შემთხვევითაა წმინდა ვასილის ხატს და, როცა კარებს გააღებდა, დაიძახებდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისა, ღმერთმა მრავალს ამ ბედნიერ დღეს დაგასწოროთ“, ყველას გვაკოცებდა. ჩვენც ხატს ვემთხვევოდით, თითო ალვახაზს გვიბოძებდა. ახლა გამზრდელებთან შებრძანდებოდა, იქაც ყველას მიულოცამდა, მერე კი თავლაში წაბრძანდებოდა და ასე ყველას შემოუვლიდა. მანამ მამა მყავდა, სახალწლო მეკვლეობა მას ევალა, შემდეგ იგი უმცროს ძმას გადასცეს.

დედაჩემმა ძალიან კარგად იცოდა სამღვთო წერილი. მღვდელი და დიაკვანი სავალობლებს ერთს სიტყვას ვერ დააკლებდნენ, რადგან, იცოდნენ დედაჩემი მიხედებოდა. პირველადვე გვასწავლიდა საღვთო წერილს, დავითნს, პარაკლიტონს, სამოციქულოს, სახარებას. ვინც კარგად დავისწავლიდით სამოციქულოს, იგი აღდგომა დღეს უნდა წაგვეკითხა. ხუთის წლისა იყო ჩემზე უფროსი და და მშვენიერად და გარკვეულად კითხულობდა საღვთო წერილს. მახსოვს, იგი მღვდელსა სთხოვდა საღვთო წერილის წაკითხვას და ისიც დიდმარხვაში აკითხებდა ხოლმე.

ახალწლის საკვლევზე რომ სამი პური და წითელი ღვინო იყო, იმათ ასე ვხმარობდით: პურს დავჭრიდით თხლად, ჩავაწყობდით სუფოვნიკში, ზედ სამ სუფრის კოვზს უტეცხლო თავლს ფიჭიანად დავადებდით, წითელ ღვინოს დავახხამდით და ისე შევინახამდით ხუთ იანვრამდე. ამას ვეძახდით აბრამიანს. იანვრის ხუთს, როცა ლოცვა გამოვიდოდა და წყალს აკურთხებდნენ, მაშინ ამ გაკეთებულ პურ-ღვინოს ყველანი ვიახლებოდით, ვინც ნასაუზმარი არ იყო... დიდ მარხვის პირველ ორშაბათს ჩვენი მოძღვარი შემოვიდოდა და დიდმარხვის იაზმას გადაიხდიდა. შემდეგ ვინც ჩვენ ოჯახში ვიყავით, აღსარებას ვვატყევიანებდა. ასე მივეგებებოდით დიდმარხვას... ორმოც დღეს ზუსტად ვიცავდით მარხვის წესებს. ზხოზბას დიდის ამბით შევხვდებოდით, ხოლო მის მეორე დღეს დედაჩემს თავის



სამშობლოდან \*) მოუვდილოდა საკლავი ძროხები, შაშხები, ღვინო  
საპალნეებით, შესაკერავი სახიანი საკაბე შალეები, ჩითები. ჩვენ და  
ჩვენ გამზრდელებსაც შესაფერი საჩუქრები მოსდიოდათ...

(ბედნაწერს აქ ერთი ფურცელი აკლია)

...მამა და დედაჩემი ისე მიიცვალენ, რომ მარხვაში სახსნილო არ  
მიუერთმევიათ. ავადაც რომ იქნებოდნენ, არ შეიძლებოდა, სახსნილო  
მიეღოთ. ასე აღასრულეს იმით თავიანთი ცხოვრება. ჩემი დედ-მამა  
დიდი სიყვარულით და სიტკბოებით ატარებდნენ თავიანთ სიცოც-  
ხლეს... ოცდაათი წელიწადი ბედნიერად გაატარეს და შემდეგ მამა  
მიიცვალა 77 წლისა, დედა კი 66 წლისა. შვილები სულ უკლებლად  
დასტოვეს—ცხრანი. დედაჩემმა მამიჩემის სიკვდილის შემდეგ თავისი  
უკანასკნელი წლები შავ ტანისამოსში გაატარა და თავზე აღარც  
ლეჩაქი დაუხურია...

„ს ი ყ რ მ ი დ ა ნ ბ ე დ ი ს მ ო ჩ ი ვ ა რ ი“

ჩვენ ვიყავით ერთი კარმოსახლობა. დედაჩვენი, ხუთი ძმა და  
ოთხნი დანი ტკბილად ვცხოვრობდით. დედა დიდი კაცის ქალი  
იყო და მამისა თუ დედის ნათესაობაც მეფეებისა და მთავრების  
ჩამომავლობისა იყვნენ და ჩვენ ყოველი მხრით დიდად გვეხმა-  
რებოდნენ. (ამ ნათესაობის თვითეულად დაწერას ბევრი დრო  
მოუნდება და ასე მოკლეთა ვწერ). ჩვენი ხუთივე ყმაწვილი  
ხელმწიფეს ემსახურებოდა და ამათი სამსახური ჩინებულად  
მიდიოდა. ბევრს კიდევ ამათთვის ამისთანა ბედნიერება შურდათ.  
ჩემი დებიც გათხოვალნი იყვნენ და თავთავიანთ ოჯახსა და ქმარ-  
შვილში თავს ბედნიერად ჰგრძნობდნენ. უმცროსი დაჲ მე ვიყავი,  
თანაც გასათხოვარი. სხვა გვარში ბევრი მთხოვნელიც მყავდა,  
მაგრამ ჩემ დებს ასე ვეტყვოდი ხოლმე: არას დროს იმისთანა კაცს  
არ შევირთამ, რომელიც შინ გაზრდილი იქნება. მე მიინდა ისეთი  
ქმარი, რომ იგი სამსახურში იყოს, ახალუხების კერვა არ უნდოდეს  
და ჩოხა ან ეცვას-მეთქი. მართლაც, გამოჩნდა ჩემი მთხოვნელი  
დავით ბარათაშვილი, რომელიც სამხედროში მსახურობდა. მეც  
წინააღმდეგობა აღარ გამიწვევია.

\*) მართა ერისთავის დედა—მაკრინე ზურაბ წერეთლის ქალი იყო. ზურაბ  
წერეთლის მეუღლე კი იყო მხეხათუნ, ივერეთის მეფის დავითის ასული. ვ. ვ.

არ გავიდა დიდი ხანი, რომ ჩვენ ვიქორწინეთ და ბედნიერი ვიყავ და ჩემ ბედსაც ვუმადლოდი, მაგრამ ამ ბედნიერებას მაისიდან 20 სექტემბრამდე გასტანა; სექტემბერში მოვიდა წიგნი: ჩემი ქმარი უეტრად მომკვდარიყო. შინაურებმა ჩემი ქმრის სახლში დიდი გაფრთხილებით წამიყვანეს. დედა, ძმები, სიძე და ნათესავები თან გამყვენენ. მეორე დღეს მივედი. მე დიდი მწუხარე შევიქმენ. უკვე ფეხმძიმედ ვიყავ და პატარა მწუხარებაც კი ჩემთვის საშიში იყო... დედაჩემი ყოველთვის მე მიფრთხილდებოდა და მეტყოდა: — „ხომ ხედავ, არ მოკვდი, ახლა დაისვენეო“, მაგრამ ჩემთვის არათუ არ იყო, გარდა იმისა, რომ ხუთის თვის შემდეგ დედა უნდა ვყოფილიყავ... გავიდა ხუთი თვე და მეყოლავაჟი. მისი დაბადება როგორც ჩემთვის, ისე განსვენებული ქმრის ნათესავებისათვის დიდი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი იყო. ბავშვს თავს დავტრიალებდი, ძუძუსაც მე ვაწოებდი. სხვებს რომ დაეძინებოდა, მე ქვეშაგებიდან წამოვჯდებოდი და იმ ყმაწვილს მთელი ღამე დავყურებდი, დავხაროდი. ვფიქრობდი, ეს გამეზრდება და ჩემი მზრუნველი იქნება-მეთქი. ამიტომ შევხაროდი ღმერთს და მადლობას ვწირავდი.

გავიდა თითქმის წელიწად ნახევარი და ერთ დღეს ჩემი დის წიგნი მომივიდა: ჩემ შვილებს წითელა სჭირთ, ერთი ქალი ძალიან ავად არის, ჩამოდი, მნახე, შენი შვილი ხომ წითელა ნახადია და გადადებისა ნუ გეშინიაო. მაშინვე წავედი მე და ჩემი ბიძაშვილი და ეს ჩემი შვილიც თან წავიყვანე. მასთან დავრჩი სამი საათი და ისევე უკან გამოვბრუნდი. ჩემი შვილი როგორღაც იმ ღამეს ძალიან უგემურად გახდა... ხოლო განთიადისას კენესა დაიწყო, თავი ასტკივდა, გუჩნებაზე გამოიცვალა, საშინელი სიცხე მისცა და მთელი დღე ასე იყო. მეორე დღეს დედაჩემი და ჩემი ძმა მოვიდნენ; მათ შემოსვლისთანავე ამ ყმაწვილმა აკვანში ერთი საშინელი დაიკივლა და წავიდა. ბევრი ატრიალეს, მაგრამ ბავშვი ჩემი აღარ იყო. წავიშინე თავში, ბევრიც ვეტირე, მაგრამ იმ უბედურს ვერაფერი ვუშველე. შვილი სამუდამოდ დავკარგე...

ამის შემდეგ გავიდა ექვსი წელი და დედა მომიკვდა. დედამ სიკვდილის წინ უფროს ძმას უთხრა:—შვილო, მე ბედნიერი დედა ვიყავ და უფრო იმით ვარ ბედნიერი, რომ ჩემს შვილებს ამისთანა მდგომარეობაში გტოვებთ. ვალს ნუ აიღებთ და ნურც იწუხებთ ჩემთვის; ჩემი თქვენთან სახვეწარი ეს არის: ოჯახი არ არიოთ, ძმებსა

და დებს ერთმანეთი გიყვარდეთ. მე ამის მეტი ჯავრი არა მიმდევს, რა, რომ საწყალ მართას ქმრითა და შვილით უდროოდ დაეწავრა გული. მას გაბარებთ და უპატრონეთ!..

ღედის სიკვდილის შემდეგ დაერჩი ძმებთან და, რაც შეიძლება, ყველანი ჩემს სიამოვნებას ცდილობდნენ. ასე გავიდა ოთხი წელიწადი. დიდმა დრომ მწუხარება გამიქრო. ძმები და დები მირჩევდნენ გავთხოვილიყავ, მაგრამ უარს ვამბობდი: ჩემს საწყალ ქმარს ვერ ვუღალატებ-მეთქი. ბოლოს მეც თანახმა გავხდი გათხოვებისა, მაგრამ იმას ვიტყვოდი ხოლმე: რაკი ქმარს შევირთავ, შვილიანი უნდა იყოს. ჩემს სიყვარულს გერზე გადავიტან და მასაც ისევე მოვუვლი, როგორც ჩემს პირველ შვილს \*)...

(აქედან იწყება გიორგისა და მართას შეუღლებისა და ერთად ცხოვრების ხემოდ მოყვანილი ისტორია)

... მაშინ ჩემი დავითი 17 წლის ყმაწვილი იყო და ოღესის პანსიონში სწავლობდა. მეორე ზაფხულზე ისევ ჩამოვიყვანე საქართველოში. იმ წინა წელიწადს ყმები ჩამოგვეერთვა და სულზე 25 მან. მოგვეცეს. ჩემს შვილს ერგო სამიათასი თუმანი. ამით ზოგიერთი ვალები გადავიხადეთ და ის ფული, რაც ვალს გადარჩა, პეტერბურგში გამგზავრებასა და სწავლას მოუწია. ორჯერ საზღვარგარეთ წავიდა: პირველად სანახავად და მეორედ ქ. ემსში ავადმყოფობის გამო (კუჭის კატარი ჰქონდა), მაგრამ ამ ავადმყოფობას ვერ მორჩა, ორი წელიწადი დიდად შეაწუხა. შემდეგ თბილისში მორჩა ერთი ექიმის შემწეობით. 26 წლისა რომ გახდა, თირკმლები დაუავადდა. რვა თვე იყო დიდი ავადმყოფი. ზაფხულზე ფეოდოსიაში გავზავნეს და იქ სრულებით განიკურნა, გასუქდა კარგად.

ახლა მე და ჩემმა შვილმა ლაპარაკი ცოლის შერთვაზე დავიწყეთ. ასე ვუთხარ: შვილო, დრო მოვიდა, ცოლი უნდა შეირთო. თითონაც მეზვეწებოდა. ყმაწვილი კაცი იყო და უნდოდა ცოლის შერთვა. წინათ რამდენი ქალი ეძლეოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით მისი ქორწინება არ მოხდა. მე მინდოდა იმისთანა ქალი შეე-

\* ) არა სცდებოდა მართლაც: დედობა ისეთი გაუწია თავის დავითს, ისეთი სიტკბოება და სიყვარული სუფევდა იმათ შორის, რომ ხშირად ვერა ნახავთ დედა-შვილობაში, ე. წ.

რთო, რომ ოჯახის მოვლა და მამულის ყურისგდება შესძლებოდა ველაპარაკებოდი ერთ კარგ გვარის ქალზე.—უმოო კაცი ხარ და თითქმის უნათესაო, ამიტომ შენ უნდა შეირთო იმისთანა ქალი, რომ მისი ნათესავეები ძმებათაც გამოგადგეს. მან მითხრა:—მე ზაქარია სარაჯიშვილის ასული მარიამი მინდა შევიერთო და შენ ვიცი არ მოგწონს, რადგან დიდი კაცის ქალი არ არის. ვუბასუხე; მეც ამას ვწუხვარ, რომ ქალაქის ქალი სოფელში არ დადგება და სულ აქა-იქ ირბენს, თორემ შენი ნებაა!.. არ გიშლი, ოღონდ ჩემს სიცოცხლეშივე შეირთე, რომ ვიცოდე პატრონი გყავს... თან ესეც დაეუმატე: მე მაშინვე ჩავაბარებ შენს სახლსა და მამულს და ცალკე დაედგები, ვინაიდან ეხლანდელი ქალები სახლში უფროსებსა და მათ სამდურავეებს ვერ უძლებენ. შენ გენაცვალე, ასე გავათათო ამაზე საუბარი.

მას დიდად ეწყინა და მითხრა: კარგი, რაკი ეგ აზრი გაქვს, ჩემ დღეში ცოლს არ შევიერთავო. ცხადია, ეს იმიტომ მითხრა, რომ უფრო ნებას მივეყოლოდი. სახლი არა გვქონდა სოფელში, რომ ზაფხული იქ გაგვეტარებინა... ვუთხარ: ან ეს სახლები ან, თუ დამიჯერებ, გორში „სტანციად“ რომ ძველი სახლები იყო, ის გადავაკეთოთ. ამაზე მან დიდი უარი მითხრა. ჩვენ კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ და ბოლოს ამით გავათავეთ: ვინც უნდოდა ის შეერთო, ოღონდ კი მეც მოსვენებული ვყოფილიყავ და მასაც პატრონი ჰყოლოდა.

ერთი კვირის შემდეგ წავიდა დავითი ქალაქში და გადაუწყვეტია ვინც თითონ უნდა, ის ქალი შეერთოს. რამდენიმე დღე უვლია მას თავის ნათესავთან \*), სადაც ჩემი შვილის საცოლვე ხშირად დადიოდა. ამ ხნის განმავლობაში ისინი ყოველდღე ერთად ყოფილან. ასე, რომ მათ ერთმანეთში მოულაპარაკნიათ და ცოლ-ქმრობის სიტყვაც მიუციათ. მცირე ხნის შემდეგ ჩემი შვილი მწერს წიგნს, რომ ჩემი ცხოვრება გამოიცვალა, მე გადავწყვეტე ცოლი შევიერთო და ვიცი ამაზე უკეთეს ამბავს ვერას მოგწერო. მე ვერთამ იმ ქალს, რომელზედაც მანდა გვქონდა ლაპარაკი. ქორწინების შესახებ ჯერ ქალისთვის არა მითქვამს-რაო. და მთხოვდა, ჩავსულიყავ ქალაქში ან მისალოცი წიგნი მიმეწერა. მეც მივულოცე წერილობით და თანაც ვეხვეწებოდი კიდევ არ გამოეცვალა თავისი აზრი და ის ქალი უთუოდ შეერთო.

\*) აღიხანოვის ოჯახში.



ერთი კვირის შემდეგ მეც ჩამოვედი ქალაქში. ჩემი შვილი ვაგნა ზალზე დამხვდა და, რომ ვაგონში შემოვიდა, კანკალმა აიტანა ვკითხე: რა დაგემართა?!— არაფერი, იმასა ვწუხვარ, ვაი თუ ის ქალი თქვენი სასიამოვნო არ იყოს, რადგან თქვენ უფრო სხვანაირი ქალი გინდოდათო?—რას ამბობ, მაგას როგორა ფიქრობ, შენ ვინც გსურს, ჩემი სიხარულიც ის იქნება, ამას რაღა თქმა უნდა? ჩავედით ქალაქს ჩვენს ბინაზე და მთელი ღამე ვილაპარაკეთ. მეორე დღეს დავითი სახლიდან გარეთ არ გასულა, მეუბნებოდა: თუ არ წამოხვედი, მარტო არ წაეალო. სხვა გზა არ იყო, წავედით ჩემს შვილის ნათესაეთან და ქალის მშობლებს იქიდან ვაცნობე: ამ ღამით ქალის დასანიშნად მოვდივართ! ყველას დიდი სიამოვნება შეუდგა. მე და ჩემი შვილი სახლში დავბრუნდით, ყოველმხრივ მოვემზადეთ, ეკლესიაში წავედით, ხატებს ვემთხვიეთ და იქიდან პირდაპირ ეტლით ქალის სახლში მივედით. ქალი, მისი მამა და ნათესავები დიდი მხიარულებით შემოგვხვდნენ. ასე ერთი თვის შემდეგ (1875 წლის 10 თებერვალს) ჯვარიც დაიწერეს. ორივე მხარე დიდი კმაყოფილი ვიყავით. მე სოფელში ეცხოვრობდი და იქაურ საქმეებს ვაკეთებდი: სახლისა და ოჯახის მოვლაში ვიყავი, სადღესასწაულო დღეებში კი ჩემ შვილსა და რძალთან მივდიოდი. წლამდის ღვთის შეწევნით ქალი შეეძინათ და სახელად ელისაბედი უწოდეს. ბავშვს კარგად უვლიდნენ, მისი კარგი სწავლისათვის არაფერს ზოგავდნენ, ერთი სიტყვით, მას ყველაფრით კარგ აღზრდას აძლევდნენ. 16 წელიწადი იყვნენ ჯვარდაწერილები და 15 წლის ქალიშვილი ჰყავდათ...

\*\*

გიორგი ერისთავის ოჯახზე და ბებია მართას შესახებ მეც მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა:

თვალწინ მიდგა ჩემი საყვარელი ბაბულა, ცოცხალი თვალებით, ტანდაბალი და ენერგიით სავსე. მთელი თავისი სიცოცხლე მან თავისი ქმრის ოჯახს შესწირა. ბებია ჩვენი დაცემული ოჯახი ფეხზე დააყენა და ბაპაჩემთან ტკბილი ცხოვრება გაატარა. მან მთავარი ყურადღება სოფ. ოძისის სასახლეს მიაქცია, რადგან ეს იყო გიორგი ერისთავის ოჯახის აკვანი. მან შეაკეთა ექვს ოთახიანი სახლი, მამა მას მხოლოდ მატერიალურად ეხმარებოდა და რჩევას აძლევდა, სხვა მხრივ კი ყველაფერი ბებიას კისერზე იყო. ჯერ რა-



ოდენი უსიამოვნობა და დავა გამოიარა იმისათვის, რომ სახლის გარშემო მიწები ერთ ნაკვეთად მოექცია: ეს იწვევდა თავისი მებრუნებელ გიორგი რევაზის-ძე ერისთავის (ატამანის) მამულის ნაკვეთების გაცლას, რაც მან ძლიერ-ძლივობით მოახერხა და ჩვენი ნაკვეთი ფართო სასახლეკარო ადგილად იქცა. 1875 წელს, როცა მამაჩემმა დავითმა ცოლი შეირთო, მან შენობა გაათართოვა. 1885 წელს მას დააშენა მეორე სართულზე ოთხი ოთახი; ამას გარდა გაალამაზა ზვრის მხარეს ფართო ეზო, გააკეთა კალო, გააშენა ბაღ-ვენახი და მოაწყო წისქვილი და აგურხანა, სადაც მუშებს აგურსა და კრამიტს აკეთებინებდა და ჰყიდდა. სახლის ქვედა სართულში სამი მარანი იყო (ორი ღვინისათვის ქვევრებით და ერთიც წილისათვის პატარა ქოცობით), ეზოში კი ქვითკირისა და კრამიტით პატარ-პატარა ნაგებობანი: თავლა, საბძელი, საჯინიბო, ფურნე, თორნე, სასარეცხე, საქათმე, მოსამსახურეებისათვის ოთახები და სხე. დიდი ძალი მუშა გვკვირდებოდა. დღეში ორ ფურნე პურს აცხობდნენ და მკაში, თხნაში, ოთველში თუ სხვა სამუშაოებზე მიწვეულ მუშებს დღეში თითო საკლავი უნდებოდათ. გვყავდა მრავალი საქონელი, ფრინველი და უთვალავი ცხვარი. თვალის დევნებისათვის მათთვის თითო ადამიანი იყო მიჩნეული. ფურჩნის დროს, ლობიოს მოგლეჯაზე ბებია თითონ მუშაობდა მუშადედაკაცების გვერდით. თუ სადმე ეკლიან ძურწას დაინახავდა, წინსაფარის მეშვეობით ხელს მოავლებდა მას და ამოგლეჯდა და სხვებსაც აგლეჯინებდა, ხოლო როცა გახმებოდა, ცეცხლს წაუკიდებდა. სისუფთავეს მისდევდა, ეზოს, საქათმეს აგვევინებდა, თვალს დაახვეტინებდა. ზვარში, გზის ნაპირებზე პატარა რუს პირას წნელის ბუჩქები დაარგვევინა, რომ ვაზის შესაკრავი წნელი იქვე ახლოს ჰქონოდა. თვალს ადევნებდა, რომ ბოსტანი, ვაზი და ხილის ხეები თავის დროზე მორწყულიყო. რუებს ყოველ ვაზაფხულზე ასუფთავებინებდა, რომ წყალი არ დაგუბებულყო ან არ გაპარულყო. სახლშიც ყველაფერი თავის ადგილას იყო. თვითონ აყენებდა საუკეთესო ღვინოსა და ძმარს. ყოველთვის ჰქონდა საქმლის შესაზავებლად სხვადასხვა სანელი: მიხაკ-ღარიჩინი, ყვითელი კოკო, ზაფრანი და ათასი სხვა სურნელოვანი მშვანილი, სხვადასხვა საჭირო იარაღი: ხერხი, ჩაქუჩი, გაზი და სხე.

როდესაც ხურჯინებით დატვირთული ვაჭარი ჩამოვილიდა, ბაბულა გააშლევიანებდა ფართლელს და იყიდდა ყველაფერ იმას,



რაც მისთვის ან ხელზე მოსამსახურეებისათვის იყო საჭირო. შემდეგ შეუდგებოდა ჭრა-კერვას და ჰკერავდა პერანგებს, შარვლებს, ახალუხებს და სხვ. კვირაობით ჩვენს პატარა სოფლის ეკლესიაში დადიოდა წირვაზე და ლოცულობდა.

ასე ატარებდა ის წელიწადის სამ დროს: გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას,

ზამთარში კი ბებია საშობაო-სახალწლოდ თბილისში ჩამობრძანდებოდა, მოსამსახურე ბიჭების დახმარებით ხურჯინებით და კალათებით დიდ ბარგს ჩამოიტანდა ხოლმე. ამოალაგებდა ქილებში ცივად ჩალაგებულ ინდოურებს, მურაბებს, ნაზუქებს და ხილეულს: კომშს, მსხალს, ხეჭექურს, კოწახურს, კაკალს და სხვ... დედ-მამა დიდი სიხარულით იღებდნენ ბებიას და ცდილობდნენ, რითაც შეეძლოთ ესიამოვნებინათ. სრულებით არ იჩინებოდა რძალ-დედამთილის ურთიერთ უსიამოვნება. ბებია შემოივლიდა ყველა საყდარს, მაგრამ უფრო ხშირად დაბრძანდებოდა პატარა სამების ეკლესიაში. ხანდისხან მეც წამიყვანდა. სახალწლოდ კაკლის, თბილის და ნუშის გოზინაყს აგებებდა, მე კი ახალ წელს თეთრი ან წითელი ყინვარი შაქრით მომილოცავდა. საჩუქარი ძალიან მახარებდა და მას ბალიშქვეშ ვმაღავდი. ბებია ხშირად დიდმარხვამდე რჩებოდა ჩვენსა და პირველ კვირას წმინდა საიდუმლოს რომ მიიღებდა, ისევ სოფ. ოძისში ბრუნდებოდა...

ბოლო დროს ბებია ქ. გორში ცხოვრობდა. სადგურის ქუჩაზე პატარა სახლი გვექონდა, სადაც მოურავი იდგა. საწყალი ბებია სულ ნატრულობდა იერუსალიმში წასვლას, ალბათ, თავის მეგობარ ქალთან—პლატონ იოსელიანის ქვრივთან ერთად, მაგრამ ვერ მოიყვანა სისრულეში თავისი ნატვრა. სიკვდილი სწრაფად ეწვია: ჯერ სისხლი ჩაექცა, დამბლად ჩავარდა და ენა ჩაუვარდა, რალაც გაუგებრად ლულულებდა. ასე ორ კვირას იყო და მერე გარდაიცვალა. წირვა და ანდერძი ქ. გორში ოქონის ეკლესიაში ავუგეთ და იკორთის მონასტერში დავასაფლავეთ. წლის თავზე ძეგლი გაეუჭეთეთ წარწერითა და მარმარილოს ჯვრით.

### მ. „ახალი ცხოვრება დიდ ოჯახში“ \*)

(მოგონება დავით და მართა ერისთავებზე)

... მეორე დღეს, 17 სექტემბერს თვალცრემლიანი გამოვემშვიდობე დედას, და-ძმას და წავედი ახალ, დიდსა და მდიდარი ერისთავის ოჯახში. მამიდაჩემის ქმარმა ჩამიყვანა ამ ოჯახში.

\*) ეს თავი ამოღებულია ივანე სუბიშვილის „ჩემი თავგადასავლიდან“, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის არქივში, № 3692. ტექსტი იბეჭდება შემოკლებული სახით.

ივანე გრიგოლის-ძე სუბიშვილი დაიბადა 1874 წელს სოფ. ოძისში. ბავშვობა მშობლებთან გაატარა. 1887-2890 წლებში მოსამსახურედ იყო მართა და დავით ერისთავების ოჯახში, ი. ლ.



კენინა მართა მზიარულად შემხვდა. მე მივედი, ხელზე ვაკოცე და მან ამ სიტყვებით მომმართა: „აი, ჩემო პატარა მაცანცარა, დღეიდან ჩემი იქნები და მე გაგიწევ მშობლის მაგიერობას, თუ შენც კარგი იქნებიო“. მაშინვე გამოიტანა ჩემთვის წინათვე დამზადებული საცკლები, ტანისამოსი და გადასცა გამზრდელ დედაკაცს: „აი, ჩემო საბედო, დღესვე აბანავე, ეს ტანისამოსი ჩააცვი და მაგისები კი მის დედას გაუგზავნე, სხვა ბავშვებისათვის დასჭირდება... შენ ოთახში დაუდგი კრაოტი და შენთან იყოლიეო“...

თვითონ ჩემ ქალბატონს კლასიკური ცოდნა არა ჰქონდა, გარდა ქართულისა სხვა ენა არ იცოდა, თუ სახეში არ მივიღებთ მის უგრამატიკო, დამტვრეულ, დამახინჯებელ რუსულს, რომლითაც ის გაჭირვების დროს რუსის მსახურებს მიმართავდა. მაგრამ ქართული ენა და წიგნი როგორც მხედრული, ისე ხუცურიც ზედმიწევნით იცოდა. სახარებას და „ვეფხვის ტყაოსნის“ შესანიშნავ სტროფებს ზეპირად ამბობდა. თითონ მოხუცი იყო სამოც წელს გარდასული, მაგრამ ბეჯითი და მხნე, მეხსიერებით სავსე და მოძრავი, ამასთან გულკეთილი, ლმობიერი, ქველმოქმედი, მაგრამ ზოგჯერ მრისხანე და შეუბრალებელი.

მას მეურნეობისა და ოჯახის მოვლაში ტოლი არ ჰყავდა. დილით ჩვენზე ადრე დგებოდა, აივნის კარებს, მართალია, საბედო ჰკეტდა, როცა იგი წვებოდა, მაგრამ აივნის სარკმლიდან გადმოდიოდა და დაუვლიდა მეხრეებს, ხაბაზს, მებაღეს და ყველას საქმეზე დააყენებდა. მერე მზარეულს ეტყოდა, თუ მეორე დღეს რამდენი მუშა-კაციც იყო საჭირო, რამდენი სულისთვის უნდა გაეკეთებინა სადილი, ან რომელი საკლავი დაეკლა და სხვა. აქედან სახლში დაბრუნდებოდა და ჩაის მიირთმევდა, მერე შინა მოსამსახურეებს დაგვაყენებდა ჩვენ-ჩვენ საქმეზე.

გაზაფხულობით ჩვენც გვამუშავებდა: ხან ბაღში კინკრის ძირებს გვათბრევინებდა, ხან კი ვაზის ნასხლევი და სარის ნაჩეკი გამოგვეკონდა ვენახიდან და ვაგროვებდით საურმე გზაზე, რომ მერმე ურმით გამოეტანათ.

ზაფხულში ჩვენივე სოფლიდან დაქირავებულ დედაკაცებს ვშველოდით მწვანილისა თუ სხვა მოსავლის მარგვლაში ან ლობიოს გლეჯაში. მართაც ჩვენთან იყო, ისიც ჩვენთანვე შრომობდა და თანაც მშვენიერი ქართულით ვგესაუბრებოდა. ასე იყო ზაფხულობით, მაგრამ სულ სხვა იყო ზამთრობით.



ზამთარში, მით უმეტეს ლამეობით, ბუხარში გაუქრობელი ცეცხლი ენთო. მოგვიწოდებდა ჩვენ და ნებას მოგვცემდა დაემხსნაროდა იყავით ბუხარის მახლობლად, თითონ ერთ ალაგს რბილი „კუშეტკა“ და მწვანე შარიანი ლამფა ედგა. გვიკითხავდა ხან გახეთ „ივერიას“, რომელსაც ცხენით სოფ. კასპიდან კვირაში ორჯელ ზიდავდა განსაკუთრებით ამაზე მიჩნეული კურიერი, და ხან ილიას, აკაკისა და სხვათა მოთხრობებს. ან თითონ ჰყვარავდა ჩვენთვის და მოჯამაგირეებისათვის საცვლებს, ტანისამოსს, საზამთრო ფარაჯებს და სხვ..., ჩვენ კი მატყლს ვწეწდით, ვარჩევდით ბუმბულს, მაგრამ სარეცხს მე მაუთოებინებდა და მეტყოდა: ცხოვრებაში გამოგადგებაო. მართლაც გამოგადგა. სძულდა თავქარიანი კენიენები, რომლებიც მთელი დღე პრანკვა გრეხასა და ჭორიკანობაში ატარებდნენ დროს, და ებრალებოდა იმათი ქმრები: რა ქნან, რითი ჩააცვან ან რა დახურონ და ასევე-აქამონ უქნარა და პრანკია ცოლებს?!, მაგრამ ყველაზე ძალიან სძულდა მოურავები და ჩაფრები: ესენი ჩვენი სახელით აწუხებენ ხალხს, ახდევინებენ ზედმეტს და გლეხობას აძულებენ ჩვენ თავსა.

1888 წელს ჩვეულებისამებრ დავითი, „სამშობლოს“ ავტორი, საზაფხულოდ ოძისში მობძანდა თავისი ცოლ-შვილითა და ამალით. ჰყავდა ერთი ქალიშვილი ელისაბედი, რომელიც ძალიან გულკეთილი, მშვიდი და ადამიანის მოყვარე ბავშვი იყო. მასწავლებლად ყოველთვის ფრანგის ქალი ჰყავდა, რომელიც პატარა ლიზას ფრანგულსა და მოქალაქურ ცხოვრებას ასწავლიდა. თ. დავითს ცოლად ჰყავდა მილიონერი ზაქარია დავითის-ძე სარაჯიშვილის ქალი, მეტად ამაყი და მედიდური. დედამთილს არ მოსწონდა რძლის ასეთი სიამაყე და იტყოდა ხოლმე: ამ ვაჟრის ქალს ვინ მისცა ასეთი სიამაყე ან ამპარტავენობაო?!

განსვენებული თ. დავითი იყო დინჯი, გულკეთილი, მშვიდობის მოყვარე და მშვენიერად მოსაუბრე; დილით გვიან დგებოდა, ერთი საათი უნდებოდა ჩაცმას და პირისფარეშობას. იცვამდა სუფთად და მოხდენილად ევროპულ ტანსაცმელს, თორმეტ საათზე სვამდა ჩაის კარგა მოზრდილი ქიქით, შემდეგ ეწეოდა სიგარას. მერე ან თავის კაბინეტში წერდა და კითხულობდა, ან ფოტოაპარატით დადიოდა უზოში და იღებდა სურათებს. ოჯახის საქმეში სულ არ ერეოდა, ის მის დედინაცვალს კნ. მართას ჰქონდა მინდობილი.

უყვარდა მუსიკა. უკრავდა მშენიერად ფისგარმონზე, მისი მეუღლე კი პიანინოზე გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ხანდახან თავადი როგორც შინამოსამსახურეებს, ისე მოჯამბუგირეებსაც მოგვიწვევდა დარბაზში და გვიკითხავდა ილიას ან აკაკის ნაწერებს: მოთხრობებსა და ლექსებს.

მახსოვს, ერთხელ მე ჩამაცვეს ჩოხა, გამიკეთეს პირზე თეთრი ცხვრის ტყავისაგან გაკეთებული წვერი, შემომახვიეს თავზე თეთრი ზეწარი და წამომასხეს ზურგზე ქირმანის შალი, იქით-აქეთ ორი სამხედრო პირი მომიხვეს და ჩემს უკან დააყენეს იმერელი ლაქია, ჩოხაში გამოწყობილი. გაანათეს დარბაზი ფერადი ცეცხლით და გადასწიეს ფარდას, ნიშნად იმისა, რომ ეს სურათი მოიწონეს, ტაში დამიკრეს. ეხლა რომ ვაკვირდები, ალბათ, ეს სურათი აღებულ იყო შამილის ცხოვრებიდან, როცა იგი რუსებმა დაატყვევეს და პეტერბურგში გადაასახლეს. იქ ტყვე შამილი ერთ-ერთ თეატრში წაიყვანეს. შამილმა რუსული არ იცოდა. მოეწყინა, მთქნარება დააწყებინა. ახლოს მჯდომმა რუსის გენერალმა შენიშნა და თარჯიმანს დაცინვით უთხრა: „გადაეცი მაგ მხეცს, რამოდენა პირს აღებს, არ ჩამყლაპოსო“. ნიჭიერმა შამილმა პასუხად მიუგო: გადაეცი ბ. გენერალს: „მე მუსულმანი ვარ და ღორის ხორცს არა ვჭამო.“

პირველად, დავითთან მისმა დედამ წარმადგინა. თავადს თავი დავუკარი, მის კნენიას კი ხელზე ვაკოცე; მან (დავითმა) რუსულად თქვა: „კაკოი სლავნი მალჩიკ!“, მერე სთხოვა თავის დედას, მინამ აქ ვიქნები, ეგ ბიჭი მე დამითმეთო, რაზედაც მან თანხმობის ნიშნად უთხრა: კი, გენაცვალეო.

ამგვარად, მე ჩემი ძვირფასი ბატონის მახლობელი მსახური შევიქენი. დავდიოდით ერთად: მე ფოტოაპარატი და სამფეხა მქონდა აკიდებული, მას კიდევ ხელში ჯოხი და აპარატის ფირფიტები ეჭირა. სურათებს ვიღებდით ტყეში, ქალებში, კალოზე, წისქვილში, ბაღსა და ბაღჩაში, ერთი სიტყვით ყველგან...

1888 წელი ქართველი თავად-აზნაურების ციებ-ცხელების მომგვრელი წელი იყო. ამ წლის სექტემბრის შუა რიცხვებში იმპერატორი ალექსანდრე მესამე თავის ოჯახობით უნდა ჩამობრძანებულიყო საქართველოში. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ტფილისში უნდა შეხვედროდა. ამის გამო ეს ზაფხული მოაგარაკე თავად-აზნაურებისა და ვაჭრებისათვის ხანმოკლე იყო. ამ მიზეზით



ჩემი ბატონებიც ტფილისში ადრე დაბრუნდნენ. დავითმა წასვლის წინ მე რამდენიმე ქართული საყმაწვილო წიგნებით, შარვლითა და მშვენიერი კრიკინა ფეხსაცმელებით დამასაჩუქრა. სამი კვირის შემდეგ ქალბატონი მართაც გაემგზავრა ტფილისში ეტლით და მეც თან მიახლა.

იმ დროს მე ქალაქი არ მონწონებია თავის მრავალრიცხოვანი სახლებით. ალბათ, იმის გამო, რომ ხამი ვიყავი და არც ქუჩები ვიცოდი. მაგრამ მალე ისევ კნენინას წყალობით შევეჩვიე ქალაქურ ცხოვრებას...

ხელმწიფე ალექსანდრე მე-3 მოსვლის შემდეგ მართა ერისთავი ქალაქში დიდხანს აღარ დარჩენილა, მალე დაბრუნდა სოფელში და მეც თან წამიყვანა, რადგანაც მთელი წლის მოსავალი ჯერ ისევ აუღებელი და დაუბინავებელი იყო. ის მოვიდა თუ არა სოფელში, მაშინვე შეუდგა ყველაფრის მოვლა-პატრონობას: ხორბლეული ბელღებში შეინახა, ხოლო თივა, ბზე და სიმინდი—თავთავის ადგილზე. დაიწყო ღორებისა და ინდაურების დასუქებაც; ამასობაში რთველიც მოახლოვდა. მოჯამაგირებმა დაკრიფეს ყურძნის ზერები და ხილის ბალი, გააკეთეს ჩირები, დაავლეს ჩურჩხელები, დააყენეს ღვინოები, დაფუკეს საზამთროდ საფუქავი და მოიმარაგეს შეშა: დახერხეს და საყენობით დადგეს... ამასობაში დეკემბრის თვეც მოვიდა. დასუქებული ღორები დააკვლევინა, სალორე ხორცი გადაარჩევინა და მარილსა და გვარჯილაში ჩააწყობინა, რომ ვიჩინა კარგი გამოსულიყო, საზამთრო ხილი ზოგი საქალაქოდ, ზოგიც ოჯახში სახმარებლად ყუთებში ჩაალაგებინა. ნუში და კაკალი დავამტვრიეთ. თაფლი, ერბო და წნილები საქალაქოდ ქილებით დამზადებინა და 15 დეკემბრისათვის კნენინა მართა უკვე მზად იყო ქალაქში გასამგზავრებლად. მხოლოდ ღვინისა და არაყისათვის ჩაფებს რეცხავდნენ. ღვინო-არაყიც ამოიღეს და ყველაფერი ურემზე დატვირთვეს. მოურავი ახალგორში წავიდა ბოქაულიდან ნებართვის ასაღებად, რომ გზაში საბაქოში არ დაეკავებინათ. ნებართვის მოტანის შემდეგ დატვირთული ურემები ქალაქისაკენ გაისტუმრა.

მე მომცა ოცი მანეთი და მიბრძანა: აი, დედაშენთან აიბრინე, ნახე, ეს ოცი მანეთი აჩუქე და უთხარი: არ იდარდოს შენზე, შენ შეიძლება გაზაფხულამდინ ტფილისში დარჩე და იმას დარდი ნუ ექნება.



მეორე დღეს დილის ათ საათზე გასავალ კარს ოთხცხენიანი ეყენებით მორთული ეტლი მოადგა. კნინამ ჩაგვალაგებინა შიგ, რაც წასაღები გვქონდა, სალოცავი ხატების წინ პირჯვარი დაიწერა, ყველას გამოეშვიდობა, ეტლში ჩავსხედით, მზარეული კიკო კოფოზე დაჯდა, კუჩრმა ემელიანემაც სადავე მოიმარჯვა და ეტლი დაიძრა. ეზოს კარის მკველმა ალაყაფის კარი გააღო, ხოლო ჩათარამ თავის ცხენს მათრახი შემოჰკრა და გავვიძღვა წინ...

ორი საათის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ უკვე კასპში ვიყავით. მატარებელი დროზე მოვიდა. ჩვენ ბარგი ვაგონში შევიტანეთ, ჩვენც ჩავსხედით და... ცოტა ხნის შემდეგ ტფილისისაკენ მივექროდით.

ტფილისში მეშინური წრეებისათვის თითქმის ქართული ენა არ არსებობდა. დიდ არისტოკრატიულ ოჯახებში ქართულად თითქმის აღარც-კი ლაპარაკობდნენ და, თუ ვინმე დაილაპარაკებდა, იმასაც ზიზღით. ქართულ ვაზეთს თუ ვინმე ღებულობდა, ისიც ფორმისათვის ან რისამე შესახვევად, თორემ წაკითხვით თვალებს არ დაიღლიდა. ახლად ენადგმული ბავშვებიც რუსულად ტიტინებდნენ. ასე გასინჯეთ სიონის ტაძარში შესავალ კარებთან მღვთმი შვეიცარი, თუ ქართულ ტანისამოსში გამოწყობილ ქალს ნახავდა, არ უშვებდა. მზარეულებისა და ლაქიების მიერ დანახარჯზე შედგენილი გრძელი ანგარიშიც რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი, თორემ დიასახლისი არ მიიღებდა. გვარებიც ხომ სოლომონ მეჯღანთაშვილივით გადაიკეთეს და სხვა.

მე და ჩემი ქალბატონი მთელი ზამთარი ქალაქში დავრჩით. აქ ამ ოჯახის წყალობით ბედნიერება მქონდა მენახა მაშინდელი ქართველი მოღვაწენი: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, ვალერიან გუნია, კიტა აბაშიძე, ვლადიმერ მიქელაძე, იონა მეუწნარგია, პ. უმიკაშვილი, ვანო მაჩაბელი, ალექსანდრე როინაშვილი, ავქსენტე ცაგარელი, ზაქარია ჭიჭინაძე, გრიგოლ ყიფშიძე და სხვანი.

ერთხელ განსვენებულმა დავითმა ილია ჭავჭავაძესთან გამგზავნა და წერილი გამატანა, მაგრამ რაკი მისი სახლი არ ვიცოდი და არც ქუჩების წარწერა და ნომრები, თან რუსი მოსარეცხეს შვილი გამაყოლა. მაშინ ილია ავქალის ქუჩაზე თავისი დის, საგინაშვილის, სახლში ცხოვრობდა.



ვარანცოვის ძეგლამდე კონკით მივედით (მგზავრობა სულზე სამი კაპეიკი ღირდა), მერე პირდაპირი ქუჩით ავედით და მის სახლს მივაღებეთ. ახლოს მივედით, კარი ღია იყო, მაგრამ კარებში თეთრი პირდაღებული დათვი იდგა, წინა ფეხებით თეთრი თითბრის ლანგარი ეჭირა თათებში. მის დანახვაზე მეც შეშინდა და იმ რუსის ბიჭსაც, მაგრამ მოვიკრიფეთ ძალა და დავერეკეთ ზარი; გამოვიდა ვიღაცა ტანდაბალი კაცი, წერილი გადავეცით და დაგძინეთ, პასუხს ველით-მეთქი. არ გასულა დიდი ხანი, ისევ ის კაცი გამოვიდა და შინ შეგვისმო: მოდით, იღია გეძახით! შევეყვით, თავი დავეუკარით ილიას, თვითონაც თავი დავეკირა და გვიბრძანა: თ. დავითს მოახსენეთ უქველად ამ საღამოს დანიშნულ ადგილას მობრძანდესო. მაშინ დავითი ცხოვრობდა სოლოლაკში, ბაღეზის ქუჩაზედ, № 43. დავითს თავის სამუშაო ოთახში ძალიან ბევრი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ჰქონდა, კედელზე კი ალ. გრიბოედოვის სურათი ეკიდა.

ნაადღგომევეს გამოვემშვიდობეთ როგორც ძვირფასს მასპინძელს, ისე ტფილისს და წავედით სოფ. ოძისში. ჩემი ქ-ნი ჩვეულებრივ შრომას შეუდგა, ჩვენ კი ჩვენ საქმეს. ასე გადიოდა დრო და წელი.

ერთ ზაფხულს განსვენებულმა დავითმა თავის მამის თხზულებით დამასაჩუქრა. მიყვარდა ამ წიგნში ძუნწი კარაპეტა და შესლილი.

იმავე ზაფხულს მან ისევ ფოტო-აპარატს მიჰყო ხელი. მე მპირდებოდა თუ ოდნავ შეისწავლი ამ ხელობას, მე მყავს კარგი ნაცნობი ფოტოგრაფისტი ა. როინაშვილი, მას მიგაბარებ, იმასთან უფრო კარგად ისწავლი და მცოდნე ფოტოგრაფისტი გამოხვალ, ამ ჩემ ფოტო-აპარატსაც შენ გაჩუქებ თავის მოწყობილობით და კარგად იცხოვრებო, მაგრამ საწყალ კაცს ვინ მისცა ბედ-იღბალი?! მეც ქვა აღმართში მომეწია და ხრამში გადამჩეხა.

1890 წ. განსვენებული დავითი მილიონერ როტშილდთან ბათუმის ქარხანაში წავიდა რაღაც საქმეზე. აპრილის თუ მარტის თვე იყო და თავის გაუფრთხილებლობით ვაცვივებულყო. იქიდან სოფ. ოძისში გამოიარა დედის სანახავად, ოძისში ერთი დღე დარჩა, მეორე დღეს კი ტფილისში წავიდა და დედა და მე თან წაგვიყვანა. გზაში მშვენივრად მუსაიფობდა, ოხუნჯობდა, როცა ტკივილებს იგრძნობდა, იტყოდა ხოლმე: „აი, დედასა დავით ერისთავო!“



ჩამოვედით რა ქალაქში, ჩაწვა ქვეშაგებში და მერე აღარც აღმ-  
გარა. ექიმები გასპარიანცი და მალინინი ბევრს ცდილობდნენ  
ავადმყოფი მოერჩინათ, მაგრამ მისი ჯანმრთელობა უარესდებოდა.  
მე ვუვლიდი ავადმყოფს, თანახმად დარიგებისა ვაძლევი წამლებს,  
ვაბანებდი ვანაში და სხვ. დღე და ღამ მისი საწოლის კარებთან  
ვიჯექ და ვიწექ.

საზაფხულოდ ექიმებმა მანგლისში წასვლა ურჩიეს. ავადმყოფის  
სანახავად დაიარგობდნენ მისი ნათესავ-მეგობრები: ალექსანდრე  
და კოლა ერისთავები. ერთხელ, ილია და აკაკიც მობრძანდნენ-  
დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი და ფორაქიშვილები ხომ ხშირად  
იქ იყვნენ, როგორც მახლობელი ნათესავები.

1890 წ. მაისიდან ჩემი ბატონები საავარაკოდ მანგლისში  
გადასახლდნენ. მე ისევ ავადმყოფს ვუვლიდი, საავარაკო სახლი სუ-  
ფთა და კარგი იყო და კარგ ადგილასაც (პატარა ტყის წინ) იდგა:  
ეზოში ცივი ქა, სახლის უკან, ქუჩისაკენ შუშაბანდიანი აივანი, სა-  
ხლისა და აივნის წინ ნაძვნარი ხეები, ბალი ვარდ-ყვავილებით  
შემკვლი და სხვ... სახლის პატრონი რუსი იყო, კარგი და მშვიდი.  
მას ორი ჯიშინი ძროხა ჰყავდა, რძეს, მაწონს და არაყანს მიცვან  
ვლებულობდით.

აქ ერთმა სამხედრო ექიმმა დაიწყო ბატონის ექიმობა. თვეში  
ერთხელ გასპარიანციც ამოდიოდა ტფილისიდან. გამოირკვა, რომ  
ჩემი ბატონი წყალმანკით იყო ავად. მე აქაც მის საწოლის კარე-  
ბის წინ ვიჯექ და ვიწექ.

როცა დავითს ძილი გაუკრთებოდა, დამიძახებდა და მეტყოდა:  
აბა, ჩემო ვანო, ზღაპარი რამე გეცოდინება და მიამბეო. თავს არ  
ვიქებ და ბევრი ზღაპარი და მოთხრობა ვიცოდი: თამარინი, აბე-  
სალომ და ეთერი, ყარამანიანი, ჰაჯი-მურატი და სხვ.. ამიტომ  
მეც ჩემ ძვირფას ავადმყოფს სიხარულით ვუამბობდი. მერე დაშა-  
ქრულ ცივ რძეს დავალევინებდი და თითონვე დამითხოვდა: წადი,  
დაიძინეო, მაგრამ მეძინა ფრთხილად, რომ მისი დაძახება ან ზა-  
რის დაწკარუნება არ გამომპარვოდა.

ამ ყოფაში ზაფხული გადიოდა და შემოდგომა გვიახლოვდე-  
ბოდა, ჩემს ავადმყოფს კი არ ეტყობოდა საიმედო ნიშნები, სნეუ-  
ლება უფრო ხელს რევდა; როდესაც აგრილდა და მოავარაკეთ ქა-  
ლაქისკენ დაიწყეს დენა, ჩვენც წამოსვლას ვაპირებდით, მაგრამ



ერთ დღეს (ვგონებ 17 სექტემბერს) დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი ამოვიდა ლანდოთი და ეტლით, რომელშიც ჩაიწვინა საყვარელი სიძე დავითი, ლანდოში კი ჩაისვა თავისი დაჲ, დანარჩენებიც ეტლსა და ლანდოში დასხდნენ და ტფილისისაკენ გამოემგზავრეთ. დავითი ტფილისშიც ავადმყოფობდა. მისი სენი განუკურნებელი აღმოჩნდა.

მე ტფილისში ჩამოსვლისთანავე კნეინა მართასთან უთანხმოება მომივიდა და მის შემდეგ აღარც ერისთავების ოჯახში მიცხოვრია. სულ მალე, ჩემს წასვლის შემდეგ, ჩემი ძვირფასი ბატონიც გარდაიცვალა და მწუხარებით გამოვიტირე...“

# ს ა რ ჩ ე ვ ი



✓ წინასიტყვაობა . . . . .	I
✓ 1. ნატალია აზიანი—მოგონებანი ქართველ მწერლებზე . . . . .	3
2. ივლიტა ფურცელაძე—ანტონ ფურცელაძე (მოგონება, პუბლიკაცია და შუღლიაშვილისა) . . . . .	24
3. მელანია (ნ. ნათიძე)—მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე . . . . .	32
4. სანდრო რაჭიკაშვილი—მოგონება თედო რაჭიკაშვილზე (ი. ლ. ოლაშვილის შესავალი წერილით) . . . . .	37
✓ 5. სანდრო რაჭიკაშვილი—მოგონება ბაჩანაზე . . . . .	51
✓ 6. მარიამ ორბელიანი—მოგონებანი (ი. ლ. ოლაშვილის შენიშვნებით) . . . . .	61
✓ 7. ელისაბედ ერისთავი—მასალები გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის (ჩანაწერები და მოგონებანი) . . . . .	114



ბელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV 49 წ. ქალაქის ზომა 60×84, წიგნის ზომა 6×9<sup>1</sup>/<sub>2</sub>, საბეჭდო ფორმათა რაოდენობა 9.

შეკვეთა № 1502 ტირაჟი 2000 ფე 01151

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., 14.  
 Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия. Тбилиси ул., Ленина 14

### კორექტურულ უცდომათა გასწორება

გვ. და სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
22,11	არა უკრაინულ	უკრაინულ
27,12	ათ კონიაკი	ათკოკიანი
29,13	მამაჩემი ამის შემდეგ	მამაჩემი
48, 7	მიგზავნიდა,	მიგზავნიდა ფულს,
56, 1	სწვა	სწვადასწვა
65,31	პოვოსკებით	„პოვოსკებით“
83,13	ძმებს... ეწვიათ	ძმას ... ეწვია
102,18	კომენტარიაში	კომენტარში
125,26	მოვიდნენ, ბევრი სტუმრები	მოვიდნენ სტუმრები

4.3/15



8260 10 826.

Государственный литературный  
музей Грузии

ЛЕТОПИСЬ ЛИТЕРАТУРЫ

Книга 5, вып. I

(На грузинском языке)

Издательство Государственной  
книжной палаты Грузии  
Тбилиси—1949